კვირის პალიტრა

ნელარა ბერეკეტული ნაბიჯი

№ 51 (411) ◆ 23 – 29 დეკემბერი. 2002 წ. ◆ ფასი 90 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.





„კვირის პალიტრის“

ქალის ეროსანი ქალენდარი

საჩუქრად!

მას, ვინც ... ↳ 33.12

თქვენს გაზეთს მთელი საქართველო კითხულობს!

პოლიტიკური პარტიების შექმნის წელი

გასული წელი შეიძლება პოლიტიკური პარტიების შექმნის წლად გამოცხადდეს. ყველა მეტ-ნაკლებად ცნობილმა პოლიტიკურმა ფიგურამ პარტია შექმნა, უკვე შექმნილი პარტიები კი მარტივ მამრავლებად დაიშალა. ამის მიზეზი მომავალი 2003 წლის საპარლამენტო არჩევნებია, — გათვლა კი მარტივი: პოლიტიკოსებს არენიდან წასვლა არ სურთ და ზურგის გამაგრებას მომხრეებისა და მხარდამჭერების საშუალებით ცდილობენ. სავარაუდოდ, წვრილ-წვრილი პარტიები მსხვილ ალიანსებს შექმნიან და ისე მოსინჯავენ ბედს საპარლამენტო არჩევნებში. ყველაზე გამოკვეთილი პოლიტიკური ალიანსის შექმნის ინიციატორი ედპ გახდა, რომელმაც პოლიტიკის კრიმინალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლისკენ მოუწოდა პოლიტიკოსებს. პროდასავლური პარტიების შეშფოთების მიზეზი ციხიდან შს ექსმინისტრის, თემურ ხაჩიშვილის გამოსვლა გახდა, რომელმაც პოლიტიკური ამბიციები და პრ-ორუსული განწყობა სულ მალე გამოამჟღავნა და პოლიტიკური ორგანიზაცია „დათვი“ შექმნა. პრ-ორუსული „დათვები“ და პროდასავლური პარტიები საპარლამენტო არჩევნების მარათონში მომავალ წელს გამოცდიან თავს. ქართველ პარლამენტარებს კიდევ ერთი საშიში ჩვევა დასჩემდათ (განსაკუთრ-ებით, 2002 წელს) — იარაღის ტრფიალი. როგორც ამბობენ, — „აღორძინების“ არსენალში მრავლად არის ცეცხლსასროლი იარაღი, იარაღი აღმოუჩინეს ცესკოში შეჭრილ ერთ-ერთ „ნაციონალისტსაც“. ბოროტი ხმები ამბობენ, — შეიარაღებული ფორმირებები ქვემო ქართლშიც იქნებაო. ქართველ პოლიტიკოსთა აგრესიულობა თუ ასეთი გეომეტრიული პროგრესიით გაიზარდა, იოლი წარმოსად-გენია, მომავალი წლის არჩევნებში როგორი ორთაბრძოლების მომსწრენი გავხდებით.

ყველასაგან მიტოვებული მოსახლეობის სოციალური ფონი კი ისევ მძიმე რჩება. უხელფა-სობასა და უპენსიობას, უგაზობა, სიცივე და უშუქობაც დაემატა. თითქმის ყველა რეგიონში იმართება უკმაყოფილო მოსახლეობის ქუჩის აქციები. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში კი მიწისძვრით დაზარალებული თბილისის მოსახლეობა აღმოჩნდა, რომელიც ცივ ზამთარში, ფაქტობრივად, ღია ცის ქვეშ დარჩა. თოვლი რამდენიმე დღეში ისედაც დაზიანებულ რამდენ-იმე ასეულ შენობას საცხოვრებლად უვარგისს გახდისო, გვაფრთხილებენ მერიის შესაბამისი სამსახურები...

ბიუჯეტი არ გვეღირება

სავარაუდოდ, საქართველო მომავალ წელს ისევ დაუმტკიცებელი ბიუჯეტით შეხვდება. ამ საკითხზე საპარლამენტო განხილვებმა დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. კანონმდებლები ბიუჯე-ტის გაზრდას ითხოვენ. ფინანსთა მინისტრი კი ძუნწობს და მხოლოდ 35 მლნ-ს იმეტებს.

ისედაც შაგრენის ტყავივით შემცირებული და სულთმობრძავი ჩვენი ბიუჯეტი წლითი-წლობით ჩიავდება და კნინდება. გარღვევა და სეკვესტრი უკვე მის ქრონიკულ დაავადებად იქცა. სამწუხაროდ, ბიუჯეტის შესრულების გზას ვერც ამ წელს მივაგენით, არადა ოპოზიცია სახელფასო მინიმუმისა და პენსიების გაზრდას დაჟინებით ითხოვს. სახელისუფლებო ძალებს ისღა დარჩენიათ, „გაღმა შეედავეს“ პრინციპს მიმართონ და ოპოზიციონერებს პოპულიზმი დასდონ ბრალად.

პაინდ დაგვიყოლიეს

„ნორდ-ოსთ“-ის ტრაგედიამ რუსეთის პრეზიდენტს ტერორიზმთან ბრძოლის მანდატი გაუმყარა.

რუსეთის მხრიდან ეკონომიკური სანქციების ამოქმედებამაც შედეგი გამოიღო. კერძოდ, გაუთავებელმა „დივერსიებმა“ ელექტრო და გაზსადენებზე და ა.შ., საქართველოს მხარე აიძულა რუსეთის მოთხოვნების ნაწილი შეესრულებინა და პანკისის ხეობაში ჩატარებული ანტიტერორისტული ოპერაციის შემდეგ ჩეჩენი პატიმრების რუსეთში ექსტრადიცია მოხდა. რუსეთი დანარჩენ პატიმრებსაც მოითხოვს. საქართველოში ჩეჩენთა მოულოდნელ შევიწროე-ბას, ჩეჩენი საველე მეთაურების ულტიმატუმები მოჰყვა. დოკი უმაროვი, მასხადოვი და ზაკაევი საქართველოს ხელისუფლებას ახსენებენ, რომ ცეცხლთან თამაში საშიშია. რუსული საინფორ-მაციო წყაროები პერმანენტულად გადმოსცემენ, რომ ჩეჩნები საქართველოში ტერაქტების მოწყობას გეგმავენ. უშიშროების მინისტრი ვალერი ხაბურძანია მოსახლეობას არწმუნებს, რომ ეს პროვოკაციაა და ჩეჩნები საქართველოს მიმართ მტრულ ნაბიჯს არ გადადგამენ?!

გალს გვიბრუნებენ?

ავი ხმები აფხაზეთის გაყოფის თაობაზე რეალობას ემსგავსება. თამაზ ნადარეიშვილი აცხადებს, რომ აფხაზეთის საკითხი 50-60 წლის მანძილზეც არ გადაწყდება. მიუხედავად იმისა, რომ ნადარეიშვილს ინფორმირებულ ჩინოვნიკად მიიჩნევენ, მისი მაინც არ სჯერათ. სამაგი-ეროდ, განახლდა გალში მოსახლეობის უპირობო დაბრუნებისა და უსაფრთხოების ზოლის მდინარე ღალიძგამდე გადატანის თემის განხილვა. სოხუმსა და დანარჩენ ტერიტორიებზე საუბარი საერთოდ არ არის. უფრო კონკრეტულად, თბილისში საქართველოსა და რუსეთის საგარეო უწყებებმა 20-21 დეკემბერს ოფიციალური კონსულტაციები გამართეს. არსებული პროექტით, გალში საერთაშორისო გარდამავალი ადმინისტრაცია უნდა ჩამოყალიბდეს. კუ-ლუარული ინფორმაციით, ნადარეიშვილი ამ გეგმისთვის ემზადება და დავით შენგელიას გალის გამგებლის მოადგილეობა ამიტომაც ურჩია. შესაძლოა, ახლო მომავალში გალის გარ-დამავალი ადმინისტრაციის სათავეში სწორედ შენგელია მოექცეს და პარტიზანულ მოძრაობა-ზე ოფიციალურად აიღოს ხელი.

ამასთანავე, ევროსაბჭოს ხელმძღვანელობას აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების შეფ-მა, თამაზ ნადარეიშვილმა აფხაზეთში არაბი და სხვა ჯურის ტერორისტების ყოფნის დამადას-ტურებელი ფაქტები წარუდგინა. მისი თქმით, სოხუმთან ახლოს დაბანაკებულია „ალ-ქაიდას“ 45-კაციანი ბანდა. შენდება მეჩეთები და იხსნება ვაჰაბიტური სკოლები. სეპარატისტებმა აფხაზეთის სხვადასხვა რაიონში უკვე ჩაასახლეს არაბები, პაკისტანელები, სირიელები, თურქე-ბი და ა. შ. რაც შეეხება ე. წ. ბოდენის დოკუმენტს აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის შესახებ, იგი ვაშინგტონისა და ლონდონისთვის სავსებით მისაღებია და ისინი დღემდე ამაოდ ცდილობენ დაარწმუნონ სოხუმი მისი მიღების აუცილებლობაში. იმავდროულად, სოხუმში რუსი სამშვიდობოების რაოდენობა თვითნებურად იზრდება და მალე 3 ათას კაცს მიაღწევს. დეპუტატ ჯემალ გამახარიას განცხადებით, აფხაზეთში 5000 კაზაკს ასახლებენ და რუსული მხარე მათ შესაბამის დახმარებებსაც ჰპირდება. მიგრაციული სამუშაოებით რუსი მაღალჩინოსანი სამხედროები არიან დაკავებულნი.

სომხეთის პარლამენტის სპიკერი ხაჩატრიანი აფხაზებს გამოესარჩლა და საქართველოს რკინიგზის მაგისტრალის გახსნა მეგობრულად ურჩია. ამ ფაქტს პარტიზანები ულტიმატუმე-ბით გამოეხმაურნენ. „თეთრი ლეგიონის“ მეთაური ზურაბ სამუშია პრესკონფერენციას მარ-თავს და აცხადებს, რომ მისი შენაერთი რკინიგზას ყოველი შეკეთების შემდეგ ააფეთქებს.

საქართველოს ვერავინ დააჩოქებს

11 სექტემბერს, 2001 წლის საშინელი ტერაქტის წლისთავზე ვლადიმირ პუტინის განცხა-დებამ საქართველოზე სამხედრო აგრესიის განხორციელების შესახებ, ქართული პარლამენტი აღაშფოთა და სასწრაფოდ დსთ-დან საქართველოს გამოსვლის საკითხი წამოჭრეს. როგორც გაირკვა, რუსეთის გენშტაბს მზად ჰქონდა საქართველოს ტერიტორიებისა და ბოევიკთა ბაზების დაბომბვის გეგმა. რუსეთის დუმამ კრემლს საქართველოს წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციების შემოღებასა და რუსეთ-საქართველოს შორის ჩარჩო-ხელშეკრულებების სამზა-დისის შეჩერების რეკომენდაცია მისცა. პანკისის ხეობაში მცხოვრები ქისტები და ჩეჩნები ევაკუაციაზე ალაპარაკდნენ.

გაეროს გენერალურ ასამბლეაზე მყოფ საგარეო საქმეთა მინისტრ ირაკლი მენაღარიშვილსა და პრეზიდენტ ჯორჯ ბუშს შორის შემდგარი დაგეგმილი ხანმოკლე შეხვედრის შემდეგ შევარდნაძემ განაცხადა, რომ საქართველოს ვერავინ დააჩოქებს. საქართველოსთან მხოლოდ თანასწორუფლებიანი თანამშრომლობა შეიძლება! ყაზახეთში გამართულ დსთ-ის ლიდერთა ე.წ. უჰალსტუხო სამიტზე კი საქართველოს პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინს შეახსენა, რომ აფხაზეთიც და სამაჩაბლოც საქართველოს შემადგენელი ნაწილია და ისინი დამოუკიდებელი რესპუბლიკების სტატუსს ვერასოდეს ეღირსებიან. პუტინი მას ამ საკითხებში დაეთანხმა.

რეფორმის აუცილებლობა

მთელი წლის მანძილზე ოპოზიციური პარტიები აღმასრულებელ ხელისუფლებას, კერძოდ კი პრეზიდენტს სტრუქტურულ ცვლილებებს — მინისტრთა კაბინეტის შემოღებას, სამინისტრო-ების რეორგანიზაციასა და ახალი საარჩევნო კოდექსის მიღებას სთხოვდნენ და ხშირადაც აკრიტიკებდნენ იმის გამო, რომ მათი ხმა რჩებოდა „ხმად მღაღადებლისა...“. საკონსტიტუციო ცვლილებების თემით ოპოზიცია პრეზიდენტის დისკრედიტაციისთვის მარჯვედ მანიპულირებდა და მას ბრალად ავტორიტარიზმს სდებდა. თავის მხრივ, პრეზიდენტი რეფორმებისათვის მზადყოფნას სიტყვიერად ყოველთვის ადასტურებდა. თუმცა მისი დაპირებები ოპოზიციას მხოლოდ და მხოლოდ ფუჭსიტყვაობად მიაჩნდა. პრეზიდენტი შევარდნაძე ძალაუფლებას ვერ შეელევა — ასეთი იყო ოპოზიციის არგუმენტი. შევარდნაძის ოპონენტები მოუთმენლად ელო-დნენ 2002 წლის ტრადიციულ ანგარიშს და როცა ბოლოს და ბოლოს შევარდნაძე მათ წინაშე წარდგა, ოპოზიციამ დემარშით დატოვა სხდომათა დარბაზი. არადა, პრეზიდენტმა სწორედ ოპოზიციისთვის სანუკვარ თემაზე — სტრუქტურულ ცვლილებებზე ისაუბრა. შევარდნაძე თავგამოდებით ცდილობს დაარწმუნოს ყველა, რომ იგი კვლავ „კარგ ფორმაშია“ და საპარლა-მენტო ანგარიშის რეალურად ხორცშესხმას აპირებს — პროგრამას „ახალი საქართველოსთვის“ სათავეში სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე ჩაუდგა. წლის ბოლოს პარლამენტმა სამინისტროების რეორგანიზაციის საკითხზე დაიწყო მსჯელობა და გახმაურებული დემარში №2-იც და ნინო ბურჯანაძის კრიტიკაც სწორედ ამ განხილვებს მოჰყვა.

კვირიდან-კვირამდე

კანდელაკი მსოფლიო ჩემპიონია!

21 დეკემბერს, სტალინის დაბადების დღეს, გორელმა გიორგი კანდელაკმა ქართული კრივის ისტორიაში ყველაზე დიდ წარმატებას მიაღწია — სანქტ-პეტერბურგში რუსი მაყურე-ბლის თვალწინ მეთორმეტე რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით დაამარცხა პეტერბურგელი ალექსანდრ ვასილიევი და მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა კრივის მსოფლიო კავ-შირის ვერსიით. სავარაუდოა, რომ ამ გამარჯვებით გიორგი კანდელაკი მსოფლიოს უძლიერეს მძიმეწონოსანთა პირველ ათეულში მოხვდება და მომავალში უფრო პრესტიჟული საკრივო ვერსიების ჩემპიონობისათვის იბრძოლებს. „კვირის პალიტრის“ რედაქცია ულოცავს ქართველ მოკრივეს ამ დიდ წარმატებას და მომავალ გამარჯვებებს უსურვებს.

დავით მირცხულავას ხსნიან?

კულუარული ინფორმაციით, საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის, დავით მირცხულავას ბედი, პრაქტიკულად, გადაწყვეტილია. როგორც ცნობილია, საქართველოს პრეზიდენტმა მირცხულავას ქვეყნის ენერგეტიკული პრობლემების გადასაწყვეტად მინი-მალური ვადა მისცა, ხოლო თუ მინისტრი თავს ვერ გამოიჩენს, შევარდნაძის განცხადებით, მირცხულავა თავად დაწერს თანამდებობის დატოვების შესახებ განცხადებას.

თბილისი სომხეთს ეარცხვინა?

„ეი-ი-ეს თელასის“ სომხეთთან დადებული კონტრაქტის შესრულებას საფრთხე ემუქრება — სომხეთი უარს ამბობს თბილისს მიაწოდოს ელექტროენერგია, მიზეზად ოფიციალური ერევანი იმას ასახელებს, რომ თბილისი სომხეთის კუთვნილ ბუნებრივ აირს იპარავს. „ეი-ი-ეს თელასის“ ლობისტის, ირაკლი მელაშვილის განცხადებით, სომხეთის პრემიერმა წერილი გამოუგზავნა საქართველოს სახელმწიფო მინისტრს თხოვნით, შუამდგომლობა გაუწიოს აღნიშ-ნული პრობლემის მოწესრიგებაში. სომხეთი გაზს რუსეთიდან ტრანზიტით საქართველოს გავლით იღებს.

დააკავეს ტერაქტში ბრალდებული ძებნილები

საქართველოს პრეზიდენტზე განხორციელებულ ტერაქტში ბრალდებული ძებნილები იჩქერიის რესპუბლიკაში, გუდერმესის რაიონში დაკავეს. შსს-ს ინფორმაციით, დაკავებულები არიან ვეფხია დურგლიშვილი და სოსო თორია. მათ ჩეჩნეთში წინასწარ ჩამოყალიბებული ტერორისტული ჯგუფის წევრებთან ერთად დაგეგმეს და 1998 წლის 9 თებერვალს თბილისში განახორციელეს შეიარაღებული თავდასხმა საქართველოს პრეზიდენტზე — ედუარდ შევარდნაძეზე, რომელიც სახელმწიფო დაცვის სამსახურის ესკორტით კრწანისის რეზიდენციაში მიემართებოდა.

ჩეჩენი პატიმრები პოლიტიკურ თავშესაფარს ითხოვენ

სამი ჩეჩენი პატიმარი — ელჰაჯიევი, გილიგაევი და ახანოვი — საქართველოს პრეზიდენტს პოლიტიკურ თავშესაფარსა და დევნილის სტატუსის მინიჭებას სთხოვს. პატიმრების ახალი ადმინისტრაციული სარჩელი განსახილველად საოლქო სასამართლოში შევიდა. საოლქო სასა-მართლო 5 დღეში გადაწყვეტს ჩეჩენთა სარჩელის განხილვა-არგანხილვის საკითხს.

კრიმინალური ქრონიკა

წყალტუბოს რაიონის პოლიციამ დაიკავა ამავე რაიონში მცხოვრები მევლუდ კუჭავა, რომელმაც რეგისტრირებული სანადირო თოფით, შემთხვევითი გასროლით დაჭრა მამა — ზაურ კუჭავა, რომელიც საავადმყოფოში გარდაიცვალა.

* * *

გალის რაიონის სოფელ დიხაზურგაში 22 წლის გია ეთერიამ დედა — ეთერ უზარაშვილი ურთიერთშელაპარაკების დროს მოკლა. თანასოფლელთა მტკიცებით, შვილმა დედა ოჯახში არსებული უთანხმოების გამო დანით სასიკვდილოდ დაჭრა. დაჭრილი ეთერ უზარაშვილი შემთხვევიდან რამდენიმე წუთში გარდაიცვალა. მისი მეზობლების განცხადებით, დაჭრილის საავადმყოფოში გადაყვანა ვერ მოესწრო. დედის მკვლელი გია ეთერია შემთხვევის ადგილ-იდან მიიმალა და ამჟამად მას გალის რაიონის აფხაზური ადმინისტრაციის მილიცია და ზუგდიდის რაიონის პოლიცია ეძებენ.

№5 საპყრობილის დირექტორი მოხსნეს

იუსტიციის მინისტრმა როლანდ გილიგაშვილმა იუსტიციის სამინისტროს საბჭოს სხ-დომაზე თანამდებობიდან გაათავისუფლა თბილისის მე-5 საპყრობილის დირექტორი ჯიმ-შერ ბაწაშვილი, მისი ცხრა თანამშრომელი, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უსაფრთხ-ოების სამსახურის უფროსი დავით ასათიანი და მისი მოადგილე. საყვედური გამოუცხადეს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს პაატა მხეიძესა და მის მოადგილეს, ლერი ხუხიას. საკადრო ცვლილების მიზეზი გახდა 2002 წლის 22 ნოემბერს საპყრობილის საკანში ძმების — ილია და კობა მიქელთაძეების მკვლელობა. პროკურატურის მტკიცებით, მიქელთაძეები ცეცხლსასროლი იარაღით მოკლა პატიმარმა ზვიად სახამბერიძემ.

შს მინისტრს საყვედურობენ

უშიშროების საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე ანტიკორუფციული საბჭოს მდივან კახა უგულავას განცხადებას შინაგან საქმეთა მინისტრის, კობა ნარჩემაშვილის გაღიზიანება მოჰყვა. სხდომის მთავარი თემა ქვეყანაში მძიმე კრიმინოგენული სიტუაცია და სამართალ-დამცავ ორგანოებში არსებული რთული ვითარება იყო. ანტიკორუფციული საბჭოს მდივანმა ძალოვანი უწყებების პირველი პირები საბჭოს რეკომენდაციის უგულებელყოფაში დაადან-აშაულა. მინისტრმა 3000-ლარიან ხელფასის მქონე მდივანს შეახსენა, რომ უხელფასო სამართალდამცველებზე საუბრის დროს სიფრთხილე მართებს და როცა ათ ცუდს იტყვის, ერთი კარგიც გაიხსენოს პოლიციელებზე, რომლებიც მშიერ-მწყურვალნი დღედაღამ ქუჩა-ში, სიცივეში დგანან და რომ იტყვიან, „ენთუზიაზმზე“ მუშაობენ.

საქართველოს გენერალური პროკურორის ნუგზარ გაბრიჩიძის განცხადებით კი მიმ-დინარე წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა ყველა სახის დანაშაული, ხოლო მათი გახსნის მაჩვენებელი ძალზე დაბალია. ამასთან დაკავშირებით ედუარდ შევარდნაძემ მითითება მისცა ძალოვან მინისტრებს, წესრიგი დაამყარონ თავიანთ სტრუქტურებში, ვინაიდან სამარ-თალდამცველები ხშირად თვითონვე უწყობენ ხელს დამნაშავეთა სამყაროს აღზევებას.

ტრანსპორტი დროებითი სქემით იმოძრავებს

წინასაახალწლო დღეებში საქალაქო ტრანსპორტი დროებითი სქემით იმოძრავებს. მერი-ის საქალაქო ტრანსპორტის რეგულირებისა და მართვის სამსახურის უფროსის, ოთარ ჭიპაშვილის ინფორმაციით, ამის მიზეზი საახალწლო ბაზრობების ამოქმედებაა. ძირითადად, საქალაქო ტრანსპორტს პრობლემები ექმნება ცენტრალური სუპერმარკეტის (დეზერტირის ბაზრის) ტერიტორიაზე, სადაც ისედაც შეზღუდულია ავტომანქანების მოძრაობა; ხოლო 30, 31 დეკემბერს აბასთუმნის, წინამძღვრიშვილის ქუჩები და წერეთლის გამზირის ეროვნულ სტადიონთან მიმდებარე ტერიტორია ტრანსპორტისათვის საერთოდ დაიკეტება.

რადუევი ურალში დაკრძალეს...

როგორც რუსეთის ხელისუფლებმა განაცხადეს, ჩეჩენი საველე მე-თაური სალმან რადუევი, რომელიც რამდენიმე დღის წინ გარდაიცვ-ალა ციხის საავადმყოფოში, პერმის ოლქის ერთ-ერთ მუნიციპალურ სასაფლაოზე დაკრძალეს.

რუსეთის იუსტიციის მინისტრის, იური ჩაიკას განცხადებით, რა-დუევის ახლობლებს აცნობეს მისი გარდაცვალების შესახებ, მაგრამ მათ გარდაცვლილის ცხედარი სამი დღის განმავლობაში არ მოიკითხეს. რუსე-თის ოფიციალური პირები ამტკიცებენ, რომ რადუევი ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალა სოლიკამსკში, სადაც სამუდამო პატიმრობას იხდიდა. რუსეთის საინფორმაციო საშუალებე-ბის თანახმად კი გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე ციხის მცველმა რადუევს თავის არეში რამდენჯერმე დაარტყა, თუმცა ციხის ხელმძღვანელობა ამ ბრალდებებს უარყოფს.

თოჯინა პრეზიდენტ ბუშის ზესტი ასლია

ჯორჯ ბუშის მოლაპარაკე თოჯინამ მის დამამზადებელ „მშობელ“ ფირმას საშობაოდ დიდი მოგება მოუტანა. ისევე როგორც თავად პრეზიდენტი, თოჯინა-ბუშიც ტერორიზმს ებრძვის და ამერიკაში სამუშაო ადგილების შექმნისათვის იღვწის. „ჩვენ თავდაუზოგავად ვმუშაობთ“, — ამბობს თოჯინა ჯორჯ ბუშის ხმით.

თოჯინა-ბუშმა ამერიკელებში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია და საშობაო ბაზარზე მასზე არნახული მოთხოვნილებაა.

პრეზიდენტი თოჯინა 30 დოლარი ღირს და დახლებზე გამოტანილი პირველი პარტია (120.000 ცალი) ელვისუსწრაფესად გაიყიდა.

ეშვიდობით, კვირადღევ!

მშვიდობით კვირადღევ, მშვიდობით უიქ-ენდებო! კვირის უკანასკნელი დღე აღარ იქნება დასვენების დღე, — ხალხს გრაფიკების, განრიგებისა და ჩვევების შეცვლა მოუწევს. ეს მეტ-წილად მათ შეეხება, ვინც საწარმოებში, მომსახურებასა და ჯანდაცვაში მუშაობს. ახალი ევროპული კანონის შესაბამისად, დამსაქმებლები და პროფკავშირები კოლექტიური განხილ-ვისას გადაწყვეტენ, რომელი დღეები იქნება უქმე. იტალია ერთადერთი ქვეყანაა, რომელიც აღნიშნული დირექტივის წინააღმდეგ გამოდის.

ამ სიდუხჭირემ პირველი თოვლის სიხარული ჩამიკლა

გასული წელი საქართველოსთვის საკუთარი თავის ძიების, თვითდამკვიდრებისა და დიდი პერიპეტიების წელიწადი იყო. ზოგი რამ კარგი მოხდა, ზოგიც მტკივნეული და მწარედ გასახსენებელი. არაერთხელ დაგვბომბეს, არაერთხელ გვაყურებინეს ხალხის რჩეულთა ცემა-ტყეპაში გადაზრდილი შოუ-წარმოდგენები, არაერთხელ მოგვიკლა გული უნიათო მთავრობის, აღმასრულებლებისა და კანონმდებლების დაპირისპირებამ. წელსაც, როგორც ყოველთვის, ისევ გაირღვა ბიუჯეტი (თუმცა მავანთ მტკიცებით, მისი პარამეტრები წარმატებითაც კი შესრულდა), ისევ ვერ გაიზარდა ხელფასები და პენსიები, კრიმინალურ გარჩევებს არაერთი ქართველი შეეწირა, თოვლიან ზამთარში ისევ ცივა, ისევ არ არის დენი და გაზი...

გასული წლის ანალიზი და შეფასება პარლამენტის თავმჯდომარეს **ნინო ბურჯანაძეს** ვთხოვეთ:

— გასულმა წელმა მართლაც მნიშვნელოვანი გახადა საქართველოს როლი თანამედროვე გეოპოლიტიკაში. ჩვენმა ქვეყანამ იპოვა თავისი ადგილი თანამედროვე მსოფლიოში, როგორც სახელმწიფომ, გარკვეული ფუნქცია შეიძინა. მნიშვნელოვანია ის, რომ საქართველო შედის არა მარტო რეგიონალურ, არამედ ევროპის და მსოფლიოს სახელმწიფოების ინტერესების სფეროში, რაც მეტად მნიშვნელოვანია ჩვენი ადგილის დამკვიდრებისა და რეალური დამოუკიდებლობის განმტკიცებისთვის. აქ, თავისთავად ცხადია, უმნიშვნელოვანესია ის საერთაშორისო პოლიტიკა, რომელსაც ეწეოდა ბოლო წლების მანძილზე საქართველო. ჩვენმა ხელისუფლებამ და ხალხმა მნიშვნელოვანი არჩევანი გააკეთა ევროპული სტრუქტურებისაკენ. საქართველო სულით, კულტურით მართლაც ევროპული ქვეყანაა და მისი სწრაფვა ევროპულ სტრუქტურებში გაწევრებისა და ევროპული სახელმწიფოებისკენ, ბუნებრივი პროცესია. ვფიქრობ, ეს შეუქცევადია და როგორადაც არ უნდა ეცადონ ცალკეული პოლიტიკური ძალები, პოლიტიკური ფიგურები და გნებავთ, სახელმწიფოები, ევროპული ფასეულობებისკენ (ადამიანის უფლებათა დაცვა, სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების დემოკრატიზაცია, სიტყვის თავისუფლება) აღებულ გეზზე უარს არასოდეს ვიტყვით. ჩვენ ძვირად დაგვიჯდა მოპოვებული სახელმწიფოებრივი და პიროვნული თავისუფლება, ქვეყანაში დემოკრატიის ფორმირება და ამიტომ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ საქმის ბოლომდე მისაყვანად. ამ ჭრილში საქართველოს ნატოსთან დაახლოებასა და ნატოს წევრობის პრეტენდენტობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ნატო არ არის თვითმიზანი და ცარიელი სიტყვები. ეს ის ორგანიზაციაა, სადაც საქართველო თავის უსაფრთხოებას ხედავს. ჩვენი ნატოსთან დაახლოება ვინმეს ინტერესებს არ ეწინააღმდეგება. აქ რუსებს ვგულისხმობ. გვესმის, რომ მეზობლებთან მშვიდობიანი თანაარსებობის მოსურნე ნებისმიერი ქვეყანა უნდა ზრუნავდეს არა მარტო თავის უსაფრთხოებასა და სტაბილურობაზე, არამედ მეზობელი ქვეყნებისა და რეგიონისაზეც. ამ მხრივ ნატოს ნამდვილად პოზიტიური როლის თამაში შეუძლია. თუმცა ის ინფორმაციული ომი, რომელიც რუსეთმა საქართველოს წინააღმდეგ გამართა, თავისთავად ცხადია იყო „ქარიშხალი ჭიქაში“. ბევრს უნდოდა, ჩვენში არსებული პრობლემები სრულიად სხვა კუთხით წარმოეჩინა. ზოგიერთი რუსი გენერალი ცდილობდა, საქართველო საერთაშორისო ტერორიზმის პლაცდარმად მოენათლა, თითქოს ჩვენს ქვეყანაში ათასობით ჩეჩენი ბოევიკი და ტერორისტი იმყოფებოდა, რათა შემდეგ საშუალება მისცემოდა, ჩეჩნურ ფრონტზე თავისი წარუმატებლობა საქართველოსთვის დაებრალებინა.

დღეს პანკისის პრობლემის დარეგულირება უნდა გამოვიყენოთ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ნორმალიზაციისა და პანკისის ხეობაში საბოლოო წესრიგის დასამყარებლად. მაგრამ დიდი სიფრთხილეა საჭირო, რომ გაზაფხულზე, თოვლის დნობასთან ერთად ეს პრობლემები კვლავ არ წამოიჭრას. ამას წინათ მაღალი რანგის რუს პოლიტიკოსებს ვესაუბრე. თქვეს, საქართველო-რუსეთის ურთიერთობა 1998-2000 წლებში გაფუჭდა. ეს იყო ურთულესი ფაზა ჩვენი ქვეყნების ურთიერთობის პერიოდშიო. ნათქვამი ცხადყოფს, რომ რუსეთი ყოველთვის ცალმხრივად უყურებს ჩვენთან ურთიერთობას და „ურთიერთობების გაფუჭებას“ იმ დროიდან ითვლის, როცა ჩეჩნების საკითხს ნებსით თუ უნებლიეთ საქართველოც დაუკავშირდა. მაშინვე შევუსწორე რუს კოლეგებს — რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა კრიტიკულ ზღვარზე 1992-93-94 წლებში მივიდა, კერძოდ, აფხაზეთის კონფლიქტის დროს, როცა თქვენ აფხაზებს აშკარად დაუჭირეთ მხარი-მეთქი.

ჩვენ მოწმენი ვართ იმისა, რომ ბოლო დროს რუსეთი აფხაზეთისა და ოსეთის მცხოვრებთ უკანონოდ აძლევს თავის მოქალაქეობას. კერძო, იურიდიული პირები ყიდულობენ ქონებას აფხაზეთში, რუსეთის დელეგაციები, იქ, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოში, ისე ჩადიან მოსალაპარაკებლად. რუსეთი არღვევს დსთ-ის სახელმწიფოთა გადაწყვეტილებას, რომელიც პრეზიდენტ ელცინის მიერ იყო ხელმოწერილი. გაეროს უშიშროების საბჭოში რუსები წლების განმავლობაში აბრკოლებენ აფხაზეთის საკითხის განხილვის პროცესს. აფხაზ სეპარატისტებს რუსები რომ არ უჭერდნენ მხარს, ასე აგრესიულად ვერ დაელაპარაკებოდნენ საქართველოს და კონფლიქტიც გადაწყდებოდა.

რუსეთმა თავად იწვნია, რა არის სეპარატიზმი, ამიტომ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამჟამად სხვაგვარად შეხედავს ჩვენს პრობლემებს. რუსეთს ხელს უნდა აძლევდეს ერთიანი, ძლიერი, დამოუკიდებელი და მეგობრულად განწყობილი საქართველო. ეს კი მაშინ მოხდება, თუ ის არ შეეცდება აფხაზეთსა და სამაჩაბლოში ნაღმების გამოყენებას და პირიქით, პოზიტიურ როლს ითამაშებს კონფლიქტის მოგვარებაში.

> ყოველთვის მიყვარდა თბილისში თოვლი. ახლა კი გული საოცრად დამძიმებული მაქვს. ვგრძნობ, რამდენ პრობლემას უქმნის თოვლი ჩვენს მოსახლეობას. მეც კი, ადამიანს, რომელიც უფრო უზრუნველყოფილი ვარ, ვიდრე ჩვენი მოსახლეობის უმეტესი ნაწილი, ამ სიდუხჭირემ პირველი თოვლის სიხარული ჩამიკლა.

ჩვენს ურთიერთობებს ართულებს სამხედრო ბაზების საკითხიც. რუსი სამხედროებისგან არაერთხელ მსმენია, საქართველოში სამხედრო ბაზები არ გვჭირდებაო. თუ ასეა და მათ ეს ბაზები დესტაბილიზაციისთვის არ სჭირდებათ, რატომ არ გაჰყავთ?

— ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის გამო ატეხილ ხმაურსაც ბევრმა „რუსული კუდი“ გამოაბა — რუსეთი ხომ აშკარად წინააღმდეგი იყო, ამ ნავთობსადენს საქართველოს ტერიტორიაზე გაევლო...

— ეს ალბათ პროექტის ჩაშლის მცდელობა იყო... ბორჯომის ხეობა ჩვენი სიმდიდრეა და უნდა გავუფრთხილდეთ. ნავთობსადენის პროექტში ჩადებულია სერიოზული გარანტიები, მაგრამ ყოველთვის არსებობს გაჟონვის ან ავარიის თეორიული შანსი. ამიტომ ხელისუფლება, პარლამენტი და მოსახლეობაც დაინტერესებული უნდა იყოს პროექტის მაქსიმალური უსაფრთხოებით.

უცნაურად მეჩვენა ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის ბორჯომის მონაკვეთზე დაცვის უფროსად ბ-ნი გიგა გელაშვილის დანიშვნა. თუ თემურ ხაჩიშვილს და გელაშვილს მართლაც ჩადენილი აქვთ ის დანაშაული, რის გამოც სასჯელს იხდიდნენ, წარმოუდგენელი იყო ჯერ მათი გათავისუფლება, შემდეგ პოლიტიკაში დაბრუნება და მით უმეტეს, ასეთი უმნიშვნელოვანესი უბნის მათთვის ჩაბარება. თუ უდანაშაულოდ დააპატიმრეს და ეს იცის ხელისუფლებამ, მაშინ კეთილი ინებოს და, დასაჯოს ისინი, ვის გამოც ეს ხალხი ამდენი წელი ციხეში იჯდა, ხოლო თუ ეს ხალხი მართლაც დამნაშავეა, მაშინ, ბოდიში და, პოლიტიკიდან და ხელისუფლებიდან ცოტა შორს უნდა დადგნენ...

ხაჩიშვილმა რუსეთზე ორიენტირებული პოლიტიკური პარტია „დათვი“ შექმნა. ძნელი სათქმელია, ვინ მართავს მას, თუმც გარკვეული მოსაზრებები და ეჭვი ამის თაობაზე, არსებობს. ცოტა უხერხული ხომ არ არის ხაჩიშვილისგან იმაზე ლაპარაკი, რომ საქართველოს სახელმწიფო ენა რუსულიც უნდა იყოს. ქართულს ან საერთაშორისოდ აღიარებულ ინგლისურ ენას გამოაცხადებს რუსეთი სახელმწიფო ენად? საკუთარი თავის, ენის, ქვეყნის და ერის პატივისცემას თუ არ მივეჩვიეთ, არაკეთილმოსურნეები ყოველთვის ეცდებიან საქართველოს საშინაო საქმეებში ხელის ფათურს. გულისტკივილით ვუყურებ. საქართველოში მიმდინარე პროცესებს და ვფიქრობ, საზოგადოების დიდი ნაწილი მზად არ აღმოჩნდა დამოუკიდებლობისათვის. არ გვგრძნობთ პასუხისმგებლობას სამშობლოს მომავლისა და ხალხის წინაშე. საქართველოს ყოველთვის შიდადაპირისპირება ღუპავდა, როცა ქვეყანას ერთმანეთის ჯიბრით აქეთ-იქით ვექაჩებოდით...

დემარში იყო გაფრთხილება, რომ „გონს“ მოვიდე და „ჭკვიანად“ ვიყო

— ბოლო დროს პოლიტიკური პარტიების არსენალში იარაღიც გამოჩნდა. ვარაუდობენ, რომ ამით ცდილობენ ვითარების ხელოვნურად დაძაბვას, ქაოსის შექმნას, რასაც შესაძლოა საგანგებო მდგომარეობის შემოღება მოჰყვეს. რაც შევარდნაძეს საპრეზიდენტო ვადას გაუხანგრძლივებს...

— პოლიტიკური პარტიის არსენალში იარაღი კი არა, პოლიტიკური მეთოდები, სიტყვა და კალამი უნდა იყოს. იარაღის ჟღარუნს ქვეყნის შიდაცხოვრებისთვის სიკეთე არასოდეს მოუტანია. მიუხედავად იმისა, კრიმინალური ფონი მძიმეა, კომენდანტის საათის შემოღების საშიშროებას ვერ ვხედავ. თუმცა არ გამოვრიცხავ ხელოვნურ დაპირისპირებას. არა მგონია, ეს შევარდნაძეს უნდოდეს და ვერც იმას ვიტყვი, რომ ჯერ კიდევ 1999 წლის არჩევნების დროს მეგონა, ახალი პარლამენტი ძველზე უკეთესი იქნებოდა, მაგრამ ბევრი ღირსეული ადამიანი დარჩა მაშინ გარეთ და ბევრი ნაკლებად ღირსეული აღმოჩნდა პარლამენტში. ისიც უნდა ითქვას, რომ გარკვეული ძალები სერიოზულად ცდილობენ პარლამენტის დისკრედიტაციას და ეტყობა, არ ესმით, რომ ამას შესაძლოა სერიოზული სავალალო შედეგები მოჰყვეს. როგორიც არ უნდა იყოს პარლამენტი, მან თავისი ფუნქცია მაინც უნდა შეასრულოს. საჭიროა მივიღოთ ნორმალური საარჩევნო კანონი, რომელიც მოგვცემს ყველა საზოგადოებრივი ფენისა და ყველა პოლიტიკური ძალისათვის მეტ-ნაკლებად მისაღები პარლამენტის არჩევის საშუალებას.

— საპარლამენტო შეხლა-შემოხლას ხშირად კანცელარიას აბრალებენ. ეს პროცესი მართლაც მართულია?

— სამწუხაროა, მაგრამ რაც ბოლო ხანებში ხდება, უკვე მიუღებელ ფორმებს იღებს. სახელისუფლო პარტიების ქმედებებს კანცელარიის ზეწოლად აღვიქვამ. გასულ კვირას ფაქტობრივად არაფრისაგან შექმნეს პრობლემა. ხაზარაძემ და მისმა მხრეებმა იცოდნენ, რომ პარლამენტი გასულ კვირასვე აპირებდა სამინისტროების რეორგანიზაციაზე მსჯელობას. ადამიანებმა, რომელთაც მშვენივრად იციან რეგლამენტი, კონსტიტუციის დარღვევაში დამადანაშაულეს და სხდომათა დარბაზში დემარში მოაწყვეს. ეს არის კანცელარიის მხრიდან პარლამენტის იგნორირების, მისი მართვის მცდელობა. ვეცდები, ამას წინ აღვუდგე, მაგრამ არა იმიტომ, რომ აღმასრულებელ ხელისუფლებასთან დაპირისპირება მსურს. ისეთი გადაწყვეტილებების მიღებას მაძალებენ, რომელიც მე კი არა, „სხვას“ მიაჩნია სწორად, ვერავინ წამართმევს ჩემი აზრის ქონის უფლებას. თუ მტყუან-მართლის გარჩევის უნარი და საშუალება არ მექნება, არა მგონია, ჩემნაირი პარლამენტის თავმჯდომარე დასჭირდეს ხალხს. შესაძლოა, მართული პარლამენტის თავმჯდომარე რომელიმე თანამდებობის პირს ხელს აძლევდეს, მაგრამ მე მინდა ისეთი ვიყო, როგორიც ქვეყანას სჭირდება.

> ...საახალწლოდ, ალბათ ნიგვზიანი წითელი ფხალი და ტკბილეული, ძირითადად ნამცხვრები. ვნახოთ, როგორი სამუშაო გრაფიკი მექნება. შესაძლოა ლობიანი და ხაჭაპურიც გამოვაცხო.

> ეს არის კანცელარიის მხრიდან პარლამენტის იგნორირების, მისი მართვის მცდელობა. ვეცდები, ამას წინ აღვუდგე, მაგრამ არა იმიტომ, რომ აღმასრულებელ ხელისუფლებასთან დაპირისპირება მსურს. ისეთი გადაწყვეტილებების მიღებას მაძალებენ, რომელიც მე კი არა, „სხვას“ მიაჩნია სწორად, ვერავინ წამართმევს ჩემი აზრის ქონის უფლებას. თუ მტყუან-მართლის გარჩევის უნარი და საშუალება არ მექნება, არა მგონია, ჩემნაირი პარლამენტის თავმჯდომარე დასჭირდეს ხალხს.

სახელისუფლო ფრაქციებისაგან განსხვავებით, პრეზიდენტი არ აძლევს თავს უფლებას, კონკრეტულად მიმითითოს — დღეს ეს გააკეთე, ხვალ — ისო. მას ბევრ საკითხში, განსაკუთრებით, რაც საგარეო პოლიტიკას ეხება, ვეთანხმები. შიდაპოლიტიკური პროცესებისადმი კი, ხშირად განსხვავებული აზრი გვაქვს, რასაც ზოგ შემთხვევაში საჯაროდ აღვნიშნავ, ზოგიერთ თემაზე კი პრეზიდენტთან ან ვიწრო წრეში ვსაუბრობ. ბატონ ვიტალი ხაზარაძეს ერთადერთი მიზანი აქვს — დაანახვოს პრეზიდენტს, როგორ იცავს მის ინტერესს და ებრძვის პარლამენტის ურჩ თავმჯდომარეს. დემარში, საბიუჯეტო განხილვის წინ, იყო გაფრთხილება, რომ გონს მოვიდე და „ჭკვიანად“ ვიყო.

— უჩვეულო პროცესებია სახელისუფლო პარტიაშიც. ერთ დროს პრეზიდენტს საკრედენ ძალა დაიქაქა, დასუსტდა. პარტიის ახალი ლიდერის ავთანდილ ჯორბენაძის ძალისხმევა პარტიის აღორძინებისათვის რამდენად ნაყოფიერად გეჩვენებათ?

— არ მგონია პარტიაში ხალხის ძალით გაწევრებამ რაიმე შედეგი გამოიღოს. მოქალაქეთა კავშირის მომავლისადმი სკეპტიკურად ვარ განწყობილი. თუ ასე გაგრძელდა, ამ პარტიას ძალიან გაუჭირდება.

— სოციალური სიდუხჭირით მანიპულირება პოლიტიკურმა პარტიებმა ბოლო დროს მასებზე ზეგავლენის საუკეთესო საშუალებად აქციეს. ხომ არ ფიქრობთ, რომ ეს ამომრჩეველს არასწორი არჩევანსკენ უბიძგებს.

— ეს მართლაც სერიოზული პრობლემაა. ყოველთვის მიყვარდა თბილისის ქუჩებში გასეირნება — ადამიანებს სახე უცინოდათ. დღეს ფეხით სიარული სიამოვნებას აღარ მგვრის, რადგან თანაქალაქელებს დაჩაგრულებს და შეწუხებულებს ვხედავ. ვხედავ ადამიანებს, რომლებიც ყოველდღიურ პრობლემებს გაჭირვებით აგვარებენ. ყოველთვის მიყვარდა თბილისში თოვლი. ახლა კი გული საოცრად დამძიმებული მაქვს. ვგრძნობ, რამდენ პრობლემას უქმნის თოვლი ჩვენს მოსახლეობას. მეც კი, ადამიანს, რომელიც უფრო უზრუნველყოფილი ვარ, ვიდრე ჩვენი მოსახლეობის უმეტესი ნაწილი, ამ სიდუხჭირემ პირველი თოვლის სიხარული ჩამიკლა. არ მინდა, ასე გაგრძელდეს, არ მინდა, ადამიანებს ჩაბნელებულ, გაცივებულ სახლებში სუფრაზე ცარიელი პურის ან მჭადის ნატეხები ეწყოთ...

— შარშან „კვირის პალიტრასთან“ ინტერვიუში დაიჩივლეთ, შინაურებისათვის დრო აღარ მრჩება, შამპუნის ყიდვასაც ველარ ვახერხებო. შეიცვალა რამე?

— ვცდილობ არ მოვწყდე ოჯახურ პრობლემებს, თუმც გარკვეულწილად ჩემიანები უკვე შეეჩვივნენ უჩემობას — 14 საათი, ზოგჯერ მეტიც, გამოსული ვარ შინიდან. ასე რომ, შამპუნის ყიდვას უჩემოდ ახერხებენ.

— ქალბატონო ნინო, ჩვენმა მკითხველმა თავისი პოსტისთვის ყველაზე შესაფერის პიროვნებად თქვენ დაგასახელათ...

— საზოგადოების აზრს ყოველთვის ვუწევდი ანგარიშს. იმ დროს, როდესაც ქართველი პოლიტიკოსები დემარშს აწყობენ პარლამენტში, მკითხველის შეფასება ჩემთვის უდიდესი მხარდაჭერაა და საქმიანობაში მეტ სტიმულს მაძლევს. დიდი მადლობა „კვირის პალიტრას“ და მის მკითხველს.

— საახალწლო სუფრისათვის თუ მოიცლის საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე. თქვენი ნახელავი რა გეკუბებათ?

— ალბათ ნიგვზიანი წითელი ფხალი და ტკბილეული, ძირითადად ნამცხვრები. ვნახოთ, როგორი სამუშაო გრაფიკი მექნება. შესაძლოა ლობიანი და ხაჭაპურიც გამოვაცხო.

— ვიცი, რომ თქვენი შვილები თოვლის ბაბუას საჩუქრებს ნაძვის ხესთან პოულობენ. ხომ არ გაგვანდობთ, ვინ არის თოვლის ბაბუა?

— თოვლის ბაბუა არის თოვლის ბაბუა... ალბათ ამ ინტერვიუს ჩემი შვილებიც წაიკითხავენ და... ჩემს უმცროს ვაჟს სჯერა, რომ თოვლის ბაბუა არსებობს. რატომ არ უნდა სჯეროდეს იმის, რაც ლამაზი, კარგი და სასიამოვნოა?

— ამბობენ ახალი წლის ღამეს ჩაფიქრებული ყველა სურვილი სრულდებაო. რას ინატრებდით?

— იმას, რასაც ნებისმიერი ადამიანი ინატრებს, რომ მისთვის ძვირფასი, საყვარელი ადამიანები, მისი ოჯახის წევრები ჯანმრთელნი და ბედნიერნი იყვნენ, მომავალი წელი სიკეთის და სიხარულის მომტანი იყოს, ვინატრებდი, რომ მომავალი წელი ჩემი ქვეყნისთვის გაერთიანების, სიმშვიდის და სინათლის წელი იყოს.

ჩვენს ხალხს 2003 წლის დადგომას ვულოცავ. ისინი გაცილებით უკეთეს ცხოვრებას, ბევრად უკეთეს ხელისუფლებას და პარლამენტს იმსახურებენ. მინდა ჩემი ქვეყანა იყოს ერთიანი. მინდა, იბადებოდეს უფრო მეტი ბავშვი, იქმნებოდეს მეტი ბედნიერი ოჯახი. თითოეულ თქვენგანს სულის სიმტკიცეს, ჯანმრთელობას, ბედნიერებას და ისეთ საქართველოში ცხოვრებას ვუსურვებდი, რომელზეც თითოეული ჩვენგანი ოცნებობს.

დაჩი გრძელიშვილი
იზო რიკაძე

როგორ ეთუნდა თბილისს...

წლების განმავლობაში ფაფუკ თოვლს მონატრებული დედაქალაქი ბოლო დღეებში დედოფალივით გამოეწყო და თოვლის ფიფქებით მოგვრილმა სიხარულის კიჟინამ ლამის ქუჩები წალეკა... როგორ უხდება თურმე ზამთრის თბილისს თოვლი, „დაღამება აღარ მოგინდება“ — გამუდმებით მესმოდა ქუჩებში და მეც გადავწყვიტე, ყოველგვარი პრობლემა ცოტა ხნით მიგვევიწყებინა და ბუნებისაგან მოძღვნილ სიხარულზე გვესაუბრა, თბილისელები თოვლთან დაკავშირებულ ლამაზ ამბებს იხსენებენ:

ვეტა — ჩვენს ოჯახში დიდი ჟრიამული გამოიწვია თოვლის მოსვლამ. ჩემს ორი წლის ზოზოს დღემდე არ ენახა თოვლი, გადაირია სიხარულისგან. იგივე დაემართა, რაც პირველად ზღვის დანახვაზე. დარბოდა, თოვლში გორაობდა და ყვიროდა — თოვლი პიურესავით ფაფუკი და რბილიაო (პიურე უყვარს ძალიან). თოვლით ზოზოსავით გაიხარა ჩვენმა ნაგაზმა, ისიც ბავშვივით გორაობდა თოვლში ზოზოსთან ერთად. ბოლოს იძულებული გავხდი სახლში ზოზო დამემწყვდია და ეზოში ნაგაზი. მერე ზოზოს ყურები ასტკივდა. მოიწყინა, რომ გამემხიარულებინა, ვუთხარი, თოვლის ბაბუას წერილი მივწეროთ-მეთქი. კარგი, მე გიკარნახებო — დამთანხმდა და დაიწყო — თოვლის ბაბუამ მომიტანოს ურიკა და ცოლი-გოგოო. ურიკა რად გინდა-მეთქი, ცოლი-გოგოს ჩავსვამ და ვასეირნებო.

კახა — თბილისში მოსულმა პირველმა თოვლმა მარტო გოგონებს კი არა ბიჭებსაც შეუქმნა საფრთხე. თოვლით მეომარი ბიჭები ქუჩაში ძლიერი სქესის წარმომადგენლებთან ერთად მიმავალ გოგონებსაც არ ინდობდნენ და მათ „კავალერებსაც“ ცუდ დღეში აგდებდნენ. თუ გაბრაზდებოდი და ჩხუბს მოინდომებდი, აქეთ დაგანამუსებდნენ — კაი რა, ხუმრობა არ იციო? მოკლედ მე გამოსავალი ვნახე. როგორც დაცვის თანამშრომელმა, რაცია ხელში დავიკავე და თოვლიან ქუჩებში ეგრე დავდიოდი. რის გამოც სამსახურიდან თითქმის ყველა თანამშრომელი გოგოს სასურველ ტრანსპორტამდე მიცილება მომიხდა.

ლიკა — ამ თოვლის მოსვლამ სულ გადარია ბიჭები, ნამდვილი ომი მოაწყვეს თბილისში გოგოების წინააღმდეგ. მეტროს ჩასასვლელები ბარიკადებს ჰგავდა, რომლის მისადგომებიდან თოვლის „ბომბებით“ შეიარაღებული „ვაჟკაცები“ თავს გვესხმოდნენ. მე ჩანთა ჩამოვიკიდე დიდი პალტოს შიგნით გულზე, ბიჭებს ჩემს „ღიპზე“ ვუთითებდი, არ მესროლოთ, ფეხმძიმედ ვარ-მეთქი. არ მესროდნენ. სხვები კი გუნდებით ჩათოვლეს.

თაკო — ისე გავგიჟდით თოვლის დანახვაზე, რომ ძალიან ფუმფულა თოვლის ძებნა დავიწყეთ და ასე ავედით მანქანით „ქართვლის დედასთან“, სადაც კინაღამ დავრჩით, ისეთი მოლიპული იყო აღმართი. თოვლმა კი გაგვახარა, მაგრამ ქუჩაში იაპონელებივით მოკლე ნაბიჯებით დავდივართ იმის შიშით, რომ არ დავეცეთ. კარგია, ახალ წელსაც თუ მოთოვს, ძალიან ლამაზი იქნება თბილისი.

ეკა ლომიძე

რას გადაურჩა თბილისი

25 აპრილს, გვიან ღამით თბილისის მიწა სტიქიამ შეარყია, მაგრამ ღმერთმა ბოლომდე არ გაწირა და მიწასთან არ გაასწორა... თუმცა ის ნგრევა, რაც მიწისძვრას მოჰყვა, საკმაოდ მძიმე გამოდგა ისედაც გაღატაკებულ-დაბეჩავებული მოსახლეობისთვის.

თბილისი უნდა აღვადგინოთ! — ეს სიტყვათშეწყობა ფრთიან ფრაზად იქცა, მაგრამ კვლავ იჩინა თავი იმ თვისებამ, რომელსაც სახელს შეგნებულად არ ვარქმევთ — ისედაც ხომ ყველამ იცის...

მას შემდეგ რვა თვე გავიდა, მაგრამ დანგრეული სახლების ბინადარნი დღესაც ქუჩებში დგანან და ელიან... დახმარებას, თანადგომას, მაგრამ ჯერჯერობით მხოლოდ თოვლი მოდის.

გააჩერეთ დედამიწა, მე აქ ჩავდივარ!..

გამოთხოვება კოტე მახარაძესთან

არ ვიცით, ვის როგორ ასოციაციებს აღუძრავდა ბატონი კოტე, მაგრამ ჩვენ იმ მარათონელს გვაგონებდა, თავისიანისთვის ომში გამარჯვების მახარობელი რომ იყო. ასეთი იყო კომენტატორობის, სცენიდან სიტყვის თქმისა თუ ქართული საქმის გულშემატკივრობის დროს.

— ნუ გავიწყდებათ, რომ მე მსახიობი გახლავართ და მაშასადამე, მასხარების მოდგმისა. მასხარებს კი თავიანთი პატრონებისა და ხალხის გაცინების გარდა, ის მისიაც ჰქონდათ, რომ მეფეებსა და იმპერატორებს სიცილ-სიცილით, მწარე სიმართლესაც ეუბნებოდნენ...

ასე გაესაუბრა „კვირის პალიტრის“ მკითხველს კოტე მახარაძე ინტერვიუში, რომელიც სამწუხაროდ, უკანასკნელი გამოდგა. ამ ინტერვიუში სხვაც მრავალი ითქვა დასამახსოვრებელი და ისეთი, კაცს რომ გულზე მოეფონება.

კიდევ ერთხელ გავიხსენოთ მისი ნათქვამი:

— „ერთი მსახიობის თეატრის“ რეპერტუარი ინტელიგენციისთვის არის გათვლილი, რადგან აქ არის პუბლიცისტიკა, ფილოსოფია და ლიტერატურა, მაგრამ იცით, რომ ბილეთის ფული, 3 ლარი არა აქვთ. რა თქმა უნდა, ასეთ ხალხს ვიწვევთ სპექტაკლებზე, ისევე როგორც ინვალიდები შემოგვყავს უბილეთოდ, ბრმებს შინ ვუგზავნით მანქანებს და ისინი ქართულ სიტყვას ისმენენ აქ.

— საქართველოს ხელისუფლება ვერ აკეთებს მომგებიან სვლებს. არ ვტრაბახობ, მაგრამ იმავე რუსეთის ტელევიზიით აფხაზეთის საკითხზეც კოტე მახარაძის გარდა თუ გამოვიდა ვინმე, რათა ყველას დაუმტკიცოს ქართველების სიმართლე? აქ გაიძახიან, საინფორმაციო ომი წავაგეთო, მაგრამ რატომ წავაგეთ?..

— ჩვენი ერის სულიერ და მატერიალურ ცხოვრებაში არაფერს უთამაშია ისეთი დიდი და გადამწყვეტი როლი, როგორიც ქრისტიანობას.

— მე მრცხვენია რუსეთის ინტელიგენციის მაგიერ. ჩვენ უკვე სხვა ქვეყანა ვართ და წარსულს ჩაჰბარდა ის დრო, როდესაც საუთარ ტერიტორიად მიგვიჩნევდნენ. რა, საქართველოს არმიის შექმნის უფლება არ გააჩნია? მხოლოდ სიმღერა შეგვიძლია და სროლა არა? მოიფიქრეს, თითქოს საქართველო ტერორისტებს უშვებს და კინაღამ ბინ ლადენი აღმოგვიჩინეს. მე თუ ტერორისტს ვუშვებ, შენ დააკავე!

— ერთხელ ლევ ტოლსტოის ცოლს ჰკითხეს, — რატომ არ ჰყავს რუსეთს ტოლსტოის მსგავსი გენიოსიო და უპასუხა, — ბუნება ისვენებსო! ჩვენ ყველა სფეროში და მათ შორის ფეხბურთშიც, ძალიან გაგვიგრძელდა „დასვენება“, მაგრამ მალე მოვა დრო, როცა ქართული გენი და ბუნებაც მსოფლიო მასშტაბის ვარსკვლავებს გამოყრის ასპარეზზე, ისევე, როგორც ეს ადრეც ყოფილა!

ასე იმედიანი გახლდათ ბატონი კოტე სიცოცხლის ბოლო პერიოდში...

თავის თავს ორი ბატონის მსახურს უწოდებდა. მთავარი ბატონი მისთვის თეატრი იყო, არანაკლებ მთავარი — ქართული ფეხბურთი!

ისევ გვახსოვს კოტე მახარაძის ურიელ აკოსტა, კვაჭი კვაჭანტირაძე, დონ სეზარი, კარენინი თუ საღიერი... ისევ გვახსოვს თითქოს გუშინ მოსმენილი საავტორო სპექტაკლები, რომლებზეც ხან აკაკის სიტყვებით („თავო ჩემო, ბედი არ გიწერია“) გვახსენებდა მსახიობი ჩვენს ბუდუკულმართობას, ხან კიდევ მისი შეძახილი გვაფხიზლებდა თითქოს: „გააჩერეთ დედამიწა, მე აქ ჩავდივარ!“

ჩავიდა ბატონი კოტე დედამიწიდან და დედამიწა ალბათ არ გაჩერდა, მაგრამ ყველა ჩვენგანის გულში კი ნამდვილად გაჩერდა ის ერთი წამი, როცა საქართველომ თავისი ბატონი კოტეს ამ ქვეყნიდან გასვლა შეიტყო.

თბილისი და საქართველო ეთხოვება დიდ მსახიობსა და დიდ კომენტატორს და მადლობას მოახსენებს დიდი მოქალაქეობრივი წვლილისთვის.

„კვირის პალიტრა“

კეთილმოწყობის სამსახურებს მარილზე გაუშვებენ...

ბებიაჩემის პროგნოზით, თოვა კიდევ კარგა ხანს გაგრძელდება

პირველი იაღლიში, რომელიც ქალაქის ახალდანიშნულ და არჩეულ მთავრობას და საკრებულოს მოუვიდა, ეს არც პრეზიდენტისაგან მოდიოდა, არც სხვა ოპოზიციური ძალებისაგან. თბილისის ახალ მთავრობას ოპოზიციაში ბუნება ჩაუდგა (თითქოს „კეთილმსურველები“ აკლდეთ). 18-19 დეკემბერს, საღამოს, თბილისში ნამდვილი ზამთარი დაიწყო. ქალაქის შესაბამისი სამსახურები მოსულ თოვლს

ყაზბეგის პროსპექტს მარილისა და ქვიშის მოყრის კვალი არ ატყვია, ალბათ გამორჩათ.

მოუმზადებელი შეხვდნენ. მართალია, თოვლმა პატარების გული გაახარა, სამაგიეროდ, ქალაქის რაიონების საგზაო სამსახურების ხელმძღვანელებს წაუხდინა გუნება. ელექტროენერგიისა და ბუნებრივი აირის გარეშე დარჩენილ, გაყინულ თბილისელებს განგება თითქმის ათი წლის მანძილზე წყალობდა და თბილ ზამთარს ჩუქნიდა, მაგრამ წელს უზენაესს მოთმინების ფიალა აევსო და ხალხს შეახსენა, რომ ზამთარში, წესით, თოვლი და ყინვა უნდა იყოს. ერთი სიტყვით, თოვლიც მოვიდა, რომელსაც ყინვაც მოჰყვა...

იმ საღამოს, სპორტის სასახლეში, კონცერტიდან გამოსულმა თოვლით გახარებულმა ახალგაზრდობამ გუნდაობა გააჩაღა, მაგრამ ცოტა ხანში თოვლსა და ყინვას გადაჩვეულ თბილისელებს გუნება გაუფუჭდათ. ხალხი მოყინულ ქუჩებში პანტაპუნტით ცვიოდა, ზოგიერთს სასწრაფო სამედიცინო დახმარებაც კი დასჭირდა, — გაცილებით უარეს დღეში ავტომობილების მძღოლები იყვნენ — მანქანებით ფიგურული სრიალის ძნელად შესასრულებელ ილეთებს სთავაზობდნენ გამვლელ-გამომვლელს და მათი გაჩერება ბორდიურებითაც და გარეგანათების ბოძებითაც კი ჭირდა. ორ დღეში რესპუბლიკაში 34 ავტოსაგზაო შემთხვევა დაფიქსირდა. გარდაიცვალა 12 კაცი, დაშავდა 31 მგზავრი, — გვაცნობეს რესპუბლიკის საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოდან. რაც შეეხება ფეხით მოსიარულეებს, თბილისის საავადმყოფოებში 100 ადამიანზე მეტი მიიყვანეს კიდურების მოტეხილობის დიაგნოზით. სამწუხაროდ, რამდენიმეს მძიმე დაზიანება აქვს. როგორც შევიტყვეთ, არაოფიციალური ინფორმაციით, ავტოსაგზაო შემთხვევები გაცილებით მეტია.

სანამ ქალაქის რაიონების დასუფთავების სამსახურები ცენტრალურ მაგისტრალებზე მაინც, მარილისა და ქვიშის მოყრას დაიწყებდნენ (ქვიშასთან შერეულ ტექნიკურ მარილს დათოვლილ და გაყინულ გზებზე ყრიან. მარილი ადნობს თოვლს, ხოლო ქვიშა გზის საფარზე მოჭიდებას აძლიერებს), კითხვით მივმართეთ მე-რიის კეთილმო-წყობის სამსახურის მთავარ ინჟინერს **მერაბ შავლაძეს**: — თბილისის კეთილმოწყობის სამსახური მხოლოდ და მხოლოდ ცენტრალურ მაგისტრალებს ემსახურება. ესენია: მტკვრის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროები, აეროპორტის ტრასა, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მუხათგვერდის სასაფლაოსთან მისასვლელი გზა, წყნეთის, კოჯრის, თიანეთის მიმართულებები. დანარჩენი გზების მოვლა-პატრონობა თბილისის რაიონების საგზაო სამმართველოების საქმეა. ცნობისათვის: თბილისში 2800 ქუჩაა, რომელთა საერთო სიგრძე 1500 კილომეტრს აღემატება. ყველა ქუჩაზე მარილის მოყრას რამდენი მარილი ან რა მუშახელი ეყოფოდა? ერთი ვაგონი 60 ტონა ტექნიკური მარილი 20 ათასი ლარი ჯდება თავისი შემოტანითა და განბაჟებით. მხოლოდ წყნეთის გზას დღეში 10-15 ტონა მარილის მოყრა სჭირდება. რაც შეეხება მარილს და ქვიშას, ჯერჯერობით საკმარისად გვაქვს.

— თვითონ ვნახე, ბევრი ცენტრალური მაგისტრალი დღესაც გაუწმენდავია. გარეუბნებზე აღარაფერს ვამბობ.

— შეიძლება ქალაქის რაიონების შესაბამის სამსახურებს მართლაც გამორჩათ ზოგიერთი ქუჩა, მერწმუნეთ, უახლოეს ხანში იქაც მოაყრიან მარილს. ზამთარში თოვლის მოსვლა არ გვინდა, წვიმა მოვა და ვბუზღუნებთ. ხალხი გაზარმაცდა, საკუთარი ეზოები მაინც გაწმინდონ. იქაც ჩვენ ხომ არ დავუყრით მარილს? ყველამ კეთილი ინებოს და თავისი საცხოვრებელი სახლის მიმდებარე ტერიტორია დაასუფთაოს. არც მაღაზიები იკლავენ თავს, სწორედ მოყინულ ტროტუარებზე იღებდა ხალხი ტრავმას. მხოლოდ მეეზოვე ამ საქმეს ვერ გასწვდება, ხალხმაც უნდა გამოიღოს ხელი.

მოყინულ ტროტუარზე ხალხი პანტაპუნტით ეცემა.

— თვითონ ვნახე, ბევრი ცენტრალური მაგისტრალი დღესაც გაუწმენდავია. გარეუბნებზე აღარაფერს ვამბობ.

— შეიძლება ქალაქის რაიონების შესაბამის სამსახურებს მართლაც გამორჩათ ზოგიერთი ქუჩა, მერწმუნეთ, უახლოეს ხანში იქაც მოაყრიან მარილს. ზამთარში თოვლის მოსვლა არ გვინდა, წვიმა მოვა და ვბუზღუნებთ. ხალხი გაზარმაცდა, საკუთარი ეზოები მაინც გაწმინდონ. იქაც ჩვენ ხომ არ დავუყრით მარილს? ყველამ კეთილი ინებოს და თავისი საცხოვრებელი სახლის მიმდებარე ტერიტორია დაასუფთაოს. არც მაღაზიები იკლავენ თავს, სწორედ მოყინულ ტროტუარებზე იღებდა ხალხი ტრავმას. მხოლოდ მეეზოვე ამ საქმეს ვერ გასწვდება, ხალხმაც უნდა გამოიღოს ხელი.

**— ეს ეხება ავტომობილებს, ეს ეხება ავტომობილებს. ეს ეხება ავტომობილებს. ეს ეხება ავტომობილებს.

მზეს ველოდებით!!!

წლის გახმაურებული მკვლელობები, შემთხვევები და ვერსიები...

მაფიის თათი ხელშეუხებელია...

2002 წლის დასაწყისში, 22 იანვარს, დუდუ დადიანი მოკლეს. თითქმის ერთი წელი გავიდა, მაგრამ გამოძიებას დღემდე ამ მკვლელობაზე არაფერი აქვს სათქმელი. უფრო მეტიც, ქალაქის პროკურატურამ მკვლელობიდან ხუთი



დუდუ დადიანის მკვლელობა ალარ გაიხსნება?!

თვის თავზე ძიება შეწყვიტა და საქმე თაროზე შემოდო. არადა, როგორც ჩვენთვის ცნობილია, გამოძიებაში სამი სერიოზული ვერსია ტივტივებდა და საქმის გახსნით მონდომებულ კაცს მკვლელობის გახსნა არ უნდა გასჭირვებოდა. ფაქტია, რომ დუდუ დადიანი გარკვეულ წრეში გავლენიანი პიროვნება იყო და ასეთივე კატეგორიის ხალხთან უნდებოდა ურთიერთობაც და შესაძლოა, კონფლიქტებიც. შესაბამისად, მისი მკვლელობაც ისეთი ადამიანის მიერ უნდა იყოს ჩადენილი, რომლის გამომზეურებაც პროკურატურას არ და ვერ ძალუძს.

გამოძიებამ მკვლელობის შემდეგ დუდუ დადიანის წარსულის ამოქექვა დაიწყო. მით უფრო, რომ მას 1997 წელს სერიოზული კონფლიქტი მოუვიდა შავი სამყაროს ერთ-ერთ ავტორიტეტთან. ვერსიის თანახმად, „ავტორიტეტმა“ დადიანს დედა შეაგინა. ერთი წლის შემდეგ ხსენებული „ავტორიტეტი“ გლუვლულიანი იარაღით მოკლეს. სხვათა შორის, ეს საქმე დღემდე გაუხსნელია. ამბობენ, რომ დუდუ დადიანმა მას დედის შეგინება არ აპატია და ამის გამო, საზღვარგარეთაც კი იყო გაქცეული. თუმცა ამ მკვლელობის ირგვლივ ოფიციალური სამხილი არ არსებობდა. სამართალდამცველები არ გამორიცხავდნენ, რომ დადიანის მკვლელობა შესაძლოა, შურისძიების მოტივით „ავტორიტეტის“ მეგობრებს ჩაედინათ, თუმცა ვერაფერს მიაკვლიეს და ეს ვერსიაც გამორიცხეს.

მეორე მხრივ, განიხილებოდა მკვლელობის ის ვერსია, რომელიც დადიანის ბიზნესს უკავშირდებოდა. საქმე ეხებოდა დუდუ დადიანის წილს კაზინო „აჭარაში“, რომელიც შეიძლებოდა, დავის საგანი გამხდარიყო, მაგრამ ძიებისას გაირკვა, რომ დადიანს კაზინო „აჭარაში“ წილი არ ჰქონია. გამოძიებამ ასევე დაადგინა, რომ დადიანი აღნიშნულ კაზინოში ხშირად კი დადიოდა, მაგრამ კონფლიქტი არავისთან მოსვლია.

ერთ-ერთ ძირითად ვერსიად ასევე განიხილებოდა ქალის გამო შურისძიება. მით უფრო, რომ ძიების მასალებში ჩნდება დუდუს დის, მაკა დადიანის ჩვენება, რომლის თანახმად, 2001 წლის ოქტომბერში დუდუ დადიანი ხუთი დღის მანძილზე სახლიდან არ გასულა. ამის

კახი ასათიანის მკვლელობის გარშემო გამოძიება დუმს.

მიზეზად დუდუ დადიანს დაუსახელებია ერთი ელიტარი ქალბატონის სიტყვები, რომ დუდუზე მისი ქმარი „ნადირობდა“ (ქმრის გვარს შეგნებულად არ ვასახელებთ). გამოძიების მიხედვით იკვეთება მისი ახლო ნაცნობობა მოსკოვში მცხოვრებ ქართველ კანონიერ ქურდებთან.

რამდენიმე ხნის წინ, როდესაც აღნიშნულ საქმეზე ქალაქის პროკურატურის საგამოძიებო სამსახურის უფროსს, ლორდი ლებანიძეს გავესაუბრეთ, მას არც ერთი ზემოხსენებული ვერსია არ უარუყვია, თუმცა დასძინა, მკვლელობის გახსნა მხოლოდ იმიტომ ვერ მოხერხდა, რომ საკმარისი მტკიცებულებები არ არსებობდაო.

...ამ მკვლელობიდან თითქმის ერთი წლის თავზე კახი ასათიანს ჩაცხრილავენ მანქანაში. მისი მეუღლე ლუიზა ასათიანი „კვირის პალიტრასთან“ საუბარში განაცხადებს, რომ ეს მკვლელობა მაფიის ნახელავია და მის გახსნას ქართველი სამართალდამცველები ვერ შეძლებენ.

მკვლელობის ვერსია აქაც რამდენიმეა. საქმეში, ძირითადად, ავიაკომპანია „აირზენა“ დომინირებს, რომლის ვიცე-პრეზიდენტი კახი ასათიანი გახლდათ. სხვათა შორის, ერთი წლის წინ „აირზენას“ პრეზიდენტის, თამაზ გაიაშვილის დისშვილი, დავით ბახტაძე მოკლეს გაიაშვილის მანქანასთან. როგორც ამბობენ, მაშინ ბახტაძე გაიაშვილში შეეშალათ. დღემდე ეს მკვლელობაც გაუხსნელია. თავად თამაზ გაიაშვილმა კი ჩვენთან საუბრისას განაცხადა: „ჩემი დისშვილის მვლელობაზე რაიმე რომ დადგენილიყო, კახის მოკვლას ვეღარ გაბედავდნენ“. თავის მხრივ, სკანდალურ განცხადებას აკეთებს რუსეთში მოკალათებული ყოფილი თავდაცვის მინისტრი თენგიზ კიტოვანი. მისი თქმით, მკვლელობა პატარკაციშვილისა და ჩხარტიშვილის დაკვეთით მოხდა და იგი ჩეჩნების ხელით განხორციელდა. სხვათა შორის, ამის შესახებ მან მოსკოვში პრესკონფერენცია გამართა, ელენე თევდორაძესაც დაურეკა და დოკუმენტების გადაცემასაც კი დაჰპირდა. თვითონ თევდორაძე კიტოვანის ამ განცხადებას ეჭვის თვალით უყურებს და სანაიას მკვლელობასთან დაკავშირებული სკანდალური კასეტის არ იყოს, დოკუმენტებს ელოდება.

ნუგზარ საჯაიას თვითმკვლელობამდე „ვერტუშკაზე“ დაურეკეს...

თვითმკვლელობები თუ მაფიის განაჩენი?!

2002 წელი საქართველოს ისტორიაში ხელისუფლების კრიზისის თვალსაჩინო გამოხატულებაა. ეს არის წელი, როდესაც ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლების მნიშვნელოვანმა ფიგურამ, უშიშროების საბჭოს მდივანმა — ნუგზარ საჯაიამ თავი მოიკლა. მართალია, გენერალურმა პროკურატურამ „თვითმკვლელობამდე მიყვანის“ მუხლით აღძრა სისხლის სამართლის საქმე, მაგრამ ფაქტია, ამ თვითმკვლელობის მოტივს ნათელი არასოდეს მოეფინება. თუმცა საზოგადოებაში აზრი დღემდე ორად არის გაყოფილი: მოკლეს თუ თავი მოიკლა? ის ვერსია, რომ უშიშროების საბჭოს მდივანს თუნდაც კაკუბავას და კიტოვანის განცხადებების გამო მოეკლა თავი, თავიდანვე არადამაჯერებლად გამოიყურებოდა. მით უფრო, რომ იმ პერიოდში გავრცელებული ერთ-ერთი კულუარული ინფორმაციით, საჯაიას კაბინეტში თვითმკვლელობამდე ტელეფონზე, ე.წ. „ვერტუშკაზე“ დაურეკეს. საუბრის შემდეგ საჯაია მოსასვენებელ ოთახში გავიდა და თავი მოიკლა. თუ ეს კულუარული ინფორმაცია სიმართლეს შეესაბამება, მაშინ აშკარაა, რომ იგი დიდ პოლიტიკურ თამაშს გადაჰყვა და საკუთარი ოჯახის უსაფრთხოების დასაცავად თავი გაწირა. ლაპარაკია იმაზეც, რომ პრეზიდენტსა და მას შორის ბოლო ხანს კანცელარიის ინტრიგებისა და ენატანიობის გამო ურთიერთობა გაცივებული იყო. ცხადია, ამის მიზეზი ისევ და ისევ ზოგიერთი პიროვნების მიერ პრეზიდენტის „ნდობის მანდატის“ მოპოვების სურვილში უნდა ვეძიოთ. მეორე მხრივ, ითქვა ისიც, რომ საჯაიას ჩამოცილებით შევარდნაძის შესასუსტებლად ისევ და ისევ პრორუსული ძალა იყო დაინტერესებული.

თვითმკვლელობითვე ასრულებს სიცოცხლეს საგადასახადო შემოსავლების ყოფილი მინისტრის მოადგილე დავით მეგრელიძე. ერთ-ერთი ვერსიით, მან იარაღი — ე.წ. „გენერალსკი“, რომელსაც მანამდე სამსახურის სეიფში ინახავდა, წინა საღამოს მიიტანა შინ. სამართალდამცველები მის ბინასა თუ სამსახურში ეძებდნენ პირად წერილს, ჩანაწერებს, სადაც მისი ტრაგიკული გადაწყვეტილების მიზეზი იქნებოდა დაფიქსირებული, თუმცა ამგვარ წერილს ვერსად მიაკვლიეს. ისე კი მისი მეგობრები არ გამორიცხავდნენ, რომ შესაძლოა მეგრელიძე იმ მომენტში იარაღს ათამაშებდა და გასროლა გაუფრთხილებლობით მოხდა. იმავდროულად, იმ პერიოდში პრესაში არაერთხელ გამოქვეყნდა, რომ მას შემდეგ, რაც მირიან გოგიაშვილი ფინანსთა მინისტრად დაინიშნა, იგი ხშირად ურეკავდა გოგიაშვილს და შეხვედრას სთხოვდა. თუმცა მოუცლელობის მოტივით გოგიაშვილი მას არ შეხვედრია. ამ პერიოდს უკავშირდება ერთი სკანდალური ვერსიაც, რომლის გადამოწმება გასაგები მიზეზების გამო ვერ მოხერხდა. საქმე ეხებოდა რამდენიმე ბანკიდან საბიუჯეტო გეგმის შესრულების მიზნით მილიონობით სესხის გამო-

დავით მეგრელიძემ საკუთარ სახლში მოიკლა თავი.

ტანას. როგორც ამბობენ, ბანკებთან ხელშეკრულებებზე ხელი ჰქონდა მოწერილი მეგრელიძეს, არ არის გამორიცხული, სიტყვიერი გარიგებაც ყოფილიყო. თანხა კი, შესაბამისად, დავალიანების მქონე ორგანიზაციებიდან და საწარმოებიდან უნდა დაბრუნებულიყო. რა თქმა უნდა, ბანკში ვალები არ დაბრუნდა. ბიუჯეტიც ჩავარდა და ახალდანიშნული ფინანსთა მინისტრისთვის ყველაფერი ცნობილი გახდა. წყალი უკვე ამღვრეული იყო, ძნელაძე შემოსავლების მინისტრის პოსტიდან გაათავისუფლეს. ამ ვერსიიდან გამომდინარე, მეგრელიძე მარტო აღმოჩნდა. თუმცა თავის დროზე, როდესაც მირიან გოგიაშვილს მომხდარის შესახებ გავესაუბრეთ, მან კატეგორიულად უარყო ეს ვერსია, მაგრამ დაადასტურა, რომ მეგრელიძე მასთან შეხვედრას მართლაც ითხოვდა, მაგრამ იგი უბრალოდ, მოუცლელობის გამო ვერ შეხვდა. გოგიაშვილმა გაიხსენა ბოლო მესიჯიც, რომელიც მეგრელიძემ ხუმრობით გაუგზავნა: „გრიპი მაქვს, ამ მესიჯს რომ მიიღებ, გადაგედება...“

სამსახურებრივ ტრაგედიას უკავშირდება აგვისტოს თვეში „თელასის“ მენეჯერის, ნიკა ლომინაძის მკვლელობაც. ირკვევა, რომ გიორგი სანაიას მკვლელობის მსგავსად, ისიც რეგისტრირებული იარაღით მოკლეს და, შესაბამისად, „ომეგას“ პრეზიდენტის ზაზა ოქუაშვილის მამის დაცვის წევრს დათო მჭედლიძეს დააპატიმრებენ. იგი დღემდე არ აღიარებს მკვლელობას და გადაჭრით აცხადებს, რომ მას ნიკა ლომინაძე არ მოუკლავს. პარალელურად მოწმდება „თელასის“ ფინანსური დოკუმენტაცია და დღემდე გამოძიებას საბოლოო სიტყვა არ უთქვამს. სამაგიეროდ, გარდაცვლილის მამა დარწმუნებულია, რომ მისი შვილი სამსახურს შეეწირა.

პანკისი უკვე მთელი საქართველოა?

იყო დრო, როცა პანკისზე თვით ამერიკაც ალაპარაკდა და ამ პრობლემის მოგვარება სავაჭრო თემად იქცა. შეიძლება ითქვას, ამერიკის ინტერესმა საქართველოს მიმართ ისე გააბოროტა რუსეთი, რომ პანკისის კი არა, უკვე თბილისის დაბომბვითაც კი იმუქრებოდა. ისე კი პანკისური „კრაზანების ბუდე“, რომელიც თავის დროზე პოლიციის თუ უშიშროების ზოგიერთი მაღალჩინოსნის კერძო ბიზნესის წყაროდ იქცა, უკვე თვით ხელისუფლებისთვის გახდა მოსაბეზრებელი. ხუმრობა ხომ არ არის, ჯერ იყო და წითელი ჯვრის თანამშრომლები გაიტაცეს, შემდეგ ცნობილი ფეხბურთელის, კალაძის ძმა, რომელიც საერთაშორისო განსჯის საგანი გახდა, მერე დეპუტატი ცისკარიშვილი, და აი, პიტერ შოუს გატაცებამ ხომ საბოლოოდ დაგვასხა თავზე ლაფი და თბილისი განგსტერების ქალაქადაც კი გამოაცხადეს. აღარაფერს ვამბობთ, ბერ მაჩიტაძეზე, თამუნა გოგინაშვილზე და ბევრ სხვაზე. ფაქტია, რომ არც კალაძე, არც ბერი მაჩიტაძე, არც თამუნა გოგინაშვილი დღემდე არ გაუთავისუფლებიათ და შს მინისტრის, კობა ნარჩემაშვილის დაპირებაც, რომ მძევლებს უახლოეს დღეებში გაათავისუფლებს, დაპირებად რჩება. თუ გავითვალისწინებთ წარსულის მწარე გამოცდილებას, როდესაც გაათავისუფლეს იმავე წითელი ჯვრის თანამშრომლები, იგივე ესპანელი თუ არაბი ბიზნესმენები და ამას პიტერ შოუს გათავისუფლებაც მოჰყვა, ბუნებრივად იბადება კითხვა: რატომაა, რომ სახელდობრ უცხოელებს ათავისუფლებენ ჩვენი ძალოვნები და არა ქართველებს? მართალია, ამას კობა ნარჩემაშვილი სრულ შემთხვევითობას უწოდებს, მაგრამ მის დაპირებებს თანდათან შაურის ფასი რომ ედება, ფაქტია. სულ ახლახან, „ლუკოილის“ ვიცე-პრეზიდენტის მამის, სადი შარიფოვის გატაცების დღეს, ჟურნალისტებთან შეხვედრისას, შს მინისტრმა განაცხადა, რომ მძევალს რამდენიმე საათში გაათავისუფლებდნენ. არადა, საცოდავი 79 წლის მოხუცი რამდენიმე დღის შემდეგ მკვდარი იპოვეს. რა მნიშვნელობა აქვს, მოხუცი გულის შეტევით გარდაიცვალა თუ იარაღის სროლის შედეგად. აქ მთავარი ის არის: შარიფოვს დაემართებოდა სასიკვდილო გულის შეტევა, რომ არ გაეტაცებინათ?!

ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ მთელ საქართველოს სარეველა ბალახივით მოედო ადამიანთა გატაცებები. იქმნება შთაბეჭდილება, რომ პანკისი უკვე მთელი საქართველოა. ამის მთავარი და სავალალო მიზეზი კი ის არის, რომ ჩვენს სამართალდამცველებს არც ერთი გამტაცებელი არ დაუსჯიათ, რაც საბოლოოდ ამყარებს აზრს, რომ თითოეული გატაცება თვითონ სამართალდამცველებისგან იგეგმება.

ყველა გაგიჟდა?!

მთელი საქართველო შეძრა ნაგავსაყრელზე გადაგდებული ბავშვის ისტორიამ, რომელსაც ღორებმა ხელზე მეოთხე და მეხუთე თითები მოაჭამეს. ნაპოვნი ბავშვის მდგომარეობა კი ბოლო ინფორმაციით, სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე დგას. მას ჩირქოვანი მენინგიტი განუვითარდა და ექიმების თქმით, გადარჩენის შანსი მხოლოდ 0,5-1%-ია. ბავშვის დედა ლელა კურდღელია სასამართლომ პირობითი ხელწერილით გაათავისუფლა, თუმცა გამოძიებას მისთვის საკმაოდ მძიმე ბრალდება — „არასრულწლოვანისა და უმწეო მდგომარეობაში მყოფის განზრახ მკვლელობის“ მუხლი აქვს წაყენებული, რაც სამუდამო პატიმრობას ითვალისწინებს. დღეს კურდღელიას ოჯახი იმით იმართლებს თავს, რომ ახალდაბადებული მკვდარი ეგონათ. თუმცა ისიც ფაქტია, რომ ნორმალური ადამიანები გარდაცვლილ ოჯახის წევრებს ნაგავსაყრელზე არ ყრიან და წესისამებრ ასაფლავებენ. ამ შემთხვევაში კი მკვლელობა თავიდანვე რომ იყო ჩაფიქრებული, თუნდაც ისიც ადასტურებს, რომ გამოძიების თქმით, ქალმა უნიტაზზე იმშობიარა. მეტიც, თურმე ყველაფერი ეს უმტკივნეულო რომ ყოფილიყო, კურდღელიას მეგობარმა, ნინო ბასარიამ ის ნემსი გაუკეთა, რომელსაც ძროხებს უკეთებენ მშობიარობისას(!). არადა, თქვენ წარმოიდგინეთ, ეს ერთეული შემთხვევა არ აღმოჩნდა. ერთი კვირის წინ ქარელში 22 წლის იამზე ბესტაევა დააკავეს, რომელმაც თავისი ახალშობილი ბავშვი მდინარეში გადააგდო. ადგილობრივმა მცხოვრებლებმა ახალშობილის გვამი მდინარე ძამას ერთ-ერთ შენაკადში იპოვეს. სავარაუდოდ, ბავშვი წყალში მშობიარობიდან რამდენიმე საათში ჩააგდეს, რაც მისი დაღუპვის მიზეზი გახდა. იამზე ბესტაევა აღიარებს, რომ ახალშობილი თვითონ გადაგდო, თუმცა აცხადებს, რომ ბავშვი მკვდარი დაიბადა.

ლელა კურდღელიამ საკუთარი შვილი სასიკვდილოდ გაიმეტა.

„კვირის პალიტრის“ ჟურნალისტი დანით დაჭრეს...

თითქმის ერთი თვე იწურება და ჩვენს სამართალდამცველებს პასუხი დამნაშავისთვის არ მოუკითხავთ. არადა, ვაჟა გავაშელს გამოქვეყნებული პუბლიკაციის გამო მიაყენეს ორი ჭრილობა — კისრისა და მუცლის არეში. საბედნიეროდ, ჭრილობები მძიმე არ აღმოჩნდა, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ კისრის არეში მიყენებული ჭრილობა საძილე არტერიას ბეწვზე ასცდა. ამაში თვით ჟურნალისტსაც მიუძღვის წვლილი, რომელმაც რედაქციაში მომხდურის მოგერიება შეძლო. თითქოს გაურკვეველიც არაფერია, მაგრამ დღემდე გამოძიებას არ დაუკითხავს დამნაშავე და, შესაბამისად, არც ბრალი წარუდგენია. ერთადერთი, რაც ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურატურამ გააკეთა, ის არის, რომ საქმე ბოროტი ხულიგნობის ფაქტზე აღიძრა. საქმე ახლა ვაკე-საბურთალოს საგამოძიებო სამსახურს გადაეგზავნა და ამჟამად, განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა უფროსი გამომძიებელი ვაჟა არობელიძე იძიებს, რომელიც ძიების თავიდან დაწყებას აპირებს. მისი თქმით, დაკითხვები ცუდად არის ჩატარებული(!) და მან ჟურნალისტი ხელახლა უნდა დაჰკითხოს. ჩვენი მხრივ კი დავძენთ, რომ მოუთმენლად ველოდებით საქმის ობიექტურ გამოძიებას.

ისევ ბნელეთში ვართ...

აი, ასეთი უღიმღამო, არაფრით გამორჩეული იყო ცხენის წელი საქართველოს ცხოვრებაში. ისევ სისხლიანი გარჩევები, ისევ ქურდული მენტალიტეტი, ისევ გაღატაკებული მოსახლეობა, კორუფცია და ისევ ბნელეთი ყველგან და ყველაფერში. ყველაზე გულდასაწყვეტი კი ის არის, რომ თანდათან ვემსგავსებით XX საუკუნის აღმოსავლეთის ქვეყნებს, სადაც ცხოვრობენ ძალიან მდიდრები და ძალიან ღარიბები. ამ ჯადოსნური წრედის გარღვევა თითქმის შეუძლებელი ხდება და ისღა დაგვრჩენია, მთელი ძალით ვიყვიროთ: მზეს ველოდებით!!!

მარინა მამისაშვილი

უფრო შთამბეჭდავად წასვლა ალბათ შეუძლებელია

მიწა დავიბრუნეთ, ჭერი გადავხურეთ, დაცვა დავაყენეთ, გავანათეთ და გავათბეთ...

ვითარებას საქართველოში მარტივად შეიძლება ეწოდოს ტრაგიკომიკური, ან თითქმის ტრაგიკომიკური. ყოველ შემთხვევაში, ჩვენი გადასახედიდან უკეთესი სურათის დანახვა შეუძლებელია. თუმცა, ათვლის წერტილის არ იყოს, ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ საიდან გადმოსცქერი ქვეყანას. როგორ ფიქრობთ, მაინც როგორია ქვეყნის პირველი სავარძლიდან დანახული საქართველო?

კითხვა რიტორიკული გამოგვივიდა, რადგან ამაზე პასუხის გაცემა მხოლოდ მას შეუძლია, ვინც ამ სავარძელში ზის, ამ ადგილიდან კი ძირითადად „მორიგე“ პასუხებს იძლევიან. ისლა დავრჩენია, ვივარაუდოთ. თანაც, რა ჩანს ერთია და რას ხედავ ან რას მისჩერებიხარ, მეორე. მაინც, რას მისჩერებია შევარდნაძე და რატომ?

პირველი, რაც შეიძლება ითქვას, ისაა, რომ მისი მზერა, უფრო სწორად წარმოსახვა, იმას აკვირდება, რაც ჩვენმა თვალებმა ორი-სამი წლის შემდეგ უნდა დაინახონ. მეტად საინტერესო და ფერისცვალებებით აღსავსე პოლიტიკური ასპარეზი შესაბამის ფინალს საჭიროებს და სწორედ ეს ბოლო აკორდია ხოლმე ისტორიისთვის მთავარი. შესაბამისად, ქვეყნის უმაღლესი ხელმძღვანელი პირიც სწორედ ამ აკორდების, საკუთარი კარიერის შეძლებისდაგვარად ეფექტური ფინალის ძიებაში უნდა იყოს. ახლა მისი ამოცანა ისაა, შთამბეჭდავად წასვლისა თუ ერისკაცის სახელის მოპოვების სურვილი რეალობას შეუსაბამოს.

ერთი შეხედვით, თითქოს წარმოუდგენელია, რომ ჩვენს დღეში მყოფი ქვეყნის თავკაცს ამის შესაძლებლობა მართლაც ჰქონდეს, მაგრამ ერთი შეხედვა მხოლოდ მცდარი დასკვნის გასაკეთებლადაა საკმარისი. ჰოდა, თუ მეორედ, თანაც დაკვირვებით ჩავუფიქრდებით ამ საკითხს, იქნებ არც ისე უიმედოდ მოგვეჩვენოს ჩვენი პრეზიდენტის მდგომარეობა. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რამდენად „სწორად“ ჩამოვა ფსონს შევარდნაძე, თანაც, როგორც ჩანს, ასეთი არჩევანი მან უკვე გააკეთა. აქ ორი კურდღლის დევნაზე არაა საუბარი, აქ ერთი ისეთი გასროლაა საჭირო, ერთდროულად ბევრს რომ მოინადირებს.

როცა საუბარი დაკარგულ ტერიტორიებს ეხება, ყველა სატკივარი, მათ შორის სოციალური პრობლემებიც, უკან იხევს. ეს ყველაზე დიდი იარაა. თანაც, მისი მოშუშების იმედს ნიჰილზმი ცვლის, თუმცა ჯერ კიდევ ცოცხლობს მოვლენათა სასწაულებრივი განვითარების იმედი. პოლიტიკა იმ სასწაულებს, ჩვენ რომ ვნატრობთ, არ გვთავაზობს, მაგრამ მას თავისი სიურპრიზები აქვს შემონახული.

ბოლო პერიოდში ბევრს საუბრობენ ბოდენის დოკუმენტზე, რომელსაც საქართველოში ძირითადად უხარისხო ქსეროასლებით გაეცნენ. ეს აფხაზეთის დაბრუნების ახალი რეცეპტია. სიტყვა დაბრუნება ამ შემთხვევაში შეიძლება პირობით მნიშვნელობასაც იძენდეს, მაგრამ არც ჩვენ გვაქვს ასარჩევად საქმე. ასეთ მდგომარეობაში ხავსზეც ღირს ჩაჭიდება, თანაც, ვინ იცის, იქნებ თანდათან ამ „ხავსმაც“ გაიდგას ფესვი, ანუ ფორმალური ერთიანობა წლების განმავლობაში რეალურადაც იქცეს.

და კიდევ, მიუხედავად იმისა, თუ ვისი სახელი ერქმევა მსგავს დოკუმენტებს, თითოეული მათგანი ითვალისწინებს დევნილთა უპირობო დაბრუნებას თავიანთ სახლებში. ხალხი ბევრი თუ ცოტა ყოყმანის შემდეგ ნამდვილად დასძლევს შიშს და შინ დაბრუნდება. ეს ფაქტი კი სულ სხვაგვარად იქნება აღქმული, ვიდრე სიტყვით გამოცხადებული გამთლიანება. აი, ეს ნამდვილად შესძენს ქვეყნის პრეზიდენტს მნიშვნელოვან ქულებს, იმდენად მნიშვნელოვანს, რომ შეიძლება მისი აქტიურად მთათხავნიც კი მიტევების გუნებაზე დადგნენ. ჩვენც, სხვათა შორის...

დიდმა პოლიტიკამ ფერი იცვალა. საერთაშორისო ვითარება, შეიძლება ითქვას, ხელსაყრელია. თუნდაც იმდენად, რომ თუკი ნებისმიერ შემთხვევაში გვიწევს გლობალური ინტერესებისათვის ანგარიშის გაწევა, ეს ჩვენთვის მაქსიმალურად სარფიანად შეეძლოთ.

ეზოს თუ ჭიშკარი არა აქვს, ღორები გააპარტახებენ. გადაუხურავ სახლს წვიმა დაალპობს. უკეთესს ვერც უჯარო ქვეყანაზე ვიტყვით. ჯარამდე ჯერ შორია, თუმცა იმ უჯრედიდან, დღეს რომ ამერიკელთა ხელით იქმნება, ორ წელიწადში შეიძლება სერიოზული ორგანიზმი ჩამოყალიბდეს. თუ ასე მოხდა, სამადლობელი სიტყვები ძირითადად ერთი ადამიანის მისამართით იქნება ნათქვამი. ნათქვამს კი ბევრი გამგონე ეყოლება. ქვეყნის „გადახურვა“ ხუმრობა ხომ არ გახლავთ.

„ცეცხლი და ნავთი თქვენს პირსო“ — ასე იწყევლებოდნენ საქართველოში. ჩანს, უშუქობისა და უნავთობის ჯოჯოხეთზე მაშინ არაფერი უწყოდნენ, თორემ ჩვენთვის ეს წყევლა ლოცვასავით ჟღერს. ჰოდა, მალე ორი მილით დალოცვილ ქვეყნაში ვიცხოვრებთ. აქეთ გაზი, იქით ნავთობი და, ჯანდაბას, ბორჯომი. ოქროს მცველი სჭირდება. შავ ოქროსაც. ამ ორ მილს კარგად დაიცავენ და მათთან ერთად ჩვენც. ანუ, პატარ-პატარა ნაღმები, პოლიტიკური თუ ეთნიკური, ნაკლებად საშიში ხდება და რა ბედნიერება იქნებოდა ეს ყველაფერი, სანაცვლოდ ერთი დიდი ეკოკატასტროფის ალბათობა რომ არა.

ყველაფერი ღვთის ნებაა და ღვთის სადიდებლად კი საუკუნის მშენებლობაა წამოწყებული. ოღონდ აქ ირონია აღარაფერ შუაშია. ამ ტაძართან მუხლს ყველა მართლმადიდებელი მოიყრის. ქვა ქვას ედება, დღე დღეს მისდევს და ღვთის სადიდებელი საოცარი ძეგლი საქართველოში თანდათან უახლოვდება სრულყოფილებას. ტაძრის მშენებლობას არაერთი ქველმოქმედი ადამიანი ეხმარება. ზოგიერთი მნიშვნელოვანი თანხით, თუმცა მათ შესახებ ქალაქში გავრცელებული ჭორებით თუ გაიგებთ რამეს. შეიძლება თავად არ სურთ და იმიტომ, ანდა იმიტომ, რომ ეკლესიის მშენებლობა ერთი ადამიანის სახელთან უნდა გაიგივდეს და სხვების ხშირად ხსენება მიზანშეწონილი არ არის. თავად მიხვდებით, ეს ერთი ვინაა.

მიწა დავიბრუნეთ, ჭერი გადავხურეთ, დაცვა დავაყენეთ, ბინადართა დავები აღვკვეთეთ, გავანათეთ და გავათბეთ. კიდევ რა დარჩა? ჰო, საკვები. თანაც დიდხანს ვერავინ დაიცდის. ხალხს კუჭი დღეს აწუხებს და ამ შემთხვევაში მომავლის იმედის მოშველიება უაზროა. ერთეულები ყველას ულუფას მირთმევენ და ამისგან განიცდიან მუტაციას, არც მათი შემჩერებელია ვინმე. ის გასროლა, მაღლა რომ ვახსენეთ, ამ პრობლემას ვერ გადაჭრის, ასეთ ყოფას წლების წინ ჩაეყარა საფუძველი და ახლა მისი შეცვლა კიდევ უფრო ძნელია, ვიდრე ტერიტორიების დაბრუნება. მაგრამ ამდენი წლის განმავლობაში უმეტესობამ თვითგადარჩენის ის გზა იპოვა, რომელიც სულის მოთქმის საშუალებას იძლევა, იმდენად მაინც, რომ პოლიტიკური სანახაობით შიმშილის ჩანაცვლება შევძლოთ. სანახაობა კი არ გვაკლია და არც უახლოეს მომავალშია ნავარაუდევი მისი დეფიციტი.

იქნებ გზა უფრო შორს მიდის და მისი მზერაც საქართველოს საზღვრებს გასცდა? ვინ იცის, მას ხომ ზუსტად ისეთი ბიოგრაფია აქვს, საერთაშორისო ორგანიზაციის თავკაცობისთვის რომაა ზედგამოჭრილი? ზომაზე მეტად ნუ გაოცდებით, რადგან ასეთ ორგანიზაციებს თავისი კრიტერიუმები და პრინციპები აქვთ, ლიდერთა მონაცვლეობაც გარკვეულ წესებს ექვემდებარება.

როგორია შევარდნაძისა და მისკენ პირითა თუ ზურგშექცევით განლაგებულ პოლიტიკურ ძალთა პაექრობის ანონსი? ანუ, ამ კუთხით როგორი შეიძლება იყოს პრეზიდენტის სტრატეგია? შეიძლება არც იმდენად დაგეგმილი, როგორც გვგონია. ანუ, ესეც ის სფეროა, რომელზეც პრეზიდენტი „ისვენებს“. თვითდინებაზე მიშვებას ხშირად დადებითი მხარეც აქვს, მით უმეტეს, თუ ყველა და ყველაფერი მაინც შენ გარშემო ეწყობა.

დღეისათვის თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში პოლიტიკურ ძალთა უმრავლესობა შევარდნაძის სახელობისაა, ისე, როგორც პოლიტიკურ ლიდერთა დიდი ნაწილი — მის მიერ ხელდასხმული. ასეთ კავშირებს კი უწყვეტი და უხილავი ძაფების სიმრავლე ახასიათებს, რომელთა გადაჭრა იშვიათად თუა შესაძლებელი. თავისუფლების ხარისხი კი ძაფის სიგრძის ტოლია. მოკლედ, თქვი, რაც გინდა, იმოქმედე თავისუფლად.. სანამ ძაფი დაიჭიმება! ასე რომ, იმპროვიზაციები ანტი ან პროშევარდნაძისტულ თემაზე აკრძალული არ არის და კიდევ არა ერთი გადაჯგუფების მომსწრე გავხდებით, მთავარია, რა სახის იქნება განლაგება გადამწყვეტ მომენტში. ამ დროისათვის კი, გარწმუნებთ, სურათი სულაც არ იქნება ისეთი, დღეს რომ გვგონია. მეტიც. არც ის არის გამორიცხული, რომ შევარდნაძის პრეზიდენტობის დასასრული მისი ახალი ცხოვრების დასაწყისი იყოს. არა, პრემიერად ან პარლამენტის თავმჯდომარედ მის მოვლინებას არ ვგულისხმობთ. არც მემკვიდრეების თემას განვიხილავთ. იქნებ გზა უფრო შორს მიდის და მისი მზერაც საქართველოს საზღვრებს გასცდა? ვინ იცის, მას ხომ ზუსტად ისეთი ბიოგრაფია აქვს, საერთაშორისო ორგანიზაციის თავკაცობისთვის რომაა ზედგამოჭრილი? ზომაზე მეტად ნუ გაოცდებით, რადგან ასეთ ორგანიზაციებს თავისი კრიტერიუმები და პრინციპები აქვთ, ლიდერთა მონაცვლეობაც გარკვეულ წესებს ექვემდებარება. ამ წესებში კი ისიცაა გათვალისწინებული, რომ უმაღლეს პოსტებს პატარა და თითქმის უცნობი ქვეყნის წარმომადგენლებიც უნდა იკავებდნენ. ეს მართლაც იდეალური ფინალი იქნება — უფრო შთამბეჭდავი აკორდით წასვლა კი ალბათ, შეუძლებელია.

მაია გაბუნია

საპარლამენტო ძიძგი(ბი)ლაობა...

ვის შეუჩნდა სპიკერობის სურვილი?!

ახალი „მოქალაქეთა კავშირი“ უძღები შვილების დასჯას აპირებს და პირველ სამიზნედ გიგი წერეთელს ირჩევს. წერეთლის წინააღმდეგ გასულ კვირას გათამაშებული ინტრიგა „მოქალაქეებმა“ საპარლამენტო პოსტების გადანაწილების კონტექსტში მოაქციეს და „კუთვნილი“ ვიცე-სპიკერის სავარძელი მოითხოვეს. ჯორბენაძის პარტიის ახალმა ფლაგმანმა ვიტალი ხაზარაძემ წერეთლის გადასაყენებლად ხელმოწერების შეგროვება დაიწყო. ბუნებრივია გაჩნდა კითხვა — რატომ მაინცდამაინც წერეთელი? კულუარებში ვარაუდობენ, რომ ბ-ნ გიგიზე შეტევას მწვანე შუქი პრეზიდენტმა მისცა. ამ საქმეში პრეზიდენტისთვის მხარი სახელმწიფო მინისტრსაც აუბამს, შესაბამისად კი, განაჩენის შესრულება ვიტალი ხაზარაძეს აუღია თავის თავზე.

უცნაურია, რომ საპარლამენტო აურზაური საერთოდ არ გაჰკარებია ჟვანიას გუნდის მეორე ვიცე-სპიკერს ელდარ შენგელაიას. მავანნი მის „მივიწყებას“ მშვენიერ ახსნას უძებნიან — რომც ეცადონ, შენგელაიას ძვრას მაინც ვერ უზამენო (წინა წლის გამოცდილებიდან გამომდინარე).

საპარლამენტო ძიძგილაობაში „აღორძინებას“ თავისი წილის მიღება სწადია წერეთლის მხარდაჭერის სანაცვლოდ, ისინი „დემოკრატებისაგან“ ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტს ითხოვენ (ისიც ითქვა, ამის თაობაზე გოგიტიძეს პარლამენტის თავმჯდომარესთანაც ჰქონდა საუბარიო). მანამდე კი იმის გარკვევა ვცადეთ, რას აპირებს ხაზარაძის საპასუხოდ **გიგი წერეთელი:**

— ბატონო გიგი, რას გერჩით ვიტალი ხაზარაძე?

— არ ვიცი და არც მაინტერესებს მისი მოსაზრებები.

— მაგრამ, ფაქტია, რაკი თქვენს წინააღმდეგ ხელმოწერების შეგროვება დაიწყო, სერიოზული ჩანაფიქრი აქვს.

— საქართველოს უბედურება ის არის, რომ ხაზარაძისნაირი ხალხი ვერ მოიშორა. სანამ მისნაირები პოლიტიკაში დარჩებიან, პოლიტიკა ძალიან დაბინძურებული იქნება. არანაირ ზნეობას, კოლეგიალობას ეს ხალხი ანგარიშს არ უწევს. მაშინ, როცა ქალაქში არ ვიყავი (გაეროს კონფერენციაზე წარმოვადგენდი საქართველოს), ჩემს წინააღმდეგ ხელმოწერების შეგროვება დაიწყო.

— როგორც ამბობენ, უკვე ოცდაათამდე დეპუტატმა მისცა ხმა თქვენს გადაყენებას.

— გული მწყდება რამდენიმე დეპუტატზე, ეტყობა, ფიქრობენ — ცხოვრება, განსაკუთრებით კი პოლიტიკა, ულმობელიაო და შესაბამისადაც იქცევიან.

— საქართველოს უბედურება ის არის, რომ ხაზარაძისნაირი ხალხი ვერ მოიშორა. სანამ მისნაირები პოლიტიკაში დარჩებიან, პოლიტიკა ძალიან დაბინძურებული იქნება.

ასეთებმა მინდა იცოდნენ, მათ მიმართ მეც ანალოგიური დამოკიდებულება მექნება.

— რით და რაში გამოავლენთ ულმობელობას?

— როგორ ფიქრობთ, ხაზარაძე თავისი ინიციატივით დაიწყებდა ხელმოწერების შეგროვებას? ხაზარაძე არ მალავს, რომ პარტიის დავალებას ასრულებს — ანუ ის არც მალავს, რომ შევარდნაძისა და ჯორბენაძის ბრძანებით მოქმედებს. ხაზარაძე თავისი ინიციატივითაც რომ მოქმედებდეს, არანაკლები უბედურება იქნებოდა — თუ „მოქალაქეთა კავშირი“ მის ჭკუასაა მინდობილი, ცუდად ყოფილა მისი საქმე.

თუ პრეზიდენტი და სახელმწიფო მინისტრი პოლიტიკური მოსაზრებების გამო ასეთ დავალებებს აძლევენ თავიანთი ფრაქციის წევრებს, ეს ქვეყანას კარგს არაფერს მოუტანს. არც მწვავე ოპოზიციონერი ვყოფილვარ და არც პრეზიდენტის ბრმა მხარდამჭერი...

— აბა, რა არ მოეწონათ თქვენში?

— ალბათ ის, რომ ყოფილ „მოქალაქეთა კავშირის“ ჟვანიას ფრთასთან ვარჩიე ყოფნა და არა ხაზარაძესთან.

— მხოლოდ ეს იყო?

— რამდენიმე თემა წამოვწიე — საარჩევნო სისტემის რადიკალური ცვლილება და იმ ტექნოლოგიების დანერგვა, რომელიც გაყალბებას თავიდან აგვაცილებს. ეტყობა, ახალი „მოქკავშირი“ გაყალბებით აპირებს არჩევნებში გამარჯვებას... არ მოეწონათ, რომ სტრატეგიული ობიექტების პრივატიზებას — „თბილგაზისა“ და „იტერას“ თემას შევეხე. ჩანს, ეს იმ ხალხს მოხვდა გულზე, რომელთაც სტრატეგიული ობიექტების გასხვისება სხვის უკითხავად უნდათ.

წერეთლის ირგვლივ ატეხილ ხმაურს კვირის ბოლოს ასეთივე გაგრძელება მოჰყვა. ხაზარაძის დარტყმის ეპიცენტრში ამჯერად პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე მოხვდა. აქამდე დემარშებს თუ ოპოზიცია მიმართავდა, პროტესტის ეს ფორმა უკვე სახელისუფლო პარტიამ გამოიყენა — „ხაზარაძის ბრიგადირობით“ სამოცამდე კანცელარიის მომხრემ პარლამენტის სპიკერს უნდობლობა გამოუცხადა, კონსტიტუციის დარღვევა დააბრალა და დარბაზი დატოვა. „კანცელარიის უმცირესობის“ პროტესტის მიზეზი 2003 წლის ბიუჯეტის განხილვა გახდა, რომელზე მსჯელობაც პარლამენტის სპიკერის განმარტებით, — ისევ და ისევ, ხელისუფლებას არ აძლევს ხელს. „მოქალაქეებზე“ უფრო კატეგორიული, როგორც ყოველთვის, ბურჯანაძის ძველი ოპონენტი ვახტანგ რჩეულიშვილი იყო. „ქ-ნი ნინო ტყუილად ისხამს წამებულის მანტიას. მასზე საერთოდ არ არის ლაპარაკი. მან თუ გააგრძელა კონფრონტაცია, მალე იხილავთ პარლამენტის წინ მიტინგებზე ოპოზიციური მოწოდებებით“ — ამბობს რჩეულიშვილი, რომელზეც უკვე ჭორაობენ, რომ „გამოქალაქევების“ შემდეგ სპიკერობის სურვილი შეუჩნდა.

იზო რიკაძე



დაიწყო საახალწლო „ტკბილი ციებცხელება“

ასე ტკბილად დამიბერდით?!

წაიკითხეთ ყველამ, ვისაც ტკბილეულის შეძენა გსურთ...

ბაზრობაზე საკონდიტრო ნაწარმით მოვაჭრეებს თავი მოვაბეზრე, სანამ შოკოლადის ნაწარმის დამამზადებელი ერთ-ერთი იატაკქვეშა საამქროს მისამართი არ გავიგე. მეორე დღეს, თბილისის გარეუბანში მდებარე „ხრუშჩოვკის“ ტიპის პროექტის ერთ ხუთსართულიან კორპუსს კითხვა-კითხვით მივაგენი. ეზოში თოვლში მოგუნდავე ბავშვებთან საამქროს ადგილმდებარეობა კიდევ ერთხელ დავაზუსტე. პატარებმა ამიხსნეს: ჯერ ადრეა, საამქროს მოგვიანებით გააღებენ, მანამდე კი მეორე სართულზე რომ დეიდა შუშანა ცხოვრობს, რამდენსაც

ბაზარი გაივსო თურქული საკონდიტრო ნაწარმით, რომელიც რბილად რომ ვთქვათ, ქარხნულ დონეზეა ფალსიფიცირებული. თურქული საკონდიტრო ნაწარმი, ძირითადად, ნატურალური პროდუქციის ნაცვლად, ქიმიური შემავსებლებითაა დამზადებული. აიღეთ ნებისმიერი თურქული შოკოლადი ან თუნდაც ნამცხვარი. წაუკიდეთ მას ცეცხლი და გარანტიას გაძლევთ, მოეკიდება, იმიტომ, რომ ქიმიური დანამატებით არის გაჯერებული.

გინდათ, იმდენ შოკოლადის კანფეტს, „ჩიტის რძეს“ მოგყიდითო. ასეც მოვიქეცი. კარი ხანში შესულმა, ტანსრულმა ქალმა გამიღო. ეჭვიანად ამათვალიერ-ჩამათვალიერა და შუბლშეკრულმა სტუმრობის მიზეზი მკითხა. როცა დარწმუნდა, რომ „ჩიტის რძის“ კლიენტი ვიყავი, ისე ფართოდ გაიღიმა, ოცდათორმეტივე ოქროს კბილი აუელვარდა და შინ შემიპატიჟა. პატარა სამზარეულოში, გაზქურაზე დიდი ალუმინის ორ ქვაბში გაურკვეველი წარმოშობის სითხე თუხთუხებდა. იქვე ხარიხაზე, პატარა ვაფლის ნაჭრები იყო ძაფზე ჩურჩხელებივით ასხმული. — ზვიადჯან, საიდანამ მომაგენი, ცავატანემ? ალბათ, გეორქამ გამოგაგზავნა ხომა? ჩემთან რომ მოდი, ნამდვილად კარქი საქმე გააკეთე. აბა, პადვალში საკონდიტრო ცეხი რომ აქვთ გახსნილი, იქ კანფეტებს კი არა, საწამლავებს აკეთებენ. ჩემს „ჩიტის რძეს“ კი მანიქაშიდან ვხარშავ. ისინი კიდევა პურის ფქვილით აკეთებენ გულსა. ადრე სიმინდის ფქვილს ხარშავდნენ და ეგ იყო „ჩიტის რძე“. მე კიდევ შიკოლადის „გლაზურიც“ ნამდვილი მაქვს, — მითხრა დეიდა შუშანამ და თავისი სიტყვების სიმართლეში რომ დავერწმუნებინე, ხარიხიდან ერთი ასხმა ვაფლის ნაჭრები ჩამოიღო და ქვაბში უკრა თავი, სადაც მისივე მტკიცებით შოკოლადი იხარშებოდა. რამდენიმე წამში ყავისფერი ბლანტი სითხით მოთხვრილი ვაფლის ნაჭრები ქვაბიდან ამოიღო, გააცივა და „დათუნია“ კანფეტის ეტიკეტში გაახვია: „აი, ესეც „დათუნია“ მზად არის. თითო კილოს ოთხლარ-ნახევრად მოგცემ. შენა კიდევ შენს მაღაზიაში რვა ლარადაც თავისუფლად გაყიდი“. მერე მასპინძელმა „ჩიტის რძის“ დამზადების ტექნოლოგიაც გამაცნო. პატარა ყალიბებში ჟელეგარეულ მანანის ფაფას ასხამდა, აცივებდა, მანანის ბურღულის პატარა ბრიკეტებს ძაფზე ასხამდა და შოკოლადით ისევე „ღებავდა“, როგორც „დათუნიას“. ფალსიფიკატორმა თავისი საფირმო ნაწარმის დაგემოვნებაც შემომთავაზა. რაღას ვიზამდი, თავი გადავდე და თითო-თითო „დათუნია“ და „ჩიტის რძეც“ გავსინჯე. მერე, როგორც იქნა, შუშანას თავი დავაღწიე და ახლა იქვე, კორპუსის სარდაფში მდებარე იატაკქვეშა საამქროსაც მივაკითხე. სამწუხაროდ, იქ შესვლის უფლება არ მომცეს, სამაგიეროდ, მოსკოვის ცნობილი საკონდიტრო ფაბრიკების ნაწარმის ყიდვა შემომთავაზეს. ამ საქონელში საწარმოო გაერთიანება „თბილკონდიტერის“ ეტიკეტით დამშვენებული „დათუნია“ კანფეტებიც იყო. ალბათ, შუშანას „ტექნოლოგიით“ დამზადებული, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ იქ წარმოების მოცულობა გაცილებით მაღალია, ვიდრე „ინდმეწარმესთან“.



ძაფზე ასხმულ ვაფლებს ფალსიფიკატორი ე.წ. შოკოლადით სავსე ქვაბში ავლებს და „დათუნიაც“ მზად არის.

იატაკქვეშა საამქროში შოკოლადს ასეთ „სუფთა“ ქვაბში ხარშავენ.

იატაკქვეშა საამქროს მეპატრონეებს მეორე დღისთვის შეკვეთა მივეცი და ცალი თვალით საამქროში შეხედვაც მოვახერხე. ფოტოაპარატზეც დავაფიქსირე იქ შექმნილი ანტისანიტარიული მდგომარეობა.

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მთავარი ეკონომისტის, ნინო მაისურაძისგან მოწოდებული მონაცემებით, რომელიც საქართველოში წარმოებულ და აგრეთვე იმპორტირებულ საკონდიტრო ნაწარმის საერთო მოცულობას შეეხება, საკმაოდ საინტერესო ციფრს მივიღებთ, თუ საკონდიტრო ნაწარმის საერთო რაოდენობას რესპუბლიკაში მცხოვრებ ადამიანთა საერთო რიცხვზე გავყოფთ. გამოდის, რომ მიმდინარე წლის განმავლობაში საქართველოში ერთი ადამიანი საშუალოდ 7 გრამზე, ანუ ერთ ცალ კანფეტზე ნაკლები საკონდიტრო ნაწარმით კმაყოფილდება. უფრო დამაფიქრებელი გასული წლების ადგილობრივი წარმოებისა და იმპორტის მაჩვენებელი გახლავთ. ამ წლებში ქართველობა საკონდიტრო ნაწარმს თითქმის არ გეახლებოდათ.

ჩვენ ფაბრიკა „მზიურში“, ახალი წლის მოახლოებასთან დაკავშირებით, ამ დარგის სპეციალისტებს მივაშურეთ, რათა თქვენთვის გაგვენდო, როგორ უნდა გავარჩიოთ ნამდვილი საკონდიტრო ნაწარმი ფალსიფიცირებულისაგან.

საკონდიტრო ფაბრიკა „მზიურის“ შენობაში ნებართვის გარეშე შესვლა ადრე შეუძლებელი იყო და დაცვის ჯიხურში რომ არავინ დამხვდა, ძალიან გამიკვირდა. თითქმის მთელი ფაბრიკა ისე შემოვიარე, რომ კაციშვილს არ უკითხავს: აქ რას დახეტიალობო. აჭედილი და დალუქული ოთახების კარი პირქუშად შემომცქეროდა. ეს მაშინ, როცა ახალი წელი კარს არის მომდგარი და თუ არა ამ დროს, მაშ, როდის უნდა იმუშაოს საკონდიტრო წარმოებამ? ბოლოს, ისევ ფაბრიკის გამოსასვლელში აღმოვჩნდი. ერთ-ერთი ოთახიდან ლაპარაკის ხმა შემომესმა და მეც ის კარი შევაღე. პატარა ოთახში ათამდე ადამიანი ელექტროღუმელს შემოსჯდომოდა.

როგორც გაირკვა, ამ პატარა ოთახში ფაბრიკა „მზიურის“ სამეთვალყურეო საბჭოს თითქმის ყველა წევრი, მათ შორის თავმჯდომარე **სვეტლანა მახარაძე** და დირექტორი **ჯამბულ ლულუნაშვილი** შეკრებილიყვნენ და დაძმარებული სახეებით რაღაცაზე საუბრობდნენ.

— რაშია საქმე? ახალი წელი კარს მოგადგათ და ფაბრიკა არ მუშაობს?

— ყველაფერი დაკეტილ-დალუქულია. ყოფილმა ხელმძღვანელობამ, რაც გასაყიდი იყო, ყველაფერი გაყიდა — საწარმო გააკოტრეს. თითქმის ხუთი წელიწადია, სასამართლოებში დავრბივართ. გასულ წელს უზენაესმა სასამართლომ, როგორც იქნა, მიიღო დადგენილება ჩვენთვის, კოლექტივისთვის საწარმოს 1993 წლის მდგომარეობით გადმოცემის შესახებ, ანუ ვალების გადახდაზე ჩვენ, ახალი ხელმძღვანელობა არ ვართ პასუხისმგებელი. ახლა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის სასამართლო უარს გვეუბნება საწარმოს ხელახალ რეგისტრაციაზე. ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ საქართველომ დაკარგოს ეს უნიკალური საკონდიტრო ფაბრიკა. ყოფილ ხელმძღვანელობას, როგორც ჩანს, „პრივატიზებული“ აქვს დიდუბის სასამართლო და ცდილობს, საწარმოს რეგისტრაცია არ დაუშვას. გამოდის, საწარმო ჩვენია და არცაა ჩვენი. ახალარჩეული სამეთვალყურეო საბჭოს ზოგიერთი წევრი გადაიბირეს. ვერა და ვერ შეელია საწარმოს ყოფილი ხელმძღვანელობა „მზიურის“ „ტკბილ“ ფულს. საწარმო ხომ გააკოტრეს, ახლა მის ლიკვიდაციას ცდილობენ. დაანგრევენ ფაბრიკას — აგურ-აგურ და ფიცარ-ფიცარ გაყიდიან. მერე ტერიტორიასაც („მზიურს“ 3 ჰექტარი მიწის ფართობი უკავია ქალაქის ცენტრში, დიდუბეში) გაასაღებენ. თუ ქალაქის ცენტრში ერთი კვადრატული მეტრი მიწის ფართობის საბაზრო ფასი 500-600 დოლარია, მაშინ ფაბრიკის მიწიდან მიღებული შემოსავალი 15-18 მილიონი დოლარი იქნება. ამ თანხის ჩაჯიბვის სურვილი ბევრს დღესაც არ დაუკარგავს. ბოლოს და ბოლოს, აქვეა „ელიავას“ ბაზრობა, რომელიც გამოყოფილ ტერიტორიაზე ვეღარ ეტევა და გაფართოებას ცდილობს ჩვენი ტერიტორიის ხარჯზე.

— ამასობაში კი საქართველოს ტკბილეულის სამომხმარებლო ბაზარი ფალსიფიცირებული და საეჭვო ხარისხის პროდუქციით ივსება.

— მართალი ბრძანდებით. ხელისუფლებას ურჩევნია, ტკბილეული იმპორტით შემოიტანოს და აბსოლუტურად არ იცავს ადგილობრივი წარმოების ინტერესებს. ბაზარი გაივსო თურქული საკონდიტრო ნაწარმით, რომელიც რბილად რომ ვთქვათ, ქარხნულ დონეზეა ფალსიფიცირებული. თურქული საკონდიტრო ნაწარმი, ძირითადად, ნატურალური პროდუქციის ნაცვლად, ქიმიური შემავსებლებითაა დამზადებული. აიღეთ ნებისმიერი თურქული შოკოლადი ან თუნდაც ნამცხვარი. წაუკიდეთ მას ცეცხლი და გარანტიას გაძლევთ, მოეკიდება, იმიტომ, რომ ქიმიური დანამატებით არის გაჯერებული. ხშირად დასავლეთ ევროპიდან და რუსეთიდან შემოტანილი პროდუქციაც ვერ აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს. მეტიც, ქართველი ფალსიფიკატორები ვლადიკავკაზში ან უფრო ხშირად თურქეთში აბეჭდვინებენ გერმანიის, საფრანგეთის, შვეიცარიის საკონდიტრო ფირმების შესაფუთ მასალას, რომელშიც ადგილობრივ ფალსიფიცირებულ ნაწარმს ახვევენ. ზოგჯერ ამ ხერხს ლიცენზირებული საწარმოებიც მიმართავენ. არცთუ იშვიათად, ოჯახებშიც აქვთ გამართული „საამქროები“ — იქ მთავარი დანადგარი უთო გახლავთ (უთოს მეშვეობით ფალსიფიკატორები ბონბონიერების ყუთებს ცელოფანში ახვევენ). რამდენი ხანია სააქციო საზოგადოება „მზიური“ არ მუშაობს, მაგრამ ბაზარში „ჩვენი პროდუქციით“ ვაჭრობენ, სინამდვილეში ეს ფალსიფიკატორების ან ლიცენზირებული ადგილობრივი შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოების საქონელია.

— მაინც რომელ ქიმიურ შემავსებლებს იყენებენ ფალსიფიკატორები?

— შოკოლადი კაკაოს ცხიმისა და მისი ფხვნილისაგან მზადდება. ფალსიფიკატორები კაკაოს ცხიმის ნაცვლად, უკეთეს შემთხვევაში სოიის ზეთს, უარეს შემთხვევაში კი თურქულ ერბოს ხმარობენ. მაგალითად, „თექსუნს“, არცთუ იშვიათად, ტექნიკურ ცხიმებსაც იყენებენ. მერე იყიდიან იაფფასიან ვაფლს და ასე ამზადებენ შოკოლადის კანფეტ „დათუნიას“, რომელიც სტანდარტით მხოლოდ ნატურალური მცენარეული კომპონენტებისგან უნდა იყოს დამზადებული. ფალსიფიკატორები ასევე იყენებენ ესენციებს, კვების პროდუქტების საღებავებს, კონსერვანტებს და სხვას. მომხმარებელმა ფალსიფიცირებული ნაწარმი ნამდვილისგან რომ განასხვაოს, უნდა დაკვირდეს იარლიყს, ნუგბარის შეფუთვის ხარისხს, ყურადღება უნდა მიაქციოს მის ღირებულებას,

უმუშევრად დარჩენილი ფაბრიკა „მზიურის“ კონდიტერები

საეჭვოდ დაბალი ფასი მის ფალსიფიცირებაზე მიუთითებს. შოკოლადის ნაკრების ყუთზე, ე. წ. ბონბონიერზე, ისევე როგორც კანფეტის ქაღალდზე, აუცილებლად უნდა იყოს მითითებული დამამზადებლის კოორდინატები. სანამ კანფეტს იყიდით, აუცილებლად უნდა გასინჯოთ: სასიამოვნო გემო ხარისხის უტყუარი დასტური იქნება.

ფაბრიკიდან გამოსული სადგურის მიმდებარე, ე.წ. ტრამვაი-ტროლეიბუსების პარკის ტერიტორიაზე მოწყობილ ბაზრობაზე ტკბილეულის რიგს ვესტუმრე.

(გაგრძელება იხ. გვ. 11)

არც კარგი სიტყვა დაგვაკლოთ და არც „მათრახი“

ერთი კვირაც და მრავალფეროვანი და მოულოდნელობებით სავსე წელი უკვე ისტორიის კუთვნილება გახდება, მას დრო გადაიფასებს და ყველაფერს საკუთარ სახელს დაარქმევს.

ჩვენ კი ბევრი საუბრით თავი რომ არ შეგაწყინოთ, თავად ამ ისტორიული მოვლენების შემოქმედებს, ქართველ პოლიტიკოსებს დავუკავშირდით და ვთხოვეთ 2002 წლის ყველაზე არაორდინარული შემთხვევა დაესახელებინათ. საზზე ისინი არიან, ვისაც დღეს ქართული პოლიტიკის სამჭედლოს შენებაზე აქვთ პრეტენზია.

ვახტანგ გოგიტიძე: — 2002 წლის კი არა, საქართველოს პარლამენტის არსებობის ისტორიაში უპრეცედენტო და ყველაზე არაორდინარული მოვლენა იყო, როცა სახელისუფლებო ფრაქციებმა პარლამენტი დატოვეს და სხდომები ჩაშალეს. ეს იყო მოულოდნელი მოვლენა, რომელსაც ნებისმიერი ძლიერი ქვეყნის სახელმწიფოებრიობის ღერძი შეუძლია გატეხოს. ეს იყო ყველაზე დიდი გაუგებრობა, რაც შესაძლოა ისეთ სერიოზულ მოვლენებში გადაიზარდოს, რომ უმართავი სიტუაცია გამოიწვიოს. წარმოიდგინეთ აშშ-ის პრეზიდენტ ჯორჯ ბუშს რომ უღალატონ კონსერვატორებმა, პარლამენტი დატოვონ და დაიშალონ, რა

მოხდება... ასეთი რამ გაუკეთეს მოქალაქეებმა თავიანთ პრეზიდენტს. ასევე არაორდინარული მოვლენა იყო შევარდნაძის მოხსენებით გამოსვლა პარლამენტის წინაშე. ამ მოვლენას შემდეგი სახელი ვუწოდე — შუბლის ძარღვი გაწყვეტილია კი არა, აღარც არსებობს. მაშინ მივხვდი პირველად, რომ თურმე ასეთი ადამიანებიც იბადებიან.

გოგი თოფაძე: — ბევრი ფიქრი და სჯაბაასი არ უნდა იმის მტკიცებას, რომ 2002 წლის ყველაზე არაორდინარული მოვლენა ბრიტანეთი ბანკირის, ანუ თაღლითის პიტერ შოუს სპექტაკლი იყო, რომელიც ქართველი ბიზნესმენებისა და ბანკირების დამაქცეველმა მძარცველმა თავად მოაწყო. თავისი თავი ვითომ მოატაცებინა ვიღაც-ვიღაცებს. ეს იყო ყველაზე არაორდინარული და ორიგინალური შოუ შოუს ავტორობით. სამწუხაროა, რომ მას ამ სპექტაკლის დამდგმელი „შემოქმედებითი“ ჯგუფი, სულ ქართველებისგან ჰყავდა დაკომპლექტებული.

ასევე არაორდინარული მოვლენა იყო ფეხბურთში საქართველო-რუსეთის ეროვნული ნაკრებების ჩაშლილი მატჩი. რაც მოხდა დიდი მზადების შემდეგ, სრულიად მოულოდნელი იყო ყველასთვის. თუ საშუალებას მომცემთ, აქვე იმასაც გეტყვით, რომ ძალიან დიდ პატივს ვცემ თქვენს გაზეთს და ამ სიცრუითა და დამახინჯებული ინფორმაციებით სავსე ქვეყანაში „კვირის პალიტრის“ არსებობასაც არაორდინარულ მოვლენად ვთვლი. გისურვებთ ასეთი ობიექტურები ყოფილიყავით ყოველთვის და არც კარგი სიტყვა დაგეკლოთ ჩვენთვის და არც „მათრახი“, რა თქმა უნდა, თუ დავიმსახურებთ.



ირაკლი გათიაშვილი: — 2002 წლის ყველაზე არაორდინარული მოვლენა? საქართველომ ნატოში შესვლის სურვილის განაცხადი გააკეთა. ამაზე არაორდინარული რაღა გინდათ? ქვეყანა, რომელიც ნამდვილად არ არის მზად არანაირი თვალსაზრისით ნატოში გაწევრებისთვის, მთელი მსოფლიოს გასაგონად მოულოდნელ განაცხადს აკეთებს, სიურპრიზი მოვაწყვეთ რა. ასევე არაორდინარული მოვლენა პირადად ჩემთვის ჩემი ქალიშვილის გათხოვება. ამან დიდი ბედნიერება მომანიჭა *(ვულოცავთ — რედაქცია).*

გია ბარამიძე — არაორდინარულს ქართულად არაჩვეულებრივი ჰქვია, ამიტომ მეც ასე ვიტყვი. წლის ყველაზე არაჩვეულებრივი მოვლენა იყო პრეზიდენტ შევარდნაძის განცხადება, რომ მისთვის სულერთია რა დადგენილებას ან რა კანონს მიიღებს საქართველოს პარლამენტი, რომ არ აპირებს მის შესრულებას, რაც იმაზე მეტყველებს, რომ გვქონება და გვქონია იმაზე მეტი პრობლემა, ვიდრე სინამდვილეში გვეგონა. როდესაც ქვეყნის პრეზიდენტი პირდაპირ და ღიად არღვევს ქვეყნის კონსტიტუციას და უპირისპირდება საკანონმდებლო უმაღლეს ორგანოს, ეს უდიდესი დანაშაულია. ცივილიზებულ ქვეყანაში ამგვარი რამ არ მოხდებოდა და თუ მოხდებოდა, ძალიან ცუდად დასრულდებოდა.

შალვა ნათელაშვილი: — ეს ხელისუფლება რომ ისევ ადგილზეა და 2003 წელშიც გადაგვყვება, ეგ არის ჩემი აზრით, ყველაზე არაორდინარული მოვლენა. მომავალი წლის შემოდგომამდე გაგრძელდება ეს პროცესი და შემოდგომაზე არჩევნების შემდეგ დაუდგება ქართველ ხალხს ნამდვილი ახალი წელი. ქვეყანა ფაქტობრივად ხელიდან გამოგვცალა ამ უნიათო ხელისუფლების წყალობით, ამაზე

არაორდინარული რაღა უნდა იყოს. ამიტომაც ახალი წელი დგება მთელი კაცობრიობისათვის ქართველების გამოკლებით. კაცმა დღეს ამ ქვეყანაში აღარ იცის რაზე იფიქროს, როგორ გადაიხადოს არანაირი შემოსავლებით კომუნალური გადასახადები, როგორ აღნიშნოს ახალი წელი ცარიელი სუფრით. ამისთანა ზამთარი კიდევ 20 წელია არ ყოფილა. ბუნებამ თავისი სახე დაიბრუნა, ეგებ ნორმალური ხელისუფლებაც გვეღირსოს.

მამუკა გიორგაძე: — ალბათ ამაზე მძიმე წელი არც გვქონია. XX საუკუნეში საქართველოში ადამიანები შიმშილით, სიცივით, უსახსრობით იღუპებიან, სიყვარულის ნაცვლად ბოროტებას სჩადიან — მამა შვილს კლავს, შვილი დედას, დედა ახალშობილს სანაგვეზე აგდებს... კატასტროფაა და ამ საშინელ სიტუაციაში აღარავის ახსენდება მართლაც არაჩვეულებრივი შემთხვევა — ჩვენი რაგბისტების გამარჯვება, რომლებიც უსახსრობის გამო უცხოეთში არიან გადახვეწილნი, ერთ-ერთ მათგანს კი უფულობის გამო ცოლიც ვერ შეურთავს...

ღმერთმა ინებოს, მომავალ წელს უფრო სასიხარულო თემებზე გვესაუბროს...



MICROFINANCE BANK OF GEORGIA

საქართველოს მიკროსაფინანსო ბანკი

გილოცავთ საახალწლო სიჩუქრებს

ყოველ 21-ე ოდენობის ბანკის დეპოზიტს

საქართველოს მიკროსაფინანსო ბანკში

მოგების ნესტანიშნავ საჩუქრებს.

ეკუთვნის ნონინესტერი თანხა მოგებენ 10 ლარს.

ეფექტიანი ბანკი

ხანმოკლე ბედნიერების დასასრული

— ნათიას ქორწილში ვერ წავედით. ან კი ვის ექორწილებოდა? გუდაუთაში პირველი სისხლი დაიღვარა და აქამდე მოყვარე ხალხი მტრებად ვიქეცით. თუ დამიჯერებთ, პირველად მაშინ გავაცნობიერე, რომ თურმე შესაძლებელია ეთნიკურ ნიადაგზე სიძულვილი. ჩვენ კი კარგა ხანს არ გვსურდა ამის დაჯერება.

მე და ნოდარს მეშვიდე კლასიდან გვიყვარდა ერთმანეთი. კუნთმაგარი და მხრებგანიერი ბიჭი იყო. ცხენოსნობა იტაცებდა და თავისუფალ დროს ერთთავად ცხენით დაჯირითობდა. ხშირად მითქვამს, მგონი ჩემზე მეტად ცხენი გიყვარს-მეთქი და გულიანად გვეცინებოდა. ის იყო, დაქორწინება გადავწყვიტეთ, რომ ნოდარი ცხენიდან ჩამოვარდა და სამუდამოდ დაინვალიდდა. ხერხემლის დამბლის გამო მხრების დამჭიმავ კორსეტს მუდმივად ატარებდა და ყავარჯნების გარეშე სიარული აღარ შეეძლო. ყველას ეგონა, მივატოვებდი, მაგრამ კიდევ უფრო შემიყვარდა. ვიცოდი, ახლა სჭირდებოდა ჩემი სიახლოვე. ექვსი თვე თავზე ვადექი საავადმყოფოში. ნათიაც ჩემთან იყო. არც მას მივუტოვებივართ. სხვა დაქალები ნოდართან განშორებას მირჩევდნენ, ის კი, პირიქით, მაქეზებდა. ნამდვილი სიყვარული ისაა, ამგვარ გასაჭირს რომ გაუძლებსო, მეუბნებოდა და ამის გამო დღემდე მადლობელი ვარ მისი. საავადმყოფოდან გამოწერეს თუ არა, იმ დღესვე ხელი მოვაწერეთ. ნათია ჩვენი ხელისმომკიდე იყო და ჩემი და ნოდარის ბედნიერებით ხარობდა. თვითონ კი ვერ იქნა და ვერავინ შეიყვარა. ამიტომაც ძალიან გამიკვირდა და გამიხარდა, ერთ მშვენიერ დღეს რომ მომახარა — ორი დღის გაცნობილ, მაგრამ ღირსეულ აფხაზ ვაჟკაცს გავყევი ცოლადო. მეც და ნოდარსაც გულით გვწადა მისი მეუღლის გაცნობა, მაგრამ მალე ისე აირია ყველაფერი, საამისოდ აღარავის ეცალა და თავდაპირველად თუ ტელეფონით მაინც ვუკავშირდებოდით ნათიას, მერე და მერე, ესეც სანატრელი გაგვიხდა. გუდაუთაში ცხოვრება აღარ შეიძლებოდა. გუშინდელი ჩვენი მეგობარი აფხაზები ისეთი თვალით გვიყურებდნენ, აშკარა იყო, კარგს არაფერს დაგვმართებდნენ. ნოდარის ინვალიდობის მიუხედავად, შეძლებული ოჯახი გვქონდა და სხვაგანაც კარგად მოვწყობოდით. თუმცა მაინც ვიმედოვნებდით, რომ ინვალიდ კაცს ხელს არ ახლებდნენ. ამასთან, ნოდარი მამა-პაპისეულ სახლს, ეზო-კარს ვერ თმობდა. არადა, სიტუაცია დღითი დღე იძაბებოდა. ერთ დღეს კი ნათიამ დაგვირეკა და შემოგვჩივლა, — რა მეშველება, ჩემი ქმარი აფხაზთა რაზმში ჩაეწერაო...

სისხლი სისხლს ემატებოდა და ერთ გვიან ღამით უბედურებამ ჩვენს კარსაც მოაკაკუნა. ჯერ მეზობლის კივილმა გამოგვაღვიძა. მერე ამას ავტომატის კაკანი და ისეთი ხმაური მოჰყვა, გვეგონა, სახლს ანგრევენო. მერე მეორე მეზობელთანაც იგივე განმეორდა. ქართველები შველას ითხოვდნენ, მაგრამ ვისგან? სულ სამი ქართველი ვცხოვრობდით იმ უბანში. ნოდარი სიმწრით იკვნეტდა ტუჩებს. იარაღი მომიტანეო, მითხრა, ეს გარეწრები ეტყობა არც ჩვენ დაგვტოვებენ უყურადღებოდო. ვთხოვე, არ გინდა, ჩვენთან შემოსვლას როგორ იკადრებენ-მეთქი. თქვენ წარმოიდგინეთ, მჯეროდა საკუთარი სიტყვების. ბოლოს და ბოლოს, ისინი ხომ ნოდარის კბილა ხალხი იყო. მაშასადამე, იცნობდნენ კიდეც. უფრო მეტიც, დაინვალიდებამდე ნოდარი მათი კერპი იყო, მისით ამაყობდნენ კიდეც. გამარჯვების რამდენი დროშა ჩამოუტანია გუდაუთაში გამოცდილ ცხენოსანს, ვინ იცის? ახლა ხელს ვინ აღმართავს-მეთქი ნოდარის ოჯახზე, თავს ვარწმუნებდი. თურმე ამაოდ... ჯერ ჭიშკარი შემოანგრიეს, ძაღლმა რომ შეუტია მომხდურებს, ავტომატით ჩაცხრილეს. მერე ფანჯრებს დააყარეს ავტომატის ჯერი და კარის შემონგრევა სცადეს.

— წამომაყენე და იარაღი მომეცი, — ბრძანების კილოთი მითხრა ნოდარმა, მაგრამ თავი ისე დავიჭირე, თითქოს ვერ გავიგე, რა მითხრა და კარის გასაღებად გავვარდი. ვიცოდი, რომ არ გამეღო, უფრო გახელდებოდნენ. ხუთნი იყვნენ, მაგრამ ერთი გარეგნულად ყველასგან გამორჩეული იყო — მარჯვენა წარბთან ნაიარევი აჩნდა. ის აქტიურობდა ყველაზე მეტად. ეტყობოდა, აქაურები არ უნდა ყოფილიყვნენ. წარბგაჩეხილმა თავისიანებს სახლის გაჩხრეკა უბრძანა, ჩემკენ შემობრუნდა და Где твой муж? — მკითხა და თვალებში ჩამხედა. ღმერთო ჩემო, გავიფიქრე, ამ ლამაზ სხეულში რამ ჩაასახლა-მეთქი ეს სისასტიკე. ვიდრე პასუხს გავცემდი, ნოდარის ოთახიდან ხმაური მოისმა. მივხვდი, ეტყობა წამოდგომა დააპირა და ყავარჯენი დაუვარდა საბრალოს. მეთაური თვალის დახამხამებაში ნოდართან გაჩნდა, როგორც ჩანს, იფიქრა, სროლას მიპირებენო და მწოლიარე კაცს ჯერ წიხლი ჩაარტყა ფერდში, მერე პისტოლეტის სახელური მოუქნია. არ ვიცი, ასეთ დროს საიდან იკრებენ ადამიანები ძალას, მაგრამ ის კი ვიგრძენი, რომ ახლა ამ კაცის გაგლეჯა შემეძლო. ნოდარს გადავეფარე და ვიკივლე, ხელი არ ახლოთ, ინვალიდია-მეთქი. ჯალათი წამით შედგა. მერე ნოდარს თავი მიანება, ამათვალიერ-ჩამათვალიერა და უხსენებლის ხმით, წმინდა ქართულით დაისისინა — თუ ქმარზე არ შეიძლება, იქნებ ცოლზე ვცადოთო. კაბა ხელის ერთი მოქნევით შემომახია და მეორე ოთახში დამიპირა გათრევა. სასოწარკვეთილმა ნოდარმა მთელი ხმით იღრიალა — არ გაბედოო და ისე გაიბრძოლა, წამოდგომაც მოახერხა და ის იყო, ყავარჯენს მისწვდა, ამ გარეწრისთვის თავზე რომ გადაემტვრია, მაგრამ ვნებისაგან გახელებულმა ჯალათმა იარაღი იშიშვლა. რატომღაც ჯერ ფეხებში ესროლა უბედურს, მერე კი, როცა ნოდარი უკანვე, ლოგინზე გადავარდა, მთელი მჭიდი დააცალა... მერე მე მომხვდა თავში რაღაც მძიმე საგანი და გონი დავკარგე... მოგვიანებით, ბავშვის კივილმა გამომაფხიზლა. ჩვენი პატარა გოგონა მამამისის უსულო, ერთიანად დაცხრილულ სხეულს ზედ გადამხობოდა და მოთქვამდა. ვიდრე წამოდგომას მოვახერხებდი, ძარღვებში სისხლი გამეყინა და კვლავ დავკარგე გონი. როცა გონს მოვედი, ჯალათები აღარსად ჩანდნენ. ტირილისაგან დაოსებული თიკა ახლა ჩემს გამოფხიზლებას ლამობდა. სახლი თავდაყირა იყო, პირქვე ეყარა დაცარიელებული კარადები, დამსხვრეული ჯამ-ჭურჭელი და ლეიბ-საბნები. ეტყობა, ფულსა და ოქროულობას ეძებდნენ, მაგრამ ახლა ამაზე აღარ ვფიქრობდი. რაკი შვილი ახლოს დავიგულე, ნოდარი მოვიძიე და უცებ გამახსენდა, რაც მოხდა. გიჟივით წამოვიჭერი და მეუღლის უსულო სხეულს გადავემხე.

„ბატონო ვაჟა! მართალია, ახლა საქართველოდან შორს ვიმყოფები, მაგრამ უცხოეთში ცხოვრებას ქართული პრესა მიადვილებს, რომელსაც დროდადრო ჩემი მეგობრები მაწვდიან. ცოტა ხნის წინ „კვირის პალიტრაში“ თქვენი წერილი წავიკითხე აფხაზი მატეო ფალკონეს შესახებ, რომელმაც ქართველების შეურაცხყოფა არ აპატია თავის ერთადერთ ვაჟს და საკუთარი ხელით მოკლა იგი. არ შეიძლება ამ ისტორიამ არ შეგძრას, მით უმეტეს, აფხაზეთიდან და მოგვიანებით, მიზეზთა გამო საქართველოდან ლტოლვილი ჩემნაირი ადამიანი, ვისთვისაც სიცოცხლის ერთადერთი აზრი შვილებია. მე გუდაუთაში დავიბადე და, ბუნებრივია, აფხაზი გოგო-ბიჭების გვერდით ვიზრდებოდი. ჩემი მეგობრების გრძელ ნუსხაში იმხანად მხოლოდ ერთადერთი არააფხაზი, ჩემი საბავშვო ბაღის მეგობარი ნათია გახლდათ (სახელს შეგნებულად ვცვლი. მიზეზს ქვემოთ შეიტყობთ). აფხაზებმა რომ აურიეს, პირველ ხანებში სერიოზულად არ მიგვიღია. ვფიქრობდით, ხვალ-ზეგ გონზე მოვლენ-თქო, მაგრამ... იმხანად გუდაუთელ ქართველზე გავთხოვდი. ნათია მოგვიანებით რამდენიმე დღის გაცნობილ გაგრელ აფხაზს გაჰყვა ცოლად. მითხრა, — ეს იმიტომ გაეკეთე, აფხაზები რომ ჭკუაზე მომეყვანა. რომ იცოდე, როგორი ქმარი მყავს, შეიძლება ინანო კიდეც, აფხაზს რომ არ გაჰყეიო ცოლად. ღიმილიანი გოგო იყო ნათია, სიცოცხლისა და ადამიანების მოყვარული. ვიცოდი, ამჯერადაც გულახდილი იყო. თურმე მის სიხარულს დიდი დღე არ ეწერა. კართან ომი მომდგარიყო, ვიღაცის გამოგონილი ომი.“

ამის შემდეგ წერილი იმდენად არათანამიმდევრული, თანაც იმდენად ემოციურია, რომ საჭიროდ ჩავთვალე, ოდნავ მაინც შემელამაზებინა. ის სიმძაფრე კი მაინც შერჩა...

რედაქციის მხრივ კი დავძენთ: აფხაზი და ქართველი კაცის საერთო ტკივილი თუ უბედობა ეს ის თემებია, რასაც გვერდს ვერა-სოდეს ავუვლით და ამიტომაც დღევანდელ ნომერში ამ მძიმე ამბავზე შევაჩერეთ თქვენი ყურადღება.

აფხაზებთან თითქოს გამოვნახეთ საერთო ენა, მაგრამ რუსებმა თავი მოიკლეს და მანქანით არ გაგვატარეს. იმ ღამით ძია ასტამურმა საკაცე იშოვა სადღაც. მანქანაში სავარძლები მოხსნა და საკაცე გამართა. მერე იმ საკაცეზე მე დამაწვინა — „უიმედო ავადმყოფი“. ამან გაჭრა და მეორე დღეს რუსების ახალმა ცვლამ გაგვატარა.

ჯოჯოხეთი სალხინეთში

მერე და მერე, როცა ყველაფერი გავაცნობიერე, მივხვდი რომ ჩემი ხანმოკლე ბედნიერება დასრულებულიყო. იმავე დღეს ჩვენი ოჯახის მეგობარი ერთი აფხაზის დახმარებით სახლის სარდაფში დავმარხეთ ნოდარი, შეღამებულზე კი მე და თიკას თავისი მანქანით ადლერისკენ მიგვაქანებდა ის კეთილი აფხაზი... ჯალათებს ფული და ძვირფასეულობა ვერ ეპოვათ და ახლა ჩვენი ერთადერთი იმედი ჩემი დედამთილ-მამამთილის ეს დანაზოგი გახლდათ. ჩემი ნამზითვი ორიოდ ბეჭედიც მქონდა. ამ მეორედ მოსვლიდან ძვირფასეულობისა და ფულის გატანა წარმოუდგენლად მეჩვენებოდა. ისევ ძია ასტამურმა იმარჯვა, ყველაფერი სათადარიგო საბურავში ჩატენა.

გზა სავსე იყო აფეთქებული და დამწვარი მანქანებითა და საბრძოლო ტექნიკით. ყოველ ორ-სამ კილომეტრში გვაჩერებდნენ და მიუხედავად ბიძია ასტამურის თავგამოდებული მტკიცებისა, ჩემს რძალსა და შვილიშვილს ადლერში თვითმფრინავზე ვაცილებო, მაინც ფულსა და ძვირფასეულობას ეძებდნენ. აღარ მახსოვს, რამდენჯერ გაჩხრიკეს ჩვენი მანქანა. გული მიგრძნობს, ამ საბურავს წაგვართმევენო, თავისთვის ჩაილაპარკა ასტამურმა და სათადარიგო საბურავი მოარგო ბორბალს. შემდეგ გაჩერებაზე მართლაც ამოგვაცალეს საბურავი საბარგულიდან, უამისოდაც იოლად გახვალთო. ღმერთს მადლობა შევწირეთ და ფსოუს სასაზღვრო პუნქტს მივადექით. აფხაზებთან თითქოს გამოვნახეთ საერთო ენა, მაგრამ რუსებმა თავი მოიკლეს და მანქანით არ გაგვატარეს. იმ ღამით ძია ასტამურმა საკაცე იშოვა სადღაც. მანქანაში სავარძლები მოხსნა და საკაცე გამართა. მერე იმ საკაცეზე მე დამაწვინა — „უიმედო ავადმყოფი“. ამან გაჭრა და მეორე დღეს რუსების ახალმა ცვლამ გაგვატარა.

არ ვიცი, რამდენ ხანს მიწერია სიცოცხლე, მაგრამ ვიცი, ვერასოდეს დავივიწყებ ძია ასტამურს. ისიც ვიცი, ვერც ნოდარის მკვლელის დავიწყებას შევძლებ — თუმცა ჩვენ მას კიდევ შევხვდებით...

მოსკოვში ჩემს ბიძაშვილს მივადექით მე და თიკა. მართალია, თვითონაც ვიწროდ ცხოვრობდნენ, მაგრამ რაკი ცოცხლები გვნახეს, ისე გაიხარეს, ისე მოგვეფერნენ, რომ დიდი ხნის შემდეგ პირველად ვიგრძენი, როგორ მომნატრებოდა ახლობლების სითბო. მართალია, დედისერთა გოგო ვიყავი, მაგრამ ვიდრე ჩემი მშობლები ცოცხლები იყვნენ და ვიდრე აფხაზეთში ვცხოვრობდი, ბიძაშვილის ოჯახი ყოველ ზაფხულს ჩვენთან ატარებდა და მაშინ ისეთი ბედნიერები ვიყავით, გვეგონა, ასე გაგრძელდებოდა სიცოცხლის ბოლომდე. რამდენიმე დღის შემდეგ ნათიამ დარეკა. ჩვენ ადრევე გავცვალეთ შესაძლო გადაადგილების კოორდინატები და იოლად მიპოვა. თვითონაც მოსკოვში გადმოსახლებულა. დაჭრილი ქმარი გაგრაში დავტოვე და ბავშვიანად წამოვედი, რადგან გაავებული აფხაზები მეც აღარ მინდობდნენო. იმ დღესვე მივაკითხე, შეცვლილი მეჩვენა, ვკითხე კიდეც — ავად ხომ არა ხარ-მეთქი. გადავიღალე და ალბათ იმის ბრალია, ასე რომ გამოვიყურებიო, — მიპასუხა. ჩემსავით, მასაც ერთადერთი პატარა გოგონა ჰყავდა, ცუგრუმელა, თვალებრიალა. ჩემი თიკა ხომ სიხარულით აღარ იყო. დღეში რამდენჯერმე მთხოვდა, იასთან წამიყვანეო. რაკი ნათია ჩემს სიახლოვეს დავიგულე, სიცოცხლეს მეტი აზრი მიეცა. ბავშვს აღზრდა სჭირდებოდა. ბინასა და სამსახურზეც უნდა მეფიქრა. ბოლოს და ბოლოს, როდემდე შეიძლებოდა ბიძაშვილთან ცხოვრება? ერთი პირობა, საქართველოში, ჩემს ნათესავებთან დავაპირე გადმოსახლება, მაგრამ გავიგე, ისეთ სიდუხჭირეში ჩაცვენილან, იქით გამხდარან საპატრონო.

მოსკოვის გარეუბანში ბინა ვიქირავე და ნათია და მისი პატარაც ჩემთან წავიყვანე. ცოტა ხანს კიდევ მეყოფოდა თან წამოღებული ფული და ოქროულობა. ჩემი დაქალი კი უკვე კაპიკებს ითვლიდა. ამისდა მიუხედავად, დაიჟინა, გაგრაში უნდა წავიდე მეუღლის სანახავად. გული მიგრძნობს, ამის მეტს ვეღარ ვნახავო და მართალიც აღმოჩნდა... თუმცა ამაზე ცოტა ქვემოთ.

მიუხედავად იმისა, რომ ნათია აშკარად ავადმყოფის შთაბეჭდილებას ტოვებდა და ამის გამო, წესით, წინ უნდა აღვდგომოდი მის გადაწყვეტილებას, მე, ნოდარის ქვრივს, დაჭრილი მეუღლის ნახვა როგორ დამეშალა უახლოესი მეგობრისთვის. ბილეთიც ავუღე. ფულიც მივეცი და გავაცილე კიდეც. ბავშვი, პატარა ია, ჩემთან დავიტოვე...

— მდინარე ფსოუზე, რუსეთ-საქართველოს საზღვარზე გამალებული ვაჭრობა მიმდინარეობდა. ჯერ რუსებს გადავუხადე ფული, შემდეგ აფხაზებს. თითქოს ყველაფერი რიგზე იყო, მაგრამ ერთხელ კიდევ (ღმერთო ჩემო, მერამდენედ) მომთხოვეს პასპორტი, სადაც ჩემი ქართული გვარით ვიყავი წარმოდგენილი.

— აფხაზეთში არ შეგიშვებთ, მაგრამ თუ რუსეთში დაგაბრუნეთ, მადლობელი უნდა დაგვრჩეო, — მითხრეს. კი, მაგრამ მე ხომ აფხაზის მეუღლე ვარ, აფხაზი ბავშვის დედა. ჩემი ქმარი თქვენ გვერდით იბრძოდა, დაიჭრა და საავადმყოფოში წევს, მის სანახავად მივდივარ-მეთქი. გეტყობა, როგორი ერთგული მეუღლეც ყოფილხარ. ამდენი ხანია, რუსეთში გულაობ. ქმარი ახლა გაგახსენდა? ალბათ, ფული შემოგელია და ახლა მეუღლის ოჯახი გინდა დააყაჩაღოო, — მიამბობდა მოსკოვში დიდი ტანჯვა-წამების გავლის შემდეგ დაბრუნებული ნათია.

— ხალხო, რა ყაჩაღი მე მნახეთ. გაიგეთ, საყვარელი ადამიანი დაჭრილი საავადმყოფოში მიწევს და ისიც არ ვიცი, ცოცხალია თუ მკვდარი-მეთქი. არაფერი შეისმინეს. დილიდან დაღამებამდე მაყურყუტეს, მერე ნესტორის ნაყიდი საყურეები შემხსნეს და როგორც იქნა, გამატარეს. არც აქეთ, რუსების მხარეს იყო დიდი წესრიგი, მაგრამ იქით, აფხაზების ზონაში რომ შევაბიჯე, ვიფიქრე, უზარმაზარ სანაგვეში მოვხვდი-მეთქი. ირგვლივ ყველაფერი ისე ყარდა, ერთი სული მქონდა, სწრაფად გავცლოდი იქაურობას. მძღოლმა ფსოუდან გაგრამდე გადაყვანაში ხუთასი მანეთი მომთხოვა. ვკითხე, ყველა ორას მანეთს იხდის, მე რა მდიდარი მნახე-მეთქი და, ეგ ფასი აფხაზებისა და რუსებისთვისაა დაწესებული. შენ ქართველი ხარ და ამიტომ ხუთასი უნდა გადაიხადო. არადა, მხოლოდ ოთხასი მანეთი მქონდა. მაგ ფულით სანატორიუმ „გრებეშოკამდე“ მიგიყვან და მერე გაგრამდე გზა ფეხით გააგრძელეო. ვიფიქრე, ამას ისე, მეტის გამოძალვის იმედით ამბობს, თორემ გზაში როგორ გადმომსვამს-მეთქი და დავთანხმდი. იმ არაკაცმა კი ღამის თორმეტ საათზე მართლაც დამიპირა მანქანიდან ჩამოსმა... ვიდრე საქორწინო ბეჭედი არ შევაჩეჩე ხელში, არაფერმა გაჭრა. ასე, სულით ხორცამდე გაძარცული მივადექი საავადმყოფოს, სადაც ნესტორი მეგულებოდა. იქ კი საავადმყოფოს დაცვაში ჩემი მეუღლის მეგობრები დამიხვდნენ და უპრობლემოდ გამატარეს. ეგ იყო მხოლოდ, გულდასმით გამჩხრიკეს, ქართველი ქალი ხარ, მაინც ვერ გენდობითო.

პალატაში შესულმა საზარელი სურათი ვიხილე, — სახის გარდა, ნესტორი ერთიანად თაბაშირში იყო ჩასმული. აგუძერაში ტერიტორიას ვნაღმავდით და შეცდომით ჩემსავე დაგებულ ნაღმზე ავფეთქდიო. ექიმებმა მითხრეს, თუ ოდესმე ფეხზე წამოდგა, მხოლოდ ყავარჯნებით თუ შეძლებს გადაადგილებასო. ასე რომ, მე ინვალიდი ქმარი მაინც მეყოლება. შენ მეცოდები ნოდარის გარეშე...

ნათიას იმედს არ ეწერა აღსრულება. მალე მას ექიმებმა მძიმე ავადმყოფობის დიაგნოზი დაუსვეს და რამდენიმე თვეში გარდაიცვალა. მეგონა, ეს იყო ბედისწერისგან ჩემკენ ნასროლი ბოლო ისარი, მაგრამ თურმე ვცდებოდი.

გამოცხადება

ნათიას გარდაცვალებამდე და შემდეგაც, გაგრიდან დროდადრო რეკავდა ხოლმე მისი მეუღლე, რომელიც იმედს არ კარგავდა, რომ ბოლოს და ბოლოს, წამოდგებოდა. ცოლშვილსაც ნახავდა და იმ ქართველ ქალბატონსაც გაიცნობდა, რომელმაც ამ მძიმე წლებში მისი ოჯახი შეიფარა. ერთხელ ისიც კი მითხრა, თუ ოდესმე ფეხზე დავდგები, ყველაფერს გავაკეთებ, ქართველებისთვის ჩემგან მიყენებული წყენა თქვენი პატივისცემით რომ გამოვისყიდოო.

ნოდარის გამო ყველა ინვალიდი მებრალებოდა და ამიტომ რამდენადაც შემეძლო, ვანუგეშებდი — ცხოვრება ჯერ წინ გაქვთ, ადრეა-მეთქი გულის გატეხა, მაგრამ ნათიას სიკვდილის შემდეგ ამის თქმა მიჭირდა. ვგრძნობდი, ვგრძნობდი კი არა, დარწმუნებული ვიყავი, რომ აშკარად ვცრუობდი...

წლები გავიდა. ვიცოდი, იმ დილით ნესტორი უნდა ჩამოსულიყო შვილის სანახავად. მაგრამ ეტყობა, თვითმფრინავმა დაადგა-ანა და ბავშვები სკოლაში გავუშვი. მალე კარზე დააკაკუნეს, ნესტორი უნდა ყოფილიყო. კარი გავაღე, ჩემ წინ ყავარჯნებიანი მაღალი კაცი იდგა, რომელსაც მარჯვენა წარბთან აშკარად აჩნდა ნაიარევი...

P. S. როგორც ჩვენმა ინკოგნიტო რესპონდენტმა გვითხრა, იმ დღესვე სხვა ბინაში გადასულა. მერე კი მოსკოვიც დატოვა და ახლა სხვა ქვეყანაში ცხოვრობს. ეს კი მხოლოდ იმიტომ გააკეთა, რომ იას არ ენახა საკუთარი მამა, რომელსაც სისხლით დასვრილი ხელები აქვს. დედობას კი პატარა გოგოს თვითონ გაუწევს.

ვაჟა გავაშელი

ასე ტკბილად დამიბერდით?!

წაიკითხეთ ყველამ, ვისაც ტკბილეულის შეძენა გსურთ...

(დასაწყისი იხ. გვ. 6)

დახლები უცხოური და რუსეთის საკონდიტრო ფირმების ნაწარმით იყო გავსებული. ჩემი ყურადღება ერთი და იმავე ფირმის, ერთი და იმავე ნაწარმის ფასთა მნიშვნელოვანმა სხვაობამ მიიქცია. ერთ-ერთმა გამყიდველმა ამიხსნა: — განსხვავებული ფასები ერთსა და იმავე საქონელს იმიტომ აქვს, გააჩნია, რომელი რამდენადაა მიახლოებული ორიგინალსა. მაგალითად, არც ერთი არ არის მოსკოვური „დათუნია“. მაგრამ ჩვენთან კარგი ხარისხის პროდუქციასაც ნახავთ და მეტ-ნაკლებად გათვითცნობიერებული უნდა იყო ამ საქმეში, რომ ვინმემ ფალსიფიცირებული შოკოლადი ან სხვა კანფეტი არ შემოგატყუოს.

„საამქროში“ გრილაუს საეჭვო ნედლეულისაგან ზელენ

— **რომელი დასახელების ფალსიფიცირებული კანფეტები გაქვს?**

— ფალსიფიცირებულ კანფეტებს არ ვიღებ. ან თუ ვიღებ, ნამდვილისაგან დიდად არ განსხვავდება. ფალსიფიცირებული ხანდახან შოკოლადის ნაკრებები ან „ბამბანერკები“ მაქვს. თუმცა „ბამბანერკებს“, მით უმეტეს, პოლონურს, რა ფალსიფიცირება უნდა, პოლონეთიდან მოდის უკვე ფალსიფიცირებული. მის ყუთს რომ შეხედავ, ისეა გაფორმებული, ძნელია არ იყიდო, მაგრამ თუ სტუმრად წაიღებ, შერცხვენა ნაღდად არ აგცდება — დიდრონ კოლოფში რვა-ათი ცალი უბრალო შოკოლადის ნაჭერი დევს და შეიძლება დაობებულიც იყოს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის და სურსათის სამინისტროს კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის დეპარტამენტის უფროსი **ომარ კაჭარავა:** — სამინისტროს არავითარი ბერკეტი არ გააჩნია, რომ კონტრაბანდას ან ფალსიფიცირებულ პროდუქციას ებრძოლოს. ჩვენ ვიცით, რა ხდება საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზე. ამის შესახებ რამდენჯერმე მივწერეთ შესაბამის ორგანოებს, მაგრამ ამაოდ. ადგილობრივი საკონდიტრო წარმოება — მხედველობაში მაქვს სააქციო საზოგადოება „მზიური“ და მარმელადის ფაბრიკა „საამო“, გააჩნაგეს და ამჟამად არც ერთი არ მუშაობს. სამინისტრომ ვერაფერი გააწყო, რადგან კანონმდებლობაც ხელს არ გვიწყობს. ყველაფერი თვითდინებაზეა მიშვებული.

— **მაგრამ არსებობს „სახსტანდარტი“, რომელსაც საკმარისზე მეტი ბერკეტები აქვს ფალსიფიცირებულ პროდუქტთან საბრძოლველად.**

— ჰოდა, „სახსტანდარტის“ ხელმძღვანელობას მიკითხეთ.

ჩვენ „სახსტანდარტის“ მისამართიც კარგად ვიცით და ამ უწყების სოკოებივით მომრავლებული სერტიფიკაციის ორგანოების მუშაობის სტილსაც ძალიან კარგად ვიცნობთ, ამაზე აღარ შევჩერდებით, რომ გუნება-განწყობილება სულმთლად არ გაგიფუჭოთ.

ერთი კი ფაქტია, მავანთა წყალობით ახალ წელს ქართველები ერთმანეთს ტკბილეულს თამამად ვერ გავუწოდებთ და ვერ ვეტყვით, — ასე ტკბილად დამიბერდიო! იქნებ ქველებურად, მამაპაპურად ტკბილად დაბერება, ჩურჩხელით ან ტკბილი კვერით ვუსურვოთ — ორიგინალურიც იქნებოდა და უსაფრთხოც. ისე, ჩვენი და ჩვენი რესპონდენტების რჩევების გათვალისწინებას მაინც გირჩევთ.

ზვიად ჩაკვეტაძე

ჩემი პირველი რეპორტაჟი ამერიკიდან

ზურაბ მჭედლიშვილი

სად ცხოვრობენ, რას მიირთმევენ და რას საქმიანობენ დღეს ყოფილი პარლამენტარები, ჩინოვნიკები და უბრალო ქართველები ამერიკაში...

ნიუ-იორკის ცას დღე-ღამის ნებისმიერ მონაკვეთში უამრავი სამგზავრო და სამხედრო თვითმფრინავი სერავს... ბრუკლინის თავზე კი ერთიმეორის მიყოლებით გადმოდიან კენედის სახელობის აეროპორტიდან აფრენილი „ბოინგები“, რომლებსაც კურსი ევროპისკენ უჭირავთ. სანაპიროზე სასეირნოდ გამოსული ქართველები სევდიანად აყოლებენ თვალს ატლანტის ოკეანის ჰორიზონტს იქით გაუჩინარებულ ლაინერებს და ოხრავენ, — როდის დადგება ის დრო, როცა ჩვენს ოჯახებში შევხვდებით შობა-ახალ წელსო! სამწუხაროდ, არიან გამონაკლისებიც, რომლებსაც არათუ სამშობლოში დაბრუნება, სიტყვა „საქართველოს“ ხსენებაც კი აღარ სურთ...

მანჰეტენზე კი 30.000-ნათურიანი უზარმაზარი საშობაო ნაძვის ხე ააბრდღვიალეს, გრანდიოზული შოუ-კონცერტის თანხლებით. ამერიკა ტრადიციული ზარ-ზეიმით, თითქმის ყველა სახეობის პროდუქციაზე მნიშვნელოვანი ფასდაკლებით, ქველმოქმედებებითა და სხვა უამრავი ღონისძიებით ეგებება დამდეგ შობას!

1995 წლის აგვისტოში, „იმელის“ შენობაში დამკვიდრებულ პარლამენტში, საქართველოს კონსტიტუციის მიღებას ამ სტრიქონების ავტორიც (ჟურნალისტის რანგში) ისე გამეტებით უკრავდა ტაშს, როგორც იქ დამსწრე საზოგადოების უმრავლესობა. ალბათ, ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ჩვენი ქვეყნის უპირველეს კანონზე მომუშავე პარლამენტარს (საერთოდ, დეპუტატს), წლების შემდეგ ამერიკის შეერთებულ შტატებში შეეხვდებოდი და მერე როგორ გარემოებაში?! დღეს ეს ყოფილი პარლამენტარი აქ ცხოვრობს და იმ საქმიანობას ეწევა, რითაც ოდესღაც იყვნენ განთქმული თბილისელი ქურთები — ავეჯს ეზიდება! რა თქმა უნდა, ამას იმიტომ როდი ვამბობ, რომ შეურაცხვყო და დავამცირო ჩვენი თანამოქალაქე ქურთები და მათი შრომა, მით უმეტეს, ყოფილი პარლამენტარის დღევანდელი ყოფა, რაც უწინარესად სწორედ მის ღირსება-პატიოსნებაზე მიუთითებს, სხვა უამრავი ყოფილი და მოქმედი „ხალხის რჩეულისაგან“ განსხვავებით! არადა, ამ კაცს იმ წლებში მოუწია დეპუტატობა, როცა ეროვნული ბანკიდან ტონობით გამოჰქონდათ კუპონები კრედიტის სახით, ძარცვავდნენ ქვეყანას და ინაწილებდნენ ქონებას... გასაგები მიზეზების გამო და პირადად მისი თხოვნითაც, ჯერჯერობით, ამ პიროვნების ვინაობას არ ვასახელებ...

ალბათ უპრიანი იქნებოდა, პირველი რეპორტაჟი აშშ-ში ერთი თვის მანძილზე ყოფნისას მიღებული სასიამოვნო შთაბეჭდილებითა და ამაღლებული განწყობით დამეწყო, მომეთხრო ნიუ-იორკისა და ლას-ვეგასის ბრწყინვალებაზე, კალიფორნიისა და ფლორიდის ენით აუწერელ სილამაზესა და რომანტიკულობაზე, ვაშინგტონის სიდიადეზე, პოლიტიკურ ბატალიებზე, მაგრამ საქართველოდან ნიუ-იორკში ჩასვლისას, აეროპორტიდან პირდაპირ სუფრაზე მისულისთვის, აქაურ ქართველთა მიერ მონათხრობი უამრავი ამბავი ადამიანური ტრაგედიების, აქაც მძვინვარე ჩვენი მოურჩენელი ჭირის — გაუტანლობის, ურთიერთსიძულვილის, გადაგდებების ინსტიტუტის — შესახებ, გახლდათ პირველი უსიამოვნო შთაბეჭდილება, რაც შემდგომ კიდევ უფრო დაამძიმა ქართველთა ყოფა-ცხოვრების ახლო გაცნობამ. ერთმა ნაჩინოვნიკარმა კი, რომელიც მეორე წელიწადია ე. წ. ჰომოთენდად, ანუ ავადმყოფებისა და მოხუცების მომვლელად მუშაობს, მოკრძალებით, მაგრამ მშვიდად მიამბო, თუ როგორ უვლიდა დიდი ხნის მანძილზე მეორე მსოფლიო ომის მონაწილე ყოფილ მფრინავს, რომელიც გერმანიას ბომბავდა და რომელსაც დღეში ორჯერ ჰბანდა, მაპატიეთ და, უკანალს, თანაც მას შემდეგ, როცა მედდა ოყნას გაუკეთებდა (ოყნის გაკეთებასაც არ ანდობენ მომვლელებს, ეს ექთანების პრეროგატივაა). ამ სამუშაოში ეს წარმოსადეგი გარეგნობის ქართველი მამაკაცი კვირაში 800 დოლარს იღებდა. დღეს იმავე სამსახურს სხვა მოხუცს უწევს, მაგრამ ამჯერად 700 დოლარს აძლევენ და ისიც ბედს არ ემდურის. მიაჩნია, რომ ეს სამუშაო გაცილებით ღირსეულია, ვიდრე საქართველოში მათხოვრულ ხელფასზე ყოფნა, უფროსებთან მლიქვნელობა და მათთან ერთად ქურდობა... შეიძლება მართალიც არის!

ნიუ-იორკში, ამ ფანტასტიკურ მეგაპოლისში, სადაც მთელი მსოფლიოს ინტელექტუალური და ფინანსური ელიტა და, იმავდროულად, ადგილობრივი თუ იმიგრანტული ნაგავიცაა წარმოდგენილი (ამ უკანასკნელს, განსაკუთრებით 11 სექტემბრის შემდეგ, უმოწყალოდ ცხრილავს უმკაცრესი ამერიკული კანონმდებლობა), ენით აუწერელი სიმდიდრისა და კეთილდღეობის პარალელურად, ქუჩებში კვლავაც სძინავთ უსახლკაროებს, მეტრო სავსეა მათხოვრებით, მაწანწალებითა და ბოროტმოქმედებით, რელსებს შორის კი ჩასუქებული ვირთხების ხილვაც არ არის იშვიათობა. აი, აქაურ მოზარდებსა და ხულიგნებთან კი „ციურ მერცხლებად“ მოჩანან მათი თბილისელი კოლეგები. ეს მაშინ, როცა ამერიკის ნებისმიერ დაწესებულებაში, მაღაზიაში, საავადმყოფოსა და, გნებავთ, ქუჩაშიც, რომ იტყვიან, თაფლს აფრქვევენ პირიდან, შესაშური ზრდილობისა და თავაზიანობის მოწმე ხარ ფეხის ყოველ ნაბიჯზე.

დანგრეული ცათამბჯენების შემოღობილ ტერიტორიას დღემდე უამრავი ტურისტი აწყდება, პატივს მიაგებს დაღუპულთა ხსოვნას და ცდილობს სუვენირის სახით რაღაც ნამცეცი მაინც წაიღოს შინ — იქნება ეს კენჭი, გამხმარი ფოთოლი თუ პატარა ტოტი. ამ დიდ უბედურებას ქუჩებშიც ყოველდღიურად გახსენებს ავტომანქანებზე ერთი წლის წინ დამაგრებული და უკვე გაცრეცილი აშშ-ის სახელმწიფო ალმები. მართალია, პირად საუბრებში ამერიკელებს არ უყვართ ტერორიზმზე ლაპარაკი, მაგრამ ადგილობრივი პრესა გამუდმებით აქვეყნებს სოციოლოგიურ გამოკითხვათა შედეგებს, რაც მოწმობს, რომ ფანატიკურად ეშინიათ მოსალოდნელი ტერაქტებისა. აშშ-ის მთავრობა კი უპრეცედენტო ზომებს იღებს ტერაქტების თავიდან ასაცილებლად. პრეზიდენტ ბუშის ინიციატივით, კონგრესმა მიიღო კანონი შინაგანი უსაფრთხოების სუპერსამინისტროს შექმნის შესახებ, რომელიც, ექსპერტთა მტკიცებით, მნიშვნელოვან კორექტივებს შეიტანს ამერიკელთა ცხოვრებაში. ამ ქვეყანაში სხვადასხვა მონაცემით, 30-35 მილიონი ე. წ. არალეგალია. ამასთან, ყოველწლიურად მილიონობით იმიგრანტი ცდილობს აშშ-ში მუშაობის ან ცხოვრების უფლების მიღებას იმიგრაციისა და ნატურალიზაციის უწყებაში, მაგრამ, ვისაც კი საქმე ჰქონია ამ მართლაც სუპერბიუროკრატიულ უწყებასთან, წყევლა-კრულვით იხსენებს მას. ამიერიდან კი აღნიშნული სამსახური კიდევ 22 ფედერალურ უწყებასთან ერთად შეუერთდება ახალ სუპერსამინისტროს, რომლის თანამშრომელთა რაოდენობა 170 ათასი კაცი იქნება. იქვე შეიქმნება საგანგებო სამმართველო, რომელიც იმიგრანტთა სტატუსისა და მოქალაქეობის საკითხებით დაკავდება და როგორც ერთმა ექსპერტმა განაცხადა ირონიულად: „ამ ახალფორმირებულ სამმართველოში ისეთი დრაკონული სიმკაცრით მოხდება იმიგრანტთა საკითხების განხილვა, თვით მოჰამედ ათას ფანატიკური მიმდევრებიც კი დაფრთხებიანო... სამართლის დამცველნი და ლიბერალები კი მძაფრად ილაშქრებენ მთავრობის ამ ნაბიჯების წინააღმდეგ და მოუწოდებენ საზოგადოებას, „კბილებით დაიცვან ის მონაპოვარი, რისთვისაც სისხლს ღვრიდნენ თავისუფლების მოყვარე წინაპრები“. საქმეში ჰოლივუდიც კი ჩაერთო, სადაც დაიწყეს პოლიტიკური ტრილერის „კემპ-დევიდის“ გადაღება, რომელიც სწორედ ტერორიზმის თემასა და მოქალაქეთა თავისუფლებათა შეზღუდვის პრობლემას ეხება... ამასობაში კი თითქმის დასრულდა გრანდიოზული კონკურსი მსოფლიოს 404 არქიტექტურული ფირმის მონაწილეობით. ჟიურომ მსოფლიო სავაჭრო ცენტრის ახალი ცათამბჯენების 7 პროექტი შეარჩია, რომელთაგან ერთს აირჩევენ და დაამტკიცებენ. ახალ და მსოფლიოში ყველაზე მაღალ ტყუპს დაღუპული ცათამბჯენების ტერიტორიის გვერდით ააგებენ, ტრაგედიის ადგილზე კი მემორიალს დადგამენ!

(გაგრძელება იხ. გვ. 32)

ჯერ კიდევ სექტემბერში

ჯერ კიდევ სექტემბერში საქართველო-რუსეთი ომის ზღვარზე იყო. ახლა ყველაფერი შეიცვალა. რუსეთი ერთი ხელის დაკვრით აღწევს იმას, რაზეც ზაფხულსა და შემოდგომაზე ვერც იოცნებებდა. თუ უწინ საქართველოს ხელისუფლება პანკისში მხოლოდ ბოევიკთა მიტოვებულ ბანაკებს ნახულობდა, ახლა თავად ბოევიკებს აპატიმრებს. საქართველომ არა მარტო აღიარა მის ტერიტორიაზე ტერორისტების ყოფნა, არამედ რუსეთისთვის მათი გადაცემაც დაიწყო. რამდენიმე დამოვი საავადმყოფოდან კვლავ პოლიციის განყოფილებაში მიიყვანეს. ამ ოპერაციამ რუსეთის ოცნება აასრულა — ჩეჩნები მიახვედრეს, რომ საქართველოში ისინი სასურველი სტუმრები აღარ არიან.

ანტიჩეჩნური ბოლო აქციების შედეგად მოსკოვმა ბევრი მოიგო: დაკმაყოფილდა კრემლის მოთხოვნები ცნობილი ტერორისტების გადაცემის თაობაზე, ისინი, ვინც ჯერ ვერ იპოვეს, შეშინდნენ და აზერბაიჯანსა თუ თურქეთს მიაშურეს. რუსეთ-საქართველოს საზღვარზე დაძაბულობა გარკვეული დროით მოიხსნა. საქართველოში ვითარება შეიძლება ინგუშეთის მსგავსად განვითარდეს, სადაც წლის ბოლომდე არც ერთი ლტოლვილი აღარ უნდა დარჩეს.

გენერალური უკუსვლა



საკითხავია, აქამდე ასე გაჯიქებული საქართველო უცებ რატომ დაჰყვა რუსეთის ნებას? ქართველ ოპოზიციონერებში ხმა დაირხა, — ეს ჯორჯ ბუშის სატელეფონო ზარის შედეგიაო. ამბობენ, ამერიკის პრეზიდენტმა, რომელიც ამ ბოლო დროს რუსეთის პრეზიდენტს სიმპათიით უყურებს, შევარდნაძეს ურჩია — პუტინს ნუ წაეჩხუბებიო.

ხნის წინ კი საქართველოს გენპროკურატურამ ჰუსეინ ახანოვის, რუსტამ ელჰაჯიევის და რუსლან გილიგაევის გადაცემა გადაწყვიტა. ყველაფერი ეს, ცხადია, არ მოსწონთ ჩეჩენ საველე მეთაურებს, რომლებიც მიეჩვივნენ საქართველოში არხეინ ცხოვრებას. მაგრამ აქამდე ქართველ ძალოვანთა აქციების მიმართ აშკარა უკმაყოფილება არ გამოუთქვამთ, ფრთხილობენ, გული არ გაუგრილდეთ ქართველებს ჩეჩენი ლტოლვილებისა და ბოევიკების მიმართ.

დუმილი 6 დეკემბერს დაირღვა: ახლო აღმოსავლეთში თავშეფარებული იჩქერიის იდეოლოგი მოვლად უდუგოვი საქართველოს ხელისუფლებას დაემუქრა — თუ დაკავებულ ჩეჩნებს რუსეთს გადასცემთ, ტერაქტები არ აგცდებათო. რესპუბლიკის პრეზიდენტის საქციელი კი ასე შეაფასა — რაც მოხდა, ამის თავიდათავი რუსეთის იმპერიისადმი შევარდნაძის თანდაყოლილი მორჩილებაა, იგი საშიში მხეცის დაშოშმინებას ჩეჩენი მებრძოლების გაწირვით აპირებსო.

თბილისში ე.წ. ანტიკრიმინალური ოპერაცია დაიწყო. პოლიციელები ჩეჩენი ლტოლვილების ბინებში იჭრებოდნენ, პოლიციის განყოფილებებში მიჰყავდათ, ბავშვებისგანაც კი ილებდნენ თითის ანაბეჭდებს, აწერინებდნენ ახსნა-განმარტებას, თუ როგორ მოხვდნენ საქართველოში, რა შემოსავლის წყარო აქვთ და რა საქმიანობას ეწევიან...

შევარდნაძემ ისიც თქვა, — ჩეჩენი ტერორისტები თავდასხმას მიპირებენო. დაკავებულთა შორის ჩეჩენი ეროვნების საქართველოს მოქალაქეებიც იყვნენ, მათ შორის ავტორიტეტული ქისტი, საქართველოს მოქალაქე და საქართველოში ასლან მასხადოვის წარმომადგენელი ხიზრი ალდამოვიც აღმოჩნდა. პოლიციაში დაკითხვის შედეგად იჩქერიის წარმომადგენელს გულის შეტევა მოუვიდა, მაგრამ არც საავადმყოფოში მოასვენეს პოლიციელებმა — დაკავებული ორი ჩეჩენი ქალის ჩვენებებით, ალდამოვი მათ ჩეჩნეთ-საქართველოს საზღვრის არალეგალურად გადმოლახვაში დახმარებია. ბატონი ალ-

ედუარდ კოკოითი: ჩვენ რუსეთის შემადგენლობაში შესვლა დავიმსახურეთ

პოსტსაბჭოთა სივრცეში აღმოცენებული ოთხი თვითმარქვია რესპუბლიკიდან სამხრეთ ოსეთი ყველაზე პატარაა. მან 90-იან წლებში თავი დამოუკიდებლად გამოაცხადა, დღეს კი აფხაზეთის მსგავსად რუსეთში უნდა შესვლა. რად სჭირდებათ ეს? ამ კითხვას პასუხობს სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტი **ედუარდ კოკოითი**:

— თქვენი გაპრეზიდენტების შემდეგ ოსეთსა და საქართველოს შორის განსაკუთრებით დაიძაბა ურთიერთობა. ქართველები ამბობენ, — ხელისუფლებაში ბოევიკი მოვიდაო...

— ჩვენთან ბოევიკები არასოდეს ყოფილან. ჩემმა თანამემამულეებმა იარაღს მაშინ მოჰკიდეს ხელი, როცა მათ მიწაზე ქართველი ნაციონალ-ექსტრემისტები მივიდნენ. საქართველოს ხელისუფლებას თავისი შიდა პრობლემების გადაწყვეტა ოსების და აფხაზების ხარჯზე უნდა. მათ ისიც აღიზიანებთ, რომ სამხრეთ ოსეთში სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესდა. თბილისი კვლავ განაგრძობს ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკურ ბლოკადას. საბაბს ეძებენ „ანტიკრიმინალური“ ოპერაციის ჩასატარებლად. დასავლეთის იმედით ქართველები აფხაზეთისა და ოსეთის ძალისმიერი ხერხით დაბრუნებაზე ალაპარაკდნენ.

— მოსკოვის დახმარების იმედი გაქვთ?

— დიახ. მე და ჩემი ხალხი პაროლუსული ორიენტაციისანი ვართ. ეს ოსობამ ჯერ კიდევ 1992 წელს დააფიქსირა რეფერენდუმზე, სადაც მოსახლეობის 98,9%-მა რუსეთში შესვლა მოინდომა. დღეს, როგორც აღწერამ ცხადყო, სამხრეთ ოსეთის მცხოვრებთა 56% რუსეთის მოქალაქეა. დანარჩენებიც იმავეს აპირებენ. ჩვენ მხოლოდ რუსეთში ვხედავთ ჩვენი, როგორც ერის, გადარჩენის გარანტიას. საქართველოში მომავალი არ გვიწერია. XX საუკუნეში ორჯერ მოახდინა საქართველომ სამხრეთ ოსეთში გენოციდი. ჩვენ რუსეთის შემადგენლობაში შესვლა ჩრდილო ოს ძმებთან შესაერთებლადაც გვინდა. ჯერ კიდევ 1774 წელს ერთიანი ოსეთი რუსეთის დერჟავის შემადგენლობაში შევიდა.

— რუსეთში შესასვლელად მარტო სურვილი არ კმარა.

— ინტეგრაცია დაწყებულია. რუსული ენა ჩვენი მეორე სახელმწიფო ენაა. ფულის ერთეული — რუბლია. კანონმდებლობა სამხედრო წესდებაშიც კი რუსეთისას იმეორებს. რუსეთში ეკონომიკის ინტეგრირებას ვლამობთ. ჩვენ ვიცით, რომ იოლად ვერაფერს მივაღწევთ.

კავკასიიდან რუსეთის განდევნის პოლიტიკა დაიწყო. დღეს ოსეთის გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო დასავლეთში ბევრია დაინტერესებული ოსეთზე კონტროლის დაწესებით, მაგრამ იმისათვის არ დაუღვრია თავისუფლებისთვის ბრძოლებში ჩემს ხალხს სისხლი, რომ ასე ადვილად დაკარგოს თვითგამორკვევის უფლება, ერთიან ხალხად ყოფნის უფლება და რუსეთთან ყოფნის უფლება...

პანკისური კარუსელი

საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ ფაქტობრივად აღიარა, რომ თურმე იგი შეცდა, როცა ჩეჩენი ბოევიკები შეიფარა, უარი უთხრა მოსკოვს მათ გადაცემაზე, გელაევს „განათლებული და ინტელიგენტი“ უწოდა... ჩეჩნებმა შევარდნაძეს და მთელ საქართველოს უმადურობით გადაუხადეს — ისინი ქვეყნის დიდ ქალაქებში ტერაქტებს გეგმავდნენ.

სწორედ ტერაქტების თავიდან ასაცილებლად ქართულმა სპეცდანიშნულების სამსახურებმა საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ჩეჩნების მიმართ ოპერაციები ჩაატარეს.

არც ისე მასშტაბური, მაგრამ ხარისხობრივი გამარჯვების შემდეგ საქართველოს შეეძლო თავი მოეწონებინა, მაგრამ კვლავ მიჩქმალვის ჩვეული გზა ირჩია: რუსეთის შსს-სა და ინტერპოლის მიერ ძებნილი იუსუფ კრომშამხალოვის გადაცემის შემდეგაც კი საქართველოს ძალოვანი სტრუქტურები ჯიუტად იმეორებდნენ — ის აქამდე იმიტომ ვერ დავიჭირეთ, რომ ასეთი პიროვნება ჩვენს ტერიტორიაზე არ ყოფილაო.

ერთი შეხედვით, ეს უცნაური ლოგიკაა — იმის მაგივრად, რომ იამაყო, ეს რა კარგი საქმე ჩავიდინეო, ჩქმალავ შენს დამსახურებას და წარმატებას! მაგრამ თუკი ღრმად ჩავუკვირდებით ამ მოვლენას, მაშინ ყველაფერი ცხადი გახდება: თუკი რუსეთის ჯარის საქართველოში შეჭრა რეალურობისგან შორსაა, ჩეჩნებს ვერავინ დაიკავებს, მით უმეტეს, რომ ქართველებმა კარგად იციან, რას ნიშნავს სისხლის აღება და ამიტომ ამოქმედდა უძველესი ტაქტიკა — ოღონდ ახლა არა, არა დღეს! ჩვენ ვიტყვით, კრიმშამხალოვის დაკავებასთან საერთო არაფერი გვაქვსო, ხვალ კი... ვნახოთ, რა მოხდება... საეჭვოა, რომ ჩეჩნები საქართველოდან წავიდნენ და არა მარტო იმის გამო, რომ იქ თავს შედარებით მშვიდად გრძნობენ, არამედ იმიტომ, რომ იქ ხელისუფლება მეტისმეტად სუსტია და მას რამდენიმე პირი მართავს, რომლებთანაც მოლაპარაკება ყოველთვის შესაძლებელია.

ხიზრი ალდამოვი: — საქართველო პაზარა სახელმწიფოა, პაზარა ერი, რომელსაც ეშინია...

...არავინ იცოდა მოსალოდნელი ჩხრეკის შესახებ.

ვფიქრობ, ეს რუსეთის ზეწოლის შედეგია. საქართველო პატარა სახელმწიფოა, პატარა ერი, რომელსაც ეშინია. როცა ძლიერი სახელმწიფო დაბომბვით ემუქრება, სუსტი ნებდება... ხალხი წესრიგს მოითხოვს, მშვიდი ცხოვრება უნდა. ამიტომაც მიმართა საქართველომ უკიდურეს ზომებს.

ჩეჩნებს რუსეთში დაბრუნებისა ეშინიათ, მზად არიან, ქუჩაში იცხოვრონ, ოღონდ იქ არ მოხვდნენ.

— რას აპირებს ის შემოწმებული ხალხი?

— ბევრი ფიქრობს საქართველოს დატოვებას, ოღონდ კი ამის საშუალება მიეცეთ. მაგრამ მაინც ყველა — ხალხიც და ლტოლვილებიც — პრეზიდენტ შევარდნაძის გადაწყვეტილებას ელოდება.

— როგორ ფიქრობთ, კვლავ ჩატარდება ანალოგიური ოპერაცია?

— ჩემი აზრით, არაერთი.

— თუ რუსეთს ლტოლვილების დაბრუნება აქვს მიზნად, როგორ გგონიათ, მიაღწევს ამას?

— არა. როგორ უნდა დაბრუნდნენ ლტოლვილები რუსეთში, რუსეთმა ისინი სამი წლის წინ ბედის ანაბარად მიყარა. და ახლა გაახსენდათ?

გვერდი მოამზადა თინათინ მარგველაშვილმა

„ქვირის პალიტრის“ 2003 წლის კედლის მოსახევი კალენდარი საჩუქრად!

მათ, ვინც „ქვირის პალიტრის“ საგამომცემლო სახლის გამოცემებიდან გამოიწერს ნებისმიერ სამს, მინიმუმ 3 თვით!

- „ქვირის პალიტრა“
- „სიტყვა და საქმე“
- „ბომონდი“
- „კარუსელი“
- „გზა“
- „რეიტინგი“
- „ოჯახის მკურნალი“
- „ფილთაქვა“

ტ: 33– 26– 73

შევარდნაძის და კუჩმას ოცნება

საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ და უკრაინის პრეზიდენტმა ლეონიდ კუჩმამ თბილისში შეხვედრისას დიდი ყურადღება დაუთმეს ორივე ქვეყნის ნატოში შესვლის პერსპექტივებს. მოლაპარაკების პროცესში განიხილეს თავ-თავისი ქვეყნის საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაფართოების და შავი ზღვისპირეთის აუზის ქვეყნებთან ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხები. კუჩმამ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარებაში მონაწილეობისთვის მზადყოფნა განაცხადა.

გელაეველები კავკასიონს ჯიპებით დალაშქრავენ

გელაევი საქართველოში თავისი მეომრების გამოსაზამთრებლად გადმოყვანას აპირებს. ახლა ისინი ინგუშეთის ტყეებში იმალებიან. ადგილობრივი მოსახლეობისგან პროდუქტებს, თბილ ტანსაცმელსა და ყველგანმავალ მანქანებს იძენენ კავკასიის ქედის გადასალახად. ამჟამად რუსეთის საზღვრებთან რუსლან გელაევის ორმოცამდე ბოევიკი დგას, ისინი გელაევის მთავარი ძალების დასახმარებლად პანკისის ხეობიდან მოვიდნენ.

„კანონიერი ქურდები“ გარბიან

საქართველოში განხორციელებული ფართომასშტაბიანი ანტიკრიმინალური ოპერაციის შიშით რამდენიმე „კანონიერმა ქურდმა“ სასწრაფოდ დატოვა საქართველო, დანარჩენებიც მალე მათ კვალს გაჰყვებიან. „ინტერ-პრესის“ ცნობით, კრიმინალურ ავტორიტეტებს სამართალდამცავ ორგანოებში მყოფმა მეგობრებმა შეატყობინეს მოსალოდნელი წმენდის შესახებ. მაგრამ როგორც შსს-ის პრესსამსახურის უფროსმა პაატა გომელაურმა განაცხადა, იჭერენ მხოლოდ ეჭვმიტანილებს. გაუმართლებულია დაპატიმრება მხოლოდ იმიტომ, რომ ვიღაცას „კანონიერი ქურდი“ ჰქვია. ასეთი ტერმინი სამართლის კოდექსში არ არსებობს.

ვინ მართავს სიტუაციას კავკასიაში?

გაზეთა სნგ.რუმ ჩაატარა რეიტინგი სამხრეთ კავკასიის ყველაზე გავლენიან პოლიტიკოსთა გამოსავლენად. გამოკითხვის უპირობო ლიდერია აზერბაიჯანის პრეზიდენტი ჰეიდარ ალიევი. ძალიან დაბალ დონეზეა შეფასებული საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის გავლენა, ის მეცხრე ადგილზე აღმოჩნდა. მას წინ უსწრებს ზურაბ ჟვანია (მე-7 ადგილი), მეორე ადგილი აჭარის ლიდერს ასლან აბაშიძეს ეკუთვნის. მესამეს მტკიცედ ინარჩუნებს სომხეთის პრეზიდენტი რობერტ ქოჩარიანი. გავლენიან პირთა შორის ფიგურირებენ: ნინო ბურჯანაძე და ბადრი პატარკაციშვილი.

სამადლობელი პატრიარქისადმი

25 წლის წინ ქართველი პატრიარქების სახელოვანი გზა **ირაკლი-ილია ღუდუშაურ-შიოლაშვილმა** გააგრძელა.

სულიერი მწყემსმთავრისგან, ღვთისმბრძოლი ან ღვთის გარეგანი ხელისუფლების პირობებში, ორი გზა არსებობს უფლისა და სამშობლოს მსახურებისა — აშკარა და გაცხადებული დაპირისპირება, ან ფორმალური თანხმობის საბურველქვეშ საზეო და მამულიშვილური საქმიანობა. ერთიცა და მეორეც ერისა და მამულის გადარჩენის საშუალებაა.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, ილია მეორეს, ბოლშევიკურ რეჟიმში მოღვაწე წინაპარი პატრიარქების ცხოვრებიდან, პირველის მაგალითად ჰყავდა ამბროსი ხელაია და მეორისა — კალისტრატე ცინცაძე. უწმინდესმა და უნეტარესმა კალისტრატე ცინცაძის გზა ირჩია: საქართველოს ეკლესია ბეწვის ხიდზე გადაატარა და აარიდა ეკუმენურსა და რჯულგანდგომილების განსაცდელებს, უკანასკნელი წლები კი ივერიის ეკლესიას გაბრწყინების ხანად უქცია.

უკანასკნელი ათწლეულის მოღვაწეობით საქართველოს მწყემსმთავარს გაცილებით მეტი საფუძველი აქვს იმ სიტყვების წარმოთქმისა, რომლებიც მას უთქვამს 1992 წლის 25 დეკემბერს:

„მადლობა ღმერთს, რაც კი უფლისგან მითხოვია, რა თქმა უნდა, საქართველოსა და ქართველი ერისთვის და არა პირადად ჩემთვის, ყოველთვის მიმიღია“.

და ამიტომაც არის, რომ როდესაც უდიდესი ქრისტიანული ქვეყნები „ირყევიან, ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა“, საქართველო იულიანური ჟამთასვლით მტკიცედ დგას იმ ჭეშმარიტ აღმსარებლობაზე, რომლის დიდებით მაღიარებლებს იერუსალიმში ღვთაებრივი ცეცხლი აღდგომა ღამეს სანთლებს უნთებს ქრისტეს საფლავზე!

იდგა დიდი მეუფე ჩვენი წმინდა ნიკოლოზის ხსენების დღეს საზეიმო წირვაზე ამ წმინდანის სახელობის ტაძარში („ვორონცოვზე“) და ლოცავდა ერსა და მამულს, ლოცავდა სალმრთო სიტყვითა და მწყემსმთავრის სათნო გულით. იდგა მრევლი და ისმენდა, იდგა მრევლი და თვალს არ აშორებდა უწმიდესსა და უნეტარესს, რომელიც უზესთაესს ავედრებდა ყველას, ყველა კი იმ წუთებში, აშკარა იყო, ერთხმად მის დღეგრძელობას ითხოვდა უფლისგან.

შეისმინე ვედრება ჩვენი, უფალო — უმყოფე შენს ერს შენი რჩეული საჭეთმპყრობელი.

აღსაყდრების 25 წლის იუბილეს გილოცავთ, თქვენო უწმინდესობავ, ჟამთა სიმრავლეს გისურვებთ „კვირის პალიტრის“ მკითხველთა და სრულიად ქართველთა მეოხად.

საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრის განცხადება სახელმწიფო დროშასთან დაკავშირებით

ამ საკითხის ირგვლივ მსჯელობა დიდი ხანია მიმდინარეობს. წელს კი საქართველოს პარლამენტმა სპეციალური დადგენილება მიიღო (139 ხმით 1-ის წინააღმდეგ) და წინადადებით მიმართა პრეზიდენტს არსებული ატრიბუტიკის ისტორიულით შეცვლასთან დაკავშირებით. ასეთად კი მიჩნეული იყო ხუთჯვრიანი დროშა და ბაგრატოვანთა ღერბი.

რაც შეეხება აღნიშნული დროშის მერის თავზე აღმართვას და მისი კურთხევის საკითხს, ეს ორი სხვადასხვა მოვლენაა. თბილისის საკრებულომ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება ხუთჯვრიან დროშასთან დაკავშირებით და ეკლესიისგან ითხოვა მისი კურთხევა. სასულიერო პირთაგან, როგორც ხუთჯვრიანი დროშის, ისე სხვა დროშების კურთხევა თავისთავად პრობლემატურ საკითხს არ წარმოადგენდა.

აქ სადავოა ალბათ ის, გაირკვეს, თუ რისი უფლება ჰქონდა საკრებულოს და იურიდიულად რამდენად გამართლებული იყო მათ მიერ გადადგმული ნაბიჯი. ეს კი საპატრიარქოს კომპეტენციის სფეროს სცილდება და ამასთან დაკავშირებით ეკლესიის სახელის გამოყენება არასწორია.

ვფიქრობთ, არასწორია იმის განცხადებაც, თითქოს ხუთჯვრიანი დროშა კათოლიკურია, რომ იგი ფრანცისკანელთა ორდენის სიმბოლიკას უკავშირდება და მას ქართულ სინამდვილესთან შეხება არა აქვს. ცნობილია, რომ ფრანცისკანელთა ორდენი XV საუკუნეში ჩამოყალიბდა, საქართველოში კი ხუთჯვრიანი რელიეფური გამოსახულება დაცულია, მაგ. ბოჭორმის წმ. გიორგის ეკლესიის საკურთხევლის ფასადზე, ცენტრში. ეს ტაძარი X ს-ის ქართული ხუროთმოძღვრებისა და ფრესკული მხატვრობის შესანიშნავი ნიმუშია. ბოჭორმა განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში სამეფო ნიშნით აღბეჭდილი კახეთის მთავარი ციხესიმაგრე იყო, სადაც ინახებოდა წმ. გიორგის მარჯვენა ხელი.

პრესაში ბოლო დროს გამოქვეყნებული პუბლიკაციები მოწმობს, რომ შესაძლებელია მოძიებულ იქნეს ახალი მასალები, რომელიც ქართული ჰერალდიკის შესახებ ჩვენს ცოდნას კიდევ უფრო გააღრმავებს.

ვფიქრობთ, სათანადო კომისიამ დროულად უნდა შეისწავლოს და შეაჯეროს ყველა მონაცემი და ურთიერთთანხმობით გადაწყვეტოს ისტორიული დროშის და, აქედან გამომდინარე, ჩვენი ქვეყნისთვის მეტად მნიშვნელოვანი საქართველოს სახელმწიფო დროშის საკითხი.

ქართული სიმღერა სილნაღის პეიზაჟს ჰგავს

ამერიკელი კახელისთვის „ჯიგარი“ ის სიტყვაა, ყოველივე ქართული და კარგი რომაა მოქცეული...

შემოდგომაზე, ერთ-ერთ მეგობრულ შეკრებაზე საინტერესო რამ მოვისმინე — თურმე უკვე რვა წელია, რაც სილნაღში ამერიკელი მხატვარი ცხოვრობს, ვინმე ჯონი, რომელიც შესანიშნავად მღერის ქართულ ხალხურ სიმღერებსა და საგალობლებს, საკუთარი ანსამბლი „ზედაშეც“ ჰყავს, კაი ქართული თამადობაც იცის და თონეშიც გვარიან კახურ ლავაშებს აკრავს, თანაც გაჭრილი ვაშლივით ჰგავს ჰოლივუდელ ვარსკვლავს ბრედ პიტს. ჰოდა, მტკიცედ გადავწყვიტე, ეს კაცი უნდა ვნახო-მეთქი. ვისაც კი გავუმხილე ჩემი სურვილი, ყველას ეღიმებოდა და შეთანხმებულივით ერთსა და იმავეს მეუბნებოდნენ — ჯონი არ ვიცით რა კაცია, მაგრამ რადგან პირველად მიდიხარ სილნაღში, მართლაც დიდი სიამოვნება გელის, ზღაპარ-ქალაქს იხილავო. არც შემცდარან, სილნაღმა, ბოდბემ, წმინდა ნინოს საფლავმა (შეგეწიოთ მისი მადლი), მართლაც რომ ფრთები შემასხა და კიდევ უფრო გამიძლიერა ჩემი მომავალი რესპონდენტის ნახვის სურვილი. ჯონს მართლაც კარგი გემოვნება ჰქონია, ამ ჯადოსნურ ადგილას რომ დასახლებულა. აბა, მე ვარ ქართველი? ამ ხნისა მოვიყარე (ისე ძალიან დიდიც ნუ გეგონებით) და ქიზიყი პირველად ვნახე. ალაზნის ველზე გაბნეულ სოფლებს არწივის ბუდესავით გადაჰყურებს სილნაღი. ერთხელ გვიან ღამით, ჩამოსულან უცხოელი სტუმრები, აბა, ღამით რას დაინახავდნენ, სამაგიეროდ, უთენია წამომხტარან და ნისლში გახვეული და მასში კუნძულივით ამომარული ქალაქი რომ დაუნახავთ, გაოცებულებს უკითხავთ, ეს რა, ზღვაო? დიახო, ეშმაკური ღიმილით დაუდასტურებიათ გულღია და ხუმარა სილნაღელებს. სტუმრებს საცურაო კოსტიუმებისთვის დაუვლიათ ხელი და „ზღვისკენ“ გაქცეულან, ამასობაში მზე გვარიანად ამოწვერილა და „ზღვაც“ გამქრალა. ქიზიყი უბატონო მხარე იყო, სილნაღთან უამრავ მომხდურს მოუტეხია კისერიო, — ამაყად მეუბნებოდნენ ყიზიყელები და მეც, მით უფრო ვჭქარობდი ჯონის ნახვას. აქაურები საქართველოდან გარბიან, ის კაცი კიდევ ამერიკიდან აქ ჩამოსულა და უშუქო და უწყლო, მაგრამ მზიან და კოხტა სილნაღში დასახლებულა-მეთქი, ვფიქრობდი, მასთან მიმავალი. თურმე ამაოდ — ჩემს ნანატრ რესპონდენტს ანსამბლი „ზედაშე“ გასტროლებზე წაუყვანია უცხოეთში...

ერთი სიტყვით, მოგვიანებით, მომიწია მასთან და მის პატარა ქართულ ოჯახთან შეხვედრა. დიახ, ქართულთან. შინ პატარა ლაზარე ეზრდებათ, რომელიც მამასთან ერთად სიამოვნებით აჭაშნიკებს კახურ ღვინოს. ოჯახს კი ქართველი დიასახლისი ჰყავს — ქეთინო, რომელიც „ზედაშეს“ ერთ-ერთი სოლისტია.

ჯონს ახალ სახლში ვეწვიეთ — ახალი ნაყიდი აქვს, თორემ სახლი ლამის საუკუნეზე მეტისაც იქნება. მასპინძელმა მარანი დაგვათვალიერებინა და გაგვანდო: — აქ ხის კასრებით სხვადასხვა ქართული ღვინო უნდა შევინახო,

სტუმრის გამასპინძლება რომ შევძლოო. ერთი განახათ, ჯონი რა რიხიანად და ლაზათიანად ამბობს ქართულ სადღეგრძელოებს, მისი ქართველი მეგობრები ხუმრობენ: — ჯონს კარგა ხანია დაავიწყდა, რომ ამერიკელია. რომ წამოდგება ჭიქით ხელში და იტყვის, აბა, ახლა ჩვენი ქართველი მამა-პაპის დღეგრძელობისა იყოსო, დაიბნევი. ჯონისთვის „ჯიგარი“ ის სიტყვაა, რომელშიც ყოველივე ქართული და კარგია მოქცეული. ამიტომ, როცა რაიმეთი კმაყოფილია, „ჯიგარიაო“ ამბობს. ჩვენი საუბარი ქართულ ენაზე წარიმართა და თანაც ისეთი გამართული ქართულით, ცოტა არ იყოს, დავიბენი:

— ჯონ, როგორ გაიგე ქართველებისა და საქართველოს შესახებ?

— ეს ჩემს სიყმაწვილეში მოხდა. ქართველი გოგო, შემდგომში ჩემი პირველი ცოლი ნინო ღომიჩავა გავიცანი. მისგან გავიგე საქართველოს შესახებ. ერთხელაც მუსიკალურ მაღაზიაში შესულმა აღმოვაჩინე ქართული ხალხური სიმღერის ჩანაწერები — ანსამბლების: „მზეთამზის“, „მთიების“ და „სოინარის“ შესრულებით. ვიყიდე, მოვუსმინე, ძალიან მომეწონა. ბუკლეტში მცირე რამ საქართველოს შესახებაც წავიკითხე და ბიბლიოთეკაში წავედი საქართველოს ისტორიის გასაცნობად. სახელმძღვანელოსავით მედო ეს წიგნები და ამ ქვეყნის შესახებ ყველაფერს ვსწავლობდი. თუმცა, დღემდე არ ვიცი რატომ. მერე მე და ნინო დავქორწინდით. მასთან ერთად საქართველოშიც ჩამოვედი და მოვიარე სხვადასხვა მხარე. დღემდე არ გამნელებია შიომღვიმის მონასტრისა და სხვა მრავალი საოცარი ადგილის ხილვისგან მიღებული შთაბეჭდილება.

— ყველაზე მეტად მაინც რამ მოგხიბლათ?

— რა გითხრათ, აქ ყველაფერი ნამდვილია, ნაღდია, გრძნობ რა არის კარგი და რა ცუდი, ყველაფერს თავისი სახელი ჰქვია. ამერიკაში ასე არ არის, ზოგი კარგს აკეთებს ვითომ, სინამდვილეში ცუდია... თქვენი კულტურა ყველას ხიბლავს. ლამაზი ადგილები სხვა ქვეყნებშიც არის, მაგრამ აქაური სულ სხვაა. ჩემი და იყო ჩამოსული საქართველოში, ახლა საბერძნეთში სწავლობს უნივერსიტეტში. ვერ ეგუება იქაურობას, აქეთ მოუწევს გული.

— ჯონ, საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ ალბათ, უფრო კარგად გაიცანით ქართული ხალხური სიმღერები, ანსამბლები?

— 8 წლის წინ, პირველი ღამე საქართველოში საოცრება იყო. რესტორანში გახურებული ქეიფის დროს მედუდუკეები მოვიდნენ. „სოინარი“ აღმოჩნდა. თარჯიმნის დახმარებით ვიესაუბრეთ — მე თქვენ გიცნობთ, იქ, ამერიკაში გისმენდით-მეთქი. ძალიან გაიხარეს.

— სილნაღში როგორ მოხვედით?

— მოსკოვის სამხატვრო აკადემიაში ვსწავლობდი. სადიპლომო ნამუშევარი ხალხურ ტრადიციებზე უნდა გამეკეთებინა — ხალხურ ტრადიციებზე უნდა დამეხატა სურათი. საქართველოში ჩამოვედი და სამუშაოსთვის შესაფერისი სიტუაციის ძებნა დავიწყე. ასე აღმოვაჩინე სილნაღი. მომეწონა, სახლიც ვიყიდე. მას შემდეგ ხშირად ჩამოვდიოდით. მერე მე და ნინო ერთმანეთს დავშორდით. იგი მუსიკოსი იყო და სულ გასტროლებზე გახლდათ, მე კი სოფლური იდილია მიტაცებდა და ხატვა მსურდა. ასე დავსახლდი სილნაღში, სადაც მომავალ მეუღლესაც შევხვდი.

— უკვე არსებობდა ანსამბლი „ზედაშე“?

— ქეთინო, მისი ძმა და ორი მეგობარი ეკლესიაში გალობდნენ, როცა მათ დავუმეგობრდი. ჩემს მეგობართან ერთად სიმღერები „სიდზე“ ჩავწერე, სახელად დავარქვით „იქ, სადაც მთები სამოთხეს უერთდებიან“. უკვე მეორე ალბომიც გვაქვს. მისი ჩაწერის დროს ქეთინო ფეხმძიმედ იყო — ვიცოდით, ბიჭი რომ გაჩნდებოდა, სახელი — ლაზარეც — შერჩეული გვქონდა. ალბომსაც „ლაზარეს აღდგინება“ დავარქვით, ნიშნად იმისა, რომ ლაზარე საქართველოს სიმბოლოა, რომ საქართველო აღდგება.

(გაგრძელება იხ. გვ.35)

ჩას გვეცქვი, მამაო?

— ერთ-ერთ გაზეთში წავიკითხე, რომ საქართველოში უძველეს დროში მიცვალებულებს ვერტიკალურ მდგომარეობაში ასაფლავებდნენ. შესაძლოა, კუბოს გარეშეც. რამდენად შეეფერება ეს სიმართლეს?

— რადგანაც ჩვენ წარმართული ისტორია გვქონდა, შესაძლოა, ასეთი საფლავები მართლაც არსებობდა, მაგრამ მათ განზოგადებული სახე არ უნდა მივცეთ. საერთოდ კი დასაფლავების წესი საქართველოში სათავეს ბიბლიიდან იღებს. მადლობა ღმერთს, რომ არქეოლოგებმა აღმოაჩინეს უძველესი საფლავები, სადაც ადამიანი იმ მდგომარეობაშია დაკრძალული, როგორც თანამედროვე სასაფლაოზე. შესაძლოა რიტუალი სხვა იყო, მაგრამ მიცვალებულის დაკრძალვის ფორმა ათასწლეულების მანძილზე არ შეცვლილა.

— გზაზე ვიპოვე გატეხილი სანთელი. როგორ მოვიქცე, რა ვუყო ამ სანთელს?

— ჩვეულებრივად მოიქეცით — ისე გამოიყენეთ, როგორც საეკლესიო სანთელი. გაასწორეთ და დაწვით ხატის წინ.

— დავკარგე „კვირის პალიტრის“ ნაჩუქარი იერუსალიმიდან ჩამოტანილი წმინდა სანთელი. მიუხედავად იმისა, რომ იმავე დღეს ეკლესიაში სხვა სანთელი შევიძინე და მონანიების თხოვნით ავანთე, თავს ვერ ვაპატიე დაუდევრობა. რა შემიძლია გავაკეთო?

— ადამიანებმა იზრუნეს და ასეთი სიწმინდე თქვენთვის შორი ქვეყნიდან ჩამოიტანეს, თქვენ კი დაგიკარგავთ. სიწმინდის გაუფრთხილებლობის ცოდვა ჩაგიდენიათ. მიბრძანდით მოძღვართან და მოინანიეთ. გახსოვდეთ, რომ როცა გულწრფელად ინანიებთ, უფალი გაპატიებთ და გამუდმებული წუხილი არ შეიძლება.

— სახარებაში წერია, ვინც სხვის განაშვებ ცოლს შეირთავს, ის მრუშობსო. თუ განათხოვარი ქალი თანახმაა, რომ ჯვრისწერა მოიხსნას ეპისკოპოსთან და მეორედ გათხოვდეს ანუ ჩემთან დაიწეროს ჯვარი, ჩამეთვლება თუ არა ეს მრუშობაში?

— უფალი ბრძანებს „რომელ ღმერთმან შეაუღლოს, კაცი ნუ განაშორებსო“ — ცოლქმრის დაშორება ცოდვაა, მაგრამ საეკლესიო წესებში გათვალისწინებულია ადამიანის სისუსტე, დაცემული ხასიათი და ურთიერთობის სიძნელეები. ამიტომაც არის დაშვებული მეორედ ქორწინება იმისთვის, რომ უფრო დიდ ცოდვასთან არ გვქონდეს საქმე.

— ვარ 28 წლის. 13 წლისამ შევიძინე თაბაშირში ნაკვეთი ჯვარი, მაცხოვრის გამოსახულებით. ახლახან შევამჩნიე მისი კათოლიკური წარმოშობა. არადა, მე მასზე ვლოცულობდი. როგორც მართლმადიდებელ ქრისტიანს, ცოდვა ხომ არ მიმიძღვის, რა მოვუხერხო ჯვარს?

— სასურველია, ყველა საეკლესიო ნივთი შეიძინოთ ეკლესიებში ან საეკლესიო მაღაზიებში. ამით დაცული იქნებით იმ დარღვევისგან, რაც მათ არამართლმადიდებლურ წარმოშობას შეეხება. მაგრამ თუ ასეთი ნივთი მაინც არის თქვენს ოჯახში, მიიტანეთ ტაძარში, უთხარით ამის შესახებ მოძღვარს და ცოდვად არ ჩაგეთვლებათ. ტაძრებში საგანგებო ადგილებია გამოყოფილი ასეთი ნივთების დასამარხად ან დასაწვავად.

— მინდა მოვქარგო წმინდა მარიამის ხატი, მაქვს თუ არა მოქარგვის უფლება მღვდლის კურთხევის გარეშე, თუ მერე ისედაც ვაპირებ ხატის ჩემს სახელზე კურთხევას?

— თქვენი სურვილი, მოქარგოთ წმინდა მარიამის ხატი, მეტყველებს დედა ღვთისას მიმართ თქვენს სიყვარულზე და სასიხარულოა, მაგრამ ხატს აქვს თავისი შესრულების კანონიკა. თუ თქვენ აპირებთ რომელიმე ცნობილი ხატის ასლი გადაიღოთ, ლოცვა-კურთხევა აუცილებელია.

— ჩემი უახლოესი მეგობარი უსაფუძვლოდ მწამებს ცილს თავის ოჯახის პრობლემებთან დაკავშირებით. გთხოვთ აუხსნათ, რას იმსახურებს ცილისმწამებელი... საშინლად ვიტანჯები.

— ჩვენ თქვენი მეგობრის საქციელთან ერთად ისიც გვაწუხებს, რომ თქვენ ამ ამბის გამო ტკივილს ატარებთ. ეკლესიაში მისვლას, აღსარების თქმას და მეგობრისთვის ლოცვას გირჩევთ. შეეევედრეთ უფალს შემდეგი სიტყვებით: „აცხონე, უფალო, და შეიწყალენ მოძულენი და მაჭირვებელნი ჩემნი და მოქმედნი ჩემზედა უსჯულობისანი, და რომელნი მმძლავრობენ და მყვედრიან მე, ნუ დასჯი ცოდვათა და უსჯულოებათა შინა მათთა ჩემთვის, არამედ მოაქციენ იგინი ბოროტისაგან, რომელნი აქვნ ჩემდა მომართ, და შეიწყალე დიდითა წყალობითა შენითა“.

თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით. მათი განლაგების შესახებ იხ. გვ. 36.

მკითხველთა შეკითხვებზე უპასუხებენ მართლმადიდებელი მამები.

წლის ყველაზე მნიშვნელოვანი სამხედრო-პოლიტიკური მოვლენები

განვლილი 2002 — „ცხენის წელი“ ქართველი მხედრებისთვის, ერთი შეხედვით დიდად არ განსხვავდება წინა წლებისგან — კვლავ დეზერტირობა, სამხედრო სამსახურისთვის თავის არიდება, ცემა-ტყეპა ყაზარმებში, კორუფცია გენერალიტეტში, მუდმივი დაუფინანსებლობა, სკანდალები სამხედრო მაღალჩინოსნებს შორის, ქართული სოფლების დაბომბვები „უცხოპლანეტელთა“ მიერ და უსუსური ხელისუფლების მხოლოდ სიტყვიერი ქადილი, ჩეჩნები პანკისში და ა.შ.

მაგრამ, საბედნიეროდ, 2002 წელს მაინც გამოანათა იმედის სხივმა, რომ საქათველოსაც ადრე თუ გვიან, ეყოლება რეალურად ბრძოლისუნარიანი არმია. მერე რა, რომ ეს სხივი შორეული ამერიკიდან მოდის, მთავარია, რომ ვიღაცას ჩვენს დღევანდელ ხელისუფლებაზე უფრო მეტად შესტკივა გული ქართული არმიისათვის.

ვეცდებით, გავაანალიზოთ ის მოვლენები, რომლებმაც 2002 წელს მნიშვნელოვანი გავლენა იქონიეს საქართველოს სამხედრო-პოლიტიკურ ცხოვრებაზე.

„წვრთნა და აღჭურვა“ ამერიკულად

ამ ამერიკულ-ქართული პროგრამის დაწყება გაზაფხულზე დიდ აჟიოტაჟთან იყო დაკავშირებული — ამერიკელებმა საქართველოში თავისი დესანტი გადასხეს და მათთან ერთად პანკისში ანტიტერორისტული ოპერაციის ჩატარებას აპირებენო, — ბობოქრობდა მოსკოვი.

მაგრამ თავიდანვე ჩანდა, რომ „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამა უკვე არააქტუალურს გახდის არა მარტო ალტერნატიულ სამსახურს, არამედ მთლიანად მოსპობს დეზერტირობას და ჯარში გაწვევისგან თავის არიდებას. პირიქით, გაიმართება დიდი კონკურსი, რათა ფიზიკურად და მორალურად კარგად მომზადებულ ახალგაზრდას უფლება მიეცეს, იმსახუროს პროფესიონალურ არმიაში.

ეს ყოველივე შეიძლება შორეული პერსპექტივის საქმეა, მაგრამ სწორედ 2002 წელს ჩაეყარა საფუძველი საქართველოში პროფესიონალური საარმიო დანაყოფების შექმნას, რომელიც კარგად მომზადებული რეზერვის ფონზე სახელმწიფოს თავდაცვის საუკეთესო გარანტიაა. მთავარია, სწორედ სახელმწიფომ ბოლომდე შეასრულოს კონტრაქტით დაკისრებული მოვალეობა, პროფესიონალ ჯარისკაცს დროზე გადაუხადოს ჯამაგირი და ყველა პირობა შეუქმნას სამხედრო სამსახურისთვის.



პანკისში ქართული დროშა გამოჩნდა

პანკისში საქართველო დაბრუნდა

2002 წელს საქართველო გადაურჩა უზარმაზარ საფრთხეს, რომელსაც პანკისის პრობლემა ერქვა.

ერთი ბეწო ხეობა, რომლის არსებობა საქართველოშიც ბევრმა არ იცოდა, ცოტა ხანში მსოფლიო საინფორმაციო საშუალებების ყურადღების ცენტრში მოექცა. თუ რატომ მოხდა ეს, ამაზე ჩვენი ვერსიაც გაგვაჩნია: ავღანეთში „ალ-ქაიდასა“ და ბინ ლადენის ძებნის მიზეზით აშშ-ის მიერ დაწყებული საერთაშორისო ანტიტერორისტული ოპერაციის ფონზე, მოსკოვმა თავისი პატარა „ავღანეთის“ გათამაშება მოინდომა პანკისის ხეობაში. ამისთვის მას საკმარისზე მეტი მიზეზი ჰქონდა, პირველ რიგში კი პანკისის ხეობაში რუსლან გელაევის, კიდევ რამდენიმე ჩეჩენი საველე მეთაურისა და 700-800-მდე შეიარაღებული ჩეჩენის სახით. ამიტომაც რუსული საჰაერო

...„ნორდ-ოსტამდე“ ჩეჩნები არ მალავდნენ, მოსკოვს განადგურებულ გროზნოს დავამსგავსებთო.

დესანტის გადმოსხმა უშუალოდ ხეობაში და მის ახლომახლო, რასაც თავდაპირველად ძლიერი საჰაერო დაბომბვა წაუძღვებოდა წინ, რეალობად მოჩანდა.

და ასეთ დროს, თეთრმა სახლმა დრო იხელთა და ძალიან მომგებიანი ინფორმაცია გაავრცელა — პანკისის ხეობაში ჩეჩნების გარდა, იმალებიან ის საერთაშორისო ტერორისტები, რომელთა ხელი ურევია 11 სექტემ-

რუსული ბომბები არც წელს დაგვკლებია

ბრის ტრაგედიაში, ამიტომაც ანტიტერორისტულ ოპერაციას მარტო რუსეთი ვერ ჩაატარებსო.

ფიჩხოვანში ქართველი მეზენიტეები რუსული დესანტის გადასხმას ელოდნენ

სწორედ ვაშინგტონის მტკიცე პოზიციამ შეაჩერა მოსკოვი, ხელი აეღო პანკისში ჯარის გადასხმისგან, თორემ ხეობა უთუოდ მეორე ჩეჩნეთად გადაიქცეოდა. ამ შემთხვევაში მოგებული იქნა ასე საჭირო დრო, რომელიც მოხმარდა ხეობაში გამოკეტილ შეირაღებულ ჩეჩნებსა და სხვა ჩრდილოკავკასიელ საველე მეთაურებთან საიდუმლო მოლაპარაკებებს, რომლებსაც ქართული სპეცსამსახურები წარმართავდნენ.

საბედნიეროდ, სწორედ ამგვარი მოლაპარაკებებით და დარწმუნებით მოხერხდა რუსლან გელაევისა და მას მიკედლებული 700-მდე მებრძოლის მშვიდობიანი გაყვანა ჯერ პანკისის ხეობიდან და შემდგომ საქართველოს ტერიტორიიდან. რამდენიმე უცხოტომელმა საველე მეთაურმა და მათმა რაზმმა არ მოინდომეს გელაევისთვის მიებაძათ, რის გამოც რამდენიმე შეიარაღებული შეტაკება

...Nato იქნება ის მთავარი ფარა, რომელიც ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის უსაფრთხოებას უზრუნველყოფს.

მოხდა. ეს მცირერიცხოვანი რაზმები კვლავ აფარებენ თავს პანკისის მახლობელ ტყეებს და ეტყობა, ხეობაში ჩუმად მაინც გამოიზამთრებენ. მათ წინააღმდეგ რაიმე გრანდიოზული ანტიტერორისტული ოპერაციის ჩატარება არ იქნებოდა მართებული,

...შეიარაღებული ჩეჩნების პატარა ჯგუფი კვლავ აფარებს თავს პანკისის მახლობელ ტყეებს და ეტყობა, ხეობაში ფარულად გამოიზამთრებს.

რადგან ამ პრობლემას სხვანაირად, უფრო დახვეწილი მეთოდებით, პირველ რიგში კი, ეფექტიანი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებით სჭირდება გადაწყვეტა.

„კახეთი-2002“-ის კიდევ ერთი ფარული საბრძოლო ამოცანა, თუ თავდაცვის მინისტრს დავუჯერებთ, იმაშიც მდგომარეობდა, რომ ჩაეკეტათ ის ადგილები, სადაც თურმე ქართული დაზვერვის მონაცემებით, რუსეთი საჰაერო დესანტის გადმოსხმას აპირებდა.

ასეა თუ ისე, 2002 წელს პანკისში განხორციელებულმა საგანგებო ღონისძიებებმა საქართველო გადაარჩინა კიდევ ერთ შეიარაღებულ კონფლიქტს და, შესაბამისად, ახალი „თეთრი ლაქის“ გაჩენას ჩვენი ქვეყნის რუკაზე, დაახლოებით ისეთივესი, როგორიცაა ცხინვალის რეგიონი და აფხაზეთი.

უცხო ბომბები ქართულ მიწაზე

ამ წელსაც გაგრძელდა ქართული მიწის დაბომბვა, რომ აღარაფერი ვთქვათ, საჰაერო სივრცის მუდმივ დარღვევებზე და ამას 23 აგვისტოს, სამწუხაროდ, პირველი მსხვერპლიც მოჰყვა.

ტრადიციულად უდენოდ და საწვავის გარეშე დარჩენილი ქართული რადიოლოკატორები თითქმის ვერ აკონტროლებენ საჰაერო სივრცის დიდ ნაწილს, რაც, ცხადია, აძნელებს საზღვრის დამრღვევი საჰაერო ობიექტების დროულად აღმოჩენას. ამიტომაც ხშირად საჰაერო სივრცის დამრღვევი თვითმფრინავების და შვეულმფრენების აღრიცხვას ქართველი მესაზღვრეები აწარმოებენ, რაც ნორმალურ ქვეყანაში ნონსენსად მიიჩნევა. მესაზღვრეების მონაცემით, 2002 წელს ჩრდილოეთიდან სახელმწიფო საზღვრის საჰაერო სივრცე 33-ჯერ დაარღვიეს.

ვინ „დანავარდობს“ დაუკითხავად ჩვენს საჰაერო სივრცეში? ცხადია, ეს „ამოუცნობი მფრინავი ობიექტები“ მარსიდან არ მოფრინდებოდნენ. ისიც ნათელია, რომ ისინი მეზობელ რუსეთს ეკუთვნის, მაგრამ ამას ობიექტური რადიოლოკაციური დადასტურება მაინც სჭირდება, ან სულაც ჩამოგდებული თვითმფრინავის დეტალების წარდგენა.

...თუ ჩვენ თავდაცვის მინისტრს დავუჯერებთ, რუსები პანკისის სიახლოვეს დესანტის გადმოსხმას აპირებდნენ.

მეზობელი ქვეყნის თვითმფრინავის ჩამოგდება და მით უმეტეს, მისი პილოტის დაღუპვა, ორ ქვეყანას შორის მართლაც ძალიან დაძაბავდა ისედაც რთულ ურთიერთობას, მაგრამ მეორე მხრივ, გულს მოფხანდა საქართველოს ათასობით მოქალაქეს, რომლებსაც აღარ შეუძლიათ უსუსური სახელმწიფოსა და ხელისუფლების ყურება.

...საქართველოს საჰაერო სივრცე წლეულს არანაკლებ 33-ჯერ დაირღვა უკანონოდ.

NATO — საქართველო — ორივეს თავისი ინტერესები გააჩნია

პრაღის სამიტზე საქართველოს პრეზიდენტის მიერ გამოთქმული სურვილი, საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრების შესახებ, შეიძლება უსაფრთხოების საუკეთესო გარანტად იქცეს მთელი ჩვენი ქვეყნისთვის.

თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, რომ NATO ზურგზე წამოგვიკიდებს და არ დაგვჭირდება ქვეყნის ეკონომიკური თუ სამხედრო თვალსაზრისით გაძლიერება. პირიქით, NATO-ში შესვლა, უპირველესად, უამრავი ვალდებულების

NATO-ს წარმომადგენლები საქართველოს ხშირი სტუმრები გახდნენ

აღებას ნიშნავს, რომელთა შეუსრულებლობას არავინ გვაპატიებს.

სიმართლე რომ ითქვას, NATO-ში ჩვენნაირ ქვეყანას ახლოსაც არავინ გაიკარებდა, რომ არა ერთი მთავარი არგუმენტი — NATO თავადვეა დაინტერესებული აღმოსავლეთით გაფართოებით და ამიტომ ნაწილობრივ თვალს ხუჭავს ბევრ, არც ისე წვრილმან დეტალზე. NATO-ს სამხედრო სტანდარტამდე ქართული არმია ჯერ კიდევ ძალიან შორს დგას და ერთადერთ იმედს მხოლოდ „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამის შემდგომი წარმატებითი გაგრძელება წარმოადგენს.

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრ ან წევრობის მოსურნე ქვეყანას, რა სუსტიც არ უნდა იყოს ის სამხედრო თვალსაზრისით, მეზობლები და პირველ რიგში რუსეთი, ძველებურად თავხედურად იმედია, ვეღარაფერს გაუბედავს.

NATO-ში გაწევრების სურვილი უკავშირდება ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტს, რადგან სწორედ NATO იქნება ის პირველი ფარი, რომელიც განსაზღვრავს ამ ნავთობსადენის უსაფრთხოებას.

მაგრამ NATO-ში გაწევრებას შეიძლება მოჰყვეს მისი სამხედრო ბაზების და სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტების განთავსება ჩვენს ტერიტორიაზე. ამ ბაზებიდან, არ არის გამორიცხული, განხორციელდეს საჰაერო დარტყმები რომელიმე მეზობელ ქვეყანაზე, რაც ავტომატურად საქართველოს ტერიტორიას საპასუხო დარტყმების სამიზნედ აქცევს.

ვროზნოს დანგრევიდან — მოსკოვის „ნორდ-ოსტამდე“

საერთაშორისო ტერორიზმის ტალღა საქართველოს საბედნიეროდ, ჯერჯერობით მხოლოდ ირიბად შეეხო — იმ ჩეჩნების დიდი ნაწილი, ვისაც მოსკოვი ტერორისტად მოიხსენიებდა და მათ შეფარებას პანკისის ხეობაში გვაბრალებდა მთელი წელიწადი, ან უკან, ჩეჩნეთში დაბრუნდა, ან რუსეთში გადაიგზავნა, ანდა ადგილზე გაანადგურეს.

თავის მხრივ, თუ არ ვცდებით, ამერიკულმა სპეცსამსახურებმაც იპოვეს საკბილო „ალ-ქაიდას“ 8 წევრის სახით და ისინიც პანკისიდან კუბის გუანტანამოს გზას გაუყენეს.

23 ოქტომბერს საქართველო კინაღამ ახალი ტერორისტული აქტის ეპიცენტრში აღმოჩნდა. ოღონდ არა იმიტომ, რომ მოსკოვში ჩეჩენი ტერორისტების მიერ „ნორდ-ოსტში“ აყვანილ 800-მდე მძევალში რამდენიმე ქართველიც ერია, არამედ იმის გამო, რომ რუსეთში მაშინვე გამოჩნდნენ ძალები, რომლებმაც ეს ტერორისტული აქტი პანკისის ხეობიდან გამოსულ ჩეჩნებს დაუკავშირეს.

ჩვენდა საბედნიეროდ, ამ დეზინფორმაციას არავინ მიაქცია ყურადღება, თორემ ამერიკისა არ იყოს, რომელმაც 11 სექტემბრის ტერაქტების გამო ავღანეთს ბომბების წვიმა დაუშინა, რუსეთიც „ნორდ-ოსტის“ გულისთვის პანკისის ხეობას რელეიფს შეუცვლიდა.

„ნორდ-ოსტში“ რუსეთის ხელმძღვანელობამ მიიღო ის, რაც 1994 წლიდან გროზნოსა და ჩეჩნეთში თესა. თავის დროზე „კვირის პალიტრამ“ მოინახულა დანგრეული გროზნო. ადგილობრივ მცხოვრებლებს არც დაუმალავთ შურისძიების წყურვილი — მოსკოვს დღევანდელ გროზნოს დავამსგავსებთო, რაც ჩეჩნების ნაცვლად თავად რუსეთის სპეცსამსახურებმა გააკეთეს. მათ მომწამვლელი გაზით სცადეს ტერორისტების განადგურება და მძევლების განთავისუფლება, მაგრამ საბოლოოდ, უფრო მეტი მძევალი იმსხვერპლეს, ვიდრე თავად ტერორისტებმა.

დაახლოებით ასე წარიმართა მთავარი სამხედრო-პოლიტიკური მოვლენები ჩვენს ქვეყანაში. საბედნიეროდ, ახალ ომებს გადავურჩით, თუმცა ერთი ნაბიჯიც ვერ წავდგით წინ დაკარგული ტერიტორიების დასაბრუნებლად. დაველოდოთ მომავალ, 2003 წელს და ვნახოთ, რას მოგვიტანს ცხვრის წელი, ტყუილად ხომ არ ამბობენ, ცხვარი ცხვარია, მაგრამ თუ გაცხარდა, ცხარეაო!

მოსკოვს სამხედრო ტექნიკა საქართველოდან გააქვს...

საქართველოში ორი საუკუნის განმავლობაში მყოფი რუსი სამხედროები ერთგვარ საახალწლო საჩუქარს გვიმზადებენ — თბილისიდან გაჰყავთ თავისი ერთ-ერთი ბოლო სამხედრო დანაყოფი! ქართულმა მასმედიამ ამ დანაყოფის გაყვანა რატომღაც ძალზე უმნიშვნელოდ შეაფასა, თუმცა სინამდვილე ცოტა სხვანაირია — ერთი შეხედვით ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების დაჯგუფების — ГРВЗ-ს შემადგენლობაში მყოფი 193-კაციანი სამხედრო დანაყოფი შეიძლება მართლაც არაფერს ნიშნავდეს, მაგრამ მთავარია, რა სახისაა ის. ჩვენი ინფორმაციით, იგი გახლავთ 566-ე კავშირგაბმულობის ცალკეული ბატალიონი, რომლის შეიარაღებაშია 5 ერთეული მობილური რადიოსადგური Р-145БМ და კავშირგაბმულობის სხვა სპეცტექნიკა.

კავშირგაბმულობის გარეშე კი ვერც ერთი შტაბი ვერ იმუშავებს, მით უმეტეს, ГРВЗ-ი. ამიტომაც ჩნდება ეჭვი, რომ 566-ე კავშირგაბმულობის ცალკეულ ბატალიონს (სწორედ მას, რომელიც ემსახურებოდა ГРВЗ-ს შტაბს დახურული კავშირის დასამყარებლად მოსკოვში) მალე თავად ГРВЗ-ს შტაბიც მიჰყვება მეზობელ სომხეთში.

სომხეთში ГРВЗ-ს ძირითადი ძალის გადატანა, ერთი მხრივ, მისაღებია ჩვენთვის, მაგრამ ეს ამბავი ჩვენი მეზობლისა და სტრატეგიული (ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის თვალსაზრისით) აზერბაიჯანის მკვეთრ შეშფოთებას იწვევს.

გასულ კვირას, თბილისში ოფიციალური ვიზიტით მყოფმა აზერბაიჯანის რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრმა საფარ აბიევმა, რომელსაც, სხვათა შორის, უკვე ჰქონდა ინფორმაცია რუსული სამხედრო დანაყოფების საქართველოდან სომხეთში გადანაცვლების შესახებ, უარყოფითად შეაფასა ეს ფაქტი — ყოველივე ამით სომხეთი იგებსო.

566-ე კავშირგაბმულობის ცალკეული ბატალიონი, ისევე როგორც დანარჩენი ნაწილები, შეერწყმებიან სომხეთში, გიუმრიში განთავსებულ 102-ე რუსულ სამხედრო ბაზას და არ აღმოჩნდებიან სომეხ სამხედროთა ხელში, რისიც ასე ეშინია ბაქოს. თუმცა, მეორე მხრივ, ერევანში, სომხეთის თავდაცვის სამინისტროში, ამ სტატიის ავტორს კერძო საუბარში სომხეთის არმიის ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა არც ისე ორაზროვნად უთხრა: სად წავლენ რუსი სამხედროები, თუკი რამე დაგვჭირდება, ისედაც გამოვართმევთო!

...თბილისს კი უკრაინიდან!

№102 „ახმეტა“ ერთადერთი ქართული კატარღაა, რომელიც „გრადის“ დანადგარითაა აღჭურვილი

უკრაინის პრეზიდენტის კუჩმას ოფიციალურ ვიზიტს თბილისში ერთი „ღირსშესანიშნავი“ მოვლენა უძღოდა წინ, რაც საზოგადოების ფართო მასებისთვის თითქმის უცნობი დარჩა — ბოლოს და ბოლოს, დაგვიბრუნდა ჩვენი „ახმეტა“. არა, კახეთის ახმეტა პანკისში არავის გუტაცებია, ასე ჰქვია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საზღვაო თავდაცვის ძალების საარტილერიო კატარღას, რომლის ნომერია 102.

„ახმეტა“, ისევე როგორც მისი სამი თანამომძმე — სარაკეტო ხომალდი №302 „თბილისი“, საპატრულო ხომალდი №301 „ბათუმი“ და სამეთაურო კატარღა №101, ჯერ კიდევ 2000 წლის 6 თებერვალს გაუდგნენ „შორეულ გზას“ უკრაინისკენ, ბალაკლავის გემთსარემონტო ქარხანაში კაპიტალური რემონტისთვის.

მას შემდეგ ორ წელზე მეტმა ხანმა გაიარა, მაგრამ ქართული გემების შეკეთებას საშველი არ დაადგა; თუმცა ეს დრო არათუ კატარღის, არამედ ფრეგატის სრულ რემონტსაც თამამად ეყოფოდა. დაგვიანება მარტო უკრაინული მხარის ბრალი არ არის, თბილისმა დიდი ვალები დაიდო და დროულად ვერ გადაიხადა რემონტის საფასური.

ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, ამ ოთხი ქართული სამხედრო ხომალდის და კატარღის რემონტი, ისევე როგორც ჩვენი შვიდი შვეულმფრენისა კონოტოპისა და სევასტოპოლის საავიაციო ქარხნებში, უნდა დაფინანსებულიყო შემდეგი მექანიზმით — საქართველოში დარჩენილი საავიაციო ბომბები და რაკეტები, რომელთა უმეტესობას ობიექტური მიზეზების გამო ვერ გამოვიყენებდით, გაიგზავნებოდა უკრაინაში უტილიზაციის მიზნით და მიღებული თანხებით გადავიხდიდით რემონტის ფულს.

დაუზუსტებელი ინფორმაციით, ბომბების გარკვეული პარტიები მართლაც გაიგზავნა უკრაინაში საუტილიზაციოდ, საიდანაც ნაწილს შეიძლება რომელიმე „ცხელ წერტილში“, სულაც აფრიკაში ან ბალკანეთში ამოეყო თავი პირდაპირი დანიშნულების შესასრულებლად.

სხვადასხვა მიზეზით, ეს არ მოხერხდა და ორი წლით დაგვრჩა „ქართული სამხედრო ბაზები“ უკრაინაში — საბრძოლო ტექნიკითა და მათი მომსახურე პერსონალით.

დღეისათვის ოთხი ქართული მცურავი საშუალებიდან სამი ფოთში დაბრუნდა, მეოთხე — №301 „ბათუმი“ კი კვლავ ბალაკლავაში დგას. გასარემონტებელია მისი დიზელის ძრავები, რაც დაახლოებით 250 ათასი დოლარი დაჯდება. შეიძლება ასი ათასი გვეყოს, თუკი „ბათუმში“ უბრალოდ ჩააწყობენ სამივე ძრავს, მერე ბუქსირით ფოთში ჩაიყვანენ და რემონტს იქ დაამთავრებენ.

მაგრამ რა ვუყოთ დარჩენილ ვალს? იგი, ზოგიერთი მონაცემით, 1.654.000 დოლარია, რასაც ემატება კიდევ 1.119.000 დოლარი, 150 ქართველი ოფიცრის უკრაინის სამხედრო სასწავლებლებსა და აკადემიაში მომზადების საფასური.

ისედაც გასაგებია, რომ ამ ვალის გადამხდელი თბილისში არავინაა, არადა ვკარგავთ ერთ საპატრულო კატარღას და შვიდ შვეულმფრენს, რომელთაგან სამი საბრძოლო Ми-24-ის ტიპისაა. ამგვარი მანქანები უკვე აღარ დაგვრჩა.

და ასეთ დროს „გამჭრიახმა“ თანამდებობის პირებმა საუკეთესო გამოსავალი იპოვეს — ვალში უკრაინას ორ შვეულმფრენს დავუტოვებთ. საბედნიეროდ, არა Ми-24 ტიპისას, არამედ Ми-14-ს.

ჩვენი დოსიე: *Ми-14 ფაქტობრივად ყველასათვის კარგად ნაცნობი Ми-8 შვეულმფრენის ამფიბია-ვარიანტია და შეუძლია დაჯდომა როგორც ხმელეთზე, ისე წყალზე. ისინი წყალქვეშა ნავების საძებნად და მათ ჩასაძირავად იყენენ განკუთვნილნ. ჩვენ რამდენიმე Ми-14 მერის აეროდრომზე დაგვიტოვეს რუსებმა, რომლებიც შემდეგ თელავში გადაიყვანეს.*

ქართველების ამფიბია-შვეულმფრენებით მალე ალბათ არაბი შეიხები ითევზავებენ

თელავში დისლოცირებული Ми-14-ები კახეთის ზვრებში წყალქვეშა ნავს მართლაც ვერ აღმოაჩენდნენ, ამიტომაც მათი უკრაინისთვის დათმობა თითქოს გამართლებულად მოჩანს („უკრსპეცექსპორტი“ ალბათ ამ შვეულმფრენებში კომფორტულ სალონს მოაწყობს და ვინმე „ახალ უკრაინელს“ ან არაბ შეიხს მიჰყიდის, რომელსაც პირდაპირ შვეულმფრენიდან შეეძლება თევზაობა), მაგრამ სხვა მხრივ, Ми-14 საუკეთესო საძიებო-სამაშველო საშუალებაა და ფოთის სამხედრო პორტს ნამდვილად გამოადგებოდა.

მაგრამ რა უნდა ქნა! წინასწარ გაუანგარიშებელ და უჭკუოდ მიღებულ გადაწყვეტილებებს ასეთი შედეგი მოაქვს, რისთვისაც, სამწუხაროდ, არავინ ისჯება.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ქართული ამფიბია-შვეულმფრენები თავისი „სისხლითა და ხორცით“ გამოისყიდიან უკრაინის ფინანსური ტყვეობიდან „თანამომძეებს“.

პირველად საქართველოში!

ფაუერლინ-ქლა

სრულიად ახალი სიტყვა ბუნებრივი საკვები დანამატების წარმოებაში!

მსოფლიოში ცნობილმა ინგლისურ-შვეიცარულმა კომპანია „სვისჰელსმა“ მრავალწლიანი მეცნიერული კვლევის საფუძველზე განსაკუთრებული ტექნოლოგიის გამოყენებით შექმნა დიეტური დანამატი „ფაუერლინ-ქლა“, რომელიც სრულიად ბუნებრივი და ჯანსაღი პროდუქტია და მას უნიკალური თერაპიული თვისებები აქვს: აჩერებს მკერდის, პროსტატიტისა და სხვა სიმსივნური წარმონაქმნების განვითარებას, მაქსიმალურად აძლიერებს იმუნურ სისტემას, ამცირებს „ცუდი“ ქოლესტერინის დონეს, ხელს უშლის აორტის ათეროსკლეროზისა და გულსისხლძარღვთა დაავადებების განვითარებას,აჩერებს II ტიპის დიაბეტის განვითარების პროცესს,ცხიმოვან ქსოვილს უცხიმო ქსოვილად გარდაქმნის, არ აძლევს ცხიმის უჯრედს ზრდის საშუალებას, ეხმარება ორგანიზმს ნაკლები რაოდენობის საკვებიდან მეტი ენერგიის მიღებაში, სწრაფად იწვევს მაძღრობას, ხელს უწყობს კუნთის ზრდას, ამკვრივებს სხეულს.

მსოფლიოს წამყვანი სპეციალისტები მას უმაღლეს შეფასებას აძლევენ.

„ფაუერლინ-ქლა“ არ არის ტოქსიკური დიდი დოზით მიღების შემთხვევაშიც.

იგი უაღრესად პოპულარულია მსოფლიოს ყველა ელიტარულ ქვეყანაში!

„სვისპელსი“-ს ესკლუზიური დისტრიბუტორი კომპანია „ფლორეზი“. ტელ: 99 87 37

იკითხეთ ქალაქის სააფთიაქო ბაზებსა და აფთიაქებში

სამხედრო ალეიდოსკოპი

ქართული არმია „ზამთარში ჯარისკაცებს ითვლის“

თავდაცვის სამინისტროში გაიმართა დახურული სამხედრო საბჭოს სხდომა, რომელზეც 2002 წლის შედეგები შეაჯამეს. როგორც მოსალოდნელი იყო, ქართულმა გენერალიტეტმა მართალია, აღიარა ნაკლოვანებები, მაგრამ არმიის მდგომარეობა მაინც დამაკმაყოფილებლად შეაფასა. მაგრამ რა დადებით შედეგებზე შეიძლება ლაპარაკი, როდესაც წლის ბოლოსთვის ჯარში სამხედროვალდებულთა მხოლოდ 12%-ია გაწვეული? უჯარისკაცოდ კი რა არმია იარსებებს! იმაზე წუწუნი, სახელმწიფომ 15 მლნ ლარი დააკლო თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტს დეკემბრის შუა რიცხვებისთვისო, არ არის მთავარი გასამართლებელი საბუთი, რადგან არმიას, რომლის პირადი შემადგენლობის მხოლოდ 30%-ია ზამთრისთვის დაკომპლექტებული თბილი სამოსით, წვევამდელი მართლაც რომ დაემალება.

ეროვნული გვარდია მე-12 წელს აღნიშნავს

საქართველოს ეროვნულმა გვარდიამ, როგორც პირველმა ქართულმა სამხედრო შენაერთმა, დაარსების მე-12 წლისთავი აღნიშნა. ქართველმა გვარდიელებმა ბრძოლით გაიარეს ცხინვალის მისადგომები თუ აფხაზეთი, რასაც თან ახლდა პატარ-პატარა გამარჯვებების სიხარული და მარცხის ტკივილიც. დღეს ეროვნული გვარდიის მთავარი ამოცანაა რეზერვისტთა სათანადო დონეზე მომზადება, თუმცა ეს პროცესი, სხვადასხვა მიზეზით, მძიმედ მიმდინარეობს. NATO-ში შესვლის მოსურნე საქართველოს მალე გადასაწყვეტი ექნება სამხედრო სტრუქტურების ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სტანდარტებში მოყვანის პრობლემა. NATO-ს სტანდარტი კი არ ითვალისწინებს მსგავსი საბრძოლო ამოცანების მქონე სამხედრო სტრუქტურების არსებობას. ამიტომაც მალე შესაძლოა, რეალურად დადგეს საკითხი თავდაცვის სამინისტროს ეროვნული გვარდიის დეპარტამენტისა და შსს-ს შინაგანი ჯარების მთავარი სამმართველოს შერწყმის შესახებ.

პუტინს გენერლები აუბუნტდნენ

ჩრდილო კავკასიის ოლქის უკვე ყოფილი სარდალი, გენერალ-პოლკოვნიკი გენადი ტროშევი პირველი დიდჩინოსანი სამხედრო როდია, რომელიც რუსეთის პრეზიდენტს აშკარად დაუპირისპირდა.

1994 წელს გენერალმა ვორობიოვმა პრეზიდენტ ელცინს უარი განუცხადა ეხელმძღვანელა რუსი სამხედროებისთვის ჩეჩნეთში. ერთი წლის შემდეგ მის გზას დაადგა გენერალი ლებედი, 1997 წელს გენერალი ჩეჩევატოვი, ხოლო 2000 წელს კი გენერლები კაზანცევი და შამანოვი არ შეეპუნენ რუსეთის პრეზიდენტს და არ შეასრულეს მისი ბრძანება.

რუსი გენერლების ურჩობა ერთგვარ ტრადიციად იქცა, რომელიც ძალზე სახიფათოა რუსეთისნაირი ქვეყნისთვის. სამხედრო ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ გენერალ ტროშევს გენშტაბის უფროსის კვაშნინის სახით ძლიერი ზურგი აქვს და მისი სახალხო დემარში პირველ რიგში თავდაცვის მინისტრის სერგეი ივანოვის წინააღმდეგაა მიმართული, რომელიც, თავის მხრივ, პუტინის კაცად ითვლება.

მეზობელ ქვეყნებში და მით უმეტეს რუსეთში მიმდინარე ასეთი საგანგაშო მოვლენა, რომელსაც შეიძლება „გენერალთა ბუნტი“ ეწოდოს, გამორიცხული არ არის, მტკივნეულად აისახოს ჩვენზეც. თუკი ჩრდილო კავკასიის ოლქის სარდალი თავის სამინისტროს არ ემორჩილება, როგორ გგონიათ, იგი დაიზარებს საქართველოს საზღვრისპირა სოფლების დაბომბვის სიტყვიერი ბრძანების გაცემას?!

ზოგიერთი ანალიტიკოსის აზრით, გენერალ ტროშევს არ ასვენებს პოლიტიკური ამბიციები და არც მეტი და არც ნაკლები... პრეზიდენტობა სურს, ოღონდ ჯერ რუსეთის შემადგენლობაში მყოფი ჩეჩნეთის რესპუბლიკისა. საპრეზიდენტო არჩევნები ჩეჩნეთში მალე უნდა გაიმართოს, ამიტომაც გენერალ ტროშევს სულაც არ აძლევს ხელს შორეულ ციმბირში სამხედრო ოლქის სარდლობა.

რუსული სუპერგამანადგურებელი ჩამოვარდა

19 დეკემბერს მოსკოვთან, ქ. რამენსკოედან 80 კმ-ში ავარია განიცადა რუსულმა სუპერგამანადგურებელმა Су-35-მა. პილოტმა მოასწრო კატაპულტირება და ცოცხალი გადარჩა. ეს 34-ტონიანი მანქანა ცნობილი Су-27-ის ბოლო მოდიფიკაციაა და ჯერაც გამოცდას გადიოდა. მას სხვა გამანადგურებლებთან შედარებით ყველაზე მეტი — 14 რაკეტის ზიდვა შეუძლია და საჰაერო მანევრირების განსაკუთრებული თვისებებით გამოირჩევა. „კვირის პალიტრა“ პირველი, და თუ არ ვცდებით, ერთადერთი ქართული გაზეთია, რომელმაც 1999 წელს ჟუკოვსკის აეროდრომზე დეტალურად დაათვალიერა ეს სუპერგამანადგურებელი.

ბუშმა ანტისარაკეტო „ქოლგის“ გაშლა დაიწყო

რუსეთმა გასულ კვირას საზეიმოდ აღნიშნა თავისი სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო ჯარების 43-ე წელი, რასაც, ეტყობა, არცთუ შემთხვევით დაემთხვა პრეზიდენტ ბუშის ბრძანებულება — აშშ-მა დაიწყო რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ეროვნული სისტემის შექმნა. მიუხედავად იმისა, რომ ამ სისტემის ფარგლებში მიმდინარე მე-8 გამოცდა უშედეგოდ დამთავრდა და ანტირაკეტამ ვერ ჩამოაგდო სამიზნე, უკვე მომავალი წლის ბოლოსთვის ექვს ანტისარაკეტო სისტემას პენტაგონი ალასკაზე, 4-საც კი კალიფორნიაში განათავსებს, დამატებით 20 ანტირაკეტა სამხედრო ხომალდებზე იქნება მოთავსებული. ამას დაემატება ასობით საზენიტო „პეტრიოტი“, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეშია „მიმობნეული“. ანტირაკეტების ამ არსენალით პენტაგონი, ბუნებრივია, ვერ უზრუნველყოფს ჩრდილო ამერიკის კონტინენტის სრულ უსაფრთხოებას, განსაკუთრებით კი ათასობით რუსული ბალისტიკური რაკეტებისგან. თუმცა ამერიკელებს განსაზღვრული აქვთ, ადრეული შეტყობინების ორი მძლავრი რადიოლოკაციური სადგურის აგება დიდ ბრიტანეთსა და გრენლანდიაში. ისინი დაახლოებით იმავე კლასისა იქნება, როგორიც რუსებს აზერბაიჯანში, გაბალინში უყენიათ. პენტაგონში არ გამორიცხავენ, რომ შემდგომში ამგვარი სადგურები NATO-ში გაწევრებული ბალტიისპირეთის ქვეყნების ტერიტორიებზეც აიგოს, რაც კიდევ ერთხელ მიანიშნებს შემდეგს — NATO და პირველ რიგში აშშ, დაინტერესებულნი არიან ამ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის აღმოსავლეთში გაფართოებით, რაც მათ ახალ ტერიტორიებს და სივრცეებს მოუპოვებს მორიგი სტრატეგიული ამოცანების განსახორციელებლად.

რუბრიკა მოამზადა
ირაკლი ალადაშვილმა

ძვირფასო ბავშვებო და ყურადღებიანო მშობლებო!

„კვირის პალიტრამ" საჩუქრად მოგიმზადათ საახალწლო ნაძვის ხის სათამაშო – „მაკნატუნა". მაკნატუნა ხომ ზღაპრის მამაკაცი გმირია, რომელიც შორის ლაშქს აჩუქეს მშობლებმა პატარა მარის. გოგონას სათამაშოებს ლამაზი–მობით სძინავდა ვირთხები ეშაქრებოდნენ და ზოგჯერ კანფეტებსაც სძალავდნენ მას. მაგრამ გულადმა მაკნატუნამ უთანასწორო ბრძოლაში დაამარცხა ვირთხების მეფე და გოგონას ბედნიერება მოჰგვარა. როგორ? ამას დანვრილებით ზღაპარ „მაკნატუნადან" შეიტყობთ, რომელსაც „კვირის პალიტრის" „ზღაპრების სახლი" გთავაზობთ („კვირის პალიტრამ" უკვე 10–ზე მეტი ნიგნი–ზღაპარი გამოსცა). ასე რომ, მაკნატუნა მსოფლიოს უამრავი ბავშვის უსაყვარლესი და უმამაცესი გმირია. ეს სათამაშო კი თქვენივე ხელით შეგიძლიათ დაამზადოთ, მორთოთ ნაძვის ხე და ისევე როგორც ზღაპარში, ერთგულ მეგობრად იგულოთ. მაშ ასე, დავიწყოთ:

ინსტრუქცია თქვენი „მაკნატუნას" ასაწყობად

1. უპირველეს ყოვლისა, არ იჩქაროთ, მაკრატლით დინჯად მიჰყევით ნახატის გარე კონტურებს და გულმოდგინედ გამოჭერით ყოველი დეტალი.

2. მოიმარჯვეთ სახაზავი და კარგად გათლილი ფანქარი, რომელსაც მხოლოდ(!) წყვეტილ ხაზებზე გაატარებთ. აღნიშნული მოქმედება აუცილებელი არ არის, თუმცა, საგრძნობლად გაგიადვილებთ ზუსტ გადაკეცვას.

3. წებო (თუნდაც ე.წ. „მშრალი — წებოფანქარი") წაუსვით მხოლოდ თეთრ ადგილას და ისრებით ნაჩვენები მიმართულებით დააწებეთ. თუმცა, ამას თავადაც მიხვდებით.



4. სათამაშოს კეთებისას მთავარია, ზუსტად გაითვალისწინოთ ჩვენი რჩევები და არ დაგავიწყდეთ, რომ მაკნატუნას ორივე მხარი კარგად უნდა დააწებოთ.

5. ხელების დამაგრებისას არ აგერიოთ მიმართულება — ცერი უნდა იყოს წინა მხარეს.



6. ამჯერად შეაწებეთ თავის მხოლოდ აღნიშნული ადგილი და, ჯერჯეროობით, ნუ შეეხებით ქუდს.

7. ახლა კი თავის დამაგრების დროც დადგა, ჩამოაცვით ტანს და ფრთხილად დაახმარეთ თითი ქუდის შიგნიდან.

8. დააწებეთ ქუდის და ჩექმების ბოლოები ერთმანეთს ზუსტად, ხოლო ხმლის დამაგრებისას ყურადღება მიაქციეთ მასზე გაკეთებულ ნიშნულს, ის სარტყელთან გამოსახულ რგოლს უნდა ესადაგებოდეს.

9. მოიმარჯვეთ ნემსი და ძაფი. ყურადღება მიაქციეთ ქუდის უკანა მხარეს გამოსახულ წერტილს და ზუსტად იქ გაუყარეთ.

ადვილად მოახერხეთ? მაშინ განასკვეთ ძაფი და ქუდს წინიდან ბუმბულიანი „კოკორდაც" დაამაგრეთ.

დიდებო და პატარებო! „კვირის პალიტრა" კიდევ ერთხელ გისურვებთ ბედნიერ შობა–ახალ წელს!

„ნიკორას" წარმატებას ხარისხი განსაზღვრავს

„ცხელი ხაზი" 69 11 80

ქართველი მომხმარებელი ადგილობრივი პროდუქციის მრავალფეროვნებით განებივრებული ნამდვილად არ არის, ამიტომ ჩვენს ბაზარზე გამოჩენილი ყოველი ახალი პროდუქტი და მისი მწარმოებელი სწრაფად ექცევა საზოგადოების ყურადღების ცენტრში. ასე მოხდა, როცა რამდენიმე წლის წინ გაყიდვაში გამოვიდა კომპანია „ნიკორას" მიერ წარმოებული ხორცის პროდუქტები. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ იმ არაჯანსაღი კონკურენციის პირობებში, რაც დღეს საქართველოშია, ფალსიფიკაციისა და კონტრაბანდის არნახულ მასშტაბებს ვგულისხმობ, „ნიკორას" პროდუქციამ ხორცის ბაზარზე ერთ-ერთი წამყვანი ადგილი დაიკავა. ფირმის ხელმძღვანელების აზრით, ეს გამოიწვია იმან, რომ ისინი პროდუქციის ხარისხს პირველ ადგილზე აყენებენ, გვირჩევნია წავიდეთ მეტ დანახარჯებზე და ჩვენი ნაწარმი იყოს საუკეთესო ვიდრე გავაკეთოთ ეკონომია და ვაწარმოოთ არაფრით გამორჩეული საქონელი – აცხადებენ ისინი. „ნიკორას" ხელმძღვანელობა არც ფალსიფიკაციის წინააღმდეგ საბრძოლველად ერიდება დანახარჯების გაზრდას, კომპანიის სპეციალიზებულ მაღაზიათა ფართო ქსელში და იმ წერტილებში, სადაც „ნიკორას" ნაწარმი იყიდება, პროდუქციის ხარისხის შემოწმება დაიწყეს ფირმის მობილურმა ჯგუფებმა, რომლებიც აღჭურვილნი არიან ამ პროცედურის გასატარებლად საჭირო ხელსაწყოებით, ამ შემოწმებების შემდეგ მაქსიმალურად გამოირიცხება ხორცის პროდუქტებში სალმონელოზის, ნაწლავის ჩხირის, სტაფილოკოკების და სხვა მძიმე დაავადებების მატარებელი ბაქტერიების არსებობა. კომპანიის მესვეურებმა ჩვენთან საუბარში ისიც აღნიშნეს, რომ ხშირად ისინი თავად დაჭყვებიან ამ ჯგუფებს და ადგილზე ახორციელებენ კონტროლს, თუ რამდენადაა დაცული პროდუქციის შენახვისა და რეალიზაციის პირობები. მათივე განცხადებით ეს არის დამატებითი ღონისძიება, რადგან ხორციც და მისგან დამზადებული პროდუქტიც წინასწარ შემოწმებას ყოველთვის გადის გერმანულ ძვირად ღირებულ ლაბორატორიაში. გარდა ამისა, „ნიკორას" ოფისში უკვე ამუშავდა „ცხელი ხაზი" რომლის ტელეფონის ნომერია 69-11-80. ამ ნომერზე ნებისმიერ მომხმარებელს შეუძლია უშუალოდ კომპანიას მიაწოდოს ინფორმაცია მათ პროდუქციასთან მიმართებაში აღმოჩენილი დარღვევის შესახებ, რათა უშუალოდ „ნიკორას" ხელმძღვანელობამ მიიღოს შესაბამისი ზომები მომხმარებლის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად. ამ მომსახურების ამოქმედებით ფირმა ცდილობს მინიმუმამდე დაიყვანოს იმ გაურკვევლობების არსებობა, რომელიც შეიძლება წარმოიშვას მომხმარებლისა და მწარმოებლის უშუალო კონტაქტის არარსებობის პირობებში.



აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ „ნიკორას" ნაწარმში გამოყენებულია როგორც ადგილობრივი წარმოების ხორცი, ასევე გერმანიიდან იმპორტირებული ღორისა და არგენტინიდან შემოტანილი საქონლის ხორცი. იმპორტირებული ხორცის სავალდებულო სტანდარტებს კი სოფლის მეურნეობის სამინისტრო ადგენს.

„ნიკორას" ხელმძღვანელების თქმით, ქართულ ბაზარზე მათი მოღვაწეობის პერიოდში, კომპანიას სტაბილურად ამოწმებენ სხვადასხვა მაკონტროლებელი სტრუქტურები და მათი მხრიდან ამ ხნის განმავლობაში არც ერთი პრეტენზია არ გამოთქმულა ნაწარმის ხარისხთან დაკავშირებით, მაგრამ ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებების გატარება მათ აუცილებლად მიაჩნიათ, რათა მათი მომსახურების ხარისხი გახდეს უფრო უკეთესი, ვიდრე იყო გუშინ. მოკლედ, „ნიკორა" ფალსიფიკაციასთან ბრძოლის ახალ ეტაპს იწყებს და ამ ბრძოლაში საზოგადოების მხარდაჭერას საჭიროებს.

R

ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო!
კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.

ჰეფლრები გენიოლობენ

***

პატარა ნიკუშა გრძელიშვილს მამას მაღვიძარა ჰქონდა დაყენებული და წკრიალი რომ დაიწყო, ნიკუშა იძახის:

— მამიკო, შენი საათი წკმუტუნებს!

***

5 წლის ოთიკო გოჩაშვილი დედას ეძახის:

— დედიკო, მოდი რა, კარადის თავიდან სათამაშო ჩამომიღე.

— ვერა, შვილო, ვერ მოვალ, არ მცალია.

— აბა რა ვქნა, კარადა მოვიტანო შენთან?

***

5 წლის ლუკა ხულელიძე ძაღლზე ოცნებობს. იგი თავის მეზობელს, 6 წლის გიორგი სანაშვილს ეუბნება:

— მე უნდა მოვიყვანო კულტურული, პასპორტიანი ძაღლი!

— მე ცოლშვილიანი ძაღლი უნდა მოვიყვანო, — არ ჩამორჩა გიორგი.

***

2 წლის შოთიკოს ძალიან მოეწონა გადათეთრებული ქუჩა და დედას ჰკითხა, — ეს რა არისო. დედამ უპასუხა, — თოვლი მოვიდაო... რამდენიმე წუთის შემდეგ შოთიკოს დაავიწყდა თოვლის სახელი და კითხვა გაუმეორა დედას:

— რა მოდის?

— თოვლი, — იყო პასუხი.

— სად მიდის?

IV ანა, გამოიცანი

1. ვინ იყო თამარ მეფე დავით აღმაშენებლისთვის?
ა) დედა; ბ) შვილი; გ) ბიძაშვილი; დ) შვილიშვილი.

2. რომელია ინდოელი ქალების ეროვნული სამოსი?
ა) კიმონო; ბ) სარი; გ) ტოგა; დ) ტუნიკა.

3. რომელი მათგანი არ არის რუსი პოეტი?
ა) პუშკინი; ბ) ბლოკი; გ) ბაირონი; დ) ესენინი.

4. ამათგან, რომელი არ არის ანდერსენის ზღაპარი?
ა) „თოვლის დედოფალი“; ბ) „ჭკვიანი ჰანსი“, გ) „მახინჯი იხვის ჭუკი“, დ) „გარეული გედები“.

5. რომელია ჯუჯა სახელმწიფო ევროპაში?
ა) შვეიცარია; ბ) ბელგია; გ) მონაკო; დ) სლოვაკია.

6. რა ეწოდება ადამიანს, რომელიც მხოლოდ თავის თავზე ფიქრობს, ყველაფერი თავისთვის უნდა?
ა) ფილანთროპი, ბ) მიზანთროპი; გ) მანიაკი; დ) ეგოისტი.

OთOმე 11 განსხვავება



შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელი ფერის ჰორიზონტალურ რიგში მიიღებ იმ ცხოველის სახელს, რომლის წელიც მოდის.

ახლა, ოჯახ ოჯახ ზოლჯანაც ცვლოკანი ეთჭოვება: მისაწებებელი ზღაპრის გმირები

გამოვიდა!

„მელია და მწყერჩიტა“,
„ქალთევზა“,
„ნაცარქექია“,
„მძინარე მზეთუნახავი“,
„კომბლე“,
„ირმისა“
„ჩიპოლინო“
„წითელქუდა“

ერთი წიგნი-ზღაპარი
1 ლარი და 20 თეთრი ღირს

„კვირის პალიტრა“ გთავაზობთ საუკეთესო ქართულ და უცხოურ ზღაპრებს, ფერადი ილუსტრაციებითა და გასაფერადებლებით
ზღაპრების შეძენა შეგიძლიათ წიგნების მაღაზიებსა და პრესის გავრცელების ჯიხურებში

მალე გამოვა:
„ხუთკუნჭულა“
„მაკნატენა“
„თოვლის დედოფალი“

I

რამდენ კურდღელს ხედავს პატარა ინდიელი კვამლში?



II

მიიყვანე გოჭები სახლთან ისე, რომ მგელმა არ შეჭამოს



V

წაიკითხე ისრის მიმართულებით და გამოიცანი, რა წერია

იპოვე ორი ერთნაირი ბურთი

III რებუსი



ჯიჯვოხდი

| | | |

ნეტარ ალიხანოვ

ნეტარ სახელები

წლის პალიტრა 23 – 29 დეკემბერი, 2002

რაზომ უმღერის ნაზო გელაშვილი ღვინოს და ქალებს

ვერ იტყვი, რომ მის სიმღერებში სევდისფერი ტონები სჭარბობს, თუმცა წიგნად გამოცემულ პირველ კრებულს „სევდისფერი ქალი“ დაარქვა... მუდმივად უმღერის თბილისს — თუმცა ბორჯომში დაიბადა და გაიზარდა. ტექსტებში, რომლებსაც საკუთარი მელოდიებისთვის თვითონვე ქმნის, ხშირად შეეხვდებით სუფრისა და სასმლის თემას, თუმცა სასმელს არასდროს მიჰკარებია. პირდაპირ ეთერში პირველად 17 წლის ასაკში წარდგა მაყურებლის წინაშე. სტუდიაში ზარი არ წყდებოდა — არ იჯერებდნენ, რომ ეს პატარა გოგო გახლდათ იმ სიმღერების ავტორი, რომლებიც კაცის დაწერილი ეგონათ... „ეშხიანი ქალებით“ მე დავეხმარე კაცებს — აი, ასე უნდა გვიმღერონ, შეგვამკონ და ასეთი სიტყვები უნდა გვითხრან ხოლმე, — განაცხადა ერთხელ...

ნატო გელაშვილს საკუთარი განცდებისა და ემოციების სხვებისთვის თავზე მოხვევა არ ეხერხება და არც აქვს ამის სურვილი — მისი სიმღერები თავისთავად ზემოქმედებს მსმენელზე. ვიღაცებმა რამდენიმე მათგანის ავტორობა დაიბრალეს, ზოგიერთი კი ხალხურად გამოაცხადეს. ზრდის ორ შესანიშნავ ბიჭს და საყვარელ საქმეს ემსახურება... მის პაწაწინა ბინაში როიალი სულ ახდილია...

— სიმღერების წერა სულ პატარას დაგიწყიათ...

— პირველი სიმღერა 7-8 წლისამ დავწერე თოვლზე, რომელიც, სამწუხაროდ, აღარ მახსოვს... მეორე, შედარებით სერიოზული მელოდია თორმეტი წლისამ შევქმენი სკოლაზე — „ზარები გუგუნებენ“ — ასე ერქვა. ამავე ასაკში დავწერე „თეთრი მაისი“, რომელიც ჩემი წიგნის პრეზენტაციაზე იმღერა ჩემმა მოსწავლემ — ელენე კალანდაძემ.

— ვინ გაღიარათ, როგორც კომპოზიტორი — ვინ გიწინასწარმეტყველათ წარმატება?

— ეს იყო რობაქიძეების ოჯახი, სადაც ყველა მღეროდა, ყველას უყვარდა მუსიკა... მაშინ სკოლაში ვსწავლობდი და სამედიცინო ინსტიტუტში ჩასაბარებლად ვემზადებოდი. ამ ოჯახის უფროსმა, ბატონმა ჯემალმა სინანულით აღნიშნა — ნატოსგან კარგი კომპოზიტორი დადგებოდა და გული მწყდება, რომ სხვა გზა აირჩიაო... შემდეგ ბევრმა შემაქო.. რუსთაველის საზოგადოების კულტურის სახლში „გულანშარო“ ჩემი შემოქმედებითი საღამო ჩატარდა და ბატონმა ვაჟა აზარაშვილმა სიმღერაზე „ყვავილების დედოფალა“, თქვა — ამ სიმღერით ნატომ ქართული ესტრადის ახალი ეტაპი დაიწყოო. მაშინ 16 წლის ვიყავი.

— როგორც ვიცი, მაშინ გოგოების სექსტეტი გყავდათ...

— სკოლაში კვარტეტი მყავდა, მუსიკალურ ტექნიკუმში სწავლის დროს — სექსტეტი „გავროში“, რომელიც შემდეგ დაიშალა — მის წევრებს დღემდე ძალიან გვიყვარს და გვენატრება ერთმანეთი.

— ნატო, კრებულში შევიდა თქვენი სიმღერები და ლექსები, რომლებიც ჯერ არ ამღერებულა...

— ეს ლექსები არც ამღერდება — მე მელოდიას და ტექსტს ერთდროულად ვქმნი, თუ მარტო ლექსი დავწერე, მერე ხელს აღარ ვკიდებ.

— სხვამ რომ აამღეროს?

— ძალიან გამიხარდება — მაშინ ახალ ამპლუაში აღმოვჩნდები — სხვისი სიმღერის ტექსტის ავტორად...

— ეჭიმობის სურვილს ისევ მუსიკამ სძლია...

— ასე მოხდა. ჯერ მუსიკალურ ტექნიკუმში ჩავაბარე, შემდეგ კონსერვატორიაში — ამ დროს ჩატარდა ბათუმის ფესტივალი და უამრავმა მსმენელმა და მომღერალმა მაღიარა, როგორც კომპოზიტორი. ბათუმიდან გრან-პრი ჩამოვიტანე. უბედნიერესი ვიყავი... მალე ჩემი შემოქმედებით ბევრი მომღერალი დაინტერესდა.

— ბათუმის ფესტივალის შემდეგ თუ გთხოვათ ვინმემ სიმღერა?

— ბათუმამდე ჩემს სიმღერებს ტრიო „სიმი“ ასრულებდა. შემდეგ კი პირველმა თემურ თათარაშვილმა დამირეკა — მეც „ეშხიანი ქალები“ ვაჩუქე, რომელიც სწრაფად იქცა ჰიტად. მერე სხვებიც დაინტერესდნენ და ჩემი მელოდიები სარეველა ბალახივით მოედო ქალაქს.

— თვითონ სცენაზე გამოსვლა მოგვიანებით გადაწყვიტეთ...

— ნეკა სებისკვერაძემ გადამაწყვეტინა — მთხოვა მასთან ერთად შემესრულებინა „დედაშვილობა“ — მაშინ პირველ შვილს ველოდი — უარი ვერ ვუთხარი და სიმღერა ჩავწერეთ. მეორე სიმღერა — „ჩემო ცისფერთვალება“ — გიო ხუციშვილთან ერთად შევასრულე და გადავიღეთ... მაშინ დავრწმუნდი, რომ ხანდახან კომპოზიტორმაც უნდა იმღეროს, რათა დარჩეს ავტორისეული ჩანაწერი...

— როგორც ვიცი, გყავთ გამორჩეულად საყვარელი მომღერლები, რომელთაც თქვენი სიმღერების უმეტესობას ანდობთ...

— ასეთები არიან გიო ხუციშვილი, ტრიო „თბილისი“, ტრიო „სიმი“... მათ უხდებათ ქალაქური სტილი. სხვა ჟანრის სიმღერები მომღერლებს უნაწილდება.

— თქვენს სიმღერებში ღვინისა და ქალის თემატიკა სჭარბობს.

— მიყვარს სუფრა, სადაც კარგად მღერიან. მირჩევნია იქ არაპროფესიონალებს მოვუსმინო. წვეთი არასდროს დამილევია, მაგრამ მიყვარს ნასვამ ხალხზე დაკვირვება. ამიტომ მომინდა მათ ნაცვლად მეთქვა სათქმელი და ასე გაჩნდა ჩემი ქალაქური სიმღერები. ისეთი ტექსტები გამომდის, რომ კაცის სამღერია...

— სხვა კომპოზიტორების სიმღერები თუ შეგისრულებიათ ოდესმე?

— სცენაზე არა. არც ვაპირებ, რადგან მომღერლობაზე არ მაქვს პრეტენზია — მე მხოლოდ ავტორ-შემსრულებელი ვარ.

— ამბობენ, რომ ბევრი პროფესიონალი ვერ მღერის სუფრაზე...

— ასეა, სცენა სხვა აკადემიაა, სუფრა — სხვა...

— თუ დასახელებთ მომღერალს, რომელიც ორივეგან „მაგარია“?

— ასეთი იყო გოგი დოლიძე.

— რომელიმე თქვენს სიმღერას ასრულებდა გოგი?

— უნდა შეესრულებინა „გიტარა“, მაგრამ ვეღარ მოასწრო. შემდეგ ეს სიმღერა თემურ თათარაშვილმა იმღერა და მივუძღვენით გოგის ხსოვნას.

— როგორ ფიქრობთ, მართლაც სევდისფერი ხართ?

— ჩემს ხასიათში უფრო მეტია სევდა, ვიდრე მხიარულება. მიყვარს განმარტოება, საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტვა, მაღიზიანებს ბევრი ხალხი. მინდა, რომ ჩემს ფიქრებთან, სიხარულსა და ტკივილთან ვიყო მარტო. არ მხიბლავს გრძნობების აფიშირება.

— თქვენი ბიჭები თუ მღერიან?

— გიორგიც მღერის და ლუკაც. ჩემს კონცერტში უნდა მიეღოთ მონაწილეობა, მაგრამ ლუკას სიცხემ აუწია და უფროსი ძმაც, სოლიდარობის ნიშნად, მასთან დარჩა...

— თქვენ ხართ მათი პედაგოგი?

— საერთოდ არ ვამეცადინებ — უბრალოდ, ჩემს სახლში სიმღერა გამუდმებით ისმის — მყავს მოსწავლეები, მოდიან ჩემი მეგობრები, მღერიან... სიმღერის სწავლა არ შეიძლება — ჰანგი უნდა გაგიჯდეს ძვალსა და რბილში, როგორც მე გამიჯდა ოჯახის წევრებისგან. ერთ მშვენიერ დღეს უეცრად აღმოვაჩინე, რომ ჩემმა ბიჭებმა თითქმის ყველა სიმღერა იციან.

— ბევრი თქვენი სიმღერა ხალხური ჰგონიათ, ბევრის ავტორობასაც სხვა იჩემებდა...

— გასახარია, რომ მოსწონთ და უყვართ... ერთხელ ჩემს სიმღერაზე „არემარე მოქარგულა“ ფილარმონიაში ავტორად სხვისი სახელი და გვარი გამოაცხადეს — მაშინ სტუდენტი ვიყავი. ავედი კულისებში და ის გოგო კინაღამ დაიწვა სირცხვილით... ბედნიერია ყველა შემოქმედი, რომლის სიმღერებიც ხალხურად ვრცელდება, რადგან შეიძლება წლების შემდეგ ჩემი სახელი და გვარი ვერ გაიხსენონ, მაგრამ სიმღერები უყვარდეთ და ახსოვდეთ...

ეკა მახარაშვილი

წელს როგორი კუდი გამოუჩნდება ფარშავანგს?

გახსოვთ ალბათ შარშანდელი წლის ბოლოს საახალწლო პროგრამებს ქართული ტელეარხები რა პომპეზურ რეკლამას უწევდნენ. ისიც გემახსოვრებათ, როგორ გაგვიცრუვდა იმედი. ცხადია, ამ ახალ წელსაც ვერ ავარიდებთ თვალს ცისფერ ეკრანს, თუმცა ახალი პროგრამების ხარისხი და მომზადების დონე შესაძლოა, მერე გაკილვის საგნად იქცეს.

ისევ დიდი მზადებაა. აქამდე გულხელდაკრეფილი კინორეჟისორები, ტელეკომპანიების დაკვეთით, საახალწლო ფილმებს იღებენ და როგორც ბევრი მათგანი ამბობს, ამით ბავშვობის ოცნებას ისრულებს — თუმცა არ აზუსტებენ, მაგრამ... შესაძლოა, საახალწლოდ ეკრანზე „ნაცარქექიას“, „ხუთკუნჭულას“, „კომბლეს“ ან თუნდაც „სამი გოჭის“ ინტერპრეტაციებს ვიხილავთ... არ ვიცი სხვა რის გადაღებაზე უნდა ეოცნებათ ჩვენს რეჟისორებს...

სულ ცოტაც და, ვნახავთ, როგორი კუდი გამოუჩნდება ფარშავანგს. მანამდე კი გთავაზობთ ინტერვიუს რეჟისორ **გოგი ქავთარაძესთან**, რომელიც გარდა იმისა, რომ საახალწლო პროგრამაზე მუშაობს, საგანგებოდ ემზადება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმინდესისა და უნეტარესის ილია -ის აღსაყდრების 25 წლისთავისათვის. ყოველივე ამის შესახებ ის თავად მოგახსენებთ.

მეუღლესთან ერთად

— ცხადია, ადამიანს საზოგადოებისა თუ ცალკეულ პიროვნებისგან პატივი ყოველთვის სიამოვნებს, მაგრამ საპატრიარქოს ჩემდამი დამოკიდებულება ძალიან მნიშვნელოვანი და ამაღელვებელია. მოგეხსენებათ, 25 დეკემბერს სრულიად საქართველოს პატრიარქის აღსაყდრების საიუბილეო თარიღი სრულდება და ქართული ეკლესია დიდ სამზადისშია. ჯერ კიდევ მშენებარე წმინდა სამების ტაძარში გაიმართება საზეიმო წირვა-ლოცვა, რისი დასრულების შემდეგაც ჩემი ხელმძღვანელობით შესრულდება ამ სიტუაციის შესაფერისი საკონცერტო პროგრამა. უკვე კეთდება სცენა ტაძრის ეზოში, სადაც მომღერლებთან და მოცეკვავეებთან ერთად ლექსებს წაიკითხავენ გურამ საღარაძე, ზინაიდა კვერენჩხილაძე, ოთარ მეღვინეთუხუცესი და სხვები.

— თქვენ თურმე საახალწლო ფილმსაც იღებთ, „ქეთო და კოტეს“ ვარიანტს...

— ვმუშაობ სამსაათიან საახალწლო ფილმ-მასკარადზე. „ქეთო და კოტეს“ მსგავსად, მთელი სამი საათის განმავლობაში 30 დარბაზში ვიმოგზაურებთ, 30 კარს შევაღებთ და ქართული კულტურის, ხელოვნებისა და სხვა სფეროებში მიღწეულ წარმატებებს კიდევ ერთხელ გადავავლებთ თვალს. „მაკარის“ როლს მე ვითამაშებ და მაყურებელს შევუძღვები თითოეულ დარბაზში.

— უკვე წარმოდგენილი მაქვს, ვინ გეყოლებათ მასკარადზე მოწვეული. რაღაცნაირ კარუსელს ბგავს საახალწლოდ სხვადასხვა ტელეარხის ეთერში ერთი და იმავე ხალხის გამოჩენა.

— ახალ წელს ეს ჩვეულებრივი მოვლენაა. მთავარია, როგორ, რა სახით წარუდგენ შოუს მაყურებელს.

— თქვენ ძალიან სახიფათო სიტყვა ახსენეთ. შოუ საქართველოში ლამის სიცრუისა და გაიძვერობის სიმბოლოდ იქცეს ბრიტანელი ნამძევლარის გამო. ბატონო გოგი, გავიგე, რუსთავის თეატრში ახალ სპექტაკლს დგამსო — იბსენის პიესას „ბრძოლა ხელისუფლებისათვის“. მაინცდამაინც ეს ნაწარმოები რატომ შეარჩიეთ. ჩვენში არსებული სიტუაციის გამოძახილია, თუ უბრალოდ, ხელოვანის სურვილი?

— ერთიც და მეორეც. უფრო კი ქვეყნის მდგომარეობამ შთამაგონა ამ პიესის დადგმა. ცუდია, როცა მესამე ათასწლეულის გარიჟრაჟზე კვლავ სახელმწიფოებრივი ძლიერების პრობლემებზე გვიწევს ლაპარაკი და ვერა და ვერ ვახერხებთ, ახალ წელს გაწონასწორებულნი, მშვიდნი, იმედითა და ხალისით სავსენი შევხვდეთ. იბსენის პიესაში აღწერილია დრო, როცა მეფე მოჰოჰოჰისანმა დავით აღმაშენებელივით გააერთიანა ნორვეგია და იმ დღიდან დაიწყო ქვეყნის აღმავლობა. ამჟამად იგი, მოსახლეობის კეთილდღეობის მხრივ, ერთ-ერთი პირველია მსოფლიოში. იმედი მაქვს, საქართველოსაც ეღირსება კეთილდღეობა.

— პიესაში ქვეყნის ხელისუფალის პრობლემაა დასმული, რაც ჩვენთვისაც მეტად აქტუალურია...

— იბსენის პიესაში ლაპარაკია ქვეყნის პატრონობაზე და კარგად არის ახსნილი, რომ ყველას არ აქვს ქვეყნის მართვის უფლება. კაცს ღმერთმა უნდა დააკისროს ერის გადამრჩენის მისია.

— სპექტაკლის პრემიერა როდის გექნებათ?

— მიუხედავად ფინანსური და უამრავი სხვა პრობლემისა, ძალიან გვინდა 27 მარტისთვის შედგეს პრემიერა. 27 მარტი თეატრის საერთაშორისო დღეა. მოველაპარაკეთ სომხეთის სახელმწიფო თეატრს — ამ საზეიმო დღეს ერთად აღვნიშნავთ, რაც იმას ნიშნავს, რომ სპექტაკლის პრემიერა შედგება საზღვარგარეთ, ერევანში.

— თქვენ, როგორც მსახიობი და რეჟისორი, სახელმწიფო პრემიაზე ხართ წარდგენილი. დღეს ხელისუფლების მიმართ პროტესტის ნიშნად ზოგიერთი უარს ამბობს ჯილდოზე. თქვენც იმ რადიკალურ ოპოზიციას ხომ არ მიეკუთვნებით?

— არა. როცა ჩემი შემოქმედების შეფასება ხდება. როგორ შეიძლება უარი ვთქვა ჯილდოზე?

ეკა ლომიძე

როგორ დაუკავშირდა ხათუნა იოსელიანი ნარკომაფიას, აჩი მეფარიძე კი – კრიმინალურ სამყაროს...

ზურა ყიფშიძე და ზაზა ხალვაში

ზაზა ხალვაშს კინოსტუდიის შენობაში მრავალი წელი აქვს გატარებული — სწორედ აქ შეიქმნა მისი არაერთხელ დაჯილდოებული ფილმები — „იქ, ჩვენთან“, „მიზერერე“... ამჯერადაც აქ მუშაობს, ოღონდ ცოტა განსხვავებულ — ტელესერიალის რეჟისორის ამპლუაში. ტელეკომპანია, რომელიც მაუწყებლობას, სავარაუდოდ, თებერვლის დასაწყისში დაიწყებს და სხვა საინტერესო გადაცემებთან ერთად ზაზას სერიალსაც შემოგთავაზებს კინოსტუდიის მოზრდილ ტერიტორიაზეა განლაგებული — სარემონტო სამუშაოები დასასრულს უახლოვდება... შენობაში შესვლისთანავე ერთბაშად სევდაც მოგეძალებათ და სიხარულიც... სიხარული იმიტომ, რომ თანდათან ისევ ცოცხლდება მიჩუმებული დერეფნები, ისევ საქმიანად შედი-გამოდიან ოთახიდან ოთახში... სევდა კი იმიტომ, რომ აქ ფილმებს აღარ იღებენ — აქ ტელეპროდუქციას ქმნიან...

სერიალი, რომელსაც **ზაზა ხალვაში** *გადაიღებს, ძალიან საინტერესო და დღეს ჩვენთვის საკმაოდ აქტუალურ თემას ეხება — „მზირი“ (ასე ჰქვია ფილმს) საზღვარსა და მესაზღვრეების ცხოვრებაზეა.*

— „მიზერერეს“ შემდეგ ვეღარაფერი გავაკეთე, მხოლოდ პედაგოგიურ მოღვაწეობას ვეწეოდი — საოცარი სევდა დამეუფლა, კინოს გადაღების დიდი სურვილი მქონდა, მაგრამ უსახსრობის გამო ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. ამ ზაფხულს მშობლიურ აჭარას მივაშურე — გადავწყვიტე, ცოტა დამესვენა, კინოზე ფიქრი თავიდან ამომეგდო...

(გაგრძელება იხ. გვ. 19)

სად დაიკარგა პოპულარული ტელეწამყვანი

მართლა აპირებს თუ არა გრანდიოზული ქორწილის გადახდას 14 იანვარს, დაკარგა თუ არა ხმა და ა.შ. ჭორებით გაბეზრებული **ინგა გრიგოლია** ჩემი რესპონდენტია და სიამოვნებით გვესაუბრება სხვადასხვა თემაზე.

— მახსოვს ჭორების მიმართ საკმაოდ გულგრილი იყავი, რამ გამოიწვია შენი ასეთი მგრძნობიარობა?

— ჭორიც არის და ჭორიც. ისეთ სისულელეებს ვიგებ, გული მიწუხს, — არც ვთხოვდები, არც ხმა დამიკარგავს და არც სხვა რამ მაწუხებს. ჯანდაბას, იჭორაონ. მაგრამ იცი, რა მაოცებს? რომ ვაკვირდები, ვამჩნევ, ბოლო დროს საზოგადოებას თითქოს მოთხოვნილებად ექცა უსიამოვნო ამბების გაგება.

— მსმენელი, მაყურებელი და მკითხველი მხოლოდ ნეგატიურ ინფორმაციას ხომ არ მივაჩვიეთ?

— სოციოლოგიური გამოკითხვების თანახმად, საზოგადოებას სკანდალური, სენსაციური, მყვირალა თემები უფრო აინტერესებდა, მაგრამ ალბათ აჯობებდა, ჟურნალისტებს მსმენელ-მკითხველისთვის უმეტესად დადებითი შინაარსის ინფორმაცია მიგვეწოდებინა. ეს საზოგადოების ფსიქოლოგიაზე უეჭველად მოახდენდა ზეგავლენას. თუმცა ისიც საეჭვოა, უამრავი სოციალური პრობლემით გაბეზრებული მოსახლეობა უწყინარი თემებით შეიქციო და გააბრუო.

— ხომ შეიძლება პოზიტიური თუ ნეგატიური ინფორმაცია ან თემა ისე მივაწოდოთ საზოგადოებას, რომ უკურეაქცია არ გამოიწვიოს?

— რა თქმა უნდა, შეიძლება. ახლა ბევრი დრო მაქვს რაღაცებზე დასაფიქრებლად და გასაანალიზებლად. ხალხს მართლაც ძალიან უჭირს, ამ შემთხვევაში სულიერ შეჭირვებას ვგულისხმობ. დღის განმავლობაში უამრავ ნეგატიურ ინფორმაციას ვიღებ მათგან და ეს საოცრად მთრგუნავს.

ვაღიარებ, რომ რასაც წინათ ვაკეთებდი, აღარ მაინტერესებს, დავაფიქსირე, რომ ხალხი უმეტესად გასართობ გადაცემებს ეტანება. ამ ეტაპზე მაყურებელს სხვა რამ იტაცებს და ამიტომ მეც სხვა ტიპის გადაცემის გაკეთება მინდა, ისეთის, რომელშიც ორი მხარე კი არ შეეჯახება და დაჭამს ერთმანეთს, არამედ ახსნის: რა არის ამა თუ იმ პრობლემის მიზეზი, ყველაფერს თავის სახელს დავარქმევ. დავაფიქსირებ ჩემ პოზიციასაც, ანუ კომენტატორიც ვიქნები. ალბათ იანვრის ბოლოს ან თებერვლის დასაწყისში მაყურებელი ეკრანზე გვიხილავს.

— განვლილი წლის მოვლენებს თუ გავაანალიზებთ, რას იტყოდით?

— რა იქნება მომავალ წელს, ეს ძნელი სათქმელია. მიმდინარე წელი კი პოლიტიკური მეტამორფოზებით, პოლიტიკური „ქორწინებებით“ მართლაც გამაოგნებელი გამოდგა. გავოცდი, როცა ერთად დასხდნენ ირინა სარიშვილი და ზურა ჟვანია. გამახსენდა, როგორ ასხამდნენ თავს ლაფს ერთმანეთს ჩემს ეთერში. მათ მიემატა „ახლებიც“ და გავოგნდი: არსებობს პოლიტიკური მორალი — ჩემთვის გაუგებარია, ერთი თვის წინ კაცს ნაძირალა უწოდო და მერე მასთან ერთად ქვეყნის შენება დააპირო. ამიტომაც, აღარ ვენდობი ამ ხალხს. ალბათ იგივე გრძნობა ეუფლება საზოგადოებასაც.

— რაც დადასტურდა კიდეც მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების არჩევნების ჩაშლისას. ხალხი მართლაც აღარ ენდობა პოლიტიკოსებს.

— ეს ცუდია, მაგრამ ფაქტი! ისევ კულუარულ ინფორმაციებს დავუბრუნდები. მომავალ წელს შევარდნაძე-სააკაშვილს შორის გარიგებას ვარაუდობენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, დიდი პოლიტიკური მღელვარების მოწმენი გავხდებით. როგორც ვიცი, შევარდნაძე ზოდელავას მოხსნას აპირებს. ისიც გავიგე, შეიძლება დავით სალარიძე გახდეს თბილისის მერიო. აი, ნახავთ, პოლიტიკური სანახაობა არ მოგვაკლდება, თუმცა მთავარია, საზოგადოებისთვის ნაყოფი გამოიღოს ყოველივე ამან.

— ინგა, ძალზე პოლიტიზებული ინტერვიუ რომ არ გამოგვიდეს, ორიოდ კითხვა პირად საკითხებზე. განვლილ 2002 წელს როგორ შეაფასებ შენი პირადი ცხოვრების მიხედვით?

— მოუთმენლად ველოდები ამ წლის გასვლას. ბევრი რამ შეიცვალა ჩემს ცხოვრებაში — სამსახური, პირადი ურთიერთობები, სახლიც კი... ნაქირავებში გადავედი. არც ცვლილებებს უჩანს ბოლო. სული მიმდის ახალი წლის მოლოდინში.

ძალზე საზეიმო განწყობა მაქვს და ახალ წელთან დაკავშირებით ახლა ერთ კურიოზს გიამბობთ. ეს იყო ბავშვობაში. მასწავლეს, 12 საათზე, 31 დეკემბერს, ქაღალდზე რაიმე სურვილს დაწერ, დაწვავ, ჩაყრი შამპანურში და სანამ 12 საათი გასრულდება, უნდა დალიოო. მე და ჩემმა დაქალმა ელვის სისწრაფით შევასრულეთ გაფრთხილება და შამპანური გადავკარით. რა თქმა უნდა, ის სურვილი არ ამსრულებია. იქნებ იმიტომ, რომ დამწვარი ქაღალდი სასაზე მიმეკრო. კინაღამ მომახრჩო. ერთი სიტყვით, ძალიან მიყვარს ახალი წელი, კიდევ აღდგომა და ამ დღეებში მუდამ საზეიმო განწყობა მეუფლება.

მინდა თქვენი გაზეთის მეშვეობით, რომელიც ძალიან მომწონს და მიყვარს, მე, ინგა გრიგოლიამ, მთელ საქართველოს მივულოცო ახალი წელი და შევახსენო, რომ მე კვლავ მათთან ვარ, ამჯერად „კვირის პალიტრის“ მეშვეობით.

ეკა ლომიძე

2002 წლის მუსიკალური და თეატრალური მოვლენები

ლიანა ისაკაძის ვარსკვლავი

2002 წლის დადგომა მუსიკალურმა სამყარომ ბრწყინვალე ფესტივალით — „ვარსკვლავთა ზეიმით“ აღნიშნა. ფესტივალის დასასრულს ფილარმონიის შესასვლელში, „დიდების ხეივანში“ გაიხსნა გამოჩენილი ქართველი მევიოლინის, ქალბატონ ლიანა ისაკაძის ვარსკვლავი. იყო უამრავი ემოცია, სიყვარული და ლიანა ისაკაძის განუმეორებელი ფრაზა — „თბილისელებო, მე თქვენ ფეხქვეშ გეფინებით!“

პიანისტთა თბილისის საერთაშორისო კონკურსი ჟენევის ასოციაციაში მიიღეს

ეს ფაქტი გაუტოლდებოდა საქართველოს გაწევრებას ნატოში. მსოფლიოში ამჟამად არსებობს 1000-ზე მეტი საფორტეპიანო კონკურსი. ყველაზე პრესტიჟულ 27 მათგანს აერთიანებს ჟენევის ასოციაცია. ივლისის დასაწყისში ჟენევის ასოციაციის 28-ე წევრად თბილისის პიანისტთა საერთაშორისო კონკურსი მიიღეს. აღსანიშნავია, რომ ეს კონკურსი აქამდე მხოლოდ ორჯერ ჩატარდა და უკვე მოიხვეჭა ავტორიტეტი, რაც კონსერვატორიის რექტორის, პროფესორ მანანა დოიჯაშვილის უდიდესი დამსახურებაა.

დაბადების დღე „აზდაკის“ როლში

თანამედროვეობის ერთ-ერთმა გამოჩენილმა არტისტმა რამაზ ჩხიკვაძემ დაბადების 74 და სასცენო დებიუტიდან 50 წელი „კავკასიური ცარცის წრის“ კიდევ ერთხელ განხორციელებით აღნიშნა. მისივე თქმით ხომ ამ სპექტაკლს კონიაკის თვისება აქვს — რაც უფრო ძველდება, მით უფრო მაგრდება.

„ივერიის“ ვარსკვლავი

ლეგენდარულმა ანსამბლმა „ივერიამ“ 35 წლის იუბილე კონცერტების კასკადით აღნიშნა. მთავარ მუხტად იქცა მუსიკალური თეატრი „რქიანეთი“, რომლის ქვეტექსტებში დაფიქსირდა ანსამბლის განწყობა დღევანდელობისადმი და მოწოდება დიდი ივერიის ერთად შენებისაკენ. 20 ოქტომბერს საზეიმოდ გაიხსნა ანსამბლ „ივერიის“ ვარსკვლავი.

საქართველომ დაკარგა თავისი უპირველესი მაესტრო

ჯანსუღ კახიძის გენიამ მიატოვა ცხოვრებისეული პროზა და სულთა სამეფოში გადასახლდა. 3 მარტს მომხდარი უნებლიე ავარია მაესტრომ ძალიან განიცადა. მისდა უნებურად დააშავა სხვისი მანქანა. 4 მარტს დილით უპრეცედენტო შემთხვევა მოხდა — ბატონი ჯანსუღი რეპეტიციაზე არ მივიდა ორკესტრში. 7 მარტს, საღამოს 9 საათზე გულის უეცარმა ტკივილმა შეაწუხა და... აღესრულა. უსაზღვრო გახლდათ თბილისელებისა და სრულიად საქართველოს წუხილი. ხალხმა უდიდესი მაესტრო ფეხით გააცილა უკანასკნელ გზაზე, დიდუბის პანთეონამდე.

საახალწლო ფესტივალი

2002 წლის ერთ-ერთი მთავარი მუსიკალური მოვლენა ამჟამად მიმდინარეობს კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში. კონსერვატორიამ უკვე უმასპინძლა ლონდონის აკადემიის პროფესორ პემიშ მილნს, გაიმართა ეკა მამალაძის სოლო კონცერტი, აღინიშნა ნოდარ ანდღულაძის 75 წლის იუბილე. წინ კიდევ უამრავი სასიამოვნო საღამოა — მარინე იაშვილის 70 წლის იუბილე, 30 დეკემბერს კი, საკონცერტო სეზონს დახურავს საქართველოს კამერული ორკესტრი. სოლისტი ლიანა ისაკაძე. ბედნიერ შობა-ახალ წელს გისურვებთ.

გურამ საღარაძე ყველაფერს ლაზათიანად აკეთებს

23 ოქტომბერი, რუსთაველის თეატრში, ბატონ გურამ საღარაძის სცენაზე 50-წლიანი მოღვაწეობის ბენეფისითა და „კავკასიური ცარცის წრის“ ერთგვარი იუბილით — მე-600 წარმოდგენით აღინიშნა.

მოამზადა
ალექსანდრე ბერიძემ

როგორ დაუკავშირდა სათუნა იოსელიანი ნარკომაფიას, აჩი მეფარიძე კი – კრიმინალურ სამყაროს...

(დასაწყისი იხ. გვ. 18)

აგვისტოს ერთ მშვენიერ დღეს ჩემმა კოლეგამ — ოთარ შამათავამ დამირეკა და მითხრა — თუ ფილმის გადაღება გინდა, სასწრაფოდ ჩამოდიო. მეგონა, მხატვრულ ფილმს მთავაზობდა. რომ ჩამოვედი, გავიგე, თურმე უნდა მემუშავა ტელესერიალზე, რომელიც მესაზღვრეთა ყოფას ასახავდა...

— და ფილმს ერქმევა „მზირი“...

— „მზირი“ ძირძველი ქართული სიტყვაა და მესაზღვრეს ნიშნავს. „მზირში მივდივარ“ — ასე ამბობდნენ ქართველი მესაზღვრეები ოდითგან...

— სცენარი უკვე არსებობდა?

— მხოლოდ მონახაზი და რამდენიმე სასიგნალო სერია. სხვათა შორის, ძალზე ნიჭიერი დრამატურგი, ირაკლი სოლომანაშვილი წერს სცენარს. სულ 12 სერია იქნება. სამწუხაროდ, დრო შეზღუდული გვაქვს, ირაკლი ველარ ასწრებდა და დიალოგების ავტორად ასევე ძალიან ნიჭიერი სცენარისტი — ლაშა იმედაშვილი დაემატა.

— რა ჟანრის იქნება „მზირი“?

— მე მას სასაზღვრო დეტექტივს ვუწოდებდი...

— მსახიობები არჩეული გყავთ?

— ნელ-ნელა გამოიკვეთა სამსახიობო ანსამბლი — ბედნიერი ვარ, რომ საშუალება მომეცემა ისეთ მსახიობებთან ვიმუშაო, როგორებიც არიან: გივი ბერიკაშვილი, ზურა ყიფშიძე, ნინო ხომასურიძე, ბაია დვალიშვილი, თამუნა ქოთილაიძე, მაკა შენგელია, ხათუნა იოსელიანი, რომელიც საოცრად დაგვეხმარა და შეიძლება იდეის თანაავტორადაც მოვიხსენიოთ. ის ნარკომაფიის ერთ-ერთი ლიდერის სახეს შექმნის. მთავარ როლს განასახიერებს ნიკა თავაძე. სერიალში მონაწილეობას მიიღებს აჩი მეფარიძეც...

— ვის როლს ანდობთ აჩის?

— ჯერჯერობით, მასთან მოლაპარაკება მიმდინარეობს — ალბათ კრიმინალური სამყაროს წარმომადგენელს განასახიერებს.

— აქტიორული ნიჭი თუ აქვს?

— ნაკლებად, მაგრამ სწორედ ეგ პარადოქსი იქნება საინტერესო და არა მხოლოდ მაყურებლისთვის — უპირველესად ალბათ, მისი იმიჯისთვის... ვაპირებთ ია ფარულავას მოწვევასაც. გვინდა საინტერესო როლი შევთავაზოთ — ერთი სიტყვით, ნიჭიერ ადამიანებს ვაგროვებთ...

— მესაზღვრეების ცხოვრებას თუ გაცნობიხართ ოდესმე?

— მე საზღვართან ახლოს დავიბადე და გავიზარდე — აჭარაში. როცა ფილმებს ვიღებდი, არაერთხელ გამჩენია სურვილი, ეს თემა შეძლებისდაგვარად განმევრცო, მაგრამ არ მომეცა ამის საშუალება... სერიალში რუსეთ-საქართველოს საზღვარზე წარიმართება მოქმედება, რადგანაც ჩვენი ტერიტორიის ეს მონაკვეთი დღეს ყველაზე მეტად დასაცავია.

— გადასაღები ობიექტები სად გექნებათ?

— რუსეთ-საქართველოს საზღვარზე. მესაზღვრეებთან ერთად მოვიარეთ ეს ტერიტორია შვეულმფრენით თუ ფეხით. დიდ დახმარებას გვიწევს სასაზღვრო ჯარების დეპარტამენტი და პირადად ბატონი ვალერი ჩხეიძე. თავისი სასწავლო პოლიგონი დაგვითმო და კოხტა საგუშაგო კოშკი ავაგეთ — კარვებიც დავდგით. ისეთი კარგი გამოვიდა, შეიძლება შემდგომში მართლაც გამოიყენონ მესაზღვრეებმა.

— რამდენად დაცული იქნება გადამღები ჯგუფი?

— სწორედ ის, რომ გადაღებები საჯარისო ნაწილში გვექნება და მესაზღვრეებისა და ჯარისკაცების გვერდით ვიმუშავებთ, უსაფრთხოების გარანტიას გვაძლევს.

— როდის დაიწყება გადაღება?

— იანვრის პირველი რიცხვებიდან. კვირაში თითო სერიას ვაჩვენებთ მაყურებელს. ეს არ იქნება ტრადიციული სერიალი — გადავიღებთ თორმეტ დამოუკიდებელ ნოველას, რომლებშიც საერთო პერსონაჟები მიიღებენ მონაწილეობას. ახალი სერია რომ გაიგო, არ იქნება საჭირო წინას შინაარსის ცოდნა.

ეკა მახარაშვილი

უკვე გამოვიდა „კვირის პალიტრის“ კედლის მოსახევი კალენდარი

2003 წელი ცხვრის წელია

რით გვგვარჩევენ ზოლიანები

2003 წელი აღმოსავლური კალენდრით ცხვრის (თხის) წელია. ამ წელს პლანეტები დიდ სიყვარულს გვპირდებიან. სატურნი და იუპიტერი, ურანი და ნეპტუნი სამყაროს მართვის სადავეებს იღებენ ხელთ და დიდ სასიკეთო ცვლილებებს უნდა ველოდოთ. მათი განლაგება იშვიათად ყოფილა ასე მომგებიანი, განსაკუთრებით სასიყვარულო საქმეებისთვის. მაგრამ დიდი პასუხისმგებლობა გვმართებს. ეს წელი ხელსაყრელია ახალი ურთიერთობებისა და საქმეების დასაწყებად. რაც მთავარია, ყველამ თავისი საქმე გულსყურით უნდა აკეთოს.

ცხვარი ცაზე ცხოვრობს და ფუმფულა ღრუბელს ჰგავს, რომელიც დედამიწას მაცოცხლებელ წყალს უგზავნის. ამიტომაც ეცვლება ფერი — ხან შავია, ხან თეთრი, ხან ჭრელი, ხანაც მტრედისფერი, იმისდა მიხედვით, ჟუჟუნა წვიმას გვიგზავნის, თაქსმას თუ თოვლს... სწორედ ამას უკავშირდება ცხვრის წლის ძირითადი ფერები და თუ გინდათ ასიამოვნოთ, ახალი წლის ღამეს ჩაიცვით ცისფერი და ლურჯი, ყავისფერი და შავი და აუცილებლად ქათქათა მანდილი მოიხვიეთ.

ეს ქალებმა; მამაკაცები თეთრი ჯემპრით ან ქათქათა პერანგით მიეგებეთ ახალ წელს.

ვერძი (21.03-20.04): მფარველი პლანეტა — მარსი; თილისმა — ძოწი, ალმასი, საფირონი, მთის ბროლი, ბრილიანტი; დამახასიათებელი თვისება — დამოუკიდებლობა; ასტროლოგიური ფერი — წითელი; სისუსტე — ქედმაღლობა; ყვავილი — მაგნოლია.

ქალი: თქვენთვის ეს წელი ბობოქარი იქნება. ერთი ნახვით შეყვარება გელით და ყველაფერს სულ სხვა თვალით შეხედავთ.

მამაკაცი: გელით დიდი გამარჯვებები და სასიკეთო ცვლილებები. მე თვითონ! — აი, თქვენი დევიზი. შეიძლება მოულოდნელი ქორწინებაც გადაწყვიტოთ.

კურო (21.04-20.05): მფარველი პლანეტა — ვენერა; თილისმა — ზურმუხტი; დამახასიათებელი თვისება — ერთგულება; ასტროლოგიური ფერი — მწვანე; სისუსტე — სიჯიუტე; ყვავილი — გეორგინა.

ქალი: ამ წელს დიდი დაკვირვება გმართებთ, რომ ნამდვილი ყალბისაგან განასხვაოთ — გათხოვებისას გულის კარნახს უნდა მიუგდოთ ყური. ბედი გაგიღიმებთ.

მამაკაცი: საქმიანი წინადადებები გელით, მიზანსაც ადვილად მიაღწევთ, მაგრამ არ იჩქაროთ, თორემ ბევრს დაკარგავთ.

მარჩხვი (21.05-21.06): მფარველი პლანეტა — მერკური; თილისმა — ქარვა; დამახასიათებელი თვისება — გონიერება; ასტროლოგიური ფერი — მწვანე; სისუსტე — დაუდევრობა; ყვავილი — ია.

ქალი: თუ არ გინდათ მარტოობა, მიმოიხედეთ, მეტი ყურადღება გამოიჩინეთ ახლობლების მიმართ და ისინიც ამითვე გიპასუხებენ. მამაკაცებს ანდამატივით იზიდავთ, ზაფხულში პატარ-პატარა რომანები გექნებათ.

მამაკაცი: ერთდროულად ათი საქმის კეთებას ახერხებთ. თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იქნება საყვარელ ქალთან ურთიერთობა, მარტში კარიერას უნდა მიხედოთ, მაისში იმოგზაურებთ. ნოემბერში მძიმე მოლაპარაკებები გელით პარტნიორებთან.

კირჩხიბი (22.06-22.07): მფარველი პლანეტა — მთვარე; თილისმა — ქრიზოპრაზი; დამახასიათებელი თვისება — მეოჯახეობა; ასტროლოგიური ფერი — ზღვისფერი; სისუსტე — ბუტიაობა; ყვავილი — ტიტა.

ქალი: თქვენს სიტყვას ყველგან გასავალი ექნება. სექტემბერში სიყვარული გელოდებათ.

მამაკაცი: სამსახურის, საზოგადოებრივი და ოჯახური საქმიანობის გარდა, სხვა ჰობიც გაგიჩნდებათ, ზამთარში დაბრკოლებები გექნებათ, მაგრამ გაზაფხულის პირს ყველაფერი მოგვარდება.

ლომი (23.07-23.08): მფარველი პლანეტა — მზე; თილისმა — ქრიზოლითი; დამახასიათებელი თვისება — არტისტიზმი; ასტროლოგიური ფერი — ალისფერი; სისუსტე — მიამიტობა, ყვავილი — ჩაის ვარდი.

ქალი: იღბალი თან გდევთ, ამიტომ მთავარია, მოშურნეები არ გაიმრავლოთ. დიდი დიპლომატია დაგჭირდებათ კოლეგებთან კარგი დამოკიდებულების შესანარჩუნებლად.

მამაკაცი: ახალი მწვერვალების დასაპყრობად ისწრაფვით. ფრთხილად, რისკის სიყვარულმა შეიძლება კისერი მოგატეხინოთ. ძველ მეგობრებთან შეხვედრა სიკეთეს მოგიტანთ.

ქალწული (23.08-23.09): მფარველი პლანეტა — მერკური; თილისმა — ზოლიანი აქატი; დამახასიათებელი თვისება — პრაქტიკულობა; ასტროლოგიური ფერი — მუქი მწვანე; სისუსტე — მელანქოლია; ყვავილი — მიხაკი.

ქალი: მომხიბვლელი და მშვენიერი ხართ. ყოველთვის დედოფლად გრძნობთ თავს. დამდეგ წელს ვარსკვლავები არ გირჩევენ შორ მოგზაურობას.

მამაკაცი: ყველა შემთხვევაში აღწევთ მიზანს. 2003 წელი მოთმენას და წინდახედულებას მოითხოვს თქვენგან. ზამთარში კონფლიქტში არ ჩაებათ, ივნისში საინტერესო საქმიან ნაცნობებს შეიძენთ, რაც პერსპექტივას გაგიხსნით და შემოსავალიც გაგეზრდებათ.

სასწორი (24.09-23.10): მფარველი პლანეტა — ვენერა; თილისმა — მუქი ლურჯი ლაზურიტი; დამახასიათებელი თვისება — კეთილშობილება; ასტროლოგიური ფერი — ვარდისფერი; სისუსტე — მერყეობა; ყვავილი — კამელია.

ქალი: ბედი გაგეხსნებათ. რის მიღწევასაც შარშან დიდი შრომა შეალიეთ, ახლა თავისით მოდის. აუცილებლად დაუგდეთ ყური მშობლების რჩევას.

მამაკაცი: სიხარული და სიყვარული დაისადგურებს თქვენს გულში. ეს წელი მშვიდად ჩაივლის. თუ ჯერ ცოლი არ გყავთ, ნოემბრის ბოლომდე ამ საქმესაც მოაგვარებთ. ვარსკვლავები ბედნიერ ცხოვრებას გპირდებიან.

ღრიანკალი (24.10-22.11): მფარველი პლანეტები — პლუტონი და მარსი; თილისმა — ტოპაზი; დამახასიათებელი თვისება — პირდაპირობა; ასტროლოგიური ფერი — მუქი ლურჯი; სისუსტე — გულჩათხრობილობა; ყვავილი — ორქიდეა.

ქალი: ამ წელს ბედნიერება და უხვი საჩუქრები გელით. ნამდვილი სიყვარული გეწვევათ. ყველა ნატვრა აგისრულდებათ.

მამაკაცი: სამსახურში დაწინაურება გელით, სულ ზევით და ზევით მიიწევთ. თავბრუ რომ არ დაგეხვეთ, დროზე შეჩერდით.

მშვილდოსანი (23.11-21.12): მფარველი პლანეტა — იუპიტერი; თილისმა — ძოწი; დამახასიათებელი თვისება — ოპტიმიზმი; ასტროლოგიური ფერი — იისფერი; სისუსტე — კონფლიქტურობა; ყვავილი — იასამანი.

ქალი: ახალ-ახალი იდეებით ყველას ხიბლავთ. სერიოზული საქმეებიდან მხოლოდ დიდი სიყვარული მოგაცდენთ. გირჩევთ, შემოდგომაზე ყველაფერი იღონოთ, რათა არ დაკარგოთ ის, რაც მოიპოვეთ.

მამაკაცი: თქვენი საქმე კარგად იქნება, მაგრამ ნაკლებად ენდეთ დაპირებებს. პირველ რიგში თქვენი თავის იმედი იქონიეთ. გელოდებათ დაწინაურება და ფული.

თხის რქა (22.12-20.01): მფარველი პლანეტა — სატურნი; თილისმა — ვეფხვის თვალი; დამახასიათებელი თვისება — შრომისმოყვარეობა; ასტროლოგიური ფერი — შავი; სისუსტე — დესპოტიზმი; ყვავილი — ღიღილო.

ქალი: თაყვანისმცემლებს ვერ აუდიხართ. ახალი მწვერვალების დასაპყრობად მორალურად მზად უნდა იყოთ. ინტუიციას მიუგდეთ ყური — გაგიმართლებთ.

მამაკაცი: ორი საქმის ერთად კეთება არ გამოგდით. პირად ურთიერთობებში გამბედაობა გმართებთ, საყვარელ ქალს მეტი ყურადღება მიაქციეთ, ხშირად მიუალერსეთ და საჩუქრებიც მიართვით.

მერწყული (21.01-19.02): მფარველი პლანეტა — ურანი და სატურნი; თილისმა — ალმანდინი; დამახასიათებელი თვისება — გულუხვობა და ცოდნის წყურვილი; ასტროლოგიური ფერი — ფორთოხლისფერი; სისუსტე — უპასუხისმგებლობა; ყვავილი — შროშანი.

ქალი: თქვენი ლოზუნგია: თუ ხარ — დედოფალი უნდა იყო, თუ სიყვარულია — უფლისწული უნდა შეგიყვარდეს! ყველას ხიბლავთ, თქვენი შურთ კიდეც, მაგრამ ეჭვიც გაწვალებთ, სატრფოს ვუყვარვარ თუ არაო... დაწყნარდით, მას ძალიან უყვარხართ...

მამაკაცი: ცდუნებებს ებრძვით. ვარსკვლავები გირჩევენ რაინდული მანერების გამოვლინებას. სიამოვნებისათვის არაფერზე უარს არ ამბობთ. გირჩევთ მომჭირნეობას, თორემ გაკოტრდებით.

თევზები (20.02-20.03): მფარველი პლანეტა — ნეპტუნი; თილისმა — ამეთვისტო, დამახასიათებელი თვისება — ინტუიცია; ასტროლოგიური ფერი — მტრედისფერი; სისუსტე — მორცხვობა; ყვავილი — მიმოზა.

ქალები: იდუმალი ნატვრა აგისრულდებათ, ან იმ სიტყვებს გაიგონებთ, რომელსაც დიდხანს ელოდით. მოიშორეთ ნაღველი, საინტერესო ცხოვრება გეწყებათ.

მამაკაცები: ბევრი სასიკეთო ცვლილება გელით. სამსახური არა მარტო შემოსავალს, არამედ სიამოვნებასაც მოგიტანთ. საინტერესო შეხვედრები, მოგზაურობა, შემოქმედებითი მივლინებები — მოკლედ, არ მოიწყენთ. ოჯახში კი თქვენი ავტორიტეტი უფრო ამაღლდება და ყველა დარწმუნდება, რომ ოჯახის უფროსი ხართ. თუ ჯერ დაოჯახებული არ ხართ, თამამად შესთავაზეთ რჩეულს გული და ხელი. უარს არ გეტყვით.

კვირის შვიდი დღე

კვირას, მზის დღეს დაბადებული ადამიანები ბედნიერნი არიან, ვინაიდან თავიდანვე მიიღეს მზის ენერგიისა და სინათლის მუხტი. ბედი მათ დამოუკიდებელი გზის არჩევის საშუალებას აძლევს და მათი ცხოვრების გზა მუდამ გაბრწყინებულია.

ორშაბათს მთვარე მფარველობს. მთვარე ადამიანებს გამახვილებული მგრძნობელობით ასაჩუქრებს. ორშაბათს დაბადებულთაგან ძველად ქურუმებს ირჩევდნენ. ამ დღეს უმჯობესია ოჯახში იტრიალოთ და არ წამოიწყოთ ახალი საქმე.

სამშაბათი მარსის დღეა და ნებისმიერი აქტიური მოქმედებისთვის იღბლიანად მიიჩნევა. სამშაბათს დაბადებულების ხასიათის საუკეთესო თვისებებია: სიმტკიცე, სიმამაცე, ცხოვრებისეულ დაბრკოლებებზე გამარჯვება. სამშაბათი საუკეთესოა საქმის წამოსაწყებად. ამიტომ სამშაბათს ნუ იზარმაცებთ.

ოთხშაბათი მერკურს ემორჩილება და მფარველობს ვაჭრებს, ხელოსნებს, ინტელექტუალურ მოღვაწეებს. ოთხშაბათს დაბადებულნი გამოირჩევიან სისხარტით, ცნობისმოყვარეობით, გონიერებით. ადვილად პოულობენ საერთოს ადამიანებთან და საჭირო და საქმიან ურთიერთობებს ამყარებენ.

ხუთშაბათი იუპიტერს ემორჩილება. ეს დღე კარგია ხელისუფლების წარმომადგენლებთან თუ უფროსობასთან ურთიერთობისთვის. ამ დღეს არ გირჩევთ განმარტოებას.

პარასკევი ვენერას — სიყვარულის ქალღმერთს ეძღვნება. ამიტომ ამ დღეს დაბადებულები გამოირჩევიან თანდაყოლილი ესთეტიკური აღქმით და მძაფრი მგრძნობიარობით. „სილამაზე და სიყვარული სამყაროს გადაარჩენს“ — ეს მათი ლოზუნგია. პარასკევს პაემნის დანიშვნა იღბლიანია. ამ დღეს კარგია დაქორწინებაც.

შაბათი სატურნის დღეა. ამ დღეს იბადებიან მარტოსული ფილოსოფოსები, ვისაც უყვარს საკუთარ სულში ჩაღრმავება, ცხოვრებისეულ ფასეულობებზე დაფიქრება. შაბათი სასურველი დღეა უძრავი ქონების გასაყიდად ან საყიდლად. შაბათს სჯობს ნაკლები ილაპარაკოთ და მეტი აკეთოთ.

რა გველის ცხვრის წელიწადს

2003 წლის პროგნოზის გაკეთებისას, უნდა ვიცოდეთ, რა ელის ცხვრის წელს აღმოსავლური ჰოროსკოპის ყოველ წარმომადგენელს.

ცხვარი. ეს თქვენი წელია. ყველას — ახლობელს თუ შორებელს, ვინც გთხოვთ, უნდა დაეხმაროთ. ეს არა მარტო სხვებს, არამედ თქვენც სიკეთეს მოგიტანთ. ცხვარი ხომ უფლის ცხოველია! იყავით მტკიცენი და ერთგულნი.

ვირთხას ცხვრის წელში გაუძნელდება. ამიტომ აჯობებს, თუ ცოტა ხანი მიყუჩდება და სამომავლოდ მოიკრებს ძალას.

მაიმუნს დიდი ფანტაზია მართებს. თამამად უნდა განახორციელოს ჩანაფიქრი.

ხარს და **დრაკონს** ამ წელს ბედი სწყალობთ. ისინი საწადელს მიაღწევენ და ოჯახსაც მოეკიდებიან, სამსახურშიც დაწინაურება ელით.

ვეფხვს და **ცხენს** ბევრი ოფლის ღვრა მოუწევთ მიზნის მისაღწევად. მხოლოდ საკუთარი თავის იმედი უნდა იქონიონ.

კურდღელმა, სანამ გაჭრის, ასჯერ უნდა გაზომოს. ყურადღებიანი უნდა იყოს, რადგან ზერელობამ შეიძლება უსიამოვნებებს გადაჰყაროს.

გველს ამ წელს ყველაფერი ხელიდან უვარდება. ამიტომ დიდი დაფიქრება და შრომა მართებს, რომ უკეთესობისკენ შემოაბრუნოს ცხოვრება.

მამალმა ბევრი უნდა იმოგზაუროს, ახალი ნაცნობები შეიძინოს. რაც მეტ მეგობრებს გაიჩენს, მით უფრო განმტკიცდება მისი სოციალური მდგომარეობა.

ძაღლი ოჯახს ბურჯად უნდა დაუდგეს. ახსოვდეს: „უხვად გასცემდე, ზღვასაცა შესდის და გაედინებისო“.

ტახს განმარტოება მართებს. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ საქმეს მოსწყდეს. მეტი დრო უნდა დაუთმოს საკუთარ თავს.

ნაცნობი ლექსები

ეხოვრების ორომტრიალმა, მრავალთა-განმ გაყიდული და მიტოვებული ქვეყნის ტკივილმა თითქოს მიგვავინყა ქართული ლექსი. ის ლექსი, „ფიცხელ ომში“ რომ მიუძღოდა ქართველს; სიყვარულს რომ უმღეროდა, გულს რომ გვეფონებოდა და ნამლად გვედებოდა; ის ლექსი, რომლითაც ტკივილი გვიამდებოდა და სიხარული გვიათკეცდებოდა... ლექსი მიგვავინყდა და სულის ტკივილი მოგვემატა თითქოს.

ისევ გვინდა, თქვენთან ერთად კიდევ ერთხელ გავიხსენოთ ქართული სიტყვის მეხოტბენი, ძვირფასო მკითხველო... კიდევ ერთხელ ვიმოგზაუროთ ქართული სიტყვის თვალშეუდგამ სამყაროში, რომელსაც ჰოეზია, ანუ უბრალოდ, ლექსი ჰქვია...

მირზა გელოვანი

ნუ მწერ

ნუ მწერ, რომ ბაღში აყვავდა ნუში,
რომ მთაწმინდაზე მზე დაწვა თითქოს,
რომ საქართველო ამ გაზაფხულში,
როგორც ყოველთვის, წააგავს ხვითოს.
რომ ორთაჭალამ ჩაიცვა თეთრი,
რომ შენც ჩაიცვი კაბა ყვავილის,
რომ მტკვარი ოხრავს, როგორც ყოველთვის,
როცა მეტეხის ახლოს ჩაივლის.
... წუხელ ვებრძოდი ცეცხლს და ურაგანს
და საშინელი ბრძოლების ნისლში
მე მომეჩვენა, სადღაც, ჩვენს უკან
აელვებული იდგა თბილისი.
ორთაჭალაში ჰყვაოდა ნუში,
მთაწმინდის მხრებზე მზე იწვა თითქოს,
და შენ, ძვირფასო, ამ გაზაფხულში,
როგორც ყოველთვის, მოჰგავდი ხვითოს.
ნუ მომწერ... ისეც ვიცი, რაგვარი
ფერებით ჰყვავის თბილისი ახლა,
რომ ვიღაც დადის მინდვრებში ღამით
და დილისათვის ამწვანებს ნახნავს.
მე ისიც ვიცი, რომ კარგ ამინდებს
მოაქვს გულების საამო ფეთქვა,
და თუ ბოლომდის ტყვია დამინდობს,
თუ გაზაფხულებს შევხვდებით ერთად, –
გეტყვი, რომ მოვედ ბრძოლანახული
და სიკვდილამდის შენთან დავრჩები,
რომ ლამაზია მზე გაზაფხულის,
ბრძოლების შემდეგ: – მზე გამარჯვების.

რევაზ მარგიანი

მარილი

იქნებ აკლია ჩემს ლექსს მარილი
და სვანეთივით სხვას ვესესხები,
ალბათ ამიტომ ქარიშხალივით
არ მქუხარებენ ჩემი ლექსები!
იქნებ აკლია ჩემს ლექსს მარილი,
არ არის მყარი და ძვალმაგარი,
თუმც წინ მინთია კელაპტარივით
ჩემი სამშობლოს ლურჯი მთა-ბარი.
იქნებ! – არ ვიცი, მკლავენ ეჭვები,
სიტყვა არ მიჭრის ბასრი ხმალივით;
ვერ დავიჯერებ, ვერ შევეჩვევი,
რომ მართლა ჩემს ლექსს
აკლდეს მარილი.
მაგრამ ვაითუ აქაც მიწია
ჩემმა ჯილაგმა, ჩემმა სვანობამ? –
ვერ დავიჯერებ, არ შემიძლია...
უმარილობა თუ მიწყალობა.
წავალ აღზევანს, ცხრა მთას,
ცხრა წყაროს,
ძველ ურმულივით გზებს გადავივლი,
რომ საქართველოს შემდეგ ვახარო,
როგორ ვიშოვე სვანმა მარილი.

განშორება

ყველა მოკლე და ქერა თმის ნახვით
გამახსენდება თმები შოლტები.
როგორ არ მინდა, როგორ არ მინდა,
მაინც მივდივარ, მაინც გშორდები.
ასე თიშავდნენ ძველი ზღაპრები
ასფურცელას და ოქროსთმებიანს,
ქარმა დაგლიჯა ყველა აფრები
და შენზე დარდში დამთენებია.
მგზავრი ვარ, შენზე ფიქრებს ვუნდები
და აჩრდილებთან თამაშს უვნებელს.
მე დავბრუნდები, ჰო, დავბრუნდები,
მე შენი თმები დამაბრუნებენ.

ნიკო ფიროსმანაშვილი „ირემი“

ოია ოიალე

ოია ოიალე,
გული მხიარული, ვაზი მსხმოიარე,
ყანა თავდახრილი მიიარ-მოიარე.
ოია ოიალე.
ოია ოიალე.
შუქი იმ მთვარისა
მხოლოდ ნამცეცია ძველი სიზმარისა,
ახლა ფოთლებზე რომ თრთის და შარიშურობს.
ძველი წამებისა, ძველი სიმწარისა,
გახსოვთ კიდევ რამე, მაღლა, ზეცის წიგნში,
ძველო სტრიქონებო, ჩემო ჩანიშნულო.
ოია ოიალე.
ოია ოიალე.
ცხრა მთა მოვიარე და გზა დიდებამდე
კიდევ შორი არი.
ოია ოიალე.
შენი ქებათქება ისევ მენატრება,
ისევ მომინდება შენი შემართება,
თვალთა შენათება,
ოია ოიალე.
ოია ოიალე,
ისევ სიხარული, ისევ მორიდება,
სადღაც მიმალული შუქი მომინდება,
ზეცა მოციმციმე ვარსკვლავმსხმოიარე,
ოია ოიალე.

ქართლის გზაზე

ჰეი, ძმობილო, შეხედე,
რამდენი ყაყაჩო გაშლილა,
რაც უფლისციხეს გამოვცდით,
უფრო და უფრო გახშირდა;
მინდვრებს, გორაკებს,
ფერდობებს ეფინება და ედება,
გზაში ყაყაჩოს შეხვედრა
სიკეთედ დაგვებედება:
სულ ახალგაზრდა ვიქნებით,
გული არ დაგვიბერდება!
ჰეი, ძმობილო, შეხედე,
რამდენი ყაყაჩო გაშლილა,
რაც უფლისციხეს გამოვცდით,
უფრო და უფრო გახშირდა;
მოდი, ჩვენ ესეც ვიკმაროთ
და სხვა დიდება ნუ გვინდა,
ყაყაჩომ თუ მოგვანათოს
ლამაზი ქალის შუქითა!

ლადო ასათიანი

•••

რუსთველის პროსპექტზე სიარული
ნუ მომიშალოს ღმერთმა,
ვიყო მუდამ ასე მხიარული,
ქართველი პოეტი მერქვას.
პურის ნატეხი და ერთი ლიტრა ღვინო
სიმდიდრედ ჩამითვალეთ,
თუ მეტი ვინატრო ან ეს ვითაკილო, –
ვერ ვნახო სამოთხის მთვარე...
მხოლოდ დროდადრო დამარეტიანოს
ქაშვეთის შემოხედვამ, –
რუსთველის პროსპექტზე ხეტიალი
ნუ მომიშალოს ღმერთმა!

მურმან ლებანიძე



•••

უფლისციხესთან
სისხლისფერი ყაყაჩოს წვეთი
არა დაღვრილის –
დასაღვრელის, ალბათ, მაცნეა...
არავითარი
სხვა სამშობლო ამაზე მეტი
არ გამაჩნია.
მე დავინახე
სვეტიცხოვლის თორმეტი სვეტი,
თორმეტი ციხე
ზეგნებიდან ლაჟვარდს გასჩრია...
არავითარი
სხვა სამშობლო ამაზე მეტი
არ გამაჩნია!
მშვენიერია
ორ-ზღვას-შუა კავკასის ხედი
და კითხვა: „ვინ ვის?!“
ბებერ გულში ლახვრად მაჩნია...
არავითარი
სხვა სამშობლო ამაზე მეტი,
არავითარი
სხვა გზა, სხვა ხსნა
არ გამაჩნია!

•••

მარეკები შლიდნენ ბანაკს,
ქარი ჩამი-ჩუმით ჰქროდა,
ვიწექ, რომელიღაც ბალახს
უცბათ – ქალის სუნი ჰქონდა.
თითქოს ურო დამკრეს თავში,
თითქოს პაპაჩემი ცხონდა –
ათას სურნელოვან შვავში
ბალახს – ქალის სუნი ჰქონდა.
სუნი ჰქონდა არა დალის,
ლალის, – ცისფრის ანუ თეთრის, –
სუნი – საზოგადოდ ქალის,
სუნი – საზოგადოდ მდედრის...
ღმერთო! ღმერთო! მე სულ ველი
სიკვდილს – შენ მაცოცხლო ვინძლო,
სანამ ვიცნო ეს სურნელი,
სანამ ეგ სურნელი ვიგრძნო!

შოთა ნიშნიანიძე

•••

მაფშალია მომკვდარა...
მგალობელი მაფშალია...
ცხრავე მუზა ტირის,
ანგელოსი გამშრალია.
მარტო ერთიც ჯაბნიდა
ბულბულების ქოროს,
მე კი მასთან სულ უბრალო
შაშვი ვიყავ მხოლოდ.
მახსენდება, რაც ერთმანეთს
ვაწყენინეთ როსმე,
მაგრამ გულით რომ მიყვარდა,
თითონ ცაა მოწმე.
მე ვარ მისი ერთადერთი
და უღირსი მეგობარი.
ვაი მე ვარ დამნაშავე...
ვაი იგი მე მოვკალი...
მაფშალია მომკვდარა...
მგალობელი მაფშალია...
ცხრავე მუზა ტირის...
ანგელოსი გამშრალია.

•••

საით გაგექცეთ ღელის ტირიფებს,
სად დაგემალო, ზვარო, ჭალაკო?
ნუ ამაცეტებთ, თქვენი ჭირიმე,
ნუ გამხდით ქვეყნის სალაპარაკოდ.
რამ დაგამგვანა მაინც ალიონს,
ტურფა ვენახო,
ტურფა თითაო,
თავი არ მომჭრათ, არ გადამრიოთ,
არ დაგერიოთ სულ სათითაოდ!
დავიღუპები, მორჩა, იმწამსვე
გაუმართლებდათ ეჭვი მალული –
მეტიც არ უნდათ ჩემს სახლიკაცებს,
გადააქნევენ თავს სინანულით.
ნუღარ, ო, ნუღარ მელამაზებით
ხვავით, ბარაქით, ათინათებით,
მე ერთი ვარ და თქვენ ათასები,
ვაი რომ ვეღარ აგითავდებით...
მაინც რათა ხართ ასე კარგები,
დაუნდობელად მოგიზგიზენო.
უჰ, გაგექცევით, დავიკარგები
ცოტა ხნით მაინც რომ მოვისვენო.
თბილისში მაინც არ ჩამომდიოთ,
თბილისში მაინც არ მომაკითხოთ,
არ დამაწიოთ ნისლი ნოტიო,
არ მომიგზავნოთ ღვინო, აკიდო.
შემეშვით, ჭკუა არ ამირიოთ,
საქმე არ მიქნათ სამამაძაღლო –
თბილისში სახლი არ დამინგრიოთ,
აქ სამუდამოდ არ დამასახლოთ!

მპიზოდური არასერიოზული კაცის ცხოვრებიდან



(„სევდის კრებულის“ დარდიანი სტრიქონები)

ასე არასოდეს გამჭირვებია წერილის დაწერა... თავის დროზე, როცა ეს შემზარავი ამბავი მეხივით გავარდა თბილისში, მეც, ბევრ სხვასავით, აღმომხდა: რატომ? როგორ? მეც სხვებივით მიყვარდა ეს ლაღი, ნიჭიერი მსახიობი. მის გვერდით ვერ მოიწყენდი, მისი ნათქვამი თუ ნამოქმედარი ანეკდოტებად დადიოდა ქალაქში... ***გია ფერაძემ*** *დიმიტრი ბათიაშვილის ფილმში, „არასერიოზული კაცი“, მთავარი გმირის, ნიკოს როლი ითამაშა. როგორ მიესადაგა ამ ალალი, გზააბნეული და მოუსვენარი კაცის ბედი მის ბედს...*

გიას უფროსი ძმა, ბატონი **ილიკო ფერაძე**: — გია უფრო ლაღი იყო, ვიდრე მისი გმირი ნიკო, მაგრამ იმ საბედისწერო დღის მერე მასზე უბედური არავინ მეგულებოდა დედამიწის ზურგზე; 37 წელი ბედნიერად განვლო, ბოლო 7 წელი კი ჯოჯოხეთში გაატარა. ბევრმა არ იცის, რა ტრიალებდა მის სულში, ამაზე მისი ლექსები მეტყველებს. 30-მდე სქელტანიანი რვეული დაგროვდა 7 წლის პატიმრობაში, რომლებიც ვლადიმირის (მოსკოვის ოლქი), შუშას (აზერბაიჯანი), ხონის, რუსთავის და თბილისის საპყრობილეებში პაემნებიდან ჩამომქონდა. გია ციხიდან გამოსვლის მერე ვერ მოერია თავს და 47 წლის ასაკში წავიდა. მე კი ლექსების ერთ-ერთი რვეულის ყდაზე მიმიწერა ანდერძივით:

„თუ ჩემ ცხოვრებას წიგნად აკინძავ,
დაარქვი იმას „სევდის კრებული.“

ეს თხოვნა მოგვიანებით, მაგრამ პირნათლად შევასრულე.

ლექსებს ადრეც წერდა. სალხინო სუფრასთან ხან ექსპრომტად იტყოდა ხოლმე, ხან ქაღალდის ხელსახოცზე დაწერდა რამეს. ბევრმა არ იცის, რომ რუსუდან სებისკვერაძის მშვენიერი სიმღერის — „ვერა“ ტექსტი გია ფერაძისაა (მას ბრწყინვალედ მღეროდა გოგი დოლიძე). გია ვერაზე დაიბადა და გაიზარდა და რა გასაკვირია, რომ ყველაზე მეტად თბილისის ეს უბანი უყვარდა. „სევდის კრებულის“ გადაშლისას შეუძლებელია სევდა არ დაგეუფლოს: „ახლა საკანში ვტრიალებ,/ კედლებს თავს ვახლი ვაცივით,/ ტყვიავ, რა ჰქენი, სად წახველ,/ ჩემს გულში რად არ გაცივდი?“ ან „ღვთისმშობელო, გევედრები,/ შეისმინო მხოლოდ ერთხელ/ გამიჩუმე ჩემი მტრები,/ ჩემს დასახრჩობ თოკს რომ გრეხენ,/ თვითონ მომკლავს ჩემი ცოდვა,/ ეს დღეც არ იქნება შორი,/ მე გთხოვ შეაჩერონ ბოდვა,/ მე გთხოვ შეაჩერონ ჭორი“. ან კიდევ: „ჩემი ცხოვრება უშენოდ,/ დიდი ჩამქრალი მზე არის,/ დღეს შენი დაბადების და/ ჩემი სიკვდილის დღე არის“.

ცივ კედლებში გამომწყვდეული კაცისათვის ენით უთქმელია ის ურვა, რასაც იგი განიცდის. მის „ჩვენებებში“ ხშირად ჩნდება ახალგაზრდა ქალის ცისფერი ლანდი, შორიდან „მოსული“ ხმა ქვითინით გვიამბობს გიასა და ირინას უიღბლო სიყვარულზე. მარტოსულ გიას უსაზღვროდ ენატრება მოლოდინად ქცეული დედა, შვილები, განსაკუთრებით კი ობლად დარჩენილი პატარა მარიკა, ძმა, ახლობლები, თბილისი და თავისი ვერა. ყოველი ლექსი ბოლოვდება ნახატით, რომელიც ავტორის იმ წუთების განწყობას გადმოგვცემს: მარიკა, ყვავილები, საჰაერო ბუშტები, ეკლესია, მაცხოვარი, ღვთისმშობელი, ვისაც სულ ევედრება და შველას სთხოვს. უფრო მეტია კოშმარული ჩვენებები, დემონური სახეები, წვალება და ტანჯვა, საფლავი, რომელიც იმ კოშმარების ფონზე რაღაცნაირად მიმზიდველადაც კი მოჩანს... რუსთაველის თეატრის ყველა მსახიობს (და არა მარტო მათ) უზომოდ დასწყვიტა გული ჯერ იმ ტრაგიკულმა ამბავმა, მერე კი გიას უდროო სიკვდილმა.

ნანული სარაჯიშვილი: — მე და გია ოჯახებით ვიყავით ახლოს. ჩვენი მეგობრობა ბებია-ბაბუებიდან მოდიოდა. თეატრალურ ინსტიტუტში ერთ ჯგუფში ვსწავლობდით. საოცრად ნიჭიერი და პლასტიკური იყო. გამორჩეულად თამაშობდა ფეხბურთს, ხატავდა, ცეკავდა. ერთხელ, ბულგარეთში ყოფნისას, მასპინძლებმა კონცერტი გაგვიმართეს, მერე კი ჩვენც გვთხოვეს საღამოს გამართვა. სპექტაკლი გვქონდა ჩატანილი და კონცერტზე არც გვიფიქრია. რობიკო სტურუამ გვითხრა: მსახიობები არა ხართ, სასწრაფოდ მოიფიქრეთ რამე, რომ უხერხული მდგომარეობიდან გამოვიდეთო... და უცებ გიამ ბულგარულიდან ნასესხები ილეთებით იმისთანა ახლებური ცეკვა გააჩაღა, მეც ამაცეკვა და სხვებიც. დიდხანს გაგრძელდა მასპინძელთა ტაში და მხიარულება.

ხშირად იცოდა სიურპრიზების მოწყობა... იტალიაში ვიყავით გასტროლებზე. სასტუმროში, ოთახში შესულმა, რატომღაც რადიო ჩავრთე. იმედი მქონდა, იტალიური სიმღერებით დავტკბებოდი. ჩვენებური „სულიკო“, „წინწყარო“, „ჩაკრულო“ რომ ერთმანეთს მიჰყვა, სასწრაფოდ შევეხმიანე სხვა მსახიობებს. ისინიც გაოცებულნი იყვნენ. მერე ერთხმად დავასკვენით, რომ მასპინძლებმა ჩვენს პატივსაცემად იშოვეს ქართული კასეტა... რა ვიცოდით, რომ ვცდებოდით. საღამოს, ვახშმობის წინ, ის-ის იყო, სასტუმროს ადმინისტრაციისათვის უნდა გვეკითხა იტალიური რადიოს „გაქართულების“ ამბავი, რომ გია ახარხარდა. თურმე მას თბილისიდან წამოეღო რამდენიმე ქართული კასეტა, ადგილობრივ რადიოქსელში მისულა და უთხოვია ჩვენებური სიმღერების გაშვება.

იმდენად არაორდინარული იყო, რომ მას ჩვეულებრივი სიკვდილი არ ეწერა...

იზა გიგოშვილი: ექვსი თვე ვმუშაობდით „კავკასიურ ცარცის წრეზე“. გია თამაშობდა ჩემი მეუღლის როლს, რომელიც წყლიან კასრში იჯდა. მე, როგორც მონა-მორჩილ ცოლს, მისი სურვილების შესრულება მევალებოდა. საოცარი პარტნიორი იყო. მან აიტაცა ეს როლი. გვიან, როცა გია სხვებმა შეცვალეს, აღიარეს, — ჩვენ გიას ვთამაშობდითო. გიასნაირი მსახიობი ძნელად თუ მოიძებნება. ის აუცილებელი კონტაქტი, რომელიც მსახიობსა და მაყურებელს შორის უნდა არსებობდეს, მას თითქოს დაბადებიდან დაჰყვა. ყოველთვის მიჭირდა პარტნიორის შეცვლა და როცა გიამ ბულგარეთში გასტროლებზე დაიგვიანა, საშინლად გავბრაზდი. იმ ხანებში მას გიორგი შენგელაია იღებდა ფილმში „ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა“. განერვიულებული ბოლთას ვცემ სასტუმროს დერეფანში და... უცებ გიას ხმა მესმის. გავიფიქრე, იმდენად მინდა ფერაძის აქ ყოფნა, რომ უკვე მოჩვენებები დამეწყო-მეთქი. მაინც ვერ მოვითმინე და ცალი თვალი შემოსასვლელისკენ გავაპარე. ნამდვილად გია იდგა ორი დიდი ჩანთით ხელში. ეტყობა, მანაც იგრძნო ზემოდან „ეზირალი თვალი“, ინსტინქტურად ამოიხედა. დამინახა თუ არა, გულიანად გამიღიმა და დამიძახა: „შალვოვნა (ასე მეძახდა!), ჩამოვედი!“ უსაზღვროდ გამიხარდა, მაგრამ ესღა ვუთხარი, კარგი გიქნია-მეთქი და ჩემი ოთახისაკენ გავემართე. არ გასულა ერთი საათი, რომ დარცხვენილი გია შემოვიდა კონიაკის ბოთლითა და ია-ბულით. „რა ვქნა, შალვოვნა, გადაღება იყო... როცა მივხვდი, რომ კიდევ დიდხანს უნდა გაგრძელებულიყო, დავკარი ფეხი და თავქუდმოგლეჯილი გამოვიქეცი. ხომ ვიცი, პარტნიორის შეცვლას ვერ ეგუები“. შემომთავაზა, ჩვენი შერიგებისა დავლიოთო. ვიუარე, ხომ არ გაგიჟდი, საღამოს სპექტაკლია, თანაც, როდის იყო, ვსვამდი-მეთქი. გადამეკიდა: მე ჭიქით დავლევ, შენ კი სიმბოლურად კონიაკის ხუფით მოსვიო. სხვა გზა არ იყო, დავყაბულდი... მას არაფერი ეტყობოდა, მე კი 5-6 ხუფის შემდეგ საკმაოდ შეეუჟუნებული გახლდით. სპექტაკლი სრული ანშლაგით მიდიოდა. იმ ადგილას რომ მივედით, როცა რამაზ ჩხიკვაძე-აზდაკი გრუშე ვაჩნაძის საქმეს იხილავს, აშკარად „იხრება“ ჩემს მოწინააღმდეგეთა მხარეს და მე, როგორც მატყუარას, ხელს მკრავს. იმ წუთში ჩემი მონოლოგიც დაიწყო და რომ ჩავამთავრე, აქვითინებული დავეცი... უნებურად თვალი გავაპარე სცენის იქითა მხარეს მდგარი მსახიობებისაკენ. გია ტიროდა. კინაღამ გული გამიჩერდა. გიას გავძახე, რა მოხდა-მეთქი. ხმამაღლა დამიძახა: კარგი ხარო! ...მაყურებელი სცენიდან არ გვიშვებდა. გიამ ხელი მომკიდა და ჩამჩურჩულა: რა კარგი ვქენით, შალვოვნა, რომ დავლიეთ. ჩემი რა გითხრა და შენ კი ასე ჯერ არ გითამაშიაო.

...შვეიცარიაში ვართ გასტროლებზე. ჟენევა აჭრელებულია რეი ჩარლზის პლაკატებითა და რუსთაველის თეატრის აფიშებით. მაშინ ჩარლზის სიმღერები მხოლოდ მოსმენილი თუ გვქონდა. ყველამ მოვინდომეთ მის კონცერტზე დასწრება, მაგრამ ბილეთის ფასი რომ გავიგეთ, უკან დავიხიეთ. გიამ დამამშვიდა: შალვოვნა, არ ინერვიულო, ჟენეველი მეგობარი ქალი დამპირდა ორ ბილეთს. გამოიპრანჭე და საღამოს ერთად წავიდეთო. ძალიან გამიხარდა. იმ „მეგობრის“ არსებობაში ეჭვიც არ შემპარვია. წავედით. კონცერტი დიდ სპორტულ კომპლექსში უნდა გამართულიყო. გიამ თქვა: შესასვლელთან გვიცდის ის ქალიო, მაგრამ იქ არავინ დაგვხვდა. კონცერტის დაწყებამდე რამდენიმე წუთიღა რჩებოდა. გამობრუნებას ვაპირებდი. გიამ არ გამიშვა. მივიდა შესასვლელთან მდგარ ორ გოლიათ ყმაწვილთან და ეუბნება: „ჯორჯია შტატ, რუსთაველი ქომფანი, იზაბელა შალვოვნა“ (ხელი ჩემკენ გამოიშვირა). ისინი მიხვდნენ, რომ უცხოელები ვიყავით და ზრდილობიანად მოგვთხოვეს ბილეთები. გიას მოვქაჩე, მაგრამ თქვენ არ მომიკვდეთ, არაფერი შეუმჩნევია. „ჯასთე მომენტ“-ო, მითხრა და ისევ გოლიათებს მიუბრუნდა, ამჯერად ქართულად: მე და რეი აი, ასეთი დოსტები ვართო და საჩვენებელი თითები ერთმანეთს გაუსვა. ისინი ჯერ დაიბნენ, მერე კი თავაზიანად გვანიშნეს, შებრძანდითო. გიამ ხელი დამტაცა და შემიყვანა. უკან რომ მივიხედე, ისინი ერთმანეთს გიასავით აჩვენებდნენ თითებს. ალბათ ვერ გაეგოთ, რას ნიშნავდა ეს. ასე სიცილ-სიცილით შევედით უზარმაზარ დარბაზში. იქაც არ დაიბნა გია. ერთი ახალგაზრდა წამოასტუნა — მადამ იზაბელა დასვიო, თვითონ და ის კაცი კი კიბეზე ჩამოსხდნენ. ძალიან მოსიყვარულე გახლდათ. ჩემს ნიკასთან თამაში უყვარდა. ერთხელ, ბათუმში, 7 წლის ნიკა ჩავაბარე ცოტა ხნით. თურმე ნიკას ვერ მოუთმენია, ზღვაში შესულა და კინაღამ ტალღებს შეუთრევია. გაგიჟებულა გია, თვითონაც გადამხტარა, მაგრამ ნიკამ ცურვა იცოდა და მშვიდობიანად გამოვიდა ნაპირზე. მისგან კაცის მოკვლა საერთოდ წარმოუდგენელი იყო, მით უფრო უსაყვარლესი ადამიანის...

პატიმრობიდან დაბრუნებულს დაქცეული თბილისი დახვდა. ვთხოვე, ჩემთან და მერაბთან (*მერაბ თავაძე, მსახიობი და რეჟისორი, იზა გიგოშვილის მეუღლე. — ავტ.*) ერთად წამოსულიყო გერმანიაში (გერმანელებმა რამდენიმე თვით სპექტაკლ „ოიდიპოსით“ მიგვიწვიეს. მაშინ ჩვენ უკვე გვქონდა „სამეფო უბნის“ თეატრი). გიას ცრემლები გადმოსცვივდა: შენ კიდევ გინდა ჩემ გვერდით სცენაზე დადგეო? არ სჯეროდა, რომ კიდევ უყვარდათ. წამოსვლა ვერ შეძლო, პასპორტი არ ჰქონდა („მიმაგრებაში“ იყო, ანუ ნახევრად განთავისუფლებული), თანაც ძალიან მოტეხილი იყო. გიას სურათი ჩვენი თეატრის შემოსასვლელში გვიკიდია... ყველას რომ მიგვეხედა, დღეს ცოცხალი იქნებოდა, მაგრამ ჩვენ ხომ მოვლა არ ვიცით, გასვენება და დაკრძალვა გვეხერხება კარგად...

„სევდის კრებულში“ გია ფერაძე ერთ ლექსში ძმაზე, ილიკოზე, წერს: „მე რომ ძმა მყავს, ღმერთმა მოგცეთ,/ ყველას ჩემი ძმისთანა,/ ძმობა მესმის, ძმობა უნდა/ ჩვენ რომ გვაქვს, იმისთანა“. ბატონ ილიკოს მართლაც დიდი ამაგი აქვს უმცროს ძმაზე. მამა რომ გარდაეცვალათ, გია ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე იყო.

ილიკო ფერაძე: — მამა დინჯი, მკაცრი კაცი იყო. მისი შედგენილი ინგლისური ენის სახელმძღვანელო დღემდე ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლება. ბუზის გაფრენის ხმას გაიგონებდით მის გაკვეთილზე. თუკი მოსწავლე გააბრაზებდა, ისეთი წკიპურტი იცოდა, თვალებიდან ნაპერწკლებს გადმოაყრევინებდა. შემდგომში ბევრი მისი ნამოწაფარი და გამოჩენილი ადამიანი იხსენებდა, — ბიძინა ფერაძის წკიპურტმა კაცად მაქციაო. მიუხედავად სიმკაცრისა, არტისტულიც გახლდათ. ბევრმა არც იცის, რომ ცნობილი სიმღერის, „ყვავილების ქვეყანა“, ტექსტი მამაჩემის დაწერილია. მამა 1965 წლის 20 დეკემბერს გარდაიცვალა და მე, როგორც უფროსმა ძმამ (9 წლით ვიყავი უფროსი) გიას „მეურვეობა“ ვიკისრე. ხან მიჯერებდა, ხან — არა, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ძალიან ვუყვარდი და ჩემი რიდიც ჰქონდა. იმდენად მოუსვენარი იყო, ათასნაირ ხრიკს იგონებდა თანატოლების გასართობად, სამაგიეროდ, პედაგოგები ჰყავდა გამწარებული. სკოლა რომ დაამთავრა, მასწავლებლებმა მაღარიჩიც კი გადაიხადეს. ძალიან ნიჭიერი იყო, მაგრამ იმპულსური. სათანადოდ არ აფასებდა თავის შესაძლებლობებს... დათო ყიფიანს მისთვის უთქვამს — შენ რომ ფეხბურთს გაჰყოლოდი, მე უკან ჩამომიტოვებდიო. დედაჩვენი, თინათინ ჟორჟოლიანი, ცნობილი მსახიობის, სანდრო ჟორჟოლიანის ძმისშვილი გახლდათ. დედასაც და გიასაც იუმორის გრძნობა უხვად ჰქონდათ მომადლებული. სამხიარულო სუფრა ისე არ გაიშლებოდა, დედაჩემი რომ არ დაეპატიჟნათ. მას ანეკდოტების რვეული (სხარტულა) ჰქონდა შედგენილი და ისეთ ამბებს ჰყვებოდა ხოლმე, რომ ხალხს სიცილით ხოცავდა. ასე იყო გიაც. სხვათა შორის, გიასთან ერთად დედაჩემმაც ითამაშა ეპიზოდური როლი ფილმში „არასერიოზული კაცი“. თუ გახსოვთ, ქუჩაში ნაპოვნ კატას რომ მიჰყიდის ერთ ქალს. აი, ის ქალი დედაჩემია. გიას ამბავმა საწყალ დედას ბოლო მოუღო. გიას გარდაცვალების შემდეგ ლოგინად ჩავარდა და წლისთავზე გამოგვეცალა ხელიდან.

დედა და გია ძალიან უგებდნენ ერთმანეთს, ერთხელ გიას ბოტკინი შეხვდა და ინფექციურში დავაწვინეთ. ბევრმა მისმა მეგობარმა რა არ მოიმიზეზა, რომ მასთან ერთად იმ პერიოდში საავადმყოფოში დაწოლილიყო. გიამ იმხანად იუმორისტული გაზეთიც კი გამოუშვა (კედლის, რა თქმა უნდა), რომელსაც „საბჭოთა ბოტკინელი“ დაარქვა. ვინ არ მოდიოდა ამ გაზეთის წასაკითხად.

გასტროლების მერე ყოველთვის ჩამოჰქონდა საჩუქრები. მისი სუსტი წერტილი იყო ნიღბები. ერთხელ ამერიკიდან ასი წლის დედაბრის დანაოჭებული და თმაგაწეწილი ნიღაბი ჩამოიტანა. დაურეკა თავის მეგობარს, მარჯანიშვილის თეატრის მსახიობს, ამირან ბუაძეს, ჩემთან გამოდი და აქედან ერთად წავიდეთო (სტუმრად მიდიოდნენ ვიღაცასთან), ამ ნიღბით შეეგება სტუმარს. საშინელი ნიღაბი იყო, ამირანს შიშით გული კინაღამ გაუსკდა, ერთი კი დაიძახა, „ვაიმეო“ და ლიფტსაც აღარ დაელოდა, კიბეზე თავქუდმოგლეჯილი დაეშვა, თან იძახდა: ხომ ვიცი, რომ შენ ხარ, გია ფერაძევ, მაგრამ მაგისთანას როგორ გიყუროო...

გიას უამრავი მეგობარი ჰყავდა. ყველას უყვარდა იგი და უხაროდა მასთან ყოფნა. ვლადიმირში ტუბერკულოზი შეხვდა და ციხის საავადმყოფოში იწვა. წარმოუდგენლად ძნელი იყო მისი მონახულება. ანდრეი მირონოვს ვთხოვე, რომ დამხმარებოდა. არ დამზარდა (გაანათლოს მისი სული უფალმა) და გამყვა. მერე კი მახაჩყალაში გადმოყვანაშიც დაგვეხმარა. საშინელი წლები გაიარა ჩემმა ძმამ. მან ხომ უპირველესად თავის თავს გამოუტანა განაჩენი. ამბობდა კიდეც: რად მინდა სასამართლო, მე ხომ უკვე ცოცხალი აღარ ვარო. გიას ირინასაგან ჰყავს უმშვენიერესი გოგონა მარიკა, საოცრად თბილი და კეთილი. მას მამის ახლობლები, თავისი და-ძმა ძალიან უყვარს და ყველასთან მეგობრობს.

მიუხედავად გიას ცხოვრების ტრაგიკული

დასასრულისა, არ მინდა მასზე მოგონებები ცრემლით დასრულდეს, ამიტომ ერთ ეპიზოდსაც გიამბობთ: ერთხელ „კავკასიური ცარცის წრის“ სპექტაკლზე ნასვამი მისულა. რობიკო გაბრაზებულა და მკაცრად უთქვამს, აქ აღარ დაგინახოო. გია ძალიან განიცდიდა ამ ამბავს. ორი კვირა რომ გავიდა, ისევ დედამ და მისმა იუმორმა იხსნა გია. დაურეკა სტურუას და სთხოვა: შვილო, რობიკო, ისევ დაუშვი სპექტაკლზე, თორემ ჩემი შეჩვენებული შვილი აღარ ბანაობს და მანდ კასრში მაინც ჩაჯდეს წყალშიო. რობიკოს გასცინებია და სცენაზე გასვლის ნება დაურთავს.

P.S. ასეთი გახლდათ ცხოვრება და აღსასრული „არასერიოზული კაცისა“, რომელიც ბედნიერების ცაზე მყოფი მოულოდნელად დაენარცხა მიწას...

მარინა ბაბუნაშვილი

გამომცემლობა «ფავორიტი»

გთავაზობთ ეკოლოგიურად სუფთა, სასკოლო მელნით დაბეჭდილ რვეულებს, შეღავათიან ფასად

რვეულები შეგიძლიათ შეიძინოთ საყაჭრო ქსელში. ბითუმად შეძენის მსურველებმა მოგვმართეთ მისამართზე: ქიზიყის ქ. № 20.

ტ: 26-10-13; 899 58-96-91

ცხოვრებისეული კურიოზები

მხიარული ჰაკიენცი

მინაგო ქუტიძეს მთელი ოზურგეთი იცნობს, ხუმარა, ენამოსწრებული კაცია. ოღონდ ეგაა, ამ შემოდგომაზე გაცივდა და ლამის შეიწირა გრიპმა. თავდაპირველად ყურადღება არ მიაქცია და ერთი თვის შემდეგ გალურჯებული მიიყვანეს საავადმყოფოში. დიაგნოზი ორმხრივი ფილტვების ანთება გახლდათ და ჩვენს მინაგოს ლამის ორი თვე მოუწია საავადმყოფოში წოლა. იქაც არ იშლიდა ხუმრობას და ყველას დაამახსოვრა თავი. განსაკუთრებით, თავისი პალატის ექთანს, ცისფერთვალა ნათელას.

საავადმყოფოდან ორიოდე კვირის გამოწერილი მინაგო ოზურგეთის ბაზარში იყო, მანდარინს ყიდდა თუ ყიდულობდა, კარგად არ მახსოვს. ჰოდა, დგას მინაგო და თვალებს არ უჯერებს. ბაზარში ცისფერთვალა ნათელამ შემოაბიჯა, გვერდით კაცი კი მოჰყვებოდა, მაგრამ მისთვის მადლიერ პაციენტს ყურადღება არ მიუქცევია და მისასალმებლად გაემზადა...

ნათელამ მინაგოს კი მოჰკრა თვალი, მაგრამ გვერდით მეუღლე მოჰყვებოდა. იფიქრა, ახლა რომ მივესალმო, რაიმე უხიაგს მეტყვისო და... გვერდით ისე ჩაუარა, ვითომც აქ არაფერიო.

გადაირია მინაგო. გამოუდგა უკან მშვენიერ ექთანს, გადაუდგა წინ და ომახიანად უთხრა:

— გამარჯობა, ნათელა! ვერ მიცანი, ცა! შენთან არ ვიწექი ორი კვირის წინ?!

საჩხუბრად გამზადებული ნათელას ქმარი ძლივს გააკავეს...

ნანა სხილაძე, თბილისი

ქამარმა გახცა...



ეს ამბავი შარშან მოხდა ყვარელში, ზუსტად ერთი წლის წინ. რამდენიმე მოქეიფე მეგობარი შეიკრიბა პირველი თოვლის მოსვლის აღსანიშნავად (საბაბს ეძებდნენ და იპოვეს კიდეც). ზაზამ, დათომ და ზურამ გადაწყვიტეს, მოქეიფეთათვის სიურპრიზი მოემზადებინათ და სანადიროდ წავიდნენ ე.წ. „საკურდღლეში“. სამწუხაროდ, ვერაფერი მოინადირეს. არადა, ხელმოცარულებსაც არ უნდოდათ გაშლილ სუფრასთან მისვლა და... გამოსავალი იპოვეს: გზად მეზობელ გოგიას შეუარეს, რომელსაც ბოცვრები ჰყავდა და ერთი ცალი იყიდეს. ის-ის იყო, საქეიფო ადგილს მიუახლოვდნენ, რომ მაშინღა მოიფიქრეს, ცოცხალს ხომ არ მივიყვანთო. რას იზამდნენ, ზაზამ ქამარი მოიხსნა, კურდღელს მარყუჟი გაუკეთა და იქვე ხეზე მიაბა. რიგრიგობით დაუმიზნეს მონადირეებმა მსხვერპლს სანაქებო თოფები და რიგრიგობით ააცდინეს. ბოლოს დათომ „ივაჟკაცა“ და ტყვია პირდაპირ... ზაზას ქამარს გაარტყა. დამფრთხალი კურდღელი თავქუდმოგლეჯილი გაიქცა კისერზე შებმული მარყუჟით და სულ მალე მოქეიფეთა ეზოში ამოჰყო თავი. იქ კიდევ სახლის მეპატრონის სეტერმა იმარჯვა და ყელზე შებმული საბელით დაიჭირა გოგიას ბოცვერი.

ამასობაში ჩვენი „მონადირეებიც“ მოვიდნენ და გაოცებული უყურებდნენ თავიანთ „ნანადირევს“. ზაზა ხან კურდღელს შეავლებდა თვალს, ხან თავისი ახალი ქამრის ნარჩენს, ხანაც უქამრო შარვალს ისწორებდა. სწორედ „ქამარმა“ გასცა „მონადირეები“.

ს. ნ., ყვარელი-თბილისი

ხაშლამა თუ თეთრი „ნივა“...

გორში ერთი ცნობილი გურმანია, ზურა ცერაძე, მეტსახელად „კუთხის ქვა“. ახლა მის ამბავს გიყვებით.

— ყველა საქმეს ცოდნა უნდა, ყველაფერს თავისი მუღამი აქვს! — მოძღვრავს ერთხელაც ბირჟაზე მდგარ უბნის ბიჭებს მოქეიფე „კუთხის ქვა“ და აგრძელებს:

— ხაშლამის ნაჭერს მაღლა რომ ასწევ, ხელს გაუშვებ, თეფშზე დაეხეთქება და გაჩერდება, ე. ი. გადახარშულია!

— ხორცის ნაჭრები რომ თეფშზე დაეცემა, ერთს შეიკუნტრუშებს, მერე ზამბარასავის გააძაგძაგებს და გაჩერდება, აი, მაშინ არის კარგად მოხარშული!

— აი, გუშინწინ ქორწილში ვიყავი და ისეთი კარგი ნაჭერი ავარჩიე, რომ ჩემ წინ მჯდარი მოსამართლე თავის თეთრ „ნივაში“ მიცვლიდა, მაგრამ ეგ როგორ მომატყუებდა!.. — დაამთავრა თავისი დეკლამატორული გამოსვლა ბირჟაზე „კუთხის ქვამ“.

დავით ბერიანიძე, გორი

ხუთს ვრაყი?!

გორის „დილას“ ერთმა ვეტერანმა ფეხბურთელმა (რომლის გვარსაც გასაგები მიზეზების გამო ვერ ვასახელებ) საეტაპო მატჩისწინა ვარჯიში გააცდინა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ხელს გადაჰყვა (ანუ ბახუსი უყვარდა).

მწვრთენელმა სასტიკად უსაყვედურა დისციპლინის დარღვევისათვის, ფეხბურთელმა კი თავი იმართლა, — მოვიწამლე და ვარჯიშზე მოსვლა არ შემეძლოო.

— ჰო, ეტყობა, სოკოს არაყი იყო! — ჩაილაპარაკა თავისთვის მწვრთნელმა.

დ. ბ., გორი

წინასაახალწლო ძღვენი

ამ ცოტა ხნის წინათ კრიტიკული სტატია მოვამზადე იმის შესახებ, თუ როგორ ზრდიან თბილისში, ნაგავსაყრელზე მავანნი ღორებს, რომლის ხორცი ჯანმრთელობისთვის არცთუ ისე სახარბიელოა...

მამხილებელ სტატიაზე მუშაობის პროცესში იძულებული გავხდი ნაგავსაყრელზე ორი მკვდარი გოჭი მეყიდა (ასეთი გოჭები ხშირ შემთხვევაში ბაზარზეც კი გააქვთ თურმე).

მოკლედ, სტატია რომ გავამზადე (რისთვისაც ავტორი მკითხველის პრემიითაც დაჯილდოვდა. — რედ.), გოჭები გადასაყრელად ვერ გავიმეტე და შინ წავიღე(!) — ჩემს კორპუსთან მოჩვეული ერთი უპატრონო ბომბორას და უამრავი მაწანწალა კატის დაპურებას ვაპირებდი.

მეუღლეს ჯერ გაეხარდა „საჩუქარი“, მაგრამ რომ გაიგო, რისთვისაც მივიტანე, ქოქოლა დამაყარა, თუმცა ჩემს „ჟურნალისტურ გადაწყვეტილებას“ წინ ვერ აღუდგა და „დამლოცა“ — თავში ქვა გიხლია, რაც გინდა, ის ჰქენიო!...

მეც დილაადრიან ავდ[illegible] უზარმაზარ ქვაბში მოვათავ[illegible] დავდგი მოსახარშად, თან [illegible] მატე ცუდი სუნის გასაქრ[illegible]

...მერე, მოხარშული გოჭ[illegible] იტანე ეზოში და ბომბორას[illegible] გოჭი ამოვიღე და პირდაპირ[illegible] ძაღლი ასეთ ძღვენს არ ელოდ[illegible] გან ისე წკმუტუნებდა, გული ა[illegible] რაც შეეხება მეორე გოჭს, ის უპ[illegible] მივუგდე და თვალის დახამხამებ[illegible] მოგროვდა, დათვლა გაუჭირდებ[illegible]

მოკლედ, ბომბორასა და ფ[illegible] მოვისხი.

თუმცა, ჩემს საქციელს გაგრძ[illegible] მეზობლებმა ეჭვის თვალით დამ[illegible] ზვიადი იმდენს შოულობს, გოჭებ[illegible] კატებს აჭმევსო...

კიდევ ერთი გაგრძელება: რო[illegible] ამოობით შინ მივდივარ, რამდენიმ[illegible] ღნავილითა და მიაუს ძახილით [illegible] ებზე მეხახუნება, მეალერსება და[illegible] კვლავ გოჭის მოლოდინში არია[illegible] ნილ ტილოსთან უპატრონო კი[illegible] ბომბორა მელოდება.

ზვიად ჩაკვ[illegible]

მკითხველის საყვარელი ანეკდოტი

საოკეანო ლაინერზე კაპიტანი ეკითხება ერთ-ერთ მგზავრს, მეცნიერ-მუშაკს:

— უცებ რომ სახომალდო კატასტროფა მოხდეს, ცურვა შეგიძლიათ?

— ცურვა არა, მაგრამ...

— რა მაგრამ?!

— შემიძლია ექვს ენაზე მოვუხმო მაშველებს!..

ბატონო მკითხველო, რედაქცია კურიოზებსა და ანეკდოტებთან ერთად ელის მხიარულ კარიკატურებს, მეგობრულ შარჟებს, ახალ სასაცილო ამბებს, რომელთაგან საუკეთესოებს სიამოვნებით გამოვაქვეყნებთ.

მასალები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე.

როცა ცხოვრება მძიმდება, — სიცილი უფრო გვიხდება...

გაილიმეთ ჩვენთან ერთად!

დათვი კაცივით დამელაპარაკა!..

ჩემი რესპონდენტი უბრალო გლეხკაცია, რომელმაც თავისი თვალით ნახა და ყურით გაიგონა საოცრება.

ბატონი კარლო ძაგანია იმერეთში დაბადებული და გაზრდილი კაცია. მამამისს დედამისი მოუტაცებია, მაგრამ ქალს სხვა ჰყავრებია და არ გასჩერებია მოძალადეს. 6 თვის ფეხმძიმე შინ დაბრუნებულა და თავიც უმართლებია, — უფალმა მამაჩემს ძე არ მისცა. ეტყობა, ჩემს შვილს უნდა გაეძლიერებინა და გაეგრძელებინა ჩვენი ოჯახიო. თუმცა კი გვარი მამისა მიუცია ბიჭისთვის: „ვერავინ დაჩაგრავს, მის წარმომავლობას საეჭვოდ ვერ მიიჩნევენო!..“ გათხოვება აღარ უფიქრია — შვილს მამინაცვლის ხელში ვერ ჩააგდებო. მშობლებიც გვერდში დასდგომიან ქალიშვილს...

კარლო ძაგანია დღესაც სიყვარულით იხსენებს ბაბუას — გრიგოლ საკანდელიძეს: „საცაა 70-ს მივუკაკუნებ და დღემდე იმ სიკეთით ვცხოვრობ, ბაბუაჩემმა რომ მასწავლა: მტერიც არ დაუწყევლია არასოდეს, ქათამი არ დაუკლავს... ნადირობის გიჟი იყო და მაშინაც კი არ მოკლავდა ცხოველსა და ფრინველს, თუ დარწმუნებული არ იყო, რომ შვილებს არ დაუობლებდა...“

— თქვენც ბაბუისაგან გამოგყვათ ალბათ ნადირობის სიყვარული?!

— რა თქმა უნდა. თან დავყავდი, ტყეს მაცნობდა და მასწავლიდა, ხეებს და ყვავილებს „ელაპარაკებოდა“, ცოცხალივით ეფერებოდა. ზამთარი არ გავიდოდა, შინ რომელიმე ცხოველი ან ფრინველი არ გვყოლოდა: გამოაზამთრებინებდა თავისიანებს ჩამორჩენილს, უმკურნალებდა თუ რამე სტკიოდა და გაზაფხულზე ისევ გაუშვებდა ტყეში.

— ნამდვილი ექიმი აიბოლიტი ყოფილა.

— მეც წამიკითხავს ეს ზღაპარი... მე ვერა ვარ ბაბუას მსგავსად გულჩვილი, არც იმას ვეძებ, რომელი ცხოველი მოვკლა და რომელი — დავინდო, მით უმეტეს, ფრინველი. მე მართლა მონადირე ვარ, აზარტული და... სისხლის მოყვარული. ჰოდა, ის საოცარი ამბავი, რომლითაც მინდა გაგაკვირვოთ, ერთ-ერთი ნადირობისას შემემთხვა. წელიწადიც მახსოვს — 1970 იდგა. უჩვეულოდ დიდი თოვლი მოვიდა ჩვენში. ნადირი ვეღარაფერს შოულობდა ტყეში და მთიდან ბარში ჩამოვიდა. ღამის ეზოში გვივარდებოდნენ მგელი თუ ტურა, ზოგს აფთარიც უნახავს. ზოგს ძროხა დაუკლეს, თორემ თხა და ცხვარი ხომ გააჩანაგეს. მეტი გზა არ გვქონდა, მოვილაპარაკეთ კაცებმა, ავისხით იარაღი და წავედით ნადირთან „საომრად“ — კაკანათები და ხაფანგები დავდგით. ბღლომადაც დავხოცეთ წვრილი თუ მსხვილი მხეცი, მაგრამ აბა, ყველას სად გავუმკლავდებოდით. ერთხელაც მარტო წავედი. ბევრი ვიარე და რომ მეგონა, გამოვასწრებდი ღამეს ტყიდან, მოვტყუვდი — დამაღამდა. სიბნელეში კი გზა ამებნა, თან ჩემდა სამარცხვინოდ, არც გასანათებელი მოწყობილობა მქონდა რამე. ასანთი კი წავიღე, მაგრამ ცეცხლიც რომ დამენთო, გავიყინებოდი ცის ქვეშ და ამიტომ ისევ უნდა მევლო გზის პოვნის იმედით. მივდივარ, დროდადრო ვყვირი, იქნებ ვინმე მეძებს და გავაგონო-მეთქი... დამიცდა ფეხი გაყინულ თოვლზე და წავედი ქვევით კოტრიალით, ხელიც ვერ მოვავლე რამეს. არ დამინახავს, მაგრამ მივხვდი, რომ ორმოსმაგვარ ჭრილში ჩავვარდი. წყვდიადში ვერაფერი დავინახე, მაგრამ სუნით მივხვდი, ახლომახლო სულიერი იყო, თანაც... ცხოველი — პირუტყვის სადგომის სუნი იდგა. მოვძებნე ასანთი, გავკარი, გავანათე და... შიშით კინაღამ გული გამისკდა — იქვე უზარმაზარ დათვს ტკბილად ეძინა. რომ გაღვიძებოდა, ლუკმად არ ვეყოფოდი, ერთი ტორის დარტყმით გამაფრთხობინებდა სულს. მივახტი გასასვლელს, მაგრამ ფრთები მე არ მქონდა და ისე იქიდან ასვლის შანსი არ იყო. მივიყუჟე ბუნაგის კუთხეში და ვუცდი გათენებას... ამიტანა კანკალმა, კბილს კბილზე მარტყმევინებდა. დილამდე აღბათ სულს გავაცხებდი. მეტი გზა არ მქონდა. მიეპარე დათვს, ჩავეხუტე, ხელ-ფეხი მისი ბეწვის ქვეშ ჩავმალე... მეშველა ცოტა და... ჩამძინებოდა!...

რამ გამაღვიძა, იცით?! სახეზე ხაოიანი ენის შეხებამ. ჯერ ვიფიქრე, რომ ჩემი ძაღლი, ლომა იყო და ხელი გავკარი, მაგრამ ვერ მოვიშორე და თვალი გავახილე: მხართეძოზე წამოწოლილი „მასპინძელი“ — დათვი მომჩერებოდა და მყნოსავდა გაოცებული. ვფიცავ კაცობას და შვილებს, თუ რამეს ვიგონებდე: შიშით გამაცია და... ჩავისველე! ვერ ვინძრევი, სიკვდილს ვუყურებ თვალებში... დათვი ფეხზე დადგა და თოვლის გადაყრა დაიწყო. თურმე საიდანაც ჩამოვვარდი, იქ კი არა, გვერდზე ჰქონია ბუნაგს გასასვლელი. გაათავისუფლა გასასვლელი. მიყურებს კაცივით ჭკვიანი თვალებით, თითქოს მეუბნება — „წადიო!“. ვერ ვინძრევი, არ მემორჩილება ფეხები. ზუსტად ისე ვარ, როგორც ავ სიზმარში... დავხუჭე ისევ თვალები და... მესმის ხმა: „წადი... წადი... წადი!“ — კაცის ხმით დამელაპარაკა დათვი... საბოლოოდ დავიჯერე, რომ სიზმარში ვიყავი და ძალა მომეცა, წამოვხტი და გამოვვარდი გარეთ. ასიოდე მეტრი გავირბინე და მოვიხედე. უკანა თათებზე ჩამჯდარი დათვი მიყურებდა და თვალით მაცილებდა თითქოს. არ ვიცი, რატომ მოვიქეცი ასე და იარაღი შევმართე, მოკვლა დავუპირე — დავუმიზნე დათვს, რომელიც ადგილიდან არ იძვროდა და... ბაბუაჩემი გრიგოლი დავინახე უცებ მის გვერდით, ორი ათეული წლის წინ გარდაცვლილმა ბერიკაცმა საყვედურით შემომხედა... გამივარდა თოფი ხელიდან და დავვარდი მუხლებზე. ისევ რომ ავწიე თავი, აღარც დათვი იყო სადმე და არც ბაბუაჩემის აჩრდილი. წამოვხტი და სირბილით ვიარე სახლამდე...

კარგა ხანს ვერ დავმშვიდდი, ტყეშიც ვერ ვბედავდი მარტო გასვლას ერთი ხანობა. არც ცოლმა დამიჯერა მონათხრობი და არც მეზობლებმა. შვილები პატარები მყავდა და ზღაპარივით მაყოლებდნენ ყოველ საღამოს... მერე მეც დავიჯერე, რომ ზღაპარი იყო მართლა ყველაფერი, მაგრამ... გაცოცხლებული ზღაპარი, რომელშიც მე, ჩვეულებრივმა მოკვდავმა, მოვახერხე მოხვედრა და სანამ მსგავს რამეს თავად არ განიცდის ადამიანი, ვერ დაიჯერებს. არც მწყინს სხვათა ეჭვი...

ზოგჯერ იმასაც ვფიქრობ, რომ დათვმა კი არა, საიქიოდან ჩემს საშველად მობრუნებულმა ბაბუამ გადამარჩინა და დათვის კი არა, მისი ხმა გავიგონე, მაგრამ თუნდაც ასე იყოს, მაინც სასწაულია!...

რა თქმა უნდა, სასწაულია, ბატონო კარლო, რომელიც ძალიან მინდა მართალი იყოს და ეჭვიც არ მეპარება, ბევრ მკითხველს გაუჩნდება მსგავსი გრძნობა თუ სურვილი.

აბა, რომელი გიჟი იტყვის უარს ზღაპარში მოხვედრაზე?!

ინგა ჯაყელი

დაბადების მისტერია

არის ორი მოვლენა, რომელსაც ვერც ერთი ადამიანი ვერ ასცდება: ამქვეყნად მოსვლა და იმ ქვეყნად წასვლა.

ბავშვის დაბადება ყველასთვის სასიხარულოა, მაგრამ ხშირად ეს სიხარული გვერდს აუვლის მთავარ მონაწილეს — ახალშობილს. მამა მეგობრებთან ერთად რესტორანში აღნიშნავს შვილის შეძენას, მშობიარობისგან გადაღლილი დედა იძინებს... ბავშვს უცხო ადამიანები უვლიან, მათთვის ეს პატარა სხვებისგან არაფრით განსხვავებული, ჩვეულებრივი ჩვილია. ბავშვის სიცოცხლის პირველივე წამებზე მომხდარი მოვლენები ზემოქმედებას ახდენს მის ხასიათსა და ბედზე.

ჰოროსკოპი — ეს არის ბავშვის დაბადების მომენტისთვის ვარსკვლავური ცის სურათი და იმავდროულად მშობიარობის რუკა. მასზე ყველაფერია აღბეჭდილი: დედის ფიზიკური მდგომარეობა, მომსახურე პერსონალის საქციელი და იმ ექიმთა ფიგურებიც კი, რომელნიც დედას ორსულობის პერიოდში აკვირდებოდნენ. ამიტომ ახალშობილისთვის ნამდვილად მეფური საჩუქარი იქნება, თუკი ამქვეყნად მოვლენის მომენტში საუკეთესო პირობებს შევუქმნით. ამით მისი ჰოროსკოპიც და მომავალი ცხოვრებაც საგრძნობლად გაუმჯობესდება. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ახალშობილმა თავიდანვე იგრძნოს — მისი მოსვლა ყველასთვის სასიხარულოა.

ორსულობის დროს მუცელში მყოფ ბავშვზე ყველაფერი მოქმედებს. აღმოჩნდა, რომ ექიმი, რომლის მეთვალყურეობის ქვეშაა მომავალი დედა და მით უმეტეს, ის ექიმი, რომელიც ქალს ამშობიარებს, ყოველთვის ასვამს დაღს ბავშვის ხასიათს. მაგ. ერთ-ერთი ორსულის ექიმი პედანტიზმით გამოირჩეოდა. მას არც ერთი უმნიშვნელო დეტალი არ რჩებოდა უყურადღებოდ. ბავშვიც ასეთივე აკურატული გახდა. მეორე ქალის ორსულობას აკვირდებოდა სხვა ექიმი — ზედმეტად ემოციური და ბავშვსაც ეს თვისება განუვითარდა.

საინტერესო კანონზომიერება აღინიშნება იმ ადამიანების ცხოვრებაში, რომლებიც გაჩნდნენ ექიმების შეცვლისას. სიტუაცია, როცა მშობიარეს ერთი ცვლა მეორეს გადასცემს, აისახება ჰოროსკოპშიც — „იწერება“ ნეგატიური პროგრამა მომავალ პირად ცხოვრებაში. ასეთი ადამიანები ხშირად იცვლიან მეუღლეებს, საკუთარ თავში დაურწმუნებლები არიან.

საკეისრო კვეთის შედეგად დაბადებული ჩვილი ვერ გაივლის ბუნებრივი მშობიარობისთვის მეტად მნიშვნელოვან დამამთავრებელ ეტაპს. მისი შემობიჯება სამყაროში უმტკივნეულოა და ეს მომენტიც იმოქმედებს მის მომავალზე. ასეთი ბავშვები ვერ უმკლავდებიან ცხოვრებისეულ დარტყმებს, გაურბიან სიძნელეებს. ისიც შეიმჩნევა, რომ საკეისროთი გაჩენილი ბავშვები აგრესიულები არიან და ხშირად იღებენ ტრავმებს.

განსაკუთრებით უნდა გაფრთხილდეს ის, ვისაც ბავშვის დაბადება საკუთარი პრობლემების გადასაჭრელად, იმისთვის სჭირდება, რომ როგორმე „დაბას“ საყვარელი ადამიანი. ამით თქვენ ბავშვს სხვის ბედს უმზადებთ და არც არის გასაკვირი, რომ ხშირად ასეთ ბავშვებს არ უმართლებთ.

ჰოროსკოპში ყოველთვის ჩანს, ბავშვის დაბადება სასიხარულოა ოჯახისთვის თუ არა. ყველაზე იღბლიანი ადამიანების დაბადება მშობლებისთვის უბედნიერესი მოვლენა იყო.

შინაგანი ხმა

დღემდე არავინ იცის, რა არის ინტუიცია. სამაგიეროდ, ცნობილია, რომ მას არაერთხელ გადაურჩენია ადამიანი. ზოგს ძლიერი ინტუიცია აქვს, ზოგს ნაკლები. ღირს კი მიუგდოთ ყური შინაგან ხმას? ამის გარკვევაში ჩვენი ტესტი დაგეხმარებათ.

1. გიმართლებთ აზარტულ თამაშებში?
2. უცხო ოჯახში პირველად შესული შეიგრძნობთ თუ არა იქაურ ატმოსფეროს?
3. ენდობით პირველ შთაბეჭდილებას?
4. ხშირად, ყურმილის აღებამდე თუ ხვდებით, ვინ გირეკავთ?
5. გჯერათ ბედისწერის?
6. ოცნებები გისრულდებათ?
7. ხშირად შეგიძლიათ მოსაუბრის აზრის დასრულება?
8. გქონიათ შემთხვევა, როცა ვინმეზე გიფიქრიათ და ის ადამიანი შეგხვედრიათ?
9. ყოფილა შემთხვევა, როცა რაღაც მოხდა და გრძნობთ, რომ ეს უკვე იყო?
10. გაქვთ მისნური სიზმრები?
11. თუ გაგღვიძებიათ ღამით იმის შეგრძნებით, რომ თქვენს ახლობელს უბედურება შემემთხვა და აგხდენიათ?
12. თუ გიყიდიათ რაიმე ნივთი მხოლოდ იმიტომ, რომ გიგრძნიათ, ის მხოლოდ თქვენთვისაა განკუთვნილი?
13. გჯერათ ერთი ნახვით შეყვარების?
14. რაიმე გადაწყვეტილების მიღებისას შინაგან ხმას თუ უჯერებთ?
15. ინტუიციას უფრო ენდობით თუ ლოგიკას?

შედეგები: დადებით პასუხს 1 ქულა დაუწერეთ და შეკრიბეთ:
10-15 ქულა: ძლიერი ინტუიცია გაქვთ. ენდეთ შინაგან ხმას.
5-9 ქულა: წინასწარმეტყველების ნიჭი გაქვთ, მაგრამ პასუხსაგებ საკითხებში მხოლოდ ინტუიციას ნუ მიენდობით: შესაძლოა, შიში და ყოყმანი შინაგან ხმად მიიჩნიოთ.
თუკი 5 ქულაზე ნაკლები შეაგროვეთ: ლოგიკას უფრო ენდობით, ვიდრე ინტუიციას. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებისას ყველაფერი კარგად აწონ-დაწონეთ.

„საბალღო-სალაღო“ გვერდის პასუხები

I. ცხვარი;
II. ხუთ კურდღელს;
III. **რებუსი**
ფრინველი ბუმბულით იცნობა,
კაცი — საქმითაო;
IV. 1) — დ); 2) — ბ); 3) — გ); 4) — ბ); 5) — გ); 6) — დ).
V. გილოცავთ დამდეგ ახალ წელს!

ფრთხილად! იმპოტენციას ერთი ნაბიჯი გაშორებთ!

ძლიერი სქესის წარმომადგენელთათვის კარგადაა ცნობილი დაავადება, რომელიც არა მარტო ფიზიოლოგიური უსიამოვნებების მიზეზი შეიძლება გახდეს, არამედ უხეშად ჩაერიოს ოჯახურ ან პირად ცხოვრებაში და თქვენი ბედნიერება სათუო გახადოს.

პროსტატიტი – მტერი! რომელიც ყოველწლიურად სულ უფრო და უფრო მეტი რაოდენობით მამაკაცს ემუქრება. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიმდინარე წლის მონაცემთა მიხედვით, ყოველ მეხუთე მამაკაცს, 20-დან 60 წლამდე, წინამდებარე ჯირკვლის ანთების სიმპტომები აღმოაჩნდა. პროსტატიტის გამომწვევი ფაქტორები მრავალგვარია: მათ შორისაა გაცივება, ინფექცია, იმუნიტეტის დაქვეითება და სხვ. სამწუხაროდ, წინამდებარე ჯირკვლის ანთება, პირველ დღეებში, ხშირად კი თვეებში არავითარ გარეგან გამოვლინებას არ იწვევს, ამიტომ ავადმყოფმა უბრალოდ არ იცის, რომ ავადაა. სწორედ ეს ხდება პროსტატიტის ქრონიკული ფორმის მიზეზი, რომელიც, როგორც ცნობილია, ძალზე ძნელად ექვემდებარება მკურნალობას. დაავადების პირველი საშიში სიმპტომია პოტენციის უმნიშვნელო დაქვეითება, რაც ექიმთან პირველი ვიზიტის მიზეზი ხდება.

პროსტატიტის ქრონიკული ფორმის ყველაზე მძიმე შედეგია კეთილთვისებიანი სიმსივნის, ე.წ. წინამდებარე ჯირკვლის ადენომის წარმოქმნა, რამაც დროის განმავლობაში, შეიძლება ქირურგიული ჩარევის აუცილებლობა წარმოშვას.

არასწორად ან არასრულად ნამკურნალევი პროსტატიტი ზემოთ ჩამოთვლილი გართულებების წინაპირობაა, რისგანაც თავის დაზღვევა დღეს რეალური და აუცილებელია.

სამედიცინო ცენტრში „ექიმი გილი” დანერგილია მკურნალობის კომპლექსური მეთოდიკა. ამგვარი პრობლემების მქონე პაციენტებისათვის ტარდება გამოკვლევა ქლამიდიოზზე, ექოსკოპია, ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა, სისხლის მიმოქცევის შესწავლა და სხვ. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ზუსტი დიაგნოზის დაფიქსირებისათვის, შეიძლება ჩატარდეს სპეციფიკური გამოკვლევა. ამის შემდგომ, პაციენტისათვის იქმნება მკურნალობის ინდივიდუალური სქემა, სადაც თანამედროვე სამკურნალო მეთოდებთან ერთად, გამოიყენება მკვდარი ზღვის უნიკალური ბიოორგანომინერალური პრეპარატები, რაც მკურნალობის ეფექტურობას მნიშვნელოვნად ზრდის. სწორედ ამიტომ, სამედიცინო ცენტრში „ექიმი გილი” პროსტატიტის მკურნალობის დადებითი შედეგები 95%-ს აღწევს.

დროული მკურნალობა თავიდან აგაცილებთ მნიშვნელოვან გართულებებს, რომლებიც უფრო მძიმე დაავადებებს იწვევენ და მკურნალობის ხანგრძლივობას ზრდიან.

მათ, ვისაც დღეს პროსტატიტი უმნიშვნელოდ გაწუხებთ და იოლად უყურებთ ამ პრობლემას, გახსოვდეთ, რომ ტრაგედიას, რომელსაც იმპოტენცია ჰქვია, თქვენ მხოლოდ ერთი ნაბიჯი გაშორებთ.

სამედიცინო ცენტრი
„ექიმი გილი“
ტ: 29-05-25 25-27-09
ზ. ფალიაშვილის ქ. 44/5

თქვენთვის და ეხოლოდ თქვენთვის...

იმაზე სასიხარულო რა უნდა იყოს ჟურნალისტისთვის, როცა მკითხველის წერილს მიიღებს?! ასეთი წერილი საკმაოდ ბევრი დაგროვდა რუბრიკის, „თქვენთვის, ქალბატონებო“, მისამართით.

ნუ დაგვემდურებით, თუ ყველა გამოხმაურებას ვერ დავბეჭდავთ. უამრავი წერილი შემოდის, რომელსაც ერთი საგაზეთო გვერდი არც ეყოფა.

ვინაიდან დღევანდელი ნომერი „შემაჯამებელი“ ხასიათისაა და „წლიური“ ჰქვია, გადავწყვიტეთ, თქვენი გამოხმაურებები შეძლებისდაგვარად, მცირეოდენი შემოკლებით გამოვაქვეყნოთ.

მაშ, ასე! ნაწყვეტები წერილებიდან, რომელთა კონვერტებზეც წერია: „კვირის პალიტრა“, რუბრიკა „თქვენთვის, ქალბატონებო...“

„უპირველეს ყოვლისა, მინდა მადლობა მოგახსენოთ „კვირის პალიტრის“ მთელ შემოქმედებით ჯგუფს ასეთი მშვენიერი გაზეთისთვის; მინდა გითხრათ, რომ ყოველ ორშაბათს (სხვა რომ არაფერი ვიყიდო) „კვირის პალიტრას“ ვყიდულობ, რადგან ვერ წარმომიდგენია კვირის პირველი დღე ამ გაზეთის გარეშე. იგი მთელი კვირის მანძილზე მართლაც რომ „საგზლად“ მყოფნის.

ახლა იმაზე, რამაც ამაღელვინა ხელში კალამი: ბოლო ხანს დაბეჭდილმა წერილებმა ამაფორიაქა და დამაფიქრა... დამაფიქრა, რადგან ანალოგიური ამბავი მეც გადამხდა ერთ-ერთ პუბლიკაციას ვგულისხმობ („ცოდვა, რომელმაც სიცოცხლე სანანებლად გამიხადა“). საბედნიეროდ, ისეთი ტრაგიკული ამბავი არ გადამხდენია თავს, როგორიც თქვენს ინკოგნიტო რესპონდენტს, ქალბატონო მარინა, მაგრამ ოჯახი მეც დამენგრა...

ოცი წლისა ძალით გამათხოვეს. რა თქმა უნდა, როგორც ჩემს მშობლებს ეგონათ, ისე არ მოხდა — სიყვარული აღარ მოვიდა, მაგრამ შვილების ხათრით, „იდილიური“ ცხოვრება გაგრძელდა...

ალბათ კიდევ დიდხანს ვიცხოვრებდით ასე, რომ არ მომხდარიყო ერთი რამ: სრულიად შემთხვევით გავიგე, რომ ჩემს ქმარს სხვა ქალი უყვარდა (მაშინ, როცა ჩემს „მზეს“ იფიცებდა) ყოველგვარი აყალმაყალის გარეშე დაუყოვნებლივ მოვთხოვე განქორწინება. გაუკვირდა, დიდხანს უარობდა, თუმცა ბოლოს მაინც ჩემი გავიტანე... ვერ გეტყვით, რომ დღეს მის გარეშე უბედური ვარ. თქვენს გაზეთში ბევრი წერილი წამიკითხავს დანგრეულ ოჯახებზე, გაუბედურებულ ქალებზე, მიტოვებულ, სიყვარულდაკარგულ ადამიანებზე... მინდა ქართველ ქალებს ვურჩიო: ჩემო კარგებო, ნუ მიეცემით უსასრულო ნაღველს, ჩვენი სიცოცხლე იმდენად ხანმოკლეა, რომ არ ღირს დარდი და ურვა იმაზე, რასაც აღარაფერი ეშველება... რა თქმა უნდა, სიყვარულიც და ოჯახიც დიდი ბედნიერებაა, მაგრამ თუკი არ შეგხვდათ ღირსეული ადამიანი, ამის გამო ხელს ნუ ჩაიქნევთ, საკუთარ თავში ნუ ჩაიკეტებით. მიიხედ-მოიხედეთ ირგვლივ, მიუხედავად ყოველდღიური მოსაწყენი ყოფისა, მაინც მრავლად არიან ისეთები, რომლებიც სიკეთეს და სიყვარულს ასხივებენ. ერთი ცუდის გამო სხვებზეც ნუ იფიქრებთ ცუდს...

მე დღეს „მარტოხელა“ ქალი მქვია. როცა მეუღლეს დავშორდი, ძალიან გამიჭირდა, მაგრამ სულით არ დავცემულვარ. ხომ არ შეიძლება ადამიანს გარშემო ყველა კარგი ერტყას. თუ სიყვარულში არ გაუმართლებს, აუცილებლად გაუმართლებს სამეგობროში ან სანათესაოში. ყველაზე დიდი ბედნიერება კი მაინც კარგი შვილია...

მუდამ მიგულეთ თქვენს ერთგულ მკითხველად.

ელისო კაკაბაძე, თბილისი“.

„ნათქვამია, სიყვარული ატრიალებს დედამიწასო. ალბათ ამიტომაცაა, რომ რუბრიკას „თქვენთვის, ქალბატონებო“ და „თქვენთვის, ბატონებო“, შეყვარებულები ეხმიანებიან. სულერთია, ისინი რა ასაკისანი არიან. სიყვარული ხომ ის დიდი გრძნობაა, რომელიც ყოველ ასაკში მოდის... ერთი შინაბერა მეზობელი მყავს, ძალიან კარგი და სათნო ადამიანია, რომელთანაც, მიუხედავად, ასაკობრივი სხვაობისა, ვმეგობრობ. მას მთელი ცხოვრება ერთი მამაკაცი უყვარდა და ახლაც უყვარს ახალგაზრდული გიზო მირიანაშვილი შემთხვევით გავიცანი ვერის პარკში. ისეთი ლამაზი თვალები ჰქონდა, სულ მინდოდა თვალებში მეცქირა. სამი დღის შემდეგ, 3 მაისს, თავის დაბადების დღეზე დამირეკა და მითხრა: ძალიან მომწონხარ, მოდი ამ საღამოს ქალაქგარეთ გავიდეთ და ერთად ვუყუროთ მზის ჩასვლასო... თბილისის ზღვაზე წავედით. მანქანა წყალში შეიყვანა, გადმოვიდა, მეც გამომსვა და მითხრა: ახლა მზეს შეხედე, მერე თვალები დახუჭე და შეიგრძენი მთელი ეს სილამაზეო... ამ დღეს ვერასოდეს დავივიწყებ...

მერეც ხშირად ავდიოდით თბილისის ზღვაზე. სანაპიროდან 5-6 მეტრის დაშორებით, ზღვაში პატარა კუნძულივითაა, რომელზეც ერთი დიდი ტირიფი ხარობს. აი, აქ ამიხსნა პირველად სიყვარული. მაშინ 19 წლისანი ვიყავით... ხშირად დავფიქრებულვარ, ასეთ ლამაზ ბიჭს როგორ შევუყვარდი-მეთქი, მაგრამ თურმე მშვენიერ წუთებს და დღეებსაც აქვთ დასასრული. ჩვენ ერთი უბრალო რამის გამო დავშორდით... მერე გიზო დაიღუპა... ტირილამდე მივდივარ, როცა მახსენდება გიზო. რისთვის ვაწყენინე, რატომ ვატკინე გული? ქალბატონო მარინა, ვიცი, რომ ეს ამბავი საგაზეთოდ არ გამოდგება, მაგრამ ძალიან მინდოდა ჩემთვის უცნობი, თანაც ახლობელი ადამიანისთვის ეს სევდიანი ისტორია მომეთხრო. თამუნა.“

„ვეხმაურები ქეთის და გიოს... მათი ამბავი გატაცებით. სამწუხაროდ, ის კაცი ცოლშვილიანია. ჩემი უფროსი მეგობარი ათასში ერთხელ ხვდება ხოლმე მას, მაგრამ ხვდება, როგორც თანაკლასელი და მეგობარი... ამ შეხვედრის მერე აღტაცებით მიყვება, თუ რაზე ისაუბრეს, რა გაიხსენეს და ა.შ. მას ეს ერთი დღე თითქმის თვეები ჰყოფნის და სულაც არ გრძნობს თავს უბედურად, რადგან უყვარს. მე და ჩემი მეზობელი ხშირად ერთად ვკითხულობთ თქვენს რუბრიკას, ვკამათობთ და ვმსჯელობთ. მართალი გითხრათ, მისგან ბევრი კარგი ვისწავლე; მე ახლა ოცდახუთი წლისა ვარ და ძალიან მინდა, ოდესმე ისეთი სიყვარული მეწვიოს, როგორიც ჩემს უფროს მეგობარს (თუმცა სჯობს, იგი ორმხრივი იყოს!).

დაბოლოს, წერილი იმისთვის მოგწერეთ, რომ ჩემი აზრი გამეზიარებინა თქვენთვის და კიდევ იმისთვის, რომ მეთქვა „პალიტრელებო“, მე თქვენ მიყვარხართ! ნანა“.

„ჩემო საყვარლო „კვირის პალიტრავ“, ვერ წარმოიდგენთ, როგორ შვებას მგვრის ქალების გვერდში დაბეჭდილი წერილები. მეც მაქვს ჩემი სათქმელი, ერთი სევდიანი ისტორია (არ ვიცი, დამიბეჭდავთ თუ არა, მაგრამ მე მაინც მინდა გაგიმხილოთ ჩემი ამბავი)...

ძალიან ჰგავს ჩემი შვილისას. ჩემს ბიჭსაც უსაზღვროდ უყვარდა ერთი გოგონა. თითქოს იმ გოგოსაც, მაგრამ როცა ჩემი შვილი ჯარში წავიდა, იმ „შეყვარებულმა“ არც აცია, არც აცხელა და სხვას გაჰყვა. დიდხანს ვუმალავდი შვილს ამ ამბავს. ვიცოდი, გაგიუდებოდა. ბოლოს, მაინც გაიგო, რამდენიმე ხნით გაეთავისუფლა უფროსობას და ჩამოვიდა... ნახა ის გოგო, მაგრამ მან ვერანაირი ახსნა ვერ მოუძებნა თავის ქმედებას... ჯარიდან ჩამოსვლის მერე ჩემმა ვაჟმა ცოლი მოიყვანა, მაგრამ სამწუხაროდ, ოჯახი დაენგრა. რამდენიმე წლის შემდეგ, კვლავ სცადა ბედი, მაგრამ კვლავაც არ გაუმართლა... არადა, დედის გული ხომ იცით?! ყველაზე მეტად მე ვწუხვარ ჩემი შვილის ბედზე... ის რომ ზარელე ადამიანი ყოფილიყო, იოლად „გადახარშავდა“ იმ პირველ სიყვარულსაც და ხელახლა ააწყობდა თავის ცხოვრებას, მაგრამ ძალიან მგრძნობიარეა. ჩემი შვილისნაირი (და გიოსნაირებიც) არ უნდა ცხოვრობდნენ ასეთ გაუხეშებულ საზოგადოებაში. მართალი გითხრათ, მეცოდება კიდეც რომანტიკოსი ადამიანი, რადგან დღევანდელობის მთავარი პრობლემა კუჭია. თავისებურად, ქეთიც შესაბრალისია. მანაც ხომ დაკარგა სიყვარული? რა ექნა, თუკი ვერ გაერკვა თავის ახალ გრძნობებში? ვერ დავიჯერებ, რომ მას აღარ ახსოვდეს გიო, ის ბიჭი, რომელსაც გაგიუებით უყვარდა იგი და ასე რომ გემუდარებათ, დაითანხმეთ ქეთი ჩემთან თუნდაც ერთხელ შეხვედრაზეო, ნუთუ ქეთის არ სურს მასთან საუბარი? განა ქალისა და კაცის ურთიერთობა მარტო სარეცელია და სხვა არაფერი? ნუთუ არ შეიძლება, რომ შეყვარებულები დიდი ხნის მერე შეხვდნენ და გულითადად გამოიკითხონ თავ-თავისი ამბები? ამ ორი წლის წინ, ჩემი ვაჟის (იგი ახლა მოსკოვშია) შეყვარებული შემხვდა და იცით, რა მითხრა? იმ დიდ შეცდომას დღემდე ვნანობ, მაგრამ რაღა დროსიაო, თქვენი შვილი ისევ მახსოვს და მასთან მხოლოდ კარგი მოგონებები მაკავშირებსო. მჯერა, რომ ასეა ქეთიც. მეც ქალი ვარ, ქმარ-შვილის პატრონი, მაგრამ დღემდე მახსოვს ის ბიჭი, რომელსაც სკოლაში ვუყვარდი. ასე რომ, ჩემო შვილო, ჩემო გიო, ქეთიც არ დაგივიწყებდა (ისე, როგორც ჩემი შვილი ვერ დავივიწყა იმ გოგომ) და უბრალო მოკითხვას და სასურველი ადამიანის ნახვას ვინ გიშლის? იქნებ, ამ შეხვედრამ უფრო მეტი სიმშვიდე და იმედი მოგიტანოს და შენც შეძლო ცხოვრების ახლებურად წარმართვა! შენი გულშემატკივარი დეიდა მარიამი. თბილისი“.

რახან შემოსული წერილი გიოს და ქეთის ეხება, აქვე დავძენთ, რომ ქეთი კვლავ შეგვეხმიანა (ტელეფონით) და გვითხრა: გამიკვირდა გიოს გამოჩენა. 17 წლის მერე კვლავაც რომ ვახსოვარ, საოცარია. მე ოჯახის პატრონი ვარ, მაგრამ იმ მუდარაზე, გიოს რომ ჩემთან ერთხელ შეხვედრა და საუბარი სურს, უარს ვერ ვიტყვი, რადგან ადამიანურად დალაპარაკებას (ისევე, როგორც მისალმებას), სამძიმრის თქმას ახლობლის დაკარგვის გამო, წინ არაფერი უდგას და ამაში ცუდსაც ვერაფერს ვხედავო. ეტყობა, მას სურს, ბოლომდე ამოთქვას თავისი სათქმელი და კარგ მსმენელად მე მივაჩნივარო... ასე რომ, გიო, ქეთი „დავითანხმეთ“ თქვენთან შეხვედრაზე.

„თქვენთვის, „პალიტრელებისთვის“, არაერთხელ ამიხსნია სიყვარული და კვლავ მინდა გითხრათ, რომ თქვენი ერთგული ვარ დღემდე. იცით, რატომ? ჩემი ოჯახის თითოეული წევრისთვის მოგეძებნებათ საკითხავი მასალა. ძალიან ვბრაზდები, როცა ჩემს საყვარელ გაზეთს ერთ წუთში მთლიანად დაფურცლულს დავინახავ, მაგრამ თავისებური გამართლება ამ „სადისტობასაც“ მოეძებნება... პატარა შვილიშვილი მაშინვე „საბალღო-სალაღოს“ დაეძგერება, უფროსი — „წისქვილმა კი ფქვასო“, ჩემი ვაჟი და მეუღლე პოლიტიკის გვერდებსა და „ვერსიას“ ინაწილებენ, მე და ჩემი რძალი კი, რა თქმა უნდა, „თქვენთვის ქალბატონებო“-ს ჩავუჯდებით (თუმცა არც მამაკაცები არიან მისდამი გულგრილი). ერთი სიტყვით, თქვენ წერთ ყველასთვის და არა ერთი ასაკის ან რომელიმე ფენისთვის. ამისთვის, დიდი მადლობა. იმედს ვიტოვებ, რომ მომავალშიც ბევრ საინტერესო ამბებს შემოგვთავაზებთ, ოღონდ ერთი თხოვნა მაქვს: გთხოვთ, ნუ „გაყვითლდებით“, თქვენი გაზეთის პირველ გვერდზე ხომ წერია: თქვენ გემოვნებიანი მკითხველი ბრძანდებითო. ჰოდა, ჩვენი გემოვნება სიყვითლეს ვერ შეეგუება... მუდამ თქვენი მკითხველი, ქეთევან ჭავჭანიძე. თბილისი“.

მოამზადა
მარინა ბაბუნაშვილმა

ვისთვის ცხენის, ვისთვის ბედნიერების, ვისთვის – ბეგიობის წელი – 2002

სულ ცოტაც და, შავი რაში თავს დაგვიკრავს, წავა და ერთი წელიც წარსულს ჩაბარდება. ასტროლოგები 2002 წელს ცხენის წელს უწოდებენ და ამიტომაც წლის დასაწყისში ათასი გაფრთხილება არ დაიშურეს, როგორ მოვქცეულიყავით, რომ მთელი წელი წარმატებით გაგვეტარებინა. ალბათ ზოგმა გაითვალისწინა რჩევა, ზოგმაც საკუთარ გულისთქმას და გონებას უფრო მიაყურადა და... მოკლედ, ქალბატონებს მივმართე შეკითხვით — რას დაარქმევთ 2002 წელს და როგორი იყო იგი თქვენს ცხოვრებაში?

ანუკი (19 წლის): — 2002 წელი სიზარმაცის წელი იყო ჩემთვის. ამიტომაც ვარ ახლა ნირწამხდარი და საკუთარ თავზე ვბრაზობ, რატომ არ გავითვალისწინე ასტროლოგიური პროგნოზები-მეთქი. ყველგან ვაგვიანებდი და შესაბამისად, ყველგან გაქცეული მხვდებოდა ჩემი რაში. რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო, ჩემზეა ნათქვამი.

ლიკა (38 წლის): — ბებია გავხდი წელს, თანაც ერთბაშად ორი შვილიშვილის — ტყუპი გაგვიჩინა რძალმა, ორი პატარა „კვიცი“ გვყავს შინ და ისეთი ბიჭები არიან, რომ ავ თვალს არ ენახვებიან. ჩემთვის 2002 წელი გამრავლების და ბებიობის წელი იყო.

ეკა (29 წლის): — 2002-ში, რასაც ხელი მოვკიდე, ყველა საქმე გამომივიდა. მადლობა უფალს. ისე, ფათერაკებიც შემემთხვა. მამაჩემმა წლის დასაწყისში წითელი „ფოლკსვაგენი“ მიყიდა. ჯერ მომპარეს და დიდი წვალებით დავიბრუნე, მერე ავარია მომიხდა — პოლიციის მანქანას დავეჯახე. ორი კვირა შუბლზე უზარმაზარი კოპები მაჯდა და სირცხვილით თავს გარეთ ვერ ვყოფდი.

თეა (27 წლის): — სამშობლოში დავბრუნდი 2002 წელს. ოთხი წელი აშშ-ში ვცხოვრობდი და საქართველოს ცა მენატრებოდა. ღამით ჩამოვფრინდი, მაგრამ უკვე ვგრძნობდი, რომ არც მთვარე და არც ვარსკვლავები არსად ისე არ კიაფობენ, როგორც ჩვენში. ტრაპიდან ჩამოსული ძირს დავემხე და ვბღაოდი, — დავბრუნდი-მეთქი. სულ მიკვირდა, ემიგრანტები მიწას როგორ კოცნიან, მიწა როგორ ენატრებათ-მეთქი. წელს მოვხვდი ამ საოცრების მიზეზს. ცხენის წელმა სამშობლოში დამაბრუნა.

P.S. *ჩვენ შეგნებულად არ გთავაზობთ ტკივილიან მოგონებებს განვლილ წელთან დაკავშირებით. ყველას სიკეთეს და ბედნიერებას გისურვებთ.*

ეკა ლომიძე

2003 წელი ბეწვეულის წელია

80-90-იან წლებში, ვისაც ბეწვეული ეცვა, ცხოველთა დამცველები ქუჩაში ხვდებოდნენ და საღებავებს ასხამდნენ, ბეწვეულის მაღაზიების წინ საპროტესტო გამოსვლებს მართავდნენ. ამის შედეგად ბეწვეულის ჩაცმა თანდათანობით საზრახისად ჩაითვალა.

მაგრამ „ძველი კარგი დროება“ კვლავ დაბრუნდა. 2003 წლის ზამთარი, მსოფლიოს წამყვანი მოდელიერების თქმით, ბეწვეულის აღზევების დასაწყისი იქნება. გუჩიმ, ჟან პოლ გოტიემ თუ დოლჩე და გაბანამ თავის ზამთრის კოლექციებში ბეწვეულს დიდი ადგილი დაუთმეს, თუმცა „ახალი ბეწვი“ ძველისგან ბევრად განსხვავდება. ბეწვეულის მწარმოებელმა კომპანიებმა ახალი ტექნოლოგიების გამოყენება დაიწყეს და ბეწვეული ბევრად მბზინავი და მსუბუქი გახდა. მოდელიერებმა ბეწვეული შალს, აბრეშუმს, ტყავს შეუხამეს. მოდაში შემოდის ბეწვით გაწყობილი პულოვერები, ბეწვის შარფები, მოკლე ჟაკეტები, ქუდები და ჩანთები.

„ახალი ბეწვეული“ ახალ წელს ახალი სტილით ხვდება.

ზოგიერთმა დიზაინერმა ბეწვი ჯინსის ნაჭერს მიუსადაგა და ახალგაზრდული კოსტიუმები შექმნა. ბეწვეული ბრუნდება.

ჩემი პირველი რეპორტაჟი ამერიკიდან

(დასაწყისი იხ. გვ. 11)

არ ვიცი, ვინ აუგებს მემორიალს საკუთარი უთავობითა თუ ტრაგიკული შემთხვევებით ამერიკაში დაღუპულ და გაუბედურებულ ქართველებს, რომლებიც, ფაქტობრივად, ბედის ამარა არიან მიტოვებულნი და არც აქ არსებული ე. წ. ქართული სათვისტომო წყალობს მათ. პრაქტიკულად, ქაღალდზე არსებული ორგანიზაციის მესვეურთ, თანამემამულე არალეგალების დანახვაც კი არ სურთ... სამწუხაროდ, იოლი გამდიდრების ოცნებითა თუ ლუკმაპურის საშოვნელად აქ ჩამოსული ბევრი ქართველი წუმპეში ჩაეფლო. არავინ იცის, რამდენია მოკლული, ქურდობისა და ნარკოტიკებით ვაჭრობის გამო დაკავებულ-გასამართლებული (ამბობენ, ბევრნი არიანო), ზოგიერთმა კი იმდენიც მოახერხა, რომ საქართველოში დასაბრუნებლად თბილისიდან გახდა საჭირო მისთვის თვითმფრინავის ბილეთის შესაძენი ფულის გამოგზავნა. უმრავლესობა კი დღედაღამ შრომობს თუნდაც ყველაზე მძიმე სამუშაოზე და მადლიერია ამერიკისა, რომელმაც მისცა შანსი საკუთარი თავისა და ოჯახის გადარჩენისა, კაპიტალის დაგროვებისა და უკეთესი მომავლის რწმენისა... დიახ, კონკრეტულად არავინ იცის ისეთი საზარელი ფაქტების შესახებაც და (ფაქტობრივად, ჭორის დონეზე ვრცელდება დღემდე), როგორიც შარშან მოხდა: ავადმყოფის ბინაში მისულ ახალგაზრდა ქართველ მომვლელ ქალს, ავადმყოფის ნაცვლად, მანიაკი დახვდა, რომელმაც იგი გააუპატიურა და შემდეგ აბაზანაში ჩაახრჩო! აქაურ ქართველობას ელექტროშოკივით დაუარა კიდევ ერთმა ინფორმაციამ: 24 წლის ასევე მომვლელ ქართველ ქალიშვილს, ბავშვი მე-9 სართულიდან გადმოუვარდა. იმ დროს იგი სადილს ამზადებდა, ბავშვი კი აივნის გისოსებში გაძვრა... მშობლებმა უჩივლეს და ხანგრძლივი ვადით პატიმრობას, გოგონამ თავის მოკვლა არჩია — ვენები გადაიჭრა. ისიც თქვეს, თითქოს ბავშვის მამამ მოკლაო. ეს ამბები სხვა შტატებსა და ქალაქებში მოხდა და არავინ აღმოჩნდა ღვთისნიერი, რომ თავი შეეწუხებინა და დაედგინა ტყუილ-მართალი.

ნიუ-იორკელები კი დღემდე მისტირიან რუდი ჯულიანის, როგორც ქალაქის ყოფილ მერს და პროსტატის კიბოთი დაავადებულ ადამიანს. მეორე ცოლთან გაშორების შემდეგ მან ამ დღეებში ოფიციალურად დანიშნა თავისი ძველი მეგობარი, 47 წლის ჯუდით ნეითანი (ჯულიანიმ მომავალ მეუღლეს სახელგანთქმული დაიანას ბეჭდის პატარა ასლი მიართვა, რომელშიც 18 ათასი დოლარი გადაიხადა). ყოფილმა მერმა განუცხადა ჟურნალისტებს, რომ ქორნილი გაზაფხულზეა დანიშნული და რომ უსაზღვროდ მადლიერია ჯუდითის, რომლის მხარდაჭერითაც დაამარცხა უკურნებელი სენი. ჯულიანის განკურნებას ადასტურებს მისი ექიმიც, თუმცა ბევრ მედიკოსს ეჭვი ეპარება...

და კიდევ: საქართველოს ხელისუფლების კრიტიკის მომსწრე-მონაწილეს, თითქოს რა უნდა გამკვირვებოდა აქ, დემოკრატიის ციტადელში, მით უმეტეს, რომ ამერიკული პრესა არასოდეს ყოფილა ჩემთვის მიუწვდომელი, მაგრამ ამერიკის ოფიციალურ პირთა მოღვაწეობის მიმართ აბსოლუტურად უცერემონიო დამოკიდებულებამ ადგილობრივ მასმედიასა და საზოგადობაშიც ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მაგალითად, ნიუ-იორკის გაზეთები და ნიუ-იორკელები უკანასკნელი სიტყვებით ლანძღავენ მათ მიერვე არჩეულ ქალაქის მერს, მაიკლ ბლუმბერგს, რომელმაც უძრავ ქონებასა და სიგარეტზე გადასახადები გაზარდა ნიუ-იორკის 22-მილიარდიან ბიუჯეტში არსებული 3,5 მილიარდი დოლარის დეფიციტის შესავსებად. უწოდებენ მას იდიოტს, გაუმაძღარ და თავხედ მილიარდერს (ბლუმბერგის ქონება 4,8 მილიარდ დოლარს შეადგენს). პრესა აჭრელებულია მანჰეტენზე მდებარე, 17 მილიონად შეფასებული ბლუმბერგის სასახლის ფოტოებით, ინფორმაციით, რომ სადღესასწაულოდ მერმა დედას ბრილიანტის უძვირფასესი კულონი უყიდა და ა.შ. მეტროსა და ტრანსპორტის თანამშრომელთა გაფიცვის მზადების დღეებში, ტელეკომპანიები უჩვენებენ სუპერმარკეტში ველოსიპედის საყიდლად მისულ ბლუმბერგს, რომელიც აცხადებს, რომ გაფიცვის შემთხვევაში ველოსიპედით ივლის სამსახურში, მაგრამ მერს ამ პოპულიზმმა სასურველი შედეგი არ მოუტანა. პრესა უმალ აყვირდა, რომ ველოსიპედით სიარულისას ბლუმბერგს გაძლიერებული დაცვა დასჭირდება და საამისო ფული ქალაქის ბიუჯეტს არა აქვს, კეთილი ინებოს და კვლავ ჯავშნიანი მანქანით იაროსო. მერმაც ველოსიპედი საკუთარ გარაჟში დააბინავა, თუმცა დროებით. ერთმა გაზეთმა სიხარბეში დასდო ბრალი და წერდა: მაშინ, როცა უამრავ ღარიბ ბავშვს ველოსიპედი არ აქვს, მერი ველოსიპედს გარაჟში აჟანგებსო... ბლუმბერგიც ადგა და ველოსიპედი მეზობელ ბიჭუნას აჩუქა! ასეთ ყოფაში ჰყავთ კაცი, რომელმაც უარი თქვა მერის ოფიციალურ წლიურ ხელფასზე — 200 ათას დოლარზე — და ხელფასის სახით სიმბოლურად იღებს თვეში ... 1 დოლარს!

ამ დღეებში მანჰეტენზე, 28-ე ქუჩის ამოსასვლელში გიტარის ნაცნობი მელოდიისა და სიმღერის გაგონებაზე, ჟრუანტელმა დამიარა. მღეროდა ქართველი მსახიობი

რაც შეეხება პრეზიდენტ ბუშის მოღვაწეობის მიმართ დამოკიდებულებას, საგარეო და საშინაო პოლიტიკაში მისი ადმინისტრაციის მიერ მიღწეული უმნიშვნელოვანესი წარმატებების მიუხედავად, არც მას აკლებენ კრიტიკას. ერაყის წინააღმდეგ აშშ-ის სამხედრო კამპანიის მზადების პარალელურად, ქვეყანაში სულ უფრო ხმამაღლა გაისმის ანტისაომარი მოწოდებები. განსაკუთრებით აქტიურობენ რელიგიური ორგანიზაციები, პროფკავშირული გაერთიანებები და მსხვილი ბიზნესის ბევრი წარმომადგენელიც. თუ რელიგიური ლიდერები ერაყში ომს მორალური ფასეულობების დაცვის მოტივით ეწინააღმდეგებიან, პროფკავშირები და ბიზნესმენები მოსალოდნელ ეკონომიკურ კრიზისზე აფრთხილებენ თეთრ სახლს. ომის წინააღმდეგია სტუდენტობის ნაწილიც. ორი კვირის წინ თავად გავხდი მოწმე ე.წ. ბუშის საწინააღმდეგო აქციისა, რომელშიც ნიუ-იორკის კოლეჯების სტუდენტები მონაწილეობდნენ. ბროდვეის თავზე მოულოდნელად პოლიციის ორი შვეულმფრენი დაეკიდა, ქუჩა კი პოლიციის მანქანებით გადაიკეტა. სანამ მსგავს სანახაობას შეუჩვეველი და გვარიანად შეშფოთებული გამვლელი არანიუ-იორკელები გონს მოვიდოდით, ავტობუსებიდან გამოცვივდნენ ეგზოტიკურ კაბებში გამოწყობილი გოგონები, რომლებმაც ორკესტრის თანხლებით როკვით დაიწყეს მსვლელობა. მხოლოდ დარიგებული პროკლამაციებით შევიტყვეთ, რომ შოუ ერაყის მიმართ არსებული ბუშის პოლიტიკის წინააღმდეგ ეწყობოდა. საინტერესოა, რომ შოუს მონაწილეებს ბუშის საწინააღმდეგო ერთი სიტყვა, ლოზუნგი არ დასცდენიათ, მხოლოდ მხიარულად და ენერგიულად ცეკვავდნენ. შოუს შემდეგ მის ერთ მონაწილეს ვკითხე — რატომ ხართ ბუშის პოლიტიკის წინააღმდეგი-მეთქი? პასუხი მოულოდნელი იყო ჩემთვის: ბუში ბრიყვია, ნებისმიერი სტუდენტი მასზე ჭკვიანია. რისთვის სწავლობდა იელის უნივერსიტეტში? თუ ის ომში ჩაეფლობა, შემრცხვება, რომ ამერიკელი ვარ. იმავე საღამოს, ტელეკომპანია „ეი-ბი-სი“-ს საინფორმაციო გამოშვებაში ფსიქიატრს, ფსიქოლოგსა და პოლიტოლოგს ერაყთან დაკავშირებით კომენტარი სთხოვეს თემაზე — „არის პრეზიდენტი ბუში ჭკუასუსტი (ორონ) თუ არა?“. სამივემ სერიოზულად დაასკვნა, რომ ბუში არ არის ჭკუასუსტი, პირიქით, საკმაოდ მოქნილი და ჭკვიანი პრეზიდენტი და ადამიანიაო(!)...

და კვლავ ქართველები: უკვე გაამერიკელებული ზოგიერთი ჩვენი თანამემამულე გამართული ქართულით ვეღარ ლაპარაკობს, თუმცა ძნელია იმის დაჯერება, რომ 5-10 წელიწადში დაავიწყდათ მშობლიური ენა. ზემოთ სათვისტომო ვახსენე და ამას წინათ, მისმა მესვეურებმა ამერიკის ქართული სათვისტომოს 70 წლისთავი აღნიშნეს. საღამოს ჟურნალისტი შალიკაშვილი, აშშ-ის ყოფილი ელჩები და იმიგრანტ ქართველთა ბომონდი ესწრებოდა. სათვისტომოს მესვეურებმა კი იმდენი მოახერხეს, რომ საღამოზე ქართულად სიტყვაც არ დასცდენიათ. გამარჯობათო, ესეც კი არ უთქვამთ ქართულად. სამაგიეროდ, ინგლისურად გააცნეს საზოგადოებას გენერალ შალიკაშვილის ბიოგრაფია და დამსახურება ამერიკისა და საქართველოს წინაშე და არც დითირამბები დაუკლიათ ერთმანეთისთვის... სამწუხარო ის არის, რომ აშშ-ში მყოფი უამრავი არალეგალი ქართველი მოკლებულია მსგავს შეხვედრებსაც და ელემენტარულ ყურადღებას სათვისტომოს მხრიდან... საერთოდ, გაამერიკელებულ ქართველებს ბევრი უცნაურობანი დასჩემდათ. მაგალითად, მიმიპატიჟეს ერთ წვეულებაზე, სადაც გვარიანად დანაყრების შემდეგ სუფრის წევრთა უმრავლესობამ მოურიდებლად მიჰყო ხელი... კბილების ჩიჩქნას. ეს ხალხი ამერიკელთა ოჯახებში მუშაობს და, როგორც ჩანს, განვითარების გარკვეულ დონეს უკვე მიაღწია(?). ქართველთა კიდევ ერთი ნაწილის თვისება წრეგადასული სიძუნწე და სიწუწკეა, რაშიც მგონი გადააჭარბეს კიდეც ამერიკელებს. ერთ-ერთ წვეულებაზე ვნახე ასაკოვანი, სიმპათიური და კაფანდარა ქალბატონი, რომელიც თავს არიდებს მსგავს თავყრილობებზე მისვლას, მაგრამ თუკი მივიდა, უეჭველად საკუთარი... კიტრით, პომიდვრით (თანაც თითო ცალით), ორი კუტლეტით და ნამცხვრის ერთი ნაჭრით. აქედან, კიტრს, პომიდორს, ერთ კატლეტს და ნამცხვარს თვითონ მიირთმევს, დარჩენილ კატლეტს კი სუფრის წევრებს სთავაზობს — გასინჯეთ, ჩემი გაკეთებულიაო(!). ნაცნობები შეჩვეულნი არიან ქალბატონის ამ უცნაურობას და მასხრადაც იგდებენ... არადა, ამ ქალს თვეში ხელფასი 3 ათასამდე დოლარი აქვს, საიდანაც 300 დოლარს ბინის ქირას იხდის და სურსათზე აბსოლუტურად ხელმისაწვდომი ფასების მიუხედავად (კვებისთვის 150 დოლარი თავზე გადაუვა), ნახევრად მშიერი დადის. არის 25 წლის ახალგაზრდა კაცი, რომელიც პურითა და საქონლის ძვლების ნახარშით იკვებება, მასაც იგივე ხელფასი აქვს. ერთი მოცლილი ქართველი ჩუმად გაჰყვა ამ ბიჭს და გაარკვია, რომ ძვლებს ხორცის დამფასოებელი საამქროს ნაგვის ყუთიდან იღებდა. რა არის ეს, ავადმყოფობა, ფულის ყადრის ცოდნა თუ მეჯლანუაშვილობა, დასკვნა მკითხველისთვის მიმინდვია.

საერთოდ, აქ არაფერი იმალება. ბრუკლინში ქართველთა უმრავლესობა ქართველებისავე კუთვნილ, ე.წ. სასტუმროებში ცხოვრობს და, რომ იტყვიან, მოხარშულს იცნობენ ერთმანეთს. შედეგად, არის ჭორიც, სიძულვილიც და მუშტი-კრივიც, მაგრამ საბედნიეროდ, არის დიდი ურთიერთსიყვარული და პატივისცემაც, ქართული ტრადიციების დაცვა, სიმართლე და მეგობრობა.

ახლა ამერიკელთა ცხოვრებაში მომხდარი ერთი კურიოზის შესახებ, რომელიც შესანიშნავმა პოეტმა და კომპოზიტორმა, ტანია ლებედინსკაიამ მიამბო (სწორედ მის სიმღერას, Ì í å ñí è òüñÿ Ôéëëèñ âî ñí å-ს ასრულებს ნუცა შანშიაშვილი). ერთ-ერთ კლინიკაში, წინადაცვეთისთვის გამზადებული ებრაელი ბიჭუნა, რომლის გვარიც ერჰეზია, მეზობელ პალატაში მწოლიარე ესპანურენოვანი ბიჭუნას გვარში ერეზში შეეშალათ და ქირურგმაც ქრისტიანი ბიჭუნა წინადაცვითა (ასეთი შემთხვევებიც ხდება ამერიკაში). აი, სკანდალი ეს იყო თუ იყო! მომხდარით გაგიჟებულმა ბიჭუნას კათოლიკე მშობლებმა იქაურობაც მილეწეს და სასამართლოში ჩივილიც დააპირეს, მაგრამ ებრაელთა თემის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ სკანდალი მოლაპარაკებებით ჩააცხრეს.

ამ ეგზოტიკურ გარემოში თითქოს რაღას უნდა გავეკვირვებინე, მაგრამ ამ დღეებში მანჰეტენზე, 28-ე ქუჩის ამოსასვლელში გიტარის ნაცნობი მელოდიისა და სიმღერის გაგონებაზე, ჟრუანტელმა დამიარა. მღეროდა ქართველი მსახიობი — „ალიოზე გამიღიმა თბილისმა“, გამვლელები ინტერესით უსმენდნენ მათთვის სრულიად უცხო ენასა და მელოდიას. გიტარის ყუთის ფსკერი დაფარული იყო ცენტებითა და ერთდოლარიანებით. შორიახლოდან კარგა ხანს ვუსმინე. ქართულ სიმღერებს რუსული რომანსი მოაყოლა, შემდეგ კვლავ ქართულს დაუბრუნდა — „...გაუმარჯოს ახალი წლის პირველ დილას, თავზე რომ გვათენდება...“

ვეღარ შევძელი ბოლომდე მოსმენა, არც გამოვცნაურებივარ, ისე გამოვვარდი გარეთ...

ზურაბ მჭედლიშვილი
საკუთარი კორესპონდენტი ამერიკიდან

საშენი მასალა ღვიძლის უჯრედებისათვის

ესენციალე N ფორტე

Aventis

მოინესრიგეთ გადატვირთული საჭმლის მომნელებელი სისტემა! დაეხმარეთ თქვენს "გადაღლილ" ღვიძლს!

ესენციალე N ფორტე-ს უნიკალური თვისებები, დაიცვას და აღადგინოს ღვიძლის უჯრედები, განპირობებულია ნატურალური მცენარეული კომპონენტების – ესენციალური ფოსფოლიპიდების მაღალდასუფთავებული სუბსტანციით. 10049 პაციენტის მონაწილეობით ჩატარებული 166 გამოკვლევის შედეგები ადასტურებს ესენციალური ფოსფოლიპიდების ეფექტურობას. "ესენციალური" ფოსპოლიპიდები ღვიძლის უჯრედების გარსისა და უჯრედული სტრუქტურების ძირითად ელემენტებს წარმოადგენს, რაც განაპირობებს მის სამკურნალო ეფექტს.

ჩვენ ილებენ:
- ალკოჰოლური, წამლისმიერი და კვებითი ინტოქსიკაციები
- მწვავე და ქრონიკული ჰეპატიტები
- ორსულთა ტოქსიკოზი
- ფსორიაზი
- ღვიძლის ფუნქციური დარღვევები სხვა დაავადებათა გამწვავებისას
- სხვადასხვა წარმოშობის ღვიძლის ცხიმოვანი დისტროფიები

ეფექტები:
- აღადგენს და იცავს ღვიძლის უჯრედებს
- არეგულირებს ცხიმების და ცილების ცვლას ორგანიზმში
- აძლიერებს ღვიძლის დეზინტოქსიკაციურ ფუნქციას
- ამუხრუჭებს ღვიძლში შემაერთებელი ქსოვილის წარმოქმნას
- ამცირებს ღვიძლის უჯრედების ნეკროზსა და ანთებას

ესენციალე – N -ზე მზარდი მოთხოვნილების გამო გაჩნდა მისი ფალსიფიცირებული, ყალბი ფორმები. იმისათვის, რომ შევინარჩუნოთ ჭეშმარიტად გერმანული ხარისხი და დაგიცვათ იაფფასიანი საეჭვო წარმოშობის წამლებისაგან, გთავაზობთ სერიების ნომრებს, რომლებიც ნამდვილად გერმანული ფარმაცევტული ქარხანა "ნატერმანი" - ს მიერ არის წარმოებული, იმპორტირებულია საქართველოში ოფიციალურად და შეგიძლიათ შეიძინოთ აფთიაქებში: ესენციალე N ფორტე კაფს. სერია №№ 13171, 13161, 13472, 13532, 13651, 22192, 02831, 02841, 02931, 02981.

ნუ დაიზარებთ სერიების შემოწმებას!

უნდა მიიღოთ:
2-2 კაფსულა 3 - ჯერ დღეში ჭამის დროს მცირე რაოდენობის სითხით; მკურნალობის ოპტიმალური კურსი 3 თვეა და, აუცილებლობის შემთხვევაში, შესაძლებელია გაგრძელდეს ან განმეორდეს.

იკითხეთ აფთიაქებში!
რეგისტრირებულია საქართველოში MP №003014; MP №003015

15%-იანი ნაშობი ფასდაკლება!!!

ოტო ფუქსის და გლობალ ვენჩერსის (აშშ) საერთაშორისო განათლების პროგრამა აცხადებს საშობაო 15%-იან ფასდაკლებას ინგლისური და გერმანული ენების შესწავლის მსურველთათვის.

მის: რუსთაველის 36, III სართ.
ტელ: 93-40-25

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 21 დეკემბრიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

აშშ დოლარი	2,1400
ევრო	2,1950
ინგლ. გირვანქა სტერლინგი	3,4296
რუსული რუბლი	0,0672
თურქული ლირა (1.000.000)	1,3017

„ეროსტროიკის“ ფირმის
მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები
ძალიან იაფად
ფერები: თეთრი, წაბლის ტექსტურით, მუქი მუხა...
ჩვენი პროფილი – 3 კამერიანია
მის: ფერეთლის 141 მ. „დიდუბის“ გვერდით
☎ 966-779; 61-32-37; 34-49-40; 899-51-51-09; 899-902-091

ევროპული მ/მ
ტანსაცმლის ფართო არჩევანი
საბითუმო ფასები
ფუთები სხვადასხვა წონით
☎ 38-84-24
899-10-02-81
899-97-08-81

საქართველოში პირველი სპეციალიზებული სალონი-მაღაზია
ბილიარდის სახლი
Zeus
რუსული პირამიდა, პული, სნუკერი
ფასდაკლებები
- ჯოკერი 42 GEL
- ბურთები 178 GEL
- ბაჯი 112 GEL
- ფეხების ბალიშები 101 GEL
- ჯოხის ფარაფ 21 GEL
- ფარფლები ბურთებისთვის 47 GEL
- ფალიფეხები ჯოხისთვის 19 GEL
- ფარდა, ჯოხის ფარეხი, რეზინი 1.25 GEL
900 GEL-დან
Master
ფასდაკლება
ნებისმიერ ბილიარდზე ბილიარდის ბურთებზე, ჯოხებზე, ეტლებზე, ფარფლებზე, ფეხებზე
მ: 95-57-75; მ/ფაქსი: 95-80-46 თბილისი, ზუბალაშვილის ქ. 2
ყოველ. კვირის 11.00-19.30 სთ-მდე ქირის გარდა

სათამაშოების მაღაზია
ათონელის ქ. 18
☎ 899-97-08-81
რატომ იყო ხევოლუციამდელი ბავშვი გონებაჩლუნგი? იმიტომ, ხომ მას ახ ჰქონდა...
შეუძინეთ ბავშვებს **სათამაშო!**



პიგმალიონის ქმნილება
რბილი ფანქარი ფერწერისთვის
დარბაზი საჯარო ლექციისთვის
ირტონის გადასახლების კუნძული (ჟ. ვერნი)
წყლის მტაცებელი ძუძუმწოვარი
პროვინცია იტალიაში
კურდღლის ნაშიერი
კაროტინის შემცველი ბოსტნეული
„მეფე, ღმერთისაგან სვიანი“
რბილსხეულიანი უძვლო არსება
ბრაზიანი / კუზიანი ხარი
დედალი ღორი
სუფთა წონა
„რობ-როი“, „აივენჰო“ (ავტორი)
ფრანგული სუნამო „ნინა ...“
ქუთაისის „ტორპედოს“ ფეხბურთელი
გულშემატკივარი
შოტლანდიელი ფილოსოფოსი
ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაცია
კამათი / სირაქლემა
რისამე დედააზრი, რაობა
იაპონური ორთაბრძოლა
შებოლილი ქაფშია
ამერიკული საიუველირო ფირმა
დედამიწის ანტიპოდი
ფენოვანი მინერალი
იაპონელი რეჟისორის, კურსავას სახელი
მკერავის შეცდომების „გამსწორებელი“
ფურნე
ადამის მეუღლე
ნოტი
პირის ნაცვალსახელი
რუსი მომღერალი ქალი
ორშიმო (კუთხ.)
იაპონური საათი
სპორტული ჯილდო
აღტაცების შეძახილი თეატრში
ღმერთი ეგვიპტურ მითოლოგიაში
მდინარე პაკისტანში, ჩინეთსა და ინდოეთში
... კარუზო
ბანდერასის კინოროლი
დიდად და გრძლად ჩაღრმავებული ადგილი
საინფორმაციო საშ. ანუ მას-...
„დიდი ვალსი“ (ცხენის სახელი)
ქართული ლუდი
ფრანგული სუნამოს მაღაზია „... პარი“
რიჩარდ პირველის მეტსახელი
კოპოლას ფილმი
საათის ჩვენება
ბერძნული ანბანის ახო
თაგვის „ბინა“
იგივეა, რაც დესერტი
უცხოური მაყალი
თაქთაქიშვილის ოპერა / კუნთოვანი ორგანო
მეგობარი (ესპანურად)
„ოტელო“ (პერსონაჟი)
ხორცის უძვლო ნაწილი
ქართული ხუროთმ. ძეგლი თურქეთში
სოფელი მანგლისთან ახლოს
სამშენებლო მასალა
აგუტინის მეუღლე, რუსი მომღერალი
ვრცელი ბალახოვანი არე აფრიკაში
ევროპული ვალუტა
იგივეა, რაც კვიპაროსი
ერთ ჯერზე მისართმევი
ხის საპობი რკინის ნაჭერი
ცხვირზე დასამაგრებელი სათვალე
თბილისის რაიონი
სპირტიანი სასმელი
მამაპაპური წეს-ჩვეულება
სახის მიმიკის მოშლა
ფრანგი იმპრესიონისტი
მეცნიერება
შეადგინა რამაზ ალანიამ

ისინი «იძებნებიან»

— მაინტერესებს, დაბრუნდება თუ არა ტელეკომპანია „პირველი სტერეოს“ გადაცემა „ტოროლას“ წამყვანი ნანიკო ხაზარაძე „მაესტროში“?

ვახო, 14 წლის

— ვინაიდან რედაქციამ ვერ შეძლო ნანიკო ხაზარაძის ოჯახის წევრების კოორდინატების დადგენა, კითხვაზე უპასუხებს „ტოროლას“ წამყვანი ნანიკო ხაზარაძის ყოფილი „მეწყვილე“ **ნიკა ლომიძე**.

— სამწუხაროდ, რას საქმიანობს ნანიკო ამჟამად ჩემთვის ცნობილი არ არის. იგი გათხოვდა და მეუღლესთან ერთად იმყოფება რუსეთის დედაქალაქ მოსკოვში. როგორც ვიცი, მისი მეუღლე, ლევან ნუცუბიძე პროფესიით კლიპმეიკერია. ნანიკო ამ ზაფხულსაც გახლდათ ჩამოსული საქართველოში და ეს იმიჯი საგრძნობლად შეცვლილი ჰქონდა. ვერ გეტყვით რა სამომავლო გეგმები აქვთ ნანიკოსა და მის მეუღლეს. საზღვარგარეთ დარჩებიან საცხოვრებლად თუ საქართველოში დაბრუნდებიან, მე პირადად დიდი ხანია აღარ მქონია მასთან კავშირი.

...ხანდახან ლექტორიც ცდება

— მე და ჩემი ლექტორი გამუდმებით ვკამათობთ, ცოცხალია თუ არა გაბრიელ გარსია მარკესი. მე ვამტკიცებ, რომ იგი ცოცხალია, თუმცა ვიცი, რომ მას მძიმე სენი (კიბო) აქვს. გთხოვთ დამიდასტუროთ ან გააქარწყლოთ ჩემი ინფორმაცია.

კადირ გიგიბეი



— წარმოშობით კოლუმბიელი, ჩვენი დროის ყველაზე ცნობილი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი გაბრიელ გარსია მარკესი საბედნიეროდ, ცოცხალია. თუმცა, ერთი წელია, რაც სახალხოდ არ გამოჩენილა.

... ორი წლის წინ მარკესს ექიმებმა ლიმფური კვანძების კიბოს დიაგნოზი დაუსვეს. ამას მოჰყვა მარკესის „ანდერძი“, რომელიც მსოფლიოს თითქმის ყველა წამყვანმა გაზეთმა გამოაქვეყნა. ჭორიც მწერლის გარდაცვალების შესახებ, როგორც ჩანს, სწორედ ამ ანდერძმა განაპირობა.

გასული წლის სექტემბერში ექიმებმა მწერალს მშვიდი ცხოვრების წესის დაცვა ურჩიეს და მარკესიც ძალიან იშვიათად ჩნდებოდა საზოგადოებაში.

ამჟამად კი, როგორც საინფორმაციო საშუალებები იტყობინებიან, მარკესმა უკვე დაასრულა ორ წიგნზე მუშაობა და წერს მესამეს. სექტემბერში გამოვიდა მისი მემუარები 100-ათასიანი ტირაჟით. მარკესის ახალი წიგნები ჯერჯერობით გავრცელდა კოლუმბიაში, პერუში, ბოლივიასა და ვენესუელაში.

დღეგრძელობას ვუსურვებთ სახელგანთქმულ მარკესს.

«არტ-იმედი» მაყურებელს არ გააწბილებს

— გავიგეთ, რომ საახალწლო გასართობ ტელეგადაცემაში მონაწილეობას არ იღებენ „არტ-იმედის“ მომღერლები ლელა წურწუმია, მერაბ სეფაშვილი, ეკა კვალიაშვილი და სხვები. რატომ გვართმევს „არტ-იმედი“ ჩვენი ესტრადის საუკეთესო შემსრულებლებთან შეხვედრის უფლებას?

დათო გიორგაძე

კითხვაზე უპასუხებს **ნინო ცაგარელი**, „არტ-იმედის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი

— არა, ეს სიცრუეა და უბრალოდ, მონაჭორი. „არტ-იმედის“ მომღერლები ჩვეულებრივად მონაწილეობას მიიღებენ სახელმწიფო ტელევიზიის არხის საახალწლო კონცერტში. როგორც ჩემთვისაა ცნობილი, გადაცემების ჩაწერა უკვე მიმდინარეობს და ჩვენს მაყურებელს გაწბილება ამ მხრივ, ნამდვილად არ ელის (ხოლო იმის შესახებ, მიწვეულები არიან თუ არა „არტ-იმედის“ მომღერლები სხვა ტელეკომპანიებში, მაგ.: „რუსთავი 2“-ის, „პირველი სტერეოს“ საახალწლო გადაცემებში, ნინო ცაგარელმა გვიპასუხა, რომ მისთვის ამის შესახებ არ არის ცნობილი. — ავტ.).

ფრანკლინი პრეზიდენტი არ ყოფილა

— 100-დოლარიანს ამშვენებს ფრანკლინის პორტრეტი. ადრე იგი აშშ-ის პრეზიდენტი მეგონა, მაგრამ უფროსებმა მითხრეს, რომ ის არასოდეს ყოფილა ამერიკის სახელმწიფოს სათავეში. რა დამსახურებისთვის ერგო მას ყველაზე პოპულარული კუპიურის დამშვენების პატივი?

ჯემალ ხელაია

— ბენჯამინ ფრანკლინი (1706-1790) არასოდეს ყოფილა ამერიკის პრეზიდენტი, თუმცა სიცოცხლის მანძილზე, მან არანაკლებად მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ამერიკის სახელმწიფოს მშენებლობაში. იყო განმანათლებელი, სახელმწიფო მოღვაწე, მეცნიერი, იმ დროისათვის ერთ-ერთი უგანათლებულესი ადამიანი. ფრანკლინი მონაწილეობდა ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაციის მომზადებაში და მოგვიანებით კი კონსტიტუციის შემუშავებაში. აგრეთვე მეტად მნიშვნელოვანია მისი სამეცნიერო შრომები. იკვლევდა ბუნების სხვადასხვა მოვლენას. შეისწავლიდა სითხის გაცივების მოვლენას აორთქლებისას, იკვლევდა ბგერის გავრცელებას წყალსა და ჰაერში. შემოიღო ელექტრულად დამუხტული მდგომარეობების აღნიშვნები „+“ და „-“. დაამუშავა ელექტრული მოვლენების ზოგადი თეორია. მასვე ეკუთვნის ისეთი ტექნიკური გამოგონებები, როგორიცაა ქუჩის ფარნების ნათურები, ელექტრული ნაპერწკლის გამოყენება დენთის ასაფეთქებლად, გამოიგონა მეხამრიდი და სხვა.

რუბრიკა მოამზადა რუსუდან ყორყოლიანმა

ძვირფასო მკითხველო, „ანიდან ჰოემდე“ ეცდება თქვენი შეკითხვები უპასუხოდ არ დატოვოს, და რაც მთავარია, ყველა მათგანზე კომპეტენტური პასუხი გასცეს...

ჩვენთან ახალი წელიც იგვიანებს...

— მაინტერესებს მსოფლიოს რომელ კუთხეში მოდის პირველად ახალი წელი?

მიშიკო ენუქიძე

— მართლაც, ახალი წელი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხესა თუ ქვეყანაში სხვადასხვა დროს დგება. მსოფლიოში პირველად ახალი წელი ეგზოტიკურ აღდგომის კუნძულზე და ოკეანეში ჩამალულ პატარა ქვეყანა ტონგაში შემოდის ჩვენი დროით, 31 დეკემბრის 14.00სთ-ზე, ზუსტად 15 წუთის შემდეგ ახალ წელს ხვდებიან ახალი ზელანდიის მცხოვრებლები.

15.00 — ახალ წელს ხვდება ახალი ზელანდიის ქალაქების უმეტესი ნაწილი.

16.00 — მზიანი კუნძული ფიჯი და რუსეთის კამჩატკის მხარე.

16.30 — ავსტრალიის ნორფოლკის კუნძულები.

17.00 — აღმოსავლეთ ავსტრალიის მცხოვრებლები, ასევე სიდნეი, მელბურნი და კანბერა.

17.30 — ავსტრალიის სამხრეთ ნაწილი — ქალაქი ადელაიდა.

18.00 — ახალი წელი მოდის ვლადივოსტოკში, გუამში და საიპანის კუნძულებზე (აშშ).

19.00 — დასავლეთით მდებარე ქვეყნებში: იაპონია, კორეა, ინდონეზიის კუნძულები.

24.00 სთ-ზე ჩვენთან ერთად ხვდებიან ახალ წელს შემდეგი ქვეყნები: აზერბაიჯანი, სომხეთი, არაბთა გაერთიანებული საამიროები, მავრიტანიის და სეიშელის კუნძულები, ასევე, სამარა.

2 სთ-ზე ახალი წელი მოდის აღმოსავლეთ ევროპაში, თურქეთში, ეგვიპტეში, რუმინეთში, საბერძნეთში, ბულგარეთში, უკრაინაში, ბელორუსიაში, ფინეთში, კვიპროსში, ბულგარეთში, ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში, ასევე ჩრდილოეთ აფრიკასა და ზიმბაბვეში.

03.00 — გერმანიაში, იტალიაში, ჩეხეთში, ჰოლანდიაში, ავსტრიაში, პოლონეთში, შვეიცარიაში, ესპანეთში და ნიგერიაში. ერთი საათის შემდგომ ახალი წელი დგება დიდ ბრიტანეთსა და ისლანდიაში.

06.00 — ბრაზილიაში; 07.00 — სამხრეთ ამერიკაში, არგენტინაში, ჩილეში, პარაგვაიში და ურუგვაიში. დილის 09.00 სთ-ზე ახალ წელს ხვდება კანადა, ვაშინგტონი, ნიუ-იორკი, ტორონტო, მონრეალი, ბოსტონი, დეტროიტი და კუბა.

ყველაზე ბოლოს კი, როდესაც 1 იანვრის 15.00 საათია, ახალი წელი შეაბიჯებს სამოაში...

სარეკლამო ტერმინები

— იქნებ განგვიმარტოთ, რას ნიშნავს სიტყვა „ბილ-ბორდი“ და „ლაით-ბოქსი“?

მერაბ სურმავა

კითხვაზე უპასუხებს **ირმა ბოლქვაძე**, სარეკლამო სააგენტოს გენერალური მენეჯერი

— სიტყვა „ბილ-ბორდი“, ისევე როგორც „ლაით-ბოქსი“, სარეკლამო ბიზნესის განუყოფელი ნაწილია. ორივე სიტყვა აღნიშნავს სარეკლამო დაფას, განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ „ბილ-ბორდი“ არის დიდი სარეკლამო დაფა, რომელიც ძირითადად ტრანსპორტის მგზავრებისათვის არის განკუთვნილი (მაგალითად, გმირთა მოედანზე, ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე განთავსებული „ბილ-ბორდები“); ხოლო „ლაით-ბოქსი“ მცირე ზომის სარეკლამო დაფაა და ძირითადად ფეხით მოსიარულეებზეა გათვლილი, — მაგალითად, გაჩერებებზე და სხვა. ზემოთ აღნიშნული ტერმინები საერთაშორისო მნიშვნელობისაა და ამიტომაც უცვლელად დამკვიდრდა ჩვენს სარეკლამო საქმიანობაშიც.

8-14 „კეთილი ნების კომუნიკაციები“
ტელეფონზე
ობილისის ნებისმიერი ასევე ბოლნისი
ესაუბრეთ მსოფლიოს!
საერთაშორისო კავშირის ოპერატორი
ბაკურიანი
რუსეთი, ამერიკა, კანადა - 50₾ 70₾
ევროპა, აზიის ძირითადი ქვეყნები - 70₾ 90₾
დანარჩენი ქვეყნები - 70₾-ითვლიდან 2₾-ამდე
ბალახვანი ფოსტა-ტელეგრაფის ბიროს
საბალასანელო დარბაზში, რუსთაველის 31
8-14 „კეთილი ნების კომუნიკაციები“
თქვენი ს

ექიმი

შეკითხვა ექიმს

ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რისთვისაც ულრმეს მადლობას მოგახსენებთ — ჩვენ რუბრიკის და მთლიანად გაზეთის მასულდგმულებელი ხომ თქვენ გამოხმაურება და თანადგომაა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვებს, გვერწმუნეთ, თითოეულ მათგანს დიდი გულისყურით ვეცნობით და მასზე პასუხს უსათუოდ მიიღებთ, მაგრამ რადგან შეკითხვების რიცხვი საკმაოდ დიდია, ნუ დაგვემდურებით, თუ პასუხის ლოდინი გიწევთ.

— ჩემს ნათესავს, რომელიც ხშირად სტუმრობს ჩვენს ოჯახში, აღმოაჩნდა სიფილისი. მაინტერესებს, შეიძლება თუ არა სიფილისის გადადება ჭურჭლით?

თქვენი ერთგული მკითხველი

— თეორიულად ეს შესაძლებელია, მაგრამ პრაქტიკაში მსგავსი შემთხვევები არ გვხვდება. ასეთი რამ მხოლოდ ძლიერი ანტისანიტარიის ან ძალიან ახლო კონტაქტის დროს შეიძლება მოხდეს. მაგალითად, ლიტერატურაში აღწერილია შემთხვევა, როცა საქსოფონისტმა მასწავლებელმა დასნებოვნა მოსწავლე, რომელიც მისი ინსტრუმენტით სარგებლობდა.

რაც შეეხება სქესობრივ კონტაქტს სიფილისიან ავადმყოფთან, ბოლო მონაცემების მიხედვით, სამი ჯანმრთელი ადამიანიდან ერთი აუცილებლად დაავადდება, მეორე — გამართლების მიხედვით, ხოლო მესამე — გადარჩება. ეს იმით აიხსნება, რომ ორგანიზმში ინფექციის შეჭრისათვის საჭიროა ლორწოვანზე ან კანზე ნაფხაჭნის, ნახეთქის ან მიკროსკოპული ტრავმის არსებობა. ასეთი დეფექტები სქესობრივი აქტის დროს თითქმის ყოველთვის ჩნდება. დიდი მნიშვნელობა აქვს ორგანიზმის იმუნური სისტემის მდგომარეობასაც.

— ზოგი ექიმი ირწმუნება, რომ ფიზკულტურა ართრიტს (სახსრების ანთებას) შველის, ზოგი კი — პირიქით, ამტკიცებს, რომ ვარჯიში თავად იწვევს ართრიტს. რომელია ამ ორი თეორიიდან მართალი? იქნებ რაღაც შუალედური უნდა შევარჩიოთ?

ლრმა პატივისცემით, ნიკოლოზ სხულუხია

— ართრიტი სახსრების ანთებითი დაავადებაა. კიდევ არსებობს სახსრების დეფორმაციული ცვლილებები, რომელსაც ართროზი ეწოდება. დეფორმაციული ართროზი ხშირად რთულდება ანთებითი კომპონენტით და სწორედ ასეთ დროს არ შეიძლება არავითარი ვარჯიში: ვიდრე არ ჩაცხრება ანთება. შემდგომში კი, უკვე შესაძლოა შეირჩეს ფიზიკური დატვირთვის გარკვეული ვარიანტი. თუ ჩვენ საქმე გვაქვს მადეფორმირებელი ართროზის საწყის სტადიასთან, მაშინ ფიზკულტურა ყოველთვის სასარგებლოა. მაგრამ არ შეიძლება სახსრის ზედმეტი გადატვირთვა, რაც იმას ნიშნავს, რომ არ არის რეკომენდებული ხტუნვა და ხანგრძლივი სირბილი. საერთოდ კი, ზოგადგამაჯანსაღებელი ვარჯიში ძალიან სასარგებლოა, მაგალითად, ცურვა, ველოსიპედით სიარული. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მთავარია, გაირკვეს დაავადების რომელ სტადიაზე იმყოფებით და კონკრეტული რეკომენდაციებიც ამის შემდგომ შეიძლება მიიღოთ.

თამარ მამაცაშვილი

სისხლში შაქრის საზომი აპარატები

95 ლ.

ულტრამოდერნი

შპს „კონგრასი“
ბორჯომის ქ. 4
☎ 35-44-05;
899-19-60-55

ვმკურნალობთ

ქრონიკულ პროსტატიტს

— ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წუთში;
— ქოსკოპია იაპონური აპარატურით;
— კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით, მათ შორის, ჰროფ. გუსკოვის აპარატით „ინტრატონი“, რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.

მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №7 (სპორტის სასახლის უკან, მარჯვნივ). 10-14 სთ.

განახლებული

ოჯახის მკურნალი

გილოცავთ დამდეგ ახალ წელს

და გისურვებთ ჯანმრთელობას!

გამოდის ხუთშაბათს, 26 დეკემბერს

მკურნალი ნაძვი

ნაძვის კვირტების ნახარში კარგია, როგორც ამოსახველებელი, ანტიმიკრობული, სადეზინფექციო, სისხლის გამწმენდი, ანთების საწინააღმდეგო საშუალება. მას სვამენ ქრონიკული ბრონქიტის, გაცივების, ფილტვის ტუბერკულოზის დროს. ნახარშის ორთქლი გამოიყენება საინჰალაციოდ, ხველების, ანგინის, სასუნთქი გზების დაავადებისას.

ნაძვის **ეთერეოვანი ზეთი** (იყიდება აფთიაქებში) გამოიყენება გრიპის დროს: 1-3 წვეთი დღეში სამჯერ უნდა მიიღოთ ერთ ყავის კოვზ თაფლთან ერთად. ის საუკეთესო არომათერაპიული საშუალებაა გაცივების, სულის ხუთვის და დათრგუნული მდგომარეობის დროს.

ნახარში №1 10 გ ნაძვის კვირტებს დაასხით 1 ჭიქა მდუღარე წყალი, დაახურეთ თავი და ჩადგით მდუღარე წყლის აბაზანაში 30 წუთით. გადმოდგით, გააჩერეთ ოთახის ტემპერატურაზე 10 წუთი, გაწურეთ. მიიღეთ დღეში 2-3-ჯერ, ჭამამდე 30 წუთით ადრე 1/4-1/3 ჭიქა, პატარ-პატარა ყლუპებით.

ნახარშის ორთქლით ინჰალაცია სასარგებლოა ხველების, ანგინის, გაცივების და სასუნთქი გზების ინფექციური დაავადებების დროს.

ნახარში №2. 15 გ ნაძვის ნორჩ წიწვებს (სჯობს ტოტის წვეროები) დაასხით 0,5 ლ რძე; ხარშეთ დახურულ ჭურჭელში ნელ ცეცხლზე 10 წთ. შეფუთეთ და გააჩერეთ 2 საათი. შემდეგ გადაწურეთ. სვით დღის განმავლობაში თბილად, პატარ-პატარა ყლუპებით ხველების ან სასუნთქი გზების გაცივების დროს.

ბრონქიტის დროს რეკომენდებულია შაქრის ან თაფლის ვაჟინით დამზადებული ნაძვის კვირტების ნახარში (განსაკუთრებით სასარგებლოა ბავშვებისათვის).

თანაბარი რაოდენობის ნაძვის ფისი და შაქრის ფხვნილი აურიეთ ერთმანეთში, გააკეთეთ ქერის მარცვლისხელა ბურთულები და წუწნეთ დღეში სამჯერ, ჭამის შემდეგ, **ძლიერი ხველების** დროს.

ჩაროზის კოვზით აიღეთ ნაძვის ფისი. დაასხით 250-300 გ რძე. ხარშეთ თავდახურულ ჭურჭელში, ვიდრე სითხე არ განახევრდება. მიიღეთ თბილად, 1 ჩ/კ დღეში სამჯერ, **ძლიერი ფილტვისმიერი ხველებისას**.

ეშობლების საყურადღებოდ!

რასაც დასთეს, იმას მოიმკი!

ზოგჯერ მეტისმეტ მზრუნველობასა და მეურვეობას მოსდევს ბავშვის ინფანტილიზმი, რომელიც შეუმჩნევლად ვითარდება.

ბავშვი საშინაო დავალების შესრულებას ვერ ასწრებს. ძილი რომ არ დააკლდეს, დედა სასწრაფოდ აწვენს, თავად კი, გვიან ღამით ამთავრებს შვილის სამუშაოს, დილისთვის ტანსაცმელსა და ფეხსაცმელს უმზადებს. მართალია, პატარას თავადაც შეუძლია ჩაცმა, მაგრამ, დედა, მიუხედავად იმისა, რომ სამსახურში აგვიანდება, მაინც თვითონ ემსახურება ბავშვს, ცდილობს, პატარა დაბრკოლებაც კი აარიდოს...

დაბადებისთანავე ზედმეტი ლოლიაობა და ძიძაობა ბავშვს უვითარებს ეგოიზმს, ასაკის მატებასთან ერთად ეჩვევა იმ აზრს, რომ ოჯახში ის არის მთავარი ფიგურა და მშობლებისგან უფრო და უფრო მეტ ყურადღებას და მზრუნველობას მოითხოვს. თვითონ კი არაფერს აკეთებს. ასეთი ბავშვი სკოლაში, ჩვეულებისამებრ, უმეგობროდ რჩება, ვაკუუმში ექცევა, უჭირს თანატოლებთან საერთო ენის გამონახვა, ხშირად ექცევა ძლიერი მეგობრის ზეგავლენის ქვეშ, რომელსაც მთლიანად ეყრდნობა. ნებისმიერ შემთხვევაში, ინფანტილური ბავშვი ცხოვრებისეულ სიტუაციებში დაუცველი ხდება და ეს სიბერემდე გაჰყვება.

ფსიქოლოგების აზრით, არ შეიძლება ბავშვის ინფანტილურობის უყურადღებოდ დატოვება. მასთან გამკლავება შეიძლება, თუმცა არც ისე ადვილია. თქვენ ყოველ დილით გესმით მისი ბუზღუნი: „რა არის, რატომ არ გამაღვიძე“, „ეს რატომ არ გააკეთე“, „ღილი რატომ არ დამიკერე“, „რატომ არ გამირეცხე“, „გამიუთოვე“...

გახსოვდეთ: დროა, მოიხსნათ მხრებიდან მის საქმიანობაზე პასუხისმგებლობა და გადაუნაწილოთ მას. იზრუნეთ იმაზე, რომ მას გაუჩნდეს მოვალეობანი. მართალია, პირველ ხანებში გაგიძნელდებათ, მაგრამ მოთმინებით, ნელ-ნელა, დიდი რუდუნებით სასურველ შედეგსაც მიაღწევთ... ბოლოს და ბოლოს, ის თავისით გაიღვიძებს, გაკვეთილებს მოამზადებს, მეგობრებიც გაუჩნდება, თავის დაცვა შეეძლება, საოჯახო საქმეებშიც დაგეხმარებათ და ა.შ. გახსოვდეთ, მას წინ გრძელი გზა აქვს...

პატარა ძუნწი

თუ ბავშვს არ უნდა თანატოლებისთვის არაფრის გაყოფა, ჭკუის სწავლებასა და ჩიჩინს იმის შესახებ, რომ „ეს არ შეიძლება“, „რა ძუნწი ხარ“, — აზრი არ აქვს, მასზე ზეგავლენას ვერ მოახდენთ. შეეცადეთ, ზღაპრისა და კინოგმირების მაგალითით აჩვენოთ, რომ სიძუნწე ლამაზი არ არის, რომ ეს დიდი ნაკლია.

დაბოლოს, არაფერი ისე არ მოქმედებს ბავშვზე, როგორც მშობლების პირადი მაგალითი. თუ პატარა ხედავს, რომ მშობლები სიხარულით აჩუქებენ ახლობლებსა და მეგობრებს საჩუქრებს, დაგვიჯერეთ, ძალიან მალე მოგბაძავთ, პატარას ხომ ასე ძალიან სურს, ჰგავდეს მშობლებს.

არ მივაკეროთ „იარლიყი“

ხშირად მშობლები (უფროსები) პატარებს გაუცნობიერებლად რაღაც იარლიყს აკერებენ: „მოუხერხებელო“, „დაბნეულო“, „გენიოსო“, „ბლუყუნა“ და ა.შ. თუ ბავშვი მეტისმეტად ემოციურია, ამან შეიძლება არასრულფასოვნების კომპლექსი განუვითაროს ან გახადოს ზედმეტად ამპარტავანი. ფსიქოლოგები გვირჩევენ, თავი ავარიდოთ მსგავს შედარებებსა და გამოთქმებს.

«სასწრაფო დახმარება» თვალებისთვის

თვალები დაგეღლალათ, გაგიწითლდათ, გეწვით და გეცრემლებათ? ნუ გეშინიათ! აი, რას გვირჩევენ ასეთ სიტუაციაში ოფთალმოლოგები:

დალლილ თვალებზე გაიკეთეთ მაგარი ჩაის, გვირილის ან აბზინდის სუსტი ნაყენის კომპრესი. ასევე ბრწყინვალედ მოქმედებს ნატურალური თაფლის ნაყენის საფენები (1 ჩ/კ თაფლი: 1/2 ჩ/ჭ წყალი).

თვალების ნერვის თამაშს (ქუთუთოების თამაში) შველის საფეთქლებისა და ცხვირის ფუძის მასაჟი.

თვალების სიწითლე სწრაფად გაქრება, თუ დღეში 4-5-ჯერ დაიბანთ თვალებს წყალში მოხარშული ხახვის ნაყენით, რომელსაც დაამატებთ თაფლს ან ბორის მჟავას.

თუ **თვალები გეწვით და გიხურთ** (ანთების დროს), დაიდეთ ქსოვილში გახვეული ახალი კარტოფილი, ვაშლი ან კიტრი, კისერზე, კეფასთან კი, ცხელ წყალში დასველებული ქსოვილი.

თუ **თვალები გიჩირქდებათ** ან **გეცრემლებათ,** გამოირეცხეთ ბორის მჟავას ხსნარით, საღამოს კი დაიდეთ ქსოვილში გახვეული ახალი ხაჭო.

კარგია თბილი აბაზანებიც — 15 წამით ჩაყავით სახე გახელილი თვალებით თბილ წყალში. ეს გაიმეორეთ 4-5-ჯერ, შემდეგ დაიბანეთ თვალები ცივი წყლით.

მხედველობას გაგიუმჯობესებთ თვალების ვარჯიში: აიხედეთ ზევით და დაიხედეთ ქვევით, გაიხედეთ ჯერ მარჯვნივ, შემდეგ მარცხნივ (ვარჯიში გაიმეორეთ 20-ჯერ); პირის დაბანის დროს პეშვით შეისხით ცივი წყალი თვალებზე 40-ჯერ — თვალებში სისხლის ცირკულაციის გასაძლიერებლად.

კარაბადინი

ბებიაჩემისაგან ყელის ტკივილის საწინააღმდეგო ერთი უებარი საშუალება ვისწავლე. ახლა ზამთარია და ალბათ ბევრს გამოადგება ჩემი რეცეპტი, ამიტომ გადავწყვიტე, თქვენს რუბრიკაში გამომექვეყნებინა. ჩვენს ოჯახში მას წარმატებით ვიყენებთ გაცივების დროს: 2-3 ნაჭერი კანგაცლილი ლიმონი ერთიმეორის მიყოლებით ჩაიდეთ პირში და დააყოვნეთ. შეეცადეთ, ლიმონის ნაჭერი ყელთან რაც შეიძლება ახლოს იყოს. წოვეთ და წვენი ყლაპეთ. ეს პროცედურა ყოველ საათში გაიმეორეთ, ვიდრე შვებას არ იგრძნობთ. მაგრამ უნდა გახსოვდეთ, რომ იგი ეფექტურია დაავადების დაწყებისას. ხოლო თუ მკურნალობა დაგვიანებულია, ლიმონი უძლურია და მის ნაცვლად ლიმონის მჟავა უნდა გამოიყენოთ — საათში ერთხელ ყელში გამოივლეთ მისი 30%-იანი ხსნარი.

პატივისცემით ნანა მერკვილაძე, თბილისი

ექიმის კომენტარი: ლიმონი მართლაც უებარი საშუალებაა გაცივებს დროს. იგი დიდი რაოდენობით შეიცავს C ვიტამინს, რომელიც ორგანიზმის ბრძოლისუნარიანობას (იმუნიტეტს) ზრდის ინფექციის დროს. ამავე დროს მნიშვნელოვანია ისიც, რომ ლიმონმჟავას აქვს ბაქტერიციდული თვისება (ხოცავს ბაქტერიებს). ამიტომ ლიმონის ნაჭრის წოვის დროს ხდება ორმაგი ზემოქმედება ინფექციაზე — ხელი ეშლება ბაქტერიების (ვირუსების) გამრავლებას და იზრდება ორგანიზმის თავდაცვისუნარიანობა. აქედან გამომდინარე, აღნიშნული რეცეპტი სავსებით რეალურია და ეფექტური უნდა იყოს ზემო სასუნთქი გზების რესპირატორული დაავადებების, ლარინგიტის (სასის ანთება), ფარინგიტის (ხახის ანთება), ანგინის (ნუშურა ჯირკვლების ჩირქოვანი ანთება) დროს. თუმცა, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი: ვისაც აქვს მომატებული მჟავიანობა, შესაძლოა, ლიმონმჟავის ჭარბად მიღებამ გაუღიზიანოს კუჭის ლორწოვანი გარსი.

სიხარულიც, ცრემლიც, იმედგაცრუებაც

რამდენიმე დღეში 2002 წელი ისტორიის კუთვნილება გახდება. თუკი წიწილებს შემოდგომაზე ითვლიან, ჩვენ დეკემბრის ბოლოს მივითვალოთ წლის სპორტული შედეგები.

უდავოა, რომ 2002 წელი ისეთივე წარმატებული იყო, როგორიც წინა. წელსაც ერთი მსოფლიო ჩემპიონის ტიტული შეემატა ქართულ სპორტს. 7 სექტემბერს ირანის დედაქალაქ თეირანში თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა შორის სოხუმელმა ელდარ კურტანიძემ პირველად მოახერხა ოლიმპზე ასვლა. ეს გამარჯვება იმითაც არის განსაკუთრებით ფასეული, რომ ელდარმა ფინალში მასპინძელი რეიზა ალი ჰეიდარი დაამარცხა. ეს კი რასაც ნიშნავს, ირანში, როდესაც მსაჯები მასპინძლებისკენ იხრებიან, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს.



მართალია, მსოფლიო ჩემპიონის ტიტული სამბოსა (აკაკი ხანიშვილი) და მკლავჭიდშიც (მამუკა ფაჯიშვილი) მოვიპოვეთ, მაგრამ დამკვიდრებული ტრადიციით, ამ ოქროს მედლებს ისეთი „ძალა“ არა აქვს, როგორიც ოლიმპიურ და სპორტის მასობრივ სახეობებში მოპოვებულს. აქედან გამომდინარე, უეჭველია, რომ წლის საუკეთესო ქართველი სპორტსმენი ელდარ კურტანიძეა. 32 წლის ქართველი მოჭიდავის ერთადერთ ოცნებად ახლა ოლიმპიური ოქროს მედლის მოპოვება რჩება.

ასევე აღსანიშნავია გიორგი ასანიძისა და კლასიკური სტილით მოჭიდავე ბადრი ხასიას წარმატებები: მათ წელს ევროპის ჩემპიონის და მსოფლიო პირველობის ვერცხლის მედლით გაიმდიდრეს კარიერა.

ნინო სალუქვაძისგან ყოველთვის ჩემპიონობას ველოდით, მაგრამ დღეს ცნობილ მსროლელს ვარჯიშისათვის ელემენტარული პირობებიც არ გააჩნია და მართლაც ოქროს მედლის ტოლფასი იყო მსოფლიო პირველობაზე მის მიერ მოპოვებული მეორე ადგილი.

თუკი წლის სპორტსმენის ვინაობა ცალსახად გასაგებია, ძნელია, გამოარჩიო წლის საუკეთესო ქართული გუნდი. აქ ორი ნომინანტია და ორივეს თამამად შეუძლია პრეტენზია განაცხადოს საუკეთესოს ტიტულზე. ესენი არიან საქართველოს მორაგბეთა და ძიუდოისტთა ნაკრებები.

მორაგბეებს ქართული სპორტის ისტორიაში მართლაც შეუძლიათ დაიკვეხონ ჯერ არნახული მიღწევა: 12 ოქტომბერს მათ რუსეთის ნაკრებს 17:13 სძლიეს და მსოფლიო თასის ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვეს. ასეთი წარმატებისთვის ქართველებს ჯერ მართლაც არ მიგვიღწევია.

ასევე შეუძლებელია არ მოიხარო ქედი ძიუდოს ნაკრების წინაშე. შოთა ხაბარელის გუნდმა წელს ქვეყანას ორი უდიდესი საჩუქარი უძღვნა. ჯერ იყო და ევროპის გუნდური ჩემპიონატის გამარჯვებულები გახდნენ, ახლახან კი მსოფლიო პირველობიდან გუნდური ვერცხლით დაგვიბრუნდნენ.

სწორედ აქედან გამომდინარე, ასევე ძნელი დასადგენია, ვის უფრო ეკუთვნის წლის საუკეთესო მწვრთნელის ტიტული — რაგბისტ კლოდ სორელს, თუ ძიუდოისტ შოთა ხაბარელს. თუმცა, ერთი ცხადია, ორივე მათგანი სპორტის მოყვარულთა უდიდეს პატივისცემას იმსახურებს. სხვათა შორის, მიუხედავად ძიუდოში სახელოვანი ტრადიციისა, ასეთი მასშტაბური წარმატებისთვის ჯერ არ მიგვიღწევია.

2002 წელი, რა თქმა უნდა, მხოლოდ პოზიტიური მოვლენებით როდი შემოიფარგლა ქართულ სპორტში. წლის დასაწყისი და დასასრულიც მეტად ტრაგიკული აღმოჩნდა ჩვენი სპორტის მოყვარულებისათვის (და არა მარტო მათთვის).

22 იანვარს სპორტის დეპარტამენტის შესასვლელთან კალათბურთის ფედერაციის ვიცეპრეზიდენტი დუდუ დადიანი ჩაცხრილეს. 20 ნოემბერს კი სიცოცხლეს გამოასალმეს ცნობილი ფეხბურთელი და ბიზნესმენი, წარსულში სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე კახი ასათიანი გამოასალმეს. ამ შემზარავმა ფაქტებმა თითქოს მიჩქმალა არანაკლებ სამარცხვინო მოვლენები. დამეთანხმებით, რომ ქინქლაძის მამის, ვოვა გუცაევის, ქვეყნის საფეხბურთო პირველობის ბომბარდირის, ზურაბ იონანიძისა და ა.შ. დაყაჩაღებებიც ვერ აღძრავს სასიამოვნო ემოციებს.

ზუსტად იმ დღეს (7 სექტემბერს), როდესაც წლის ყველაზე დიდ სიხარულს გვიმზადებდა ელდარ კურტანიძე, საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრებმა წლის უდიდესი იმედგაცრუება გადაგვატანინა. შვეიცარიასთან 1:4-ით დამარცხებამ გულშემატკივართა იმედს ცივი წყალი გადაასხა. ამავე კატეგორიაში შეგვიძლია დავასახელოთ დიმიტრი იაშვილის „გაფრანგებაც“: კანადასთან თამაშით მან საქართველოს რაგბის ნაკრებში თამაშის იმედი გადაგვიწურა.

ფეხბურთში აღნიშნული წაგება გახდა წლის უდიდესი სენსაციის საბაბიც. „შინდისფერთა“ მთავარი მწვრთნელის მოთმინების ფიალა აივსო და მან გუნდიდან გაუშვა ლიდერები. ასე აღმოჩნდნენ თამაშგარე მდგომარეობაში ქინქლაძე, ნემსაძე, ყაველაშვილი და შეყილაძე. საერთოდ, წლის ნეგატიურ მოვლენებში აშკარა „უპირატესობას“ საფეხბურთო სამყარო ფლობს. არა მარტო წლის, არამედ ბოლო ათწლეულის უდიდესი იმედგაცრუება გახლდათ რუსეთის ნაკრებთან ჩაშლილი შეხვედრა, რამაც რუსებს კიდევ ერთხელ მისცა ჩვენი ქვეყნის განქიქების საბაბი.

წლის დანაკლისი უდავოდ თემურ ქეცბაია გახლავთ. ამიერიდან თავხოტორა ჰავბეკი აღარასოდეს მოირგებს ქვეყნის პირველი საფეხბურთო ნაკრების მაისურს.

წლის კურიოზად იქცა თურქეთის ნაკრებთან შეხვედრის მეორე ტაიმში კახა კალაძის გამოჩენასთან დაკავშირებული ამბავი. საქართველოს ტელევიზიის კომენტატორი ჯამლეთ ხუხაშვილი იმდენად დაიბნა „მილანის“ მცველის ნაკრებში დაბრუნებით, რომ თვალს არ დაუჯერა, იგი დინამოელ ახალაიად გამოაცხადა და თბილისელთა ფორვარდს დაცვაში თამაში „დააბრალა“.

არანაკლებ კურიოზული ვითარება შეიქმნა საქართველოს ნაკრების მეკარეებთან დაკავშირებითაც. მეკარეთა არადამაჯერებელმა გამოსვლამ ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა მეკარის უცხოეთში ძიების მიზანშეწონილობაზე დააფიქრა. კანდიდატურა გერმანიაში შეირჩა — „კიოლნის“ კარის დარაჯი ალექსანდერ ბადე (იქნებ ახლა მაინც იყოს დაცული ჩვენი კარის ბადე!).

ამ დროს არც ფედერაციის ხელმძღვანელებმა და არც ნაკრების მწვრთნელებმა არ იცოდნენ, რომ არცთუ ისე დიდი ხნის წინ საქართველოს ნაკრების მეკარე დათო ხმელიძე ესპანეთში, სანტანდერის „რასინგში“ თამაშობდა და გუნდს პრიმერა-დივიზიონში გადასვლაში დაეხმარა. თუმცა, თამამად შეგვიძლია ამ ფაქტს წლის დაუდევრობაც დავარქვათ.

კურიოზების ნომინაციაში თავისუფლად მოხვდება შემდეგი ფაქტიც: როგორც ცნობილია, ფიფა და უეფა რასიზმის გამოვლინებას სასტიკად ებრძვიან და თანხებს არ იშურებენ მის წინააღმდეგ საბრძოლველად. აი, ამან რამდენიმე პიროვნება დააფიქრა, — ხომ არ შევთავაზოთ ქართული ფეხბურთის მამებს ანალოგიური ღონისძიებების საქართველოში ჩატარებაო. სასაცილო ის არის, რომ ამ დროისთვის ჩვენთან თამაშობდა მხოლოდ ერთი ზანგი — დინამოელი კარლოსი, რომელიც ყველას ძალიან უყვარს(!).

წლის უდიდესი აურზაური ფეხბურთის ფედერაციის ყრილობამ გამოიწვია. მიუხედავად ჟორდანიას წინააღმდეგ ატეხილი ნამდვილი ომისა, მან მაინც შეინარჩუნა ფედერაციის პრეზიდენტის სავარძელი.

წლის მნიშვნელოვან მოვლენათა შორის უთუოდ მოსახსენებელია ევროპელ მწვრთნელთა მასობრივი ჩამოყვანა. წამყვანი ქართული კლუბების კვარტეტი („დინამო“, „ლოკომოტივი“, „ტორპედო“, „ვიტ ჯორჯია“) უცხოელთა გასაწვრთნელი გახდა.

როგორ მოიპოვა ოსკარი რეზო არველაძემ

ახალი წელი კარს გვიკაკუნებს თავისი თოვლის ბაბუა-ბებიებით და ასე ნანატრი თოვლით. შეუძლებელია ადამიანი, თუნდაც ხანში შესული, ბავშვივით არ განიცდიდეს იმ იდუმალებას, რომელიც თან ახლავს ახალ წელს. რას მოგვიტანს იგი, რა სიურპრიზებით გაგვახარებს და ა.შ. ეს ფიქრები თავისთავად მოდის და სიცოცხლის ბოლომდე თან გვდევს...

რეზო

ეს განცდები თან სდევს ყველას — გინდ ცნობილი იყოს და გინდ უცნობი... მოდით, ჩავიკითხოთ ცნობილი ქართველი ფეხბურთელის, ამჟამად კი საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელის, რეზო არველაძის მონათხრობი და ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდეთ. თუმცა, რეზომ საუბრის დასაწყისშივე გვითხრა, რომ ახალი წელი მისთვის განსაკუთრებულ სიხარულს აღარ იწვევს...

— ახალ წელთან დაკავშირებული სასიამოვნო მოგონებები ბავშვობაში დავტოვე. რატომღაც, რაც წამოვიზარდე, ნაკლებ მახარებდა ახალი წლის მოსვლა. ბავშვობაში კი ეს დღე ჩემთვის მართლაც გამორჩეული იყო.

— და ეს განწყობა თოვლის ბაბუისა და მის მიერ მოტანილი საჩუქრების ილუზიას მოჰყვა?

— არა მარტო ამას. ეტყობა, დრომ მოიტანა ასეთი განწყობა. ადრე ახალ წელს ხალისით აღვნიშნავდით — ვიკრიბებოდით ოჯახის წევრები, ნათესავები, მეგობრები, ღამე ერთმანეთს არ ვაძინებდით და ნამდვილ ფეიერვერკებს ვიწყობდით. როდესაც წამოვიზარდე, კიდევ უფრო გახალისდა ეს დღე, რადგანაც ჩვენ თვითონ მივდიოდით სტუმრად... ერთი სიტყვით, სიცოცხლე გვიხაროდა. კარგად მახსენდება გერმანიაში თამაშის პერიოდიც. თბილისში ახალ წლამდე ჩამოვდიოდი და დიდი ხნის უნახავ მშობლებს, ნათესავებსა და ახლობლებს რომ ვხვდებოდი, ამითაც ლამაზდებოდა ეს დღეები. ახლა არ ვიცი, რა ხდება. სადღესასწაულო განწყობა თითქოს არის, მაგრამ ძველებური სული სადღაც გაქრა. ხან ტელევიზიაში რომელიმე გადაცემაზე დაგვპატიჟებენ, ხან სად და ხანაც — სად, მაგრამ მაინც ასეა...

— რახან ბავშვური წლების მონატრება შემოგრჩა, იქნებ უფრო დეტალურად გაიხსენო, ასეთი რა ხდებოდა.

— მეგობრები, ძირითადად კლასელები ვიკრიბებოდით და კარნავალებს ვმართავდით. ჩვენვე ვწერდით მინი-სპექტაკლების სცენარებს. მაშინდელ ხალისს ვერანაირად ვერ აღვწერ. დღეს ჩემი ბავშვობის მეგობრების უმეტესობა ცნობილი ადამიანები არიან — ნიკა ივანიშვილი, დათუნა ჭელიძე, მიშა ახვლედიანი...

ოჯახში ახალი წლის შეხვედრა ნამდვილი რიტუალი იყო. მშობლებთან ერთად ბებიასთან მივდიოდით. შემდეგ მამაჩემი უეჭველად ესტუმრებოდა ლეკიშვილებს და ა.შ. მოკლედ, ღამის პირველ საათამდე სადმე აუცილებლად უნდა მივსულიყავით.

... სხვათა შორის, რომანტიკული არა ვარ, მაგრამ თოვლი უჩვეულო განწყობას მიქმნის, მახალისებს. უფრო მეტიც, ჩემში ემოციას აღძრავს.

— ბოლო წლებში თოვლი რომ „გადაგვეჩვია“, ამანაც ხომ არ გაგიფერმკრთალა ახალი წლის განცდა?

— ასეც არის. თუმცა, თოვლის ნაკლებობას ნამდვილად არ განვიცდი: ხან ბაკურიანში მივდივარ, ხან გუდაურში, მაგრამ თოვლი თბილისში სულ სხვაა... ეს მე ბავშვობასა და ვაკის პარკს მაგონებს. მაშინ სად იყო მობილური, მაგრამ ფიფქები რომ დაიწყებდა ბარდნას, ნახევარ საათში მთელი ჩემი სამეგობრო ვაკის პარკში იყრიდა თავს.

— თოვლის მოსვლა და „შატალოზე“ კლასის წასვლაც არ იქნებოდა თქვენთვის უცხო.

— ეს თავისთავად! ხომ იცი, ერთი ხანობა მაგარ ბიჭობაში გვეთვლებოდა სკოლიდან გაპარვა, მაგრამ ჩვენ გაგვიმართლა. თითქმის ყველა მასწავლებელი „გვიგებდა“... ერთი-ორჯერ „შატალოზე“ ერთადაც გავპარულვართ.

— მოკლედ, ისინიც თქვენს ჭკუაზე გადაგყვდათ...

— თოვლი ყველას გვიხაროდა. ხან ვის „ჩავმარხავდით“ თოვლში და ხან — ვის. ამას ზოგჯერ რომელიმე ჩვენგანის ფილტვების ანთება და შესაბამისად, სკოლაში მშობელთა კრება მოჰყვებოდა.

— ყველაზე ხშირად სად მიდიოდით „შატალოზე“?

— ჩემთვის ასეთი ადგილი სკოლასთან 50 მეტრში მდებარე სტადიონი იყო. ახლაც მახსოვს იქაურ სქელძელიან კარში გატანილი ბურთები. სტადიონი შრომის კაბინეტის ფანჯრებს ესაზღვრებოდა და რაღაც ვერც ვიხსენებ, რომ სკოლის მინებს ერთ საათზე მეტხანს გაეძლო, ჩასმას ვერ ასწრებდნენ, ისე ვამტვრევდით. ყველაფრით ვთამაშობდით ფეხბურთს — იქნებოდა ეს კონსერვის ქილები, ქვები და ათასი სხვა რამ, ბურთის მაგივრობას რაც სწევდა.

— თქვენ ისეთი ყოჩაღები ყოფილხართ, მოტობურთსაც ითამაშებდით...

— მოტო და ავტობურთი არა, მაგრამ კალათბურთს მართლა კარგად ვთამაშობდი. სკოლის ნაკრებში ვირიცხებოდი. ძალიან მიყვარდა მაგიდის ჩოგბურთიც. 7 წლისას ჭადრაკის ნიჭი აღმომიჩინა ბებიაჩემმა და ჭადრაკის სასახლეშიც მიმიყვანა, მაგრამ ჩემნაირ მოუსვენარ ბავშვს მაგიდასთან საათობით რა გააჩერებდა? ფეხბურთს ვერაფერი შემიცვლიდა. სხვათა შორის, ჰოკეიც საკმაოდ ბევრჯერ მითამაშია. თოვლის მოსვლისთანავე ბებიაჩემის სახლთან, ბერძენიშვილის ქუჩაზე საღამოს ექვს საათზე წყალს დავასხამდით, თითქმის მაშინვე გაიყინებოდა და ღამის თერთმეტ საათამდე ვთამაშობდით.

— როგორც მსმენია, მშობლებს საინტერესო „ავანტიურებს“ უმზადებდნენ ძმები არველაძეები...

— ჩვენს გაძლებას მაგარი ნებისყოფა მართლაც სჭირდებოდა. ერთხელ მცხეთაში, აგარაკზე ვისვენებდით. იქვე ძალიან კარგი მაღაზია იყო, სადაც იყიდებოდა მაგიდის ჩოგბურთის კომპლექტი, რომელზეც სული გველეოდა. არადა, პატარები ვიყავით და მისი შესასყიდი 100 მანეთი სად გვქონდა? მოკლედ, ფულის შეგროვება დავიწყეთ. ბოლოს, შევაგროვეთ კიდეც, მანქანა ვიქირავეთ და სახლში რომ მივედით, დილიდან გვიან ღამემდე „პინგ-პონგს“ ვთამაშობდით. აჩიკომ და შოთიკომ თამაში არ იცოდნენ და მე ვასწავლე, მაგრამ სამი დღის შემდეგ ტყუპმა ისე კარგად აითვისა ყველაფერი, რომ შოთამ მომიგო კიდეც. ეს კი აღარ მომეწონა, ჩოგანი ფეხში გავუქანე და „გავარტყი“, ლამის დავახეიბრე. მაშინ შოთიკო დამემუქრა, მე რომ ფეხბურთი ვერ ვითამაშო, მოგკლავო. კიდევ კარგი, ითამაშა და მეც „გადავრჩი“.

— რახან ტყუპზე ოთხი წლით უფროსი ხარ, ბავშვობაში მათ „პატრონობა“ მოგიწევდა. გიჯერებდნენ?

— ორივენი ძალიან ცელქები იყვნენ. შეიძლება ითქვას, რომ სრულიად ერთნაირები...

— ხშირად ჩხუბობდით?

— შოთიკო და აჩიკო ერთმანეთს არ ეჩხუბებოდნენ, ორივე მე მომდგებოდა და მაშინ კი მართლაც მიჭირდა თავის დაცვა. ერთხელ, მამაჩემის მეგობარმა სამი წყვილი კრივის ხელთათმანი მოგვიტანა. ამ შანსს ხელიდან როგორ გავუშვებდით? განსაკუთრებით ტყუპმა იაქტიურა. სახლში რომ ყველაფერი მილეწ-მოლეწეს, იერიში ჩემზე გადმოიტანეს! ოო, მაშინ კი სერიოზული თავდაცვა მომიხდა.

— წიგნში „ვინ ვინ არის“, საინტერესო ინფორმაციაა შოთაზე. თურმე, მას ოთხ ფილმში უთამაშია. ამ მხრივ თქვენ თუ გაქვთ სატრაბახო?

— ბავშვობაში რომელიღაც სატელევიზიო სპექტაკლში (რომელიც საოჯახო პრობლემებს ეძღვნებოდა) ეპიზოდური როლი შევასრულე. ტყუპმა კი ითამაშა „ცხელი ზაფხულის სამ დღეში“ და კიდევ რამდენიმე ფილმში. ეს, რა თქმა უნდა, დეიდაჩემის, ქეთი დოლიძის დამსახურებაა. სხვათა შორის, უცნობმაც გადამიღო კლიპში (ჩვენ ვმეგობრობთ). იმასაც გეტყვით, რომ თითქმის გადაწყვეტილი იყო, რომ „კუკარაჩაში“ თამაზის როლი უნდა მეთამაშა (ანუ ქალბატონი ანიკოს შვილისა), მაგრამ ამ როლისთვის უკვე დიდად ჩამთვალეს და თამაშგარე მდგომარეობაში აღმოვჩნდი. მართლა, არ გამომრჩეს, თქვენ არ იცით, ოსკარი რომ მივიღე?

— ეს როგორ გავიგოთ?

— აი, ასე, ჩვეულებრივად. „ცისფერ მთებში“ ერთ-ერთი ყველაზე საკვანძო და ურთულესი როლი ვითამაშე, გივი ხომ გახსოვთ?

— ეს მართლაც „რთული“ როლია!

— გადაღებისას ძალიან ვნერვიულობდი. ე. ი. უხმაუროდ უნდა ვმდგარიყავი კარს უკან და ჩემნაირი ხმაურიანი კაცი ამას თუ შეძლებდა, ვერ წარმოვიდგენდი. საბედნიეროდ, ყველაფერი ისე კარგად დასრულდა, გაოცებული დავრჩი. მაშინ პირველად (და ალბათ უკანასკნელად) იყო დაწესებული ნომინაცია არარსებული პერსონაჟისთვის და ისიც მე გადმომეცა, ოღონდ გივისთვის შესაფერისად — კარს უკან, ისე, რომ ძველებურად არავის დავენახე. ამიტომაც არ იცის ხალხმა, რამხელა პრიზით დავბრუნდი თბილისში...

— ახლა ისიც მითხარი, როგორი განწყობა დაგეუფლა, როდესაც შეიტყვე, რომ შენი მეულლე (დიზაინერი თეონა თავართქილაძე. — რედ.) პანკისში ჩვენებას აწყობდა?

— როდესაც ეს ამბავი შევიტყვე, გერმანიაში ვიყავი და ჩამოსვლა არც მიფიქრია... საერთოდ, თავგადასავლების მოყვარულიც ვარ. ისეთი სამეგობრო მყავს, სხვაგვარად წარმოუდგენელიც იქნებოდა, მაგრამ პანკისში ჩასვლის იდეამ რატომღაც არ მომხიბლა...

გვერდი მოამზადა
ზვიად კალანდაძემ

CMYK

კალაძე ინტერნეტ-ფანთა ფავორიტია

უკვე დიდი ხანია, ინტერნეტი ყოველდღიურობის შემადგენელ ნაწილად იქცა. კომპიუტერული მომსახურება წარმატებით ინერგება ფეხბურთშიც. სამწუხაროდ, განვითარებული ქვეყნებისგან განსხვავებით, ეს პროცესი საქართველოში საკმაოდ ნელი ტემპით მიმდინარეობს, რადგან კომპიუტერთან მუშაობის საშუალება ბევრს არ გააჩნია.

და მაინც, ექსპერტთა თქმით, ერთგვარი საინტერნეტო ბუმი საქართველოშიც შეინიშნება. თურმე, ბოლო ორი წლის მანძილზე ინტერნეტის მომხმარებელთა რიცხვი თითქმის ორჯერ გაიზარდა. მართალია, მათი საერთო რაოდენობა ამის მიუხედავადაც არ არის შთამბეჭდავი, მაგრამ თავად ზრდის ფაქტიც მრავლისმეტყველია. ამიტომაც, ადრე თუ ინტერნეტ-გამოკითხვები უაზრობად ითვლებოდა, ახლა მისი დახმარებით საინტერესო ამბების შეტყობა შეგვიძლია. ამიტომაც მიიქცია ყურადღება გამოკითხვამ, რომლის მიზანიც გახლდათ საქართველოს ჩემპიონატის და ზოგადად, ქართველთა შორის საუკეთესო მოთამაშის გამოვლენა. ერთთვიანმა გამოკითხვამ საკმაოდ მოულოდნელი შედეგები დააფიქსირა. მოულოდნელი არ არის კახა კალაძისა და შოთა არველაძის ფავორიტობა, დანარჩენებისა კი რა მოგახსენოთ:

საუკეთესო ფეხბურთელი:

1. კახა კალაძე — 62%.
2. შოთა არველაძე — 13%.
3. გივი დიდავა — 9%.
4. გიორგი შაშიაშვილი — 5%.

5-6. ვიტალი დარასელია, დათო მუჯირი — 3%.

7-10. ლადო ბურდული, ვასილ გიგიაძე, ალექსანდრე რეხვიაშვილი, ვალერი აბრამიძე — 1%.

ზემოთ მოყვანილი გამოკითხვის ფონზე გაუგებარი რჩება საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ათეულის შედეგები:

1. ლადო ბურდული — 20%.
2. ალეკო ამისულაშვილი — 17%.
3. ვიტალი დარასელია — 16%
4-5. ლევან მელქაძე, მალხაზ ასათიანი — 13%.
6. გიორგი შაშიაშვილი — 7%.
7. გივი დიდავა — 6%.
8. ლევან შავგულიძე — 4%.
9. ანდრეი პოროშინი — 3%.
10. ზურაბ იონანიძე — 2%.

გაოცებას იწვევს გივი დიდავას უცნაური ამპლიტუდა. იმ დროს, როდესაც იგი ზოგადად საუკეთესო მოთამაშეთა შორის მესამე პოზიციაზე აღმოჩნდა, საქართველოს ჩემპიონატის რეიტინგში მხოლოდ მეშვიდე ადგილი არგუნეს. გაუგებარია, სად „დაიკარგნენ“ იაშვილი, ჯამარაული, დემეტრაძე, კობიაშვილი. როგორც ჩანს, მათ ინტერნეტ-ფანები არ იცნობენ, ან არ წყალობენ.

ეჰ, ზაზა, ზაზა

ოდესღაც მრისხანე თავდამსხმელი ზაზა ჯანაშია თბილისის „ლოკომოტივიდანაც“ დაითხოვეს. მოსკოველი რკინიგზელების გუნდიდან იანვარში „განათხოვრებული“ ჯანაშია საჯაროდ აცხადებდა, რომ საქართველოში დროებით იცხოვრებდა, ფორმას აღიდგენდა და ისევ დიდ სარბიელსა და ეროვნულ ნაკრებს დაუბრუნდებოდა.

თავდაპირველად მონდომება ზაზას მართლაც ეტყობოდა, მაინცდამაინც არც ვარჯიშებს აცდენდა და ნელ-ნელა კვლავ აგრესიულად ათამაშდა. უეფას თასზე „კოპენჰაგენთან“ შეხვედრის დროს კი აშკარად გამოაჩინა საუკეთესო თვისებები და ეგონა, ეროვნული გუნდის მწვრთნელებიც მოწყალე თვალით შეხედავდნენ. მისდა სამწუხაროდ, ჩივაძემ იმედები არ გაუმართლა, ჯანაშიას მიერ დისციპლინის დარღვევის ფაქტები კი ყველასათვის ცნობილი გახდა. ამან ზაზაზე კიდევ უფრო დამღუპველად იმოქმედა და ბოლო დროს ვარჯიშების გაცდენასაც მოუხშირა.

ამდენი მოთმინება კი აღარ აღმოაჩნდა „ლოკომოტივის“ პერუელ მწვრთნელ ლუის ცაკარიასს და ზაზას იჯარით დატოვება აღარ ისურვა.

მომხდარის ფონზე გაოცებას იწვევს ინფორმაცია, თითქოს 27 წლის ქართველ თავდამსხმელს მოსკოვის „დინამო“ და „ტორპედო“ იწვევენ. როცა საქართველოში ინუნებენ ფეხბურთელს, ნეტავ, რუსეთში ვინ წაიყვანს? ღმერთმა ქნას, რომ ვცდებოდეთ, მაგრამ ეს ინფორმაცია სიმართლეს არ ჰგავს.

ITALIAUI ფეხბურთი ლიდერობს

ასე თუ გაგრძელდა, შესაძლოა, მსოფლიოს ყველაზე პოპულარული საფეხბურთო ჩემპიონატი, — იტალიის სერია A დროებით შეწყდეს, ან საერთოდ ჩაიშალოს სეზონი. საქმე ის გახლავთ, რომ იტალიის სტადიონებზე სულ უფრო და უფრო იკიდებს ფეხს ძალადობა და თითქმის ტური არ ჩაივლის ისე, რაიმე ექსცესი არ მოხდეს. უკანასკნელი ინციდენტი კომო-უდინეზეს მატჩისას მოხდა, ოთხშაბათს. უსამართლო მსაჯობით გაცოფებული „კომოს“ ფანობა სტადიონს შეესია, მართალია მსაჯმა თავს უშველა, მაგრამ თამაშის განახლება აღარ მოხერხდა. ამ ინციდენტამდე რამდენიმე დღით ადრე „ნაპოლის“ კაპიტანი ბილინი ძლივს გადაურჩა გულშემატკივართა რისხვას, ხოლო „კალიარის“ მეკარე მანიტა, მაყურებელთა აგრესიის წყალობით, საავადმყოფოში მოხვდა. ქვეყნის ფეხბურთის თავკაცები გამოსავალს ამაოდ ეძებენ, შესაძლოა, საქმე ჩემპიონატის ჩაშლამდეც მივიდეს.

ალბანელებს თბილისში ბრიგელი ჩამოიყვანს

საქართველოს ნაკრების მეტოქეს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში, ალბანეთის ეროვნულ გუნდს ახალი მწვრთნელი ჰყავს — 47 წლის სპეციალისტი ჰანს პეტერ ბრიგელი, რომელიც წარსულში დიდი გერმანელი მცველი იყო. ბრიგელის დანიშვნაზე ალბანელები ამ რამდენიმე კვირის წინ ალაპარაკდნენ, თუმცა მაშინ მწვრთნელი და ალბანეთის ფეხბურთის ფედერაცია პირობებზე ვერ შეთანხმდნენ. როგორც ჩანს, ყველა პრობლემა მოგვარდა და „არწივები“ გერმანელს მაინც ჩააბარეს. ასე რომ, ალბანეთის ეროვნულ გუნდს ამ გაზაფხულზე სწორედ ბრიგელი ჩამოიყვანს „შინდისფერებთან“ სათამაშოდ.



რეხვიაშვილი ლაზვიელებს „ალანიაშიც“ ვერ ასცდება

ალეკო რეხვიაშვილი სამართლიანად ითვლება ყველაზე მებრძოლ ქართველ ფეხბურთელად. რიგის „სკონტოს“ და საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი მოედანზე მუდამ შემართულია და მეტოქეებს დიდ პრობლემებს უჩენს.

მისდა საუბედუროდ, ალეკოს ბოლო ორი წლის განმავლობაში არანაკლები ბრძოლისუნარიანობის გამოჩენა მოედნის მიღმაც მოუხდა. 2000 წლიდან მოყოლებული რეხვიაშვილი საქართველოს ნაკრების წევრი გახდა და ევროპელი მენეჯერების ყურადღების სფეროშიც მოხვდა. ქართველ ნახევარმცველს იწვევდნენ „პორტსმუთი“, „ბოლონია“ და დონეცკის „შახტიორი“, მაგრამ ლატვიელები მეტად დიდ სატრანსფერო თანხას ასახელებდნენ და ამით რეხვიაშვილს ინარჩუნებდნენ. სწორედ ამის გამო დაუპირისპირდა „სკონტოს“ ქართველი კაპიტანი გუნდის პრეზიდენტს. ალეკომ ინდრიქსონს ზაფხულში ულტიმატუმი წაუყენა, — ან ახალ გუნდს მომიძებნი, ან ცუდად დავშორდებითო. ეტყობა, „სკონტოს“ თავკაცმა ქართველის ულტიმატუმზე დათანხმება ამჯობინა და ალეკო „პორტსმუთში“ გასასინჯად გაუშვა. სამწუხაროდ, რეხვიაშვილს მაშინ მუხლმა უმტყუნა და ინგლისში თამაშს ვინ ჩივის, კინაღამ საერთოდ ჩამოშორდა ფეხბურთს.

ახლა მაინც შეიცვალა ვითარება. რეხვიაშვილი მომჯობინდა და კიდევ ერთხელ დაეხმარა „სკონტოს“ გაჩემპიონებაში. ამასობაში ლატვიელებთან კონტრაქტის ვადაც დაუსრულდა. მისთვის სასურველად განვითარდა მოვლენები ვლადიკავკაზის „ალანიაშიც“. ოსებმა მთავარ მწვრთნელად ხომ რევაზ ძოძუაშვილი დანიშნეს, კაცი, რომელმაც ჩამოაყალიბა ალეკო ფეხბურთელად. „გორდა“, „ტემპი“, „დინამო“, „სკონტო“ და საქართველოს ნაკრები — აი, ის გუნდები, სადაც ძოძუაშვილი უპირობოდ იწვევდა რეხვიაშვილს. ახლა ამ სიას კიდევ ერთი მიემატება — „ალანია“.

ეს ინფორმაცია თავად რევაზ ძოძუაშვილმა დაადასტურა რუსულ გაზეთ „სპორტ-ექსპრესში“. ჟურნალისტის კითხვაზე, ხომ არ აპირებს საქართველოდან ფეხბურთელთა დიდი ჯგუფის ჩაყვანას, უპასუხა: „რატომ მხოლოდ საქართველოდან? მე დღემდე მშვენიერი ურთიერთობა მაკავშირებს ლატვიელებთან და დიდი სურვილი მაქვს „სკონტოს“ წამყვანი მოთამაშეები მოვიწვიო. ვგულისხმობ ვერპაკოვსკის, მიხოლაპსა და რეხვიაშვილს, რომლებსაც ჩინებულად ვიცნობ. არ არის გამორიცხული, მათ მენთეშაშვილიც დაემატოს. ჩემთვის მნიშვნელოვანია არა მოთამაშის ეროვნება, არამედ მისი კლასი“.

თუმცა, „ალანია“ მაინც იქცევა ქართველთა ბუდედ. ოსებმა მოახერხეს მიხეილ აშვეთიას შენარჩუნება და ამით თავდასხმის პრობლემას ნაწილობრივ მოაგვარებენ. დემეტრაძე, სავარაუდოდ, სან-სებასტიანის „რეალ სოსიედადს“ დაუბრუნდება და ძოძუაშვილს მეორე თავდამსხმელის ძებნა დასჭირდება, თუმცა არა, იგი უკვე შეგულებული ჰყავს. „ალანიას“ მწვრთნელის „ჯილა“ ყველას გააოცებს: იგი საზოგადოებისთვის თითქმის უცნობი დავით ჩიღვინაძეა, ფეხბურთელი, რომელიც ძოძუაშვილმა „ტორპედოში“ რეგიონალლიგის „ზოოვეტიდან“ მიიწვია, ჩიღვინაძემ ბოლო სეზონი „მერანში“ ჩაატარა.

„ალანიას“ ფორმას მოირგებს სევასტი თოდუაც. თუმცა, ეს ჯერ დასაწყისია და უეჭველია, რომ ამ ცივ ზამთარში საქართველოს სამხედრო გზაზე საკმაოდ ცხელი მოძრაობა დაიწყება.

არადა, იცით რას ამბობდა ბათრაზ ბითაროვი 1999 წელს? — შემიძლია თამამად ვთქვა, რომ „ალანიაში“ ქართველების ეპოქა დასრულდაო.

ბედის ირონიით, ოსური კლუბის ყოფილი მენეჯერი „ალანიას“ ქართველებთან ერთად დაუბრუნდა.

„ფრანს ფუტბოლის“ გამოკითხვის შედეგები (პირველი ათეული)

ფეხბურთელი	კლუბი	ქვეყანა	ქულა
1. რონალდო	რეალი	ბრაზილია	171
2. რობერტო კარლოსი	რეალი	ბრაზილია	145
3. ოლივერ კანი	ბაიერნი	გერმანია	114
4. ზინედინ ზიდანი	რეალი	საფრანგეთი	78
5. მიხაელ ბალაკი	ლევერკუზენი	გერმანია	67
6. ტიერი ანრი	არსენალი	საფრანგეთი	54
7. რაული	რეალი	ესპანეთი	38
8. რივალდო	მილანი	ბრაზილია	29
9. ბაშთურქი	ლევერკუზენი	თურქეთი	13
10. დელ პიერო	იუვენტუსი	იტალია	12

„ფრანს ფუტბოლის“ ოქროს ბურთის მფლობელები (1990 წლის შემდეგ)

1990 — ლოთარ მათეუსი (გერმანია)
1991 — ჟან პიერ პაპენი (საფრანგეთი)
1992 — მარკო ვან ბასტენი (ჰოლანდია)
1993 — რობერტო ბაჯო (იტალია)
1994 — ხრისტო სტოიჩკოვი (ბულგარ.)
1995 — ჯორჯ ვეა (ლიბერია)
1996 — მათიას ზამერი (გერმანია)
1997 — რონალდო (ბრაზილია)
1998 — ზინედინ ზიდანი (საფრანგ.)
1999 — რივალდო (ბრაზილია)
2000 — ლუიშ ფიგუ (პორტუგალია)
2001 — მაიკლ ოუენი (ინგლისი)
2002 — რონალდო (ბრაზილია)

გერმანია

მკონომიკური დარტყმა... ნაძვის ხით

გერმანიის მთავრობამ ოფიციალურად განაცხადა — ქვეყანა ეკონომიკურ კრიზისს განიცდისო. თურმე ნუ იტყვით, ეკონომიკური კრიზისის მაჩვენებელი ის ყოფილა, რომ მოქალაქეები ან ტყეში მიდიან საახალწლო ნაძვის ხის მოსაჭრელად, ან უკანონოდ მოჭრილ ნაძვს ყიდულობენ. გასულ წლებში ასეთი რამ არ მომხდარა. გარემოს დაცვის სამინისტროს აზრით, ეს არ ეკადრება დალხენილ ქვეყანას. პროგნოზის თანახმად, ყოველი მესამე გერმანელი წელს სახელმწიფოს თითო ნაძვის ხით გააღარიბებს, ამიტომაც ხელისუფლება ყველაფერს იღონებს, რომ მწვანე საფარი არ განადგურდეს. გერმანელი პოლიციელები 31 დეკემბრის ჩათვლით მთელ ქვეყანაში იმორიგეებენ. „კანონიერ“ საშობაო ნაძვის ხეებს კი საგანგებოდ გამოყოფილ ადგილებში გაყიდიან.

პოლონეთი

შეშშვრები პარლამენტი პარლამენტში შეცვიდნენ

პოლონეთის სეიმის მუშაობა 3 საათით შეწყდა — სხდომაზე უმუშევართა დამცველი მოძრაობის 50 წარმომადგენელი შევარდა. ხელში პლაკატები ეჭირათ, რომლებზეც ეწერა: „თქვენ ლაქლაქებთ, ჩვენ მშივრები ვართ“. „პური და სამუშაო“, „ჩვენი ფულით პარპაშებთ, ჩვენ კი სიღარიბეში გვხდება სული“. სატელევიზიო კამერებმა მთელ პოლონეთს მოჰფინეს უმუშევართა მოთხოვნები... სპეციალური პეტიცია გადაეცა სეიმის ხელმძღვანელობას — პოლონეთის მთავრობამ სასწრაფოდ უნდა შექმნას სამუშაო ადგილები, მანამდე კი უმუშევრები — ქვეყნის შრომისუნარიანი მოსახლეობის 18% მაინც, ყოველდღიურად ერთი თავი კერძით დააკმაყოფილოს.

აშშ

გამარჯვება ცოლს დარჩა

აშშ-ის სახელმწიფო მდივანს, კოლინ პაუელს მეუღლემ, ალმა პაუელმა 1995 წელს საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა აუკრძალა და გაყრით დაემუქრა — წერს თავის წიგნში „კოლინ პაუელი“ ცნობილი ჟურნალისტი ბობ ვუდვარდი. წიგნი საახალწლოდ გამოვა. პაუელს მაშინ მართლაც ჰქონდა შანსი, რესპუბლიკელთა კანდიდატი გამხდარიყო და ეგებ ბილ კლინტონისათვის ეჯობნა, მაგრამ ცოლს შეეშინდა, მისი მუქკანიანი მეუღლე პრეზიდენტი რომ გამხდარიყო, ვაითუ რასისტებს მოეკლათ. კოლინ პაუელის ახლო ნათესავი ბრუს ლევალინი ირწმუნება, — კოლინი ალმას ვერაფრით მოერია და ამიტომაც თქვა უარი საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობაზე — პრეზიდენტობა რად მინდა, თუ ალმა გამეყრებაო.

ბლერს სურს შეარიგოს ისრაელი და პალესტინა

ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ტონი ბლერმა პალესტინის დელეგაცია იანვარში ლონდონში მიიწვია პალესტინა-ისრაელის კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოწესრიგებისადმი მიძღვნილ კონფერენციაში მონაწილეობისათვის.

პალესტინის ლიდერმა მიიღო ტონი ბლერის წინადადება ლონდონში დელეგაციის გაგზავნის თაობაზე, თავად არაფატი პერსონალურად არ მიუწვევიათ.

ისრაელის მთავრობამ, თავის მხრივ, განაცხადა, — პალესტინის ლიდერს უფლება აქვს, დატოვოს მდინარე იორდანეს დასავლეთი ნაპირი, მაგრამ არანაირი გარანტია არ არსებობს იმისა, შეძლებს თუ არა უკან დაბრუნებასო.

თემთა პალატის წინაშე გამოსულმა ტონი ბლერმა თქვა, — ლონდონში პალესტინის ლიდერებთან ერთად ვიწვევ სხვა ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებსაცო. კონფერენციაზე განხილული იქნება კონფლიქტის მოწესრიგების გზები. ბლერმა ისიც აღნიშნა, — მშვიდობიანი მოლაპარაკება ხელს აძლევს როგორც პალესტინელებს, ასევე ისრაელელებს, რადგან მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი განხორციელდეს პრეზიდენტ ბუშის გეგმა. ეს გეგმა გულისხმობს ორი დამოუკიდებელი სახელმწიფოს — ისრაელისა და პალესტინის — მშვიდობიან თანაარსებობას.

ჟაკ შირაკს საახალწლოდ გუნება გაუფუჭეს

საფრანგეთის პრეზიდენტის ჟაკ შირაკის წინააღმდეგ კრიმინალური საქმეა აღძრული. უცნაურია, მაგრამ ამას სკანდალი თითქმის არ მოჰყოლია: ჯერ ერთი იმიტომ, რომ საფრანგეთის კონსტიტუციის თანახმად, სახელმწიფოს მეთაური არ შეიძლება სასამართლოს წინაშე წარდგეს, მეორეც — შირაკი და მისი თანაპარტიელები ადრეც რამდენჯერმე დაადანაშაულეს. ჯერ კიდევ სამი წლის წინ, როცა შირაკი პარიზის მერი იყო, მას ბრალად დასდეს მერიის სახსრების უკანონოდ გამოყენება საკუთარი პარტიის დასაფინანსებლად. მაშინ შირაკმა თავიც იმართლა და მეორედაც გახდა დედაქალაქის მერი.

მოსამართლე ალენ ფილიბო, რომელმაც ამჟამად აღძრა საქმე შირაკის წინააღმდეგ, ჩანს ძალიან მონდომებულია, საახალწლოდ გუნება წაუხდინოს პრეზიდენტს. ფილიბო ირწმუნება, 2007 წელს კი ნამდვილად ციხეში ჩავსვამ, მაშინ შირაკი უკვე ექსპრეზიდენტი იქნებაო.

ნუთუ იტალია თავის სიამაყეს შეელევა?

როგორ უნდა დაფარო ბიუჯეტის დეფიციტი, თუკი იტალიის პრემიერ-მინისტრი ხარ? ამ მარტივ და ამავე დროს რთულ კითხვას სილვიო ბერლუსკონიმ ერთი სიტყვით უპასუხა: „პრივატიზაციით“ და საპრივატიზაციოდ ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების გატანა გადაწყვიტა. ასეთი მარტივი გზა აირჩია მან ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად. იტალია 2 ტრილიონ ევროდ შეფასებულ უძრავ ქონებას ფლობს. მის დიდ ნაწილს სახელმწიფო მფარველობს. ბერლუსკონის გეგმით, ბევრი ისტორიული ძეგლი უნდა გაიყიდოს. ამით ბიუჯეტიც შეივსება და სახელმწიფოს მათი მოვლა-პატრონობა აღარ დასჭირდება. რა თქმა უნდა, ლაპარაკი არ არის ისეთ უმნიშვნელოვანეს ისტორიულ ღირებულებებზე, როგორიცაა კოლიზეუმი, უფიცის გალერეა თუ პიზის კოშკი. თუმცა გასაყიდ ძეგლთა ნუსხაში პატარა-პატარა კუნძულები, სანაპირო ზოლები და 3000 ღია და დახურული მუზეუმია, რომლებიც განახლებას საჭიროებენ. იტალიელები სერიოზულად არიან შეშფოთებული მთავრობის ასეთი გადაწყვეტილებით. შესაძლო მყიდველები მეტწილად უცხოელები არიან. ისინი კი სიძველეებს უმეტესად ფულის სწრაფად საშოვნელად ყიდულობენ — აქირავებენ, სასტუმროებად აქცევენ და სხვ., ამით იტალიის სიმაყეს სავალალო მდგომარეობაში აგდებენ.

ჩეჩენთა ყრილობის კულისებს ეღება

მაინცდამაინც დიდი იმედი იმისა, რომ გუდერმესსა და მოსკოვში ჩატარებული ჩეჩენთა ყრილობები შედეგიანი იქნება, არავის აქვს. თუმცა ორივეგან დაუჭირეს მხარი კონსტიტუციას, რომელიც ჩეჩნეთში პრეზიდენტის პოსტს აწესებს. ფართო საზოგადოებისათვის უცნობი დარჩა ის, რაც ყრილობის დღეს გუდერმესში ხდებოდა. იგი, ფაქტობრივად, ორხელისუფლებიანობის ფონზე ჩატარდა — დღისით ხელისუფლება ფედერალებს ეკუთვნოდა, ღამე — ბოევიკებს.

ამ სიტუაციაში კრემლმა საბოლოო არჩევანი ბატონ კადიროვზე შეაჩერა. ჩეჩნეთის მილიციაში უმრავლესობა სწორედ მისი მომხრეა.

ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ამ რესპუბლიკაში მხოლოდ კადიროვის იმედად ყოფნა გაუმართლებელია, რადგან, მაშინ მარტო მასზე ხდები დამოკიდებული. ჩეჩნები, რომელთა მენტალიტეტი საკუთარი მოდგმის ერთგულებას ემყარება, სხვა მოდგმის კაცს არ დაემორჩილებიან. ჩეჩნეთისთვის სიცოცხლისუნარიანი მოდელი — საპარლამენტო რესპუბლიკაა, როგორც ეს დაღესტანშია. როცა ეს მოსაზრება გუდერმესში ერთმა ცნობილმა რუსმა პოლიტიკოსმაც გამოთქვა, იგი კადიროვის მომხრეებმა ჩაჩუმეს. თავად ადმინისტრაციის თავკაცმა კი ბრძანა, — ეგ, ჩანს, თავად უმიზნებს ჩეჩნეთის პრეზიდენტობასო. კადიროვის ვაჟმა კი მოსკოველ სტუმარს პირში მიახალა — ხომ არ გავიწყდებათ, რომ მთები აქვეაო.

საფიქრებელია, რომ მუქარა ასრულდება, თუ ჩეჩნეთის ადმინისტრაციის მეთაური რაიმე მიზეზით პრეზიდენტი ვერ გახდა.

ზერაქის ადგილზე ახალი ცათამბჯენი აიგება

არქიტექტორებმა ჟიურის სამსჯავროზე წარადგინეს ნიუ-იორკის ახალი მსოფლიო სავაჭრო ცენტრის პროექტები. პროექტთა ნაწილის თანახმად, მანჰეტენზე, დანგრეული ცენტრის ნაცვლად, უნდა აიგოს შენობები, რომლებიც სიმაღლით მალაიზიის ცათამბჯენზე (452 მ) მაღალი იქნება. არქიტექტორ დანიელ ლიბესკინდის ჩანაფიქრით (მან დააპროექტა ბერლინში ებრაელთა ცნობილი მუზეუმი), სავაჭრო ცენტრის გვერდით უნდა გაშენდეს „გმირთა პარკი“, სადაც 11 სექტემბრის ტერაქტის დროს დაღუპულთა ხსოვნას მიაგებენ პატივს. ლონდონის არქიტექტურულ ფირმას „Oster and Partners“ (მისი დაპროექტებულია ლონდონის „ათასწლეულის ხიდი“ და ცათამბჯენი „ეროტიკული კიტრი“, ბილბაოს მეტროპოლიტენი), მიაჩნია, რომ უნდა აღდგეს ძველი ქუჩები, რომლებიც ოდესღაც „ჩაყლაპა“ მსოფლიო სავაჭრო ცენტრმა.

ნიუ-იორკის ოთხი არქიტექტურული სახელოსნოსგან შემდგარი ჯგუფის (მას სათავეში ძალიან ცნობილი არქიტექტორი რიჩარდ მაიერი უდგას) ჩანაფიქრით, დანგრეული კოშკების ადგილზე აუზები უნდა აიგოს, გვერდით კი პარკი გაშენდეს, სადაც 11 სექტემბრის ტერაქტის დროს დაღუპულთა ხსოვნის აღსანიშნავად იციმციმებს 2800 სანთელი.

2003 წლის 31 იანვარს ცნობილი გახდება გამარჯვებული პროექტი.

2002 წელი და მსოფლიო

ნობელიანტი მქსპრეზიდენტი

აშშ-ის ყოფილ პრეზიდენტს — ჯიმი კარტერს ნობელის მშვიდობის პრემია მიენიჭა. ახალმა ნობელიანტმა საპატიო წოდების გარდა, მილიონამდე დოლარიც მიიღო და ამ თანხის საქველმოქმედო მიზნებისთვის დახარჯვას სულაც არ აპირებს. კარტერების ოჯახის პირადი კაპიტალი მილიარდს აჭარბებს, ალბათ ამიტომაც თქვა ასევე ნობელის პრემიის ლაურეატმა ჰენრი კისინჯერმა — ჩვენს დროს პრემიალურ თანხებს ქველმოქმედებას ვახმარდით, სხვათა შორის, ჯიმის პრეზიდენტობისასაც ასე ვიქცეოდითო...

ვინ არიან ანტიგლობალისტები?



ბოლო ხანს მსოფლიო ანტიგლობალურმა განწყობამ მოიცვა. წელს ანტიგლობალისტთა დროშის ქვეშ გაერთიანდნენ გარემოს დამცველები, იუნიონისტები, ანარქისტები და სხვა დაჯგუფებები. მათი ერთ-ერთი მთავარი სამიზნე მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია გახლდათ. სიეტლში გამართულ მსოფლიო სამიტს ანტიგლობალისტებმა მძაფრი გამოსვლებით უპასუხეს. ქალაქი პანიკამ მოიცვა. განსაკუთრებით მაკდონალდსის რესტორნები დაზარალდნენ. ისინი დიდი ხანია ანტიგლობალისტთა „სამიზნედ“ არიან ქცეულნი. თუმცა ანტიგლობალისტები არც გენუის სამიტს შეხვედრიან გულგრილად. იტალიის ამ წყნარ ქალაქს კიდევ დიდხანს ემახსოვრება ანტიგლობალისტთა „ხმაურიანი პროტესტი“.

ჰაერით მოძრაობა

2002 წელი შესაძლოა, ავტოინდუსტრიაში გადატრიალების დასაწყისად ჩაითვალოს. ფრანგმა ავტოინჟინერმა გაი ნეგრემ შექმნა ავტომობილი, რომელიც ჰაერით მუშაობს და ამასთან არც გარემოს აჭუჭყიანებს. მართალია, მის სერიულ გამოშვებაზე ჯერჯერობით ლაპარაკი ნაადრევია, მაგრამ ბენზინითა თუ დიზელის საწვავით მომუშავე ავტოგიგანტები ნეგრეს პატარა მანქანას უკვე სერიოზულ კონკურენტად მიიჩნევენ. ინჟინერმა თავის „პატარას“, რომელიც „ეარ ქარად“ მონათლა, რევოლუციურს უწოდებს: „ეს ისეთივე უჩვეულო მოვლენაა, როგორიც შავ-თეთრი ტელევიზორების ხანაში ფერადი ტელევიზორის გამოჩენა“, — ამბობს ნეგრე.

გვერდი მოამზადა
ნანა ანტონოვა-ილურიძემ

თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს მიღებას *მეორე სპეციალობის ფაკულტეტებზე*

იმ პირთათვის, ვისაც უკვე აქვს გარკვეული სპეციალობა, და სურთ შეიძინოს მეორე სპეციალობაც უცხო ენის პროფესიული ფლობის სახით (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ენები).

სწავლების ვადა – 3 წელი. სწავლების ფორმა – საღამოსი (ლექციებისა და მეცადინეობების დასაწყისი – 17.00 სთ.)

კურსდამთავრებულები მიიღებენ საუნივერსიტეტო განათლების შესაბამის დიპლომს. სწავლება ფასიანია.
მის: ჭავჭავაძის 45 (ყოფ. უცხო ენების ინსტიტუტი) ☎ 22-04-72

ეს „მეოკორი“ აწარმოებს **ბურღვით სამუშაოებს სასმელი და ტექნიკური წყლის მისაღებად**

მის: აპურის ქ. №8 (საორგის სასასლის უკან), ოთ. 118
ტ: 33-26-75; 38-24-02

თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს მიღებას მეორე სპეციალობის ფაკულტეტთან არსებულ *კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე*

იმათთვის, ვინც მუშაობს უცხო ენის მასწავლებლად და სურს აიმაღლოს კვალიფიკაცია თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად.

სწავლების ვადა – 2 წელი. სწავლების ფორმა – საღამოსი (ლექციებისა და მეცადინეობების დასაწყისი – 17.00 სთ.)

კურსდამთავრებულები მიიღებენ შესაბამის სერტიფიკატს. სწავლება ფასიანია.
მის: ჭავჭავაძის 45 (ყოფ. უცხო ენების ინსტიტუტი). ☎ 22-04-72

ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘ 23 დეკემბერი

07.30 ალიანი 09.45 ფარი და ფული 10.00 ზმ. ფილმი "ᲡᲘᲛᲐᲠᲯᲕᲔᲚᲘ ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲘ" 11.30 ᲞᲝᲞᲘᲡ ᲙᲚᲘᲞᲘ ᲐᲛᲑᲐᲒᲘᲡᲗᲕᲘᲡ 12.00, 15.00, 20.00 მოამბე 12.15 ტელეფილმი "ᲙᲝᲜᲓᲝᲠᲘ" 13.00 ᲞᲝᲞᲘᲡ ᲙᲚᲘᲞᲘ ᲐᲛᲑᲐᲒᲘᲡᲗᲕᲘᲡ 14.00 "ᲛᲣᲠᲘᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲘ" 15.15 ᲛᲔ ᲓᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲘ 16.00 ᲞᲝᲞᲘᲡ ᲙᲚᲘᲞᲘ ᲐᲛᲑᲐᲒᲘᲡᲗᲕᲘᲡ 17.00 ᲢᲔᲚᲔᲤᲘᲚᲛᲘ "ᲛᲔᲠᲪᲔᲚᲘ ᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ" 18.00 ᲞᲝᲞᲘᲡ ᲙᲚᲘᲞᲘ ᲐᲛᲑᲐᲒᲘᲡᲗᲕᲘᲡ 18.20 ᲛᲐᲚᲐᲜᲘᲐᲜᲘ 18.40 "ᲛᲔ ᲓᲐ ᲩᲔᲛᲘ" 19.05 "ᲛᲣᲠᲘᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲘ" 19.50 ᲞᲝᲞᲘᲡ ᲙᲚᲘᲞᲘ ᲐᲛᲑᲐᲒᲘᲡᲗᲕᲘᲡ 20.00 "ᲛᲔ ᲓᲐ ᲩᲔᲛᲘ" 21.50 ᲛᲔᲠᲪᲔᲚᲘ ᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ 22.00 ᲞᲝᲞᲘᲡ ᲙᲚᲘᲞᲘ ᲐᲛᲑᲐᲒᲘᲡᲗᲕᲘᲡ 22.25 ᲛᲔ ᲓᲐ ᲩᲔᲛᲘ 23.40 ᲛᲔᲠᲪᲔᲚᲘ ᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ 00.00 ᲛᲔ ᲓᲐ ᲩᲔᲛᲘ

19.00, 22.00 "ᲨᲐᲜᲯᲘ" მეორე ᲡᲐᲗᲘᲗᲐᲝ 19.40 ᲞᲝᲞᲘᲡ ᲙᲚᲘᲞᲘ ᲐᲛᲑᲐᲒᲘᲡᲗᲕᲘᲡ 20.30 ᲛᲐᲚᲐᲜᲘᲐᲜᲘ 20.50 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲝᲜᲘ 22.25 ᲛᲔᲠᲪᲔᲚᲘ ᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ 23.00 ᲛᲔᲠᲪᲔᲚᲘ ᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ 23.40 ᲛᲔᲠᲪᲔᲚᲘ ᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ 00.00 ᲛᲔ ᲓᲐ ᲩᲔᲛᲘ

07.00 ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲘ 07.30 ᲐᲜᲘᲛᲔ ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲘ 08.00 ᲛᲣᲖᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲛᲔ 09.40 ᲛᲔᲠᲪᲔᲚᲘ ᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ 10.40 "ᲛᲝᲜᲐᲚᲘ ᲞᲘᲠᲘᲡᲐᲜᲘ" 12.00, 15.00 ᲛᲔᲠᲪᲔᲚᲘ ᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ 12.15 ᲞᲝᲞᲘᲡ ᲙᲚᲘᲞᲘ ᲐᲛᲑᲐᲒᲘᲡᲗᲕᲘᲡ 13.00 "ᲛᲔᲠᲪᲔᲚᲘ ᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ" 15.20 "ᲛᲣᲠᲘᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲘ" 16.00, 18.00, 20.00, 22.00 ᲞᲝᲞᲘᲡ ᲙᲚᲘᲞᲘ ᲐᲛᲑᲐᲒᲘᲡᲗᲕᲘᲡ 18.50 ᲛᲐᲚᲐᲜᲘᲐᲜᲘ 19.20 ᲞᲝᲞᲘᲡ ᲙᲚᲘᲞᲘ ᲐᲛᲑᲐᲒᲘᲡᲗᲕᲘᲡ 19.50 "ᲛᲔ ᲓᲐ ᲩᲔᲛᲘ" 20.40 "ᲛᲔ ᲓᲐ ᲩᲔᲛᲘ" 21.50 "ᲛᲔᲠᲪᲔᲚᲘ ᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ" 22.20 "ᲛᲔᲠᲪᲔᲚᲘ ᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ" 00.00 ᲛᲔ ᲓᲐ ᲩᲔᲛᲘ

08.00,13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲘ 08.15 ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲘ 08.30 ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 09.00 ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 09.30 ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 10.00 ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 10.30 ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 11.00 ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 11.30 ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 12.00 ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 12.30 ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 13.00 ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 13.30 ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 14.00 ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 14.30 ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 15.00 ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 15.30 ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 16.00 ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 16.30 ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 17.00 ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 17.30 ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 18.00 ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 18.30 ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 19.00 ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 19.30 ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 20.00 ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 20.30 ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 21.00 ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 21.30 ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 22.00 ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 22.30 ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 23.00 ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 23.30 ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 00.00 ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ

12.00 ᲛᲔᲠᲪᲔᲚᲘ "ᲛᲔᲠᲪᲔᲚᲘ ᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ" 13.30 ᲛᲔ ᲓᲐ ᲩᲔᲛᲘ "ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲜᲗᲘ ᲛᲐᲡᲐᲠᲘ" 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲘ ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ" 19.20 სპორტი 21.00 ᲛᲔ ᲓᲐ ᲩᲔᲛᲘ "ᲛᲔᲠᲪᲔᲚᲘ ᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ" 22.30 ᲛᲔ ᲓᲐ ᲩᲔᲛᲘ "ᲛᲔᲠᲪᲔᲚᲘ ᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ"

08.00 ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲘ 08.20 ᲯᲐᲜᲘ ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲘ 08.35 ᲛᲔᲠᲪᲔᲚᲘ ᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ 10.15, 12.30, 17.20, 17.50, 18.30, 19.30, 21.35, 00.25 ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲘ 08.30 ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲘ ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 09.00 ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲘ ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 09.30 ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲘ ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 10.00 ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲘ ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 10.30 ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲘ ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 11.00 ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲘ ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 11.30 ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲘ ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 12.00 ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲘ ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 12.30 ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲘ ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 13.00 ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲘ ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 13.30 ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲘ ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 14.00 ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲘ ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 14.30 ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲘ ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 15.00 ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲘ ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 15.30 ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲘ ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 16.00 ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲘ ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 16.30 ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲘ ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 17.00 ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲘ ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 17.30 ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲘ ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 18.00 ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲘ ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 18.30 ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲘ ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 19.00 ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲘ ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 19.30 ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲘ ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 20.00 ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲘ ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 20.30 ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲘ ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 21.00 ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲘ ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 21.30 ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲘ ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 22.00 ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲘ ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 22.30 ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲘ ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 23.00 ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲘ ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 23.30 ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲘ ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 00.00 ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲘ ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ

08.00 ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲘ 08.20 ᲯᲐᲜᲘ ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲘ 08.35 ᲛᲔᲠᲪᲔᲚᲘ ᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ 10.15, 12.30, 17.20, 17.50, 18.30, 19.30, 21.35, 00.25 ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲘ 08.30 ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲘ ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 09.00 ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲘ ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 09.30 ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲘ ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 10.00 ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲘ ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 10.30 ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲘ ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 11.00 ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲘ ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 11.30 ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲘ ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 12.00 ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲘ ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 12.30 ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲘ ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 13.00 ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲘ ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 13.30 ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲘ ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 14.00 ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲘ ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 14.30 ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲘ ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 15.00 ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲘ ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 15.30 ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲘ ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 16.00 ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲘ ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 16.30 ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲘ ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 17.00 ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲘ ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 17.30 ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲘ ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 18.00 ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲘ ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 18.30 ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲘ ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 19.00 ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲘ ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 19.30 ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲘ ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 20.00 ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲘ ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 20.30 ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲘ ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 21.00 ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲘ ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 21.30 ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲘ ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 22.00 ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲘ ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 22.30 ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲘ ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 23.00 ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲘ ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 23.30 ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲘ ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 00.00 ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲘ ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ

ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ 24 დეკემბერი

07.30 ალიანი 09.45 ფარი და ფული 09.55 ზმ. ფილმი "ᲨᲐᲜᲯᲘᲡ ᲞᲝᲠᲢᲠᲔᲢᲘ" 10.30 ᲞᲝᲞᲘᲡ ᲙᲚᲘᲞᲘ ᲐᲛᲑᲐᲒᲘᲡᲗᲕᲘᲡ 11.00 "ᲛᲣᲠᲘᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲘ" 12.15 ᲛᲔᲠᲪᲔᲚᲘ ᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ 13.00 ᲞᲝᲞᲘᲡ ᲙᲚᲘᲞᲘ ᲐᲛᲑᲐᲒᲘᲡᲗᲕᲘᲡ 14.00 "ᲛᲣᲠᲘᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲘ" 15.15 ᲛᲔ ᲓᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲘ 16.00 ᲞᲝᲞᲘᲡ ᲙᲚᲘᲞᲘ ᲐᲛᲑᲐᲒᲘᲡᲗᲕᲘᲡ 17.00 ᲢᲔᲚᲔᲤᲘᲚᲛᲘ "ᲛᲔᲠᲪᲔᲚᲘ ᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ" 18.00 ᲞᲝᲞᲘᲡ ᲙᲚᲘᲞᲘ ᲐᲛᲑᲐᲒᲘᲡᲗᲕᲘᲡ 18.20 ᲛᲐᲚᲐᲜᲘᲐᲜᲘ 18.40 "ᲛᲔ ᲓᲐ ᲩᲔᲛᲘ" 19.05 "ᲛᲣᲠᲘᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲘ" 19.50 ᲞᲝᲞᲘᲡ ᲙᲚᲘᲞᲘ ᲐᲛᲑᲐᲒᲘᲡᲗᲕᲘᲡ 20.00 "ᲛᲔ ᲓᲐ ᲩᲔᲛᲘ" 21.50 ᲛᲔᲠᲪᲔᲚᲘ ᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ 22.00 ᲞᲝᲞᲘᲡ ᲙᲚᲘᲞᲘ ᲐᲛᲑᲐᲒᲘᲡᲗᲕᲘᲡ 22.25 ᲛᲔ ᲓᲐ ᲩᲔᲛᲘ 23.40 ᲛᲔᲠᲪᲔᲚᲘ ᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ 00.00 ᲛᲔ ᲓᲐ ᲩᲔᲛᲘ

19.00, 22.00 "ᲨᲐᲜᲯᲘ" მეორე ᲡᲐᲗᲘᲗᲐᲝ 19.40 ᲞᲝᲞᲘᲡ ᲙᲚᲘᲞᲘ ᲐᲛᲑᲐᲒᲘᲡᲗᲕᲘᲡ 20.30 ᲛᲐᲚᲐᲜᲘᲐᲜᲘ 20.50 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲝᲜᲘ 22.25 ᲛᲔᲠᲪᲔᲚᲘ ᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ 23.00 ᲛᲔᲠᲪᲔᲚᲘ ᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ 23.40 ᲛᲔᲠᲪᲔᲚᲘ ᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ 00.00 ᲛᲔ ᲓᲐ ᲩᲔᲛᲘ

07.00 ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲘ 07.30 ᲐᲜᲘᲛᲔ ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲘ 08.00 ᲛᲣᲖᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲛᲔ 09.40 ᲛᲔᲠᲪᲔᲚᲘ ᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ 10.40 "ᲛᲝᲜᲐᲚᲘ ᲞᲘᲠᲘᲡᲐᲜᲘ" 12.00, 15.00 ᲛᲔᲠᲪᲔᲚᲘ ᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ 12.15 ᲞᲝᲞᲘᲡ ᲙᲚᲘᲞᲘ ᲐᲛᲑᲐᲒᲘᲡᲗᲕᲘᲡ 13.00 "ᲛᲔᲠᲪᲔᲚᲘ ᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ" 15.20 "ᲛᲣᲠᲘᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲘ" 16.00, 18.00, 20.00, 22.00 ᲞᲝᲞᲘᲡ ᲙᲚᲘᲞᲘ ᲐᲛᲑᲐᲒᲘᲡᲗᲕᲘᲡ 18.50 ᲛᲐᲚᲐᲜᲘᲐᲜᲘ 19.20 ᲞᲝᲞᲘᲡ ᲙᲚᲘᲞᲘ ᲐᲛᲑᲐᲒᲘᲡᲗᲕᲘᲡ 19.50 "ᲛᲔ ᲓᲐ ᲩᲔᲛᲘ" 20.40 "ᲛᲔ ᲓᲐ ᲩᲔᲛᲘ" 21.50 "ᲛᲔᲠᲪᲔᲚᲘ ᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ" 22.20 "ᲛᲔᲠᲪᲔᲚᲘ ᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ" 00.00 ᲛᲔ ᲓᲐ ᲩᲔᲛᲘ

08.00,13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲘ 08.15 ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲘ 08.30 ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 09.00 ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 09.30 ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 10.00 ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 10.30 ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 11.00 ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 11.30 ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 12.00 ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 12.30 ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 13.00 ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 13.30 ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 14.00 ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 14.30 ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 15.00 ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 15.30 ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 16.00 ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 16.30 ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 17.00 ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 17.30 ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 18.00 ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 18.30 ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 19.00 ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 19.30 ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 20.00 ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 20.30 ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 21.00 ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 21.30 ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 22.00 ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 22.30 ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 23.00 ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 23.30 ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 00.00 ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ

ᲙᲕᲘᲠᲐ 25 დეკემბერი

06.00 "ᲨᲐᲜᲯᲘ" 08.15 ზმ. ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲘ ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 10.00 ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲘ ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 11.05 "ᲨᲐᲜᲯᲘᲡ ᲞᲝᲠᲢᲠᲔᲢᲘ" 11.35 ᲛᲔᲠᲪᲔᲚᲘ ᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ 12.35 "ᲛᲣᲠᲘᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲘ" 13.25 ᲛᲔᲠᲪᲔᲚᲘ ᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ 13.55 ᲛᲔᲚᲘᲜᲓᲐ ᲓᲐᲜᲘᲔᲚᲘᲡ ᲨᲝᲣ 15.00 ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲘ ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 15.20 ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲘ ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 17.05 "ᲨᲐᲜᲯᲘᲡ ᲞᲝᲠᲢᲠᲔᲢᲘ" 17.15 ᲛᲔᲠᲪᲔᲚᲘ ᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ 18.20 ᲛᲐᲚᲐᲜᲘᲐᲜᲘ 18.40 "ᲛᲔ ᲓᲐ ᲩᲔᲛᲘ" 19.05 "ᲛᲣᲠᲘᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲘ" 19.50 ᲞᲝᲞᲘᲡ ᲙᲚᲘᲞᲘ ᲐᲛᲑᲐᲒᲘᲡᲗᲕᲘᲡ 20.00 "ᲛᲔ ᲓᲐ ᲩᲔᲛᲘ" 21.50 ᲛᲔᲠᲪᲔᲚᲘ ᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ 22.00 ᲞᲝᲞᲘᲡ ᲙᲚᲘᲞᲘ ᲐᲛᲑᲐᲒᲘᲡᲗᲕᲘᲡ 22.25 ᲛᲔ ᲓᲐ ᲩᲔᲛᲘ 23.40 ᲛᲔᲠᲪᲔᲚᲘ ᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ 00.00 ᲛᲔ ᲓᲐ ᲩᲔᲛᲘ

07.00 ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲘ 07.30 ᲐᲜᲘᲛᲔ ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲘ 08.00 ᲛᲣᲖᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲛᲔ 09.40 ᲛᲔᲠᲪᲔᲚᲘ ᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ 10.40 "ᲛᲝᲜᲐᲚᲘ ᲞᲘᲠᲘᲡᲐᲜᲘ" 12.00, 15.00 ᲛᲔᲠᲪᲔᲚᲘ ᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ 12.15 ᲞᲝᲞᲘᲡ ᲙᲚᲘᲞᲘ ᲐᲛᲑᲐᲒᲘᲡᲗᲕᲘᲡ 13.00 "ᲛᲔᲠᲪᲔᲚᲘ ᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ" 15.20 "ᲛᲣᲠᲘᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲘ" 16.00, 18.00, 20.00, 22.00 ᲞᲝᲞᲘᲡ ᲙᲚᲘᲞᲘ ᲐᲛᲑᲐᲒᲘᲡᲗᲕᲘᲡ 18.50 ᲛᲐᲚᲐᲜᲘᲐᲜᲘ 19.20 ᲞᲝᲞᲘᲡ ᲙᲚᲘᲞᲘ ᲐᲛᲑᲐᲒᲘᲡᲗᲕᲘᲡ 19.50 "ᲛᲔ ᲓᲐ ᲩᲔᲛᲘ" 20.40 "ᲛᲔ ᲓᲐ ᲩᲔᲛᲘ" 21.50 "ᲛᲔᲠᲪᲔᲚᲘ ᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ" 22.20 "ᲛᲔᲠᲪᲔᲚᲘ ᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ" 00.00 ᲛᲔ ᲓᲐ ᲩᲔᲛᲘ

08.00,13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲘ 08.15 ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲘ 08.30 ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 09.00 ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 09.30 ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 10.00 ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 10.30 ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 11.00 ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 11.30 ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 12.00 ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 12.30 ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 13.00 ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 13.30 ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 14.00 ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 14.30 ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 15.00 ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 15.30 ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 16.00 ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 16.30 ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 17.00 ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 17.30 ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 18.00 ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 18.30 ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 19.00 ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 19.30 ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 20.00 ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 20.30 ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ 21.00 Მ

მილოცვა

ხათი და დათო!

ვილოცავთ პატარა ანგელოზის – ანრი ანდღულაძის დაბადებას. ღმერთმა ჯანმრთელი, ბედნიერი და სახელოვანი ვაჟკაცი გაგიზარდოთ.

ღმერთმა დალოცოს პატარა ანრი და თქვენი ოჯახი.

ნინო, ნატო, გულნაზი, ბონდო ლომიძეები

პატარა **ლეილა (ლულიკა) ნადიბაიძეს**

ვულოცავთ დაბადების დღეს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, ულევ სიხარულს და სიყვარულს ცხოვრებაში, საყვარელ მშობლებთან ერთად.

მზია ბერო, ვახო კაკა

გთავაზობთ სამუშაოს

18-25 წლამდე გოგონებს და ვაჟებს ვთავაზობთ გამგზავრებას საფრანგეთსა და გერმანიაში ოფიციალური ხელშეკრულებით. AU-PAIR პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით. უზრუნველყოფა ჯიბის ფულით (ხელფასით), საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ტ: 95-64-18; 7-74-79 (ქუთაისი)

ახალ, მრავალპროფილიან კორპორაციას, ოფისში ესაჭიროება 30 მენეჯერი (არა ქსელური მარკეტინგი). ანაზღაურება – მაღალი! შესაძლებელია სხვადასხვა პროფესიის ადამიანების გადამზადება და დასაქმება. გვაინტერესებს რაიონების წარმომადგენლებიც. ტელ: 52-44-10; 34-67-71; 893 33-18-86

მომსახურება

მოგიწესრიგებთ და გიწარმოებთ საბუღალტრო აღრიცხვას, გავიწევთ აუდიტურ მომსახურებას, დაგეხმარებით ფირმების რეგისტრაციაში. ტელ: 33-30-88; 899 22-44-72

გთავაზობთ ტურისტულ მოსახურებას, სწრაფად და იაფად: ავიაბილეთები ნებისმიერი მიმართულებით; საქართველოს კურორტები: ბორჯომი, ბაკურიანი. ტელ: 34-73-15; 899 94-91-55

ვაწარმოებთ ნებისმიერი აუდიის რესტავრაციას (აღდგენა-განახლება), კარადებზე, მაგიდებზე, სკამებზე, ნებისმიერ საწოლზე; ლიბიბსა და სამეულებზე შალითების გადაკერა-დარბილებას. ავრეთვე ლამინირებული დეფესგან ვამზადებთ სამზარეულოებს და საოფისე ავეჯს, სრული გარანტიით. ტ: 69-45-18. გიორგი

„ეკესეკი", ყურადღება! კარგად გაკეთებული ეპილაცია სამდეილად მოარჩენს ნაპარს და გაუხეშებულ თმას. მის უკეთესად მორჩენას კი სჭირდება კარგი სპეციალისტი. I სთ – 12 ლარი. განსაზღვრულია ინდივიდუალური ნემსი. ეპილაციის შესწავლა – $200. მის: იოსებიძის 53, I სად, I სართ, ბინა 3. ტელ: 37-71-66; 93-19-52; 899 168-168. ნინო ჭელიძე

ეკეკოჯს ეპილაციას ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით, მორჩენის გარანტიით. მიღება ყოველდღე, ჩაწერით. სეანსების რაოდენობა ინდივიდუალურია – Iსთ – 10 ლარი. მოძსახურებით კმაყოფილი დარჩებთ. მაქვს საკუთარი დენის წყარო. მის: ვარკეთილი-3, II მრ, მე-9 კორპ, VI სად, III სართ, ბინა 3. ტელ: 79-50-12; 899 90-44-93. ლიკა გიორგობიანი

მეურნალობა

თბილისში – მოსკოვის ფსიქიატრიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში, მეტყველების ცენტრში, 23-ე საავადმყოფოში კვალიფიციერებული ექიმ-ლოგოპედი, ფსიქოლოგი – თსუ-ს ფსიქოლოგიის კათედრის ასპირანტი-მაძიებელი, ყველა ასაკში, მოკლე დროში, უახლესი მეთოდით, ჩინური ნემსებით, წერტილოვანი მასაჟებით, აღმდგენი აპარატებით და სხვა აღმდგენი მეთოდებით აღგიდგენთ ხმისა და მეტყველების დარღვევებს – ენაბორძიკობას, ნევროზს, ლოგონევროზს, ენაწლეკნობას, სახისა და ხელ-ფეხის პარეზს, ცერებრალურ დამბლას, სამშობიარო ტრავმას, გულს, ჩიყვს, ლიმფურ, კუჭქვეშა ჯირკვლებს, პროსტატიტს, თირკმლებს, საშარდე ბუშტს, სოკოვან დაავადებას, თმის ცვენას, ჭარბთმიანობას. მიღება წინასწარი სატელეფონო ჩაწერით: 899 55-05-75

პატივცემულო მამაკაცებო! ქრონიკული პროსტატიტის, ადენომის, ხშირი შარდვის, დაქვეითებული პოტენციის, ანორგიების, უშვილობის პრობლემების მოგვარება. პროსტატის ჯირკვლის გაწმენდა ოპერაციული ჩარეკვის, უნერწყლი მასაჟებისა და ნემსების გარეშე – ძალზე ეფექტური, უნიკალური მალახერეთი. ანონიმურობის სრული გარანტიით. ტ: 96-62-58; 899 14-64-95

მხოლოდ ჩვენთან! მეჭეჭების, პაპილომების, კონდილომების, ხალების, ლაქების, სვირინგების, ნაწიბურების და სხვა წარმონაქმნების მოცილება; ეროზიების, ლეიკოპლაკიის, მკურნალობა უახლესი CO_2 ლაზერით. მხოლოდ ერთი სეანსი! მაღალი კოსმეტიკური ეფექტი! მის: ბახტრიონის ქ. №18. სამკურნალო ცენტრი „ლაზერი". ტელ: 877 468-253; 38-27-52

მასწავლი

მაღალკვალიფიციური ლექტორი მოამზადებს ინგლისურში აბიტურიენტებს, ყველა უმაღლეს სასწავლებელში ჩასაბარებლად. ტელ: 51-68-61; 899 53-10-08

კომპიუტერული სტუდია – „დავი" კომპიუტერი, გიწვევთ კომპიუტერზე მუშაობის, კომპიუტერული ბუღალტერიის, პროგრამირების ენების და უცხო ენების სწრაფშემსწავლელ კურსებზე. შესწავლის გარანტიითა და სწავლების დამთავრების შემდეგ უფასო კონსულტაციებით. სწავლების მეთოდი ინდივიდუალურია. გაიცემა სერტიფიკატი. მის: ბარნოვის ქ. №1 („პაკდონალდსის" უკან). ტელ: 98-44-20; 899 14-03-31

Впервые в Грузии COMPUTER COMPANY „PULSAR" предлагает: курсы обучения ремонту и модернизации компьютерной техники и сетей. После сдачи экзамена выдается сертификат. Программа курсов утверждена Министерством образования Грузии. Адресс: Важа-Пшавела 16. Тел: 33-08-71

სასწავლო ცენტრი გთავაზობთ: ბუღალტრულ აღრიცხვას; კომპიუტერის საოფისე პროგრამებს – „ორის ბუღალტერია; „ინფო ბურალტერი". მუშაობის პროცესში მიიღებთ კვალიფიციური აუდიტორის მიერ დამატებით უფასო კონსულტაციებს. ტელ: 33-30-88 (დღისით); 61-36-42 (საღამოს); 899 22-44-72

კოსმეტიკის სწავლება საშობაო 40%-იანი ფასდაკლებით! შეისწავლება: კანის დეფექტები, კანის გაწმენდა, მაღამოები (მკვეთავი, დეკორატიული, სამკურნალო), ეპილაცია, კანის გაწმენდა ორთქლის აპარატით, მასაჟი, ლოსიონები, რძეები, ნიღბები და სხვა. გაიცემა სერტიფიკატი. ტელ: 66-53-56; 893 33-09-66. მის: დადიანის (ყოფ. ოქტომბრის) ქ. №26. ტელ: 62-25-25; 893 33-09-66

იყიდება

სმენის აპარატები, შეღავათიან ფასებში, სპეციალური ინდივიდუალური ყურის ჩასართით. აგრეთვე, ელექტრონული და მექანიკური წნევის აპარატები, გარანტიით. ტელ: 95-95-22 (15-19 სთ); 93-46-74 (20 სთ-ის შემდეგ)

სუფთა სისხლის (მსოფლიო ჩემპიონის – სიმბას შვილიშვილები) კავკასიური ნაგაზის ელიტარული ლეკვები, გენეტიკური გარანტიით. ტელ: 899 24-41-18; 899 50-48-61

შევიძენ

თმას. მის: ცენტრალური რკინიგზის სადგური, მე-2 სართ. მაღაზია „ესთეტი". 12-17 სთ. დასვენება შაბათ-კვირას.

სხვადასხვა

სს „გორკონის" (გორის საკონსერვო ქარხანა) საკონსერვო პროდუქცია: 1) მურაბები – კაკლის, შინდის, ალუბლის, ბლის, კოშმის; 2) სასაუზმე კონსერვები – პომიდვრის, კიტრის, ლობიოსი, ყვავილოვანი კომბოსტოსი, მწვანე პომიდვრის სალათის, პომიდვრის პომიდვრის წვენში, ვინეგრეტი; 3) წვენები – სტაფილოსი, ტომატის, კოშმის, ალუბლის, ჟოლოსი, აბზის, ქლიავის – მოშმშარებელთა იმ კატეგორიისთვისაა საინტერესო, რომელიც გამუდმებით ცდილობს, შეინარჩუნოს და გაუმჯობესოს ჯანმრთელობა, გარკვეულია, რა არის ჯანსაღი კვება, რას ნიშნავს პროდუქციის სერტიფიკატი. პროდუქციის სასაქონლო ნიშანი, პროდუქცია ყოველგვარი ქიმიური და ხელოვნური დანამატების გარეშე, ჰიგიენის და სანიტარული ნორმების, პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიის და ტექნოლოგიური რეჟიმების დაცვა. ყოველივე ამის გარანტიაა გორის საკონსერვო ქარხნის მიერ გამოშვებული საკონსერვო პროდუქცია – „გორკონის" სასაქონლო ნიშნით. ამაყე დროს სიახლის დასანერგად გამოგვეხმაურეთ და ჩვენს პროდუქციას შეკვეთით, ბინაზე მოგიტანთ. ფასები ხელმისაწვდომია. შეკვეთა შეგიძლიათ: ტელ: (8 270) 2-20-00, (8 270) 2-46-51 (10-20 სთ); 8-77 58-06-73, 58-32-45, 8-დან 24 სთ-მდე; ფაქსი: (8 270) 2-20-00 (10-18სთ); ელფოსტა: www.charozi@gol.ge (24 სთ-ის განმავლობაში)

IMSS აცხადებს ვაკანსიებს შემდეგ თანამდებობაზე: 1) უსაფრთხოების მენეჯერ/ინჟინრები; 2) ტვირთბრუნვის აღრიცხვის სპეციალისტები; 3) ხარისხის კონტროლის მენეჯერ/ინჟინრები. სამუშაოები მიმდინარეობის ფოთის პორტში. მოთხოვნები: ტექნიკურ/ეკონომიკური განათლება; მუშაობის გამოცდილება ტექნიკური უსაფრთხოების დარგში; სალაპარაკო ინგლისურის ცოდნა; ასაკი – 25-50 წელი. გამოგვიგზავნეთ CV ინგლისურად, მისამართებზე: 32/34 მაყაშვილის ქუჩა, სასტუმრო „ბეტსი". ტელ/ფაქსი: 920928/822001237

ხსოვნა

გურამ ნადირაშვილის და გოგია ფერიშვილის გახსენება

გურამ, ავერ შერკულდა ორი ტკივილიანი წელი, რაც ძე დამცილდი. შენით მოყენებულ ტკივილს ვერავინ მოაშუშებს. ჩემო ძვირფასო. უშენოდ არაფერია ეს სიცოცხლე. ცხოვრობ მხოლოდ იმიტომ, რომ ღმერთმა არ მკლავს. შენი სიბინი გვაკლია ყველას, დრო არ ყოფილა მკურნალი. რაც დრო გადის, უარეს მეტად გვენატრები. ვერ ვეგუებით უშენობას. გვეროდეს, შენს ხსოვნას დავიწყება არ უწერია. ამ ქვეყნიდან შენმა წასვლამ სულიერად გამანადგურა. ისევ დამრჩენია, მოუარო შენს წმინდა საფლავს, პატივი ვცე შენს სპეტაკ სულს და ღმერთს შევევედრო, ნათელში ამყოფოს შენი და შენი საყვარელი ბ-ძის – ვოვია ფერიშვილის სულიც, რომელიც 10 თვეში შენთან წამოვიდა.

შენი მეუღლე

კახა ჯანგირაშვილის ხსოვნას!

კახა, ერთი წელია, აღარ გვეგებები მორცხვი, კეთილი ღიმილით.

დაბადების დღეს გილოცავ, 26 დეკემბერს 27 წლისა გახდებოდი. შენს საფლავზე ამოვალთ, მოვეფერებით ცივ სურათებს.

რა თავზარდამცემი იყო შენი ამ ქვეყნიდან წასვლა. პირველ იანვარს ახალი წელი მოგვილოცე და წახვედი... მსუბუქი იყოს შენთვის ქართული მიწა.

მაკა უთრუჯაშვილი

სოსო სოჭინავას მონატრება

25 დეკემბერი შენი დაბადების დღეა, ჩემო სოსო. რომ არა ომი, 43 წელი შეგისრულდებოდა. მაგრამ ომის სუსხმა შენი თავი წამართვა და დამატოვა უსასრულო მწუხარება. უფალმა ნათელი დუმკვიდროს შენს კეთილ სულს, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

შენს საფლავის ქვასთან ვზიარ,
შვილო, როგორ მენატრები.
შენზე ფიქრში ჩაძირულის,
ცოცხალივით მელაპარაკები.
ხან მაწყნარებ თბილი სიტყვით, ხან ჩვილივით
მეფერები.
ჩემო სოსო, ჩემო შვილო, მენატრები, მენატრები.

შენი დედა და და-ძმა

მარიამ ხიმშიაშვილი-გოგილაშვილის გახსენება

შენს 90-ე წლისთავს უშენოდ აღვნიშნავთ. როგორ გვენატრები ყველას: მეგობრებს, შვილიშვილებს, შვილთაშვილებს, ნათესავებს და შენს ყოფილ მოსწავლეებს.

კახელები მოწიწებით გიხსენებენ, როგორც სახელგანთქმულ მასწავლებელს და განმანათლებელს – ხიმშიაურს.

ძვირფასო მარიამ! ყველას გვაკლია შენი სითბო, მოფერება, ყურადღება და სიბრძნე.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი წმინდა და ლამაზი სული.

ლიანა, ციცო და ოთარ გოგილაშვილები

მახო (გოდორა) მაისურაძის ხსოვნას!



ორმოცი დღე გავიდა, რაც შენ წახვედი ამ ქვეყნიდან. მახო! ძნელია უშენოდ ყოფნა, ვერ ვიჩენენ შენი თვალებიდან გადმოღვრილ სითბოს. კეთილი, თავმდაბალი და ალალმართალი, სოცრად უყვარდი ყველას.

უდიდეს ტკივილად დარჩება შენი ლამაზი ღიმილი, თვალებში ჩამდგარი უსაზღვრო სევდა და შენი ბუნება – რომელსაც 30 წელი ეყო კაცური სახელის დასამკვიდრებლად.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

შორენა

ბეგი ნოზაძის გახსენება

დღეს უკვე შენი სულიც დაგეტოვებს და მარადისობაში გადაინაცვლებს. ჩვენ კი ვერაფრით ვეგუებით ამ ცხოვრებიდან შენს ასე უხმოდ და უეცრად წასვლას. ალბათ ესეც ღვთის ნება იყო – წახვედი ისე, როგორც მთელი შენი მიწიერი ცხოვრება გაატარე – მოკრძალებულად, უხმაუროდ, უპრეტენზიოდ, მაგრამ არა უჩინრად და უკვალოდ, რადგან დატოვე უზარმაზარი სიყვარული და სიკეთე, ერთგული, კაცთმოყვარე და მართალი კაცის ნათელი სახელი.

შენი ბიძაშვილები, ოლიკო და მარინა

თემურ ჩილინდარაშვილის მონატრება

გლოვის მოთქმა არ მინელებულა, თვალზე ცრემლი არ შეგვშრობია და შენი დაბადების დღე – 1 იანვარი მოდის უშენოდ.

ულალატო კაცი იყავი, შენი სიკეთილით გვიღალატე.

15 სექტემბერს, სანანირებლად, ავტოკატასტროფის მსხვერპლად გახდი. სიტყვის თქმაც ვერ მოასწარი (უსამართლოდ დაგადასაბუდეს – მკვდრები არ ლაპარაკობენ).

წახვედი და დატოვე მწუხარებით დატანჯული დედა, დები, გულმოკლული მეუღლე, დაწიოკებული შვილები... გაიყოლე აუხდენელი ოცნებები, ფიქრები. შენს შალვას, ნინოს, ანის ახლა სჭირდებოდათ მოსიყვარულე მამა.

ტკბილი ყოფილა – დრო მკურნალიაო. ძალიან მენატრები, მენატრები, მენატრები! ღმერთმა ერთადერთი სურვილის ასრულების ნება რომ მომცეს, შენს სიცოცხლეს ვინატრებდი, თემურ ძა!

ჩამოგრავს ახალი წლის ზარები და ცრემლითა და გულისტკივილით მოგმართავ: ახალ წელს და დაბადების დღეს გილოცავთ, თემურ ძა! დილით ამოვალთ საფლავზე, მოგიტანთ ყვავილებს, ზღვა ცრემლებს, დაგინთებთ სანთლებს.

მსუბუქი იყოს შენთვის ძმობლიური წიალკის მიწა. ნათელში იყოს შენი სული, ჩემო ძვირფასო და საყვარელო თემურ ძა!

ვია ჯახუაშვილი

ნათია ხულელიძის მონატრება

ერთი წელი გავიდა იმ ავადსახსენებელი 25 დეკემბრიდან. ცაზე მეხის გავარდნასავით გაისმა შენი სიკვდილის ხმა. მოულოდნელი და შემზარავი იყო შენი სიკვდილი ახლობლებისათვის. რომ იცოდე, როგორ გვენატრები – შენს ქმარ-შვილს, უბედურ დედას, მოხუც ბებიას. შენმა პატარა ბიჭიკომ ისწავლა სიტყვა „დედა" უშენოდ, თეას კი ძალიან ენატრები, გულში იკრავს შენს სურათს, კოცნის და ასე იძინებს. სულ დედიკოს კითხულობს.

მსუბუქი იყოს შენთვის ყაზბეგის მიწა. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

წატა, ვია, დათო, ნინო ხუციშვილები

სოსო (თამაზ) გულუას გახსენება

21 დეკემბერი შენი დაბადების დღე იყო, სოსო. მეხუთედ შევხვდით ამ დღეს უშენოდ, ყვავილებით და სანთლებით, სასაფლაოზე. რა საოცრად მიქრის დრო. ითქოს გუშინ იყო, ჩვენთან ერთად რომ ემზადებოდი ახალი წლის შესახვედრად.

ჩვენი შვილები გაიზარდნენ, ძალიან აკლიხარ, ხშირად გიხსენებენ. იხსნებენ იმ სანმოკლე ბედნიერ დღეებს, ყველა ერთად რომ ვიყავით. ვცდილობ, არაფერი მოვაკლო ბავშვებს, შენი წასვლით მიყენებული ტკივილი ამით რომ მაინც შევუმსუბუქო. ბევრი კარგი და კეთილშობილი ადამიანის თანადგომა ჰქონდა ამ მძიმე წლებში შენს ოჯახს.

დაბადების დღეს გილოცავთ, სოსო. ნათელში ყოფილიყოს შენი სული.

მეუღლე ქეთინო

ვალიკო კალატოზიშვილის ხსოვნას!

ერთი წელი გავიდა, რაც შენ ჩვენ გვერდით აღარ ხარ. ერთი წელია, რაც შენს ლამაზ სულს თვალცრემლიანნი ვუნთებთ წმინდა სანთლებს. ჩვენი მოუშუშებელი ტკივილი და უსაზღვრო მონატრება ხარ.

უძვირფასესო მამავ, ერთგულო მეუღლეო, მოსიყვარულე პაპაკ, შენეული სიმშვიდით შეუერთდი მარადისობას და დაგვიტოვე სევდა. შენ ზომ საოცრად კეთილი და სათნო იყავი, მშვიდი და უპრეტენზიო, ყველა გიყვარდა და ყველას უსაზღვრო უყვარდი. შენ გარშემო დიდი სიცარიელეა. ვერაფერი შეავსებს შენგან დატოვებულ სიცარიელეს. ვერ ვეგუებით უშენობას, ჩვენო დიდო ტკივილო და მონატრებავ. შენს ხსოვნას სანთლით ანთებულს ვატარებთ და ღმერთს შევთხოვთ, მარადიულ სასუფეველში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

შენი შვილები და მეუღლე

დეგმირი (სერგო) წულეისკირის მონატრება

გვენატრები, ძალიან გვენატრები, კოკო! ასე გიყვარდოდით, სერგო ბიძია!

მოწყენილი და ცრემლიანი დღეები მიფრინავენ უშენოდ. უსაშველო მოლოდინით თავს ვიტყუებთ, შენ ხომ ამ დროს ყოველთვის გელოდით... სუსხიან ზამთარში სითბოს შემოიტანდი ჩვენს ოჯახში, მომლოდინე დედას გაახარებდი, დედმამიშვილებს მოესიყვარულებოდი...

ახლა? ითქოს მეზობლად ერთად დავსამარეთ სიხარულიც.

29 დეკემბერი შენი დაბადების დღეა. გილოცავთ...

რა გაუსაძლისია უშენობით გამოწვეული სიცარიელე, ჩვენო სულით სპეტაკო, გულით თბილო, სიცოცხლით სავსე ადამიანო!.. გვენატრები, უსაშველოდ გვენატრები... ცრემლები გვახრჩობს. გვზარავს შენი ცივი სასაფლაო, სინამდვილე აუტანელია... რამშელა ტკივილი ხარ!..

შენ მუდამ ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე დარჩები ჩვენს გულებში. ღმერთს ვევედრებთ შენს ლამაზ სულს, ხოლო შენს ლამაზ სხეულს ესათუთოს შენი მშობლიური მიწა!..

შენი ძმისშვილები: თამარ, რუსუდან და გიორგი წულეისკირები

ნეკროლოგი

გარდაიცვალა განათლების ღვაწლმოსილი ძველი – ღირსების ორდენის კავალერი, წლების მანძილზე მრავალი ჯილდოს მფლობელი, ქ. თბილისის ვაკის რაიონის 165-ე (ვახანგრძლივებული დღის) საშუალო სკოლის პედაგოგი

ოგიუსტ კაპიტონის ძე ტრაპაიძე

ბატონო ოგიუსტ! ღირსეულო ადამიანო, საუკეთესო შვილების მამავ, სკოლას შეწირულო კაცო, სკოლაში ამოგხდა სული. სხვანაირად ვერც წარმოვიდგენდით შენს სიკვდილს. უზომოდ გაიცდის მთელი სკოლა შენს გარდაცვალებას. სკოლას დაიკლდა ღირსეული ადამიანი, შენი სახით.

ნათელში ამყოფოს უფალმა შენი სული.

165-ე სკოლის პედკოლექტივი

ქართული სიმღერა სიღნაღის პეიზაჟს ჰგავს

(დასაწყისი იხ. გვ.13)

ამერიკელი კახელისთვის „ჯიგარი“ ის სიტყვაა, ყოველივე ქართული და კარგი რომაა მოქცეული...

ქართული სიმღერა ძალიან ჰგავს სიღნაღურ პეიზაჟს — ჰანგი ხან ღრუბელს ქვევითაა, ხანაც — ზევით. რომ ვნახეთ, როგორ მოეწონათ ქართული პოლიფონია უცხოეთში, დავიწყეთ ქართულ სოფლებში სიარული, ვეძებდით იმ მოხუცებს, რომლებმაც ქართული ხალხური სიმღერები იცოდნენ. ვიწერდით სხვადასხვა ვარიანტს. ასე აღმოვაჩინეთ სვანეთში ფირცხელანების ოჯახი, სადაც 8 დედამიშვილიდან ყველა მღერის, უკრავს და ცეკვავს. სამი მათგანი ახლა „ზედაშეში“ მღერის, ამიტომაც ჩვენი ანსამბლის რეპერტუარში, უმეტესად, კახური და სვანური სიმღერებია.

— ახლახან გასტროლებზე ყოფილხართ დიდ ბრიტანეთსა და ამერიკაში, როგორი შთაბეჭდილებით დაბრუნდით?

— ორი კვირა დავყავით ინგლისში, თითქმის ექვსი კი — ამერიკაში. კონცერტების წინ ჩემი მეგობრისა და საქართველოზე თავდავიწყებით შეყვარებული პერუელის, რაფაელ გალუეზის გადაღებული ფილმი გადიოდა საქართველოზე. მალე ისევ ჩამოვა და ფეხით შემოივლის ყველა კუთხეს ახალი ფილმის გადასაღებად. საოცარ შეხვედრებს გვიწყობდნენ აშშ-ში. იქ უკვე ბევრი ამერიკელი მღერის ქართულად. ყველა სულგანაბული გვისმენდა, გაოცებას და მოწონებას ვერ ფარავდნენ.

— ჯონ, თურმე აქ მონათლულხართ მართლმადიდებლად...

— მოსკოვში ჩემთან ერთად ბერები სწავლობდნენ, თავიდან მიჭირდა მათი საუბრის მოსმენა, გაგება. მე კათოლიკე კი ვიყავი, მაგრამ ეკლესიური ცხოვრების არაფერი გამეგებოდა. იქ, ამერიკაში, სამხატვრო სასწავლებელში „გიჟები“ სწავლობდნენ — ბოჰემურად ცხოვრობდნენ. მოსკოვში კი სრული კონტრასტი დამხვდა, რამაც, ცხადია, იმოქმედა ჩემზე და მართლმადიდებლობით დავინტერესდი. უკვე საქართველოში ყოფნის დროს, ჩემმა მეგობარმა, თელავის თეატრის მსახიობმა ვანო იანტბელიძემ მითხრა — ჩემი შვილი უნდა მონათლოო. თავად მოსანათლი ამას ვერ შევძლებდი, ამიტომ წავედით ეკლესიაში და მოვინათლეთ. თუმცა, მამა მიქაელმა თავიდან უარი მითხრა, არ შეიძლება ასე, ჯერ კათოლიკე იყო და მერე უცებ მართლმადიდებელი გახდეო, ვუთხარი, — დიდი ხანია ამაზე ვფიქრობ, ჩანს, უფალს ასე სურს და მომნათლე-მეთქი. იმის მერე მართლმადიდებელი ვარ და ვცდილობ, ეკლესიურად ვიცხოვრო.

— გავიგე, კარგი თამადაც ყოფილხართ.



— ვიყავი (იცინის). ახლა კურთხევა მაქვს მიღებული — არ უნდა დავლიო. ამიტომ ჩემი თამადობაც არ შეიძლება.

თუმცა აქ, თქვენს მასპინძლად თამამად შემიძლია ღმერთი ვადიდო, ეს ქვეყანა და ეს ქალაქი ვადღეგრძელო და თქვენ დაგლოცოთ ამ კახური ღვინით (ჯონი ვეგეტარიანელია, მასთან ერთად მეც სიამოვნებით მოვულხინე სახელდახელოდ მოტანილ ჭყინტ ყველს, წიწაკის მწნილს და კახურ ღვინოს. ახლა ჩვენ ქართველები ვართ, მაგრამ ქეთინო შოკოლადს და ყავას რომ მოგვიტანს, ფრანგები გავხდებით, — გულიანად იცინოდა მასპინძელი).

— ჯონ, დავიჯერო ყველაფერი მოგწონთ საქართველოში?

— ცხადია, არა... მართალია, საქართველოში მძიმე სიტუაციაა და სამსახურის შოვნა ჭირს, მაგრამ არც ამდენი უსაქმურის ყოლა გვარგებს. დედა, მამა, ფული მომეცით! — ეს აკერიათ ახალგაზრდებს პირზე. მშობლებიც უსაქმური შვილების სარჩენად დღე და ღამეს ასწორებენ. მე არაფერი მაკლდა — ყველაფრით უზრუნველყოფილი ბავშვი ვიყავი, მაგრამ, როცა მეც გამიჩნდა რაღაცის ქონის სურვილი, მამამ ტრაქტორი დამიქირავა, ზაფხულის არდადეგებზე ვმუშაობდი და ჯიბის ფული ყოველთვის მქონდა. პირველად, ჩემი შრომის საზღაური 12 წლისამ მივიღე. აქ კი ზოგიერთი საკუთარ ეზოსაც არ უვლის, ყვავილსაც არ რგავს, რომ თვალი გაახაროს მაინც. ამას წინათ, ერთი ჯან-ღონით სავსე კაცი მოვიდა და მთხოვა — შენ ფული გაქვს, მე — არა. ოჯახი მშიერი მყავს, დამეხმარეო. კარგი, გაჩუქებ ფულს, მაგრამ რომ გაგითავდება, მერე რას აპირებ-მეთქი? შევთავაზე, — რახან ქალაქი ნაგავს მიაქვს, ინდივიდუალური დასუფთავების სამსახური შექმენი, მანქანის მძღოლი დაიქირავე და ყველა ფულს გადაგიხდის-მეთქი. მე ქართველი ვარ, მენაგვედ ვერ ვიმუშავებო, — მიპასუხა. ეს გაუგებარი ამპარტავნებაა, რასაც ცუდი შედეგი მოსდევს. ალაზნის ველი ლამის თათრების ხელში ჩავარდეს. ბიზნესმენებმა საწარმოები რომ გახსნეს და მუშახელი მოითხოვეს, ქართველები ახლოს არ გაეკარნენ. სამაგიეროდ, თათრები საიდან არ მოვიდნენ, ქართველებს თვალი სულ აქედან წასვლაზე უჭირავთ. მიკვირს, ეს უძველესი მიწათმოქმედი ხალხი რად იყრება თავისი მიწიდან და სხვას რად უტოვებს თავის საკუთრებას? არა სჯობს, საქმეს მიხედონ, თავიც გადაირჩინონ და ქვეყანაც.

— ამბობენ, ჯონის ჩამოსვლის შემდეგ სიღნაღს ხშირად სტუმრობენ უცხოელი ტურისტები და ზოგი ბინებსაც კი ყიდულობსო...

— ვინც სილამაზის ფასი იცის, სიღნაღიდან გულგრილი ვერ წავა. მართლაც, იყიდეს სახლები უცხოელებმა. საწყენია, რომ ეს ულამაზესი მხარე თანდათან ცარიელდება ახალგაზრდებისგან და ლამის ბებრების ქალაქად იქცეს. არადა, შეიძლება აქ ტურისტული ბიზნესის აღორძინება. მთავარია, ქვეყანაში მშვიდობა იყოს და აქ ჩამოსვლის მოსურნე უამრავ უცხოელს გულს არ უხეთქავდეს ინტერნეტში გაკეთებული განცხადება: „საქართველოში წასვლის შემთხვევაში არ გაძლევთ უსაფრთხოების გარანტიას. ქვეყანაში რთული კრიმინოგენული სიტუაციაა. იტაცებენ მძევლებს და ა.შ....“

— თქვენ, უცხოელი, როცა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოგზაურობდით, რაიმე საფრთხის წინაშე ხომ არ მდგარხართ?

— მე და ქეთინო ჯვრისწერის შემდეგ თუშეთში წავედით თაფლობის თვის გასატარებლად. შენაქოში 6 კვირით ვაპირებდით დარჩენას. მოვიდა დიდი წვიმა. გზები ჩაიკეტა. კარტოფილსა და რძის პროდუქტებზე გაძლება გაგვიჭირდა. ქეთინო ორსულად იყო. იძულებული გავხდით, ზურგზე ბარგმოკიდებულები წამოვსულიყავით ფეხით. 12 საათი მოვდიოდით. სამწუხაროდ, ქეთინოს მაშინ მუცელი მოეშალა. ეს ის პერიოდი იყო, როცა ომალო რუსეთმა დაბომბა. ჩვენ მაშინ იქ ვიყავით.

— სვანეთი რით დაგამახსოვრდათ?

— მანქანის საბურავები დაგვიჭრეს. არ ვიცი, რატომ. შეიძლება გაძარცვას გვიპირებდნენ. თან ძვირფასი გადამღები აპარატურა გვქონდა. ღვთის წყალობით, ყველაფერმა კარგად ჩაიარა. მახსენდება ულამაზესი კუთხე — უშგული, კოშკები, მუზეუმები, ეკლესიები, ფრესკები. კანონიკურად — ბიზანტიური სკოლის შესაბამისად შესრულებული ხელწერაა, მაგრამ ცივილიზაციიდან შორს მყოფი მხატვრის თავისთავადობა ჩანს. მამაცი, ლამაზი ხალხია სვანები, მაგრამ ცოტა შარიანები არიან.

— თავად ხომ არ ქმნით ხატებს?

— ჩემთვის წარმოუდგენელია ხატი შექმნას ამქვეყნიური ყოფით მცხოვრებმა მხატვარმა... რადგან საეკლესიო თემაზე ვსაუბრობთ, გულისტკივილით აღვნიშნავ, რომ საქართველოს ზოგიერთ რეგიონში ღვთისმსახურთა ნაკლებობაა, სიღნაღშიც კი... ნუთუ არ შეიძლება ამის მოგვარება?

— ჯონ, თქვენზე ამბობენ, ერთ ადგილზე ვერ ისვენებს, ან ხატავს, ან რაღაცას აშენებს, ან კიდევ საქართველოს ეცნობაო. უახლოეს მომავალში რას აპირებთ?

— ჩემი მეგობარი რაფაელი ჩამოვა მარტში და ფილმის გადაღებას დავიწყებთ. ხულოს რაიონში ჩობანზე, დოლზე დამკვრელები უნდა გადავიღოთ. სურათებსაც დავხატავ და კიდევ უფრო ახლოს გავიცნობ ამ ქვეყანას.

P.S. ჯონ ვერდერმანი 26 წლისაა, ნიუმექსიკოში დაიბადა, ვირჯინიაში გაიზარდა, მაგრამ მასთან საუბრისას ისეთი განცდა დამეუფლა, რომ სადღაც აქ, ჩვენ გვერდით იყო მუდამ. ერთი შვილის მამას ძალიან უნდა 15 შვილი ჰყავდეს. ამ იდეის მოწინააღმდეგე ცოლს ღიმილით ემუქრება — აბა, ვნახოთ, ვისი აჯობებსო.

ეკა ლომიძე



ოდრი ჰეპბერნის საქორწინო კაბა



როცა შორეულ 1952 წელს უცნობილესი კინოვარსკვლავი ოდრი ჰეპბერნი რომში საქორწინო კაბას იზომებდა, უბედნიერესი ჩანდა. ცოლად უნდა გაჰყოლოდა ლონდონელ პლეიბოის, ჯეიმს ჰანსენს. ქორწილის წინა დღეს მომხიბლავმა ოდრიმ უარი უთხრა საქმროს. საქორწინო კაბა კი, რომელიც მას კუტიურიე ნიკოლ ფონტანამ შეუკერა, აჩუქა ღარიბ იტალიელ გოგონას, რომელიც რა თქმა უნდა, ასეთ ძვირფას საქორწინო კაბას ვერც კი ინატრებდა. იმხანად ოდრის „რომაულ არდადეგებში“ იღებდნენ პრინცესას როლში და მანაც მართლაც მეფური საჩუქარი უძღვნა სოფელში მცხოვრებ ამაბილია აღტოქელოს. ამ უკანასკნელმა ოდრის საჩუქარი საქორწინო კაბაზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვების შედეგად მიიღო. მას შემდეგ 50 წელი გავიდა. კონკია ახლა 70 წლისაა, ისევ თავის სოფელში ცხოვრობს, ჰყავს სამი შვილი და 5 შვილიშვილი. ამაბილია და მისი ქმარი ღარიბულად, მაგრამ ტკბილად ცხოვრობენ და მიაჩნიათ, რომ მათ სიყვარულს ოდრი ჰეპბერნის საქორწინო კაბა მფარველობდა, რომელსაც სათუთად ინახავენ. მართალია, ოდრის კაბამ ამ წყვილს ბედნიერება მოუტანა, მაგრამ თავად მსახიობი რამდენჯერმე გათხოვდა. 1952 წელს მსახიობ მელ ფერერის ცოლი გახდა, 1960 წელს ვაჟი შეეძინა, 8 წლის შემდეგ კი დაშორდნენ. 1969 წელს ოდრი ცოლად გაჰყვა იტალიელ ფსიქიატრს ანდრეა დოტის. არც ეს ქორწინება გამოდგა იღბლიანი. მშვენიერი ლედი 1980 წელს მსახიობ რობერტ უოლდერსის მეუღლე გახდა და ოდრის სიცოცხლის ბოლომდე ერთად იყვნენ.

„გოჭკამპანია“ კორეულად



ქალაქ სეულის მეტროში სამი თვის მანძილზე ხალხს სიმპათიური, ვარდისფერი გოჭები დაემგზავრებიან — ოღონდ არა ნამდვილი გოჭები, არამედ მათი სხვადასხვა გამოსახულება. ვაგონების კედლებზე პუტკუნა გოჭები იხტუნავებენ ან კარის დახურვის დროს მგზავრებს ხელს ჩამოართმევენ. ზოგიერთ ვაგონში პლასტიკის ან ალუმინის ღრუტუნებს ჭერში დაკიდებენ. ბავშვები სპეციალურად მათთვის დამონტაჟებულ ეკრანებზე მულტფილმებს: „სამ გოჭს“ და „მუსიკალურ გოჭ ლეონს“ ნახავენ.

ამ „გოჭკამპანიით“ კორეელებს ღორზე შეხედულება უნდა შეეცვალოთ, როგორც მეორე ხარისხის ხორცზე. სამხრეთ კორეაში უამრავი ღორი ჰყავთ, 9 მლნ-ზე მეტი. საკვებად, ძირითადად, ქონიან ნაწილებს იყენებენ. ამიერიდან კი სამსახურიდან შინ მიმავალი დიასახლისები კულინარიულ კვალიფიკაციას აიმაღლებენ: ზოგიერთ ვაგონში ინტერიერი შინაურ სამზარეულოს მოგაგონებთ, სადაც კედლებზე ღორის ხორცის კერძები და მათი მომზადების რეცეპტებია აღბეჭდილი.

ამაღელვებელი სურნელი

ყველაფრის მჩხრეკელმა მკვლევარებმა ერთ-ერთი ექსპერიმენტის შედეგები გამოაქვეყნეს. ექსპერიმენტი იმ სურნელის გამოსამჟღავნებლად იყო გამიზნული, რომელიც ხელს უწყობს სექსუალურ აღგზნებადობას. ქალებს, რომელიც ამა თუ იმ სურნელს შეისუნთქავდნენ, უზომავდნენ ქვედა მუცლის არტერიულ წნევას. გამარჯვებული აღმოჩნდა კიტრისა და კარამელების სურნელი.

გარდა ამისა, სხვადასხვა სურნელი განათლების საქმეშიც მისწრება ყოფილა — თურმე ყველაზე გრძელი ტექსტის იოლად დამახსოვრება ამა თუ იმ არომატის დამსახურება ყოფილა. მაგ. გამოცდების წინ იის სურნელით „დამთვრალმა“ სტუდენტებმა თავი გამოიჩინეს, მაგრამ ერთი ნიუანსი: სურნელი მხოლოდ ძალზე ემოციურ ადამიანებზე ახდენს ზეგავლენას.

შვიდი წელი ნვლიმზე

ნიკარაგუელმა გლეხმა ჰელეკ როამ შვიდი წლის წინ ქოხის სახურავი საბრძოლო მასალით გაამაგრა. ნაღმები შემთხვევით აღმოაჩინეს გამნაღმველებმა, რომლებიც ქვეყანას 80-იანი წლებიდან შემორჩნენ, სანდინისტებისა და კონტრასის შეიარაღებული ჯგუფების ომის შემდეგ. მოხუცმა აღიარა, „ეს რკინები“ ყოფილი საბრძოლო შენაერთის დისლოკაციის ადგილზე ვიპოვე და ღარიბი კაცისთვის პირდაპირ მისწრებაა. ნაპოვნი ნაღმები რომ ააფეთქეს, სოფელში რატომღაც ყველას გაახსენდა, რომ ასეთივე „რკინებით“ ჰქონდათ მათაც ქოხები გადახურული.

სტრიპტიზი ვიზისათვის



ზიმბაბველებს ისე სწამთ ექიმბაშებისა და ჯადოქრების ყოვლისშემძლეობა, რომ თითქმის ყველა საკითხზე მათ მიმართავენ და ხშირად იმედგაცრუებულებიც რჩებიან.

ერთ ქალბატონს დიდ ბრიტანეთში წასვლა გადაუწყვეტია და ვიზის მისაღებად უზენაესი ძალების მხარდაჭერის იმედით ჯადოქარს მიმართა. ისიც მაშინვე დიდი გულმოდგინებით შეუდგა საქმეს — ქალს უბრძანა, გაიხადე და დედიშობილამ ჩემ გარშემო იბუქნავეო. შემდეგ კი „ნაკურთხი წყლით“ კლიენტისგან ავ სულებს განვდევნიო.

სკანდალი მაშინ მოხდა, როცა საფასურზე მიდგა საქმე. ცეკვას რომ მორჩა ქალი, ჯადოქარმა „ნიხრით“ გათვალისწინებულზე ხუთჯერ მეტი მოსთხოვა. გაბრაზებული ქალი სასამართლოში გაიქცა, თან გზადაგზა იცვამდა. ადგილობრივმა თემიდამ ჯადოქარი ციხეში მიაბრძანა — „ქალისთვის დამამცირებელი ქმედების პროვოცირებისთვის“.

მარგარინი უსექსოდ მარგარინი აღარაა!

ახალგაზრდა, მომხიბლავი ქალბატონი (ევას სამოსლით) ორ მამაკაცთან ნებივრობს — უეცრად საწოლიდან წამოფრთხიალდება, სამზარეულოში გაცუნცულდება, მაცივრის კარს გამოაღებს, ერთ შეკვრა მარგარინს დაავლებს ხელს და ლოყაზე ნაზად მიიხუტებს...

ასე აწონებენ გერმანელ ტელემაყურებელს ახალი სახეობის მარგარინს. როგორც აღმოჩნდა, არსებობს ისეთი კატეგორია მოქალაქეებისა, რომლებიც სწორედ ამ სახის რეკლამას უყურებენ აღფრთოვანებით. რეკლამის გერმანელი სტრატეგოსების თქმით, ასეთები ძირითადად, 20-დან 30 წლამდე უცოლშვილო, განათლებული და კარგშემოსავლიანი ჰედონისტი ახალგაზრდები არიან. ამა თუ იმ პროდუქტის შეძენა მათ წარმოსახვაში პირდაპირ უკავშირდება სარეკლამო რგოლის სექსუალურ ქვეტექსტს. ამასთან, საქონლის ფონზე შიშველი ქალის გამოსახულება არ კმარა. სარეკლამო პროდუქტი უშუალოდ უნდა ეხებოდეს რეკლამაში მონაწილე მსახიობის კანს და მაშინ საქონელი გაზრდილი მოთხოვნილებით სარგებლობს იმ მოქალაქეებს შორისაც, რომელნიც კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან რეკლამაში მოჭარბებულ ეროტიკას.

ოპერაცია „დიდი სარეცხი“



ერთ მშვენიერ დილას იტალიის ზღვისპირა ქალაქის, ოსტიას მკვიდრნი სარეცხი ფხვნილის მძაფრმა სუნმა გააღვიძა. სურნელის „ავტორი“ ქალაქის ცნობილი შადრევანი აღმოჩნდა, რომელიც ჯერ კიდევ მუსოლინის დროს გაყვანილ, ისარივით სწორ კოლუმბის სახელობის ტრასას ამშვენებს.

ვიღაც ოხუნჯებმა ფული და ძალ-ღონე არ დაიშურეს და რეზერვუარში მთელი ცენტნერი სარეცხი ფხვნილი ჩაყარეს.

შადრევნის ნაკადმა თვალის დახამხამებაში ააქაფა ფხვნილი და ზღვიდან მონაბერმა ქარმა ქაფის ფანტელი მთელ პლაჟს მოჰფინა.

შადრევნის წყლით გარეცხვა რომ სცადეს მეხანძრეებმა, ქაფი კიდევ უფრო გადიდდა. იძულებული გახდნენ იმ დროს დალოდებოდნენ, როცა შადრევანი თვითონ „მოინელებდა“ ფხვნილის ნარჩენს. ასეც მოხდა. ყმაწვილების სიანცის წყალობით, ოსტიის კანალიზაცია ახლა ყველაზე სუფთაა მსოფლიოში.

„და ვინჩის“ დებიუტი ძალდა



რას წარმოიდგენდა ლონდონის საიმპერიო კოლეჯის პროფესორი არა დარზი, თუ თავის წვლილსაც შეიტანდა სერიალში აგენტ 007-ზე.

ჯეიმს ბონდის შესახებ ბოლო ფილმში პროფესორის შექმნილი რობოტის, სახელად „და ვინჩის“ დებიუტი შედგა. დიდი იტალიელის მოსახელე განსაკუთრებით რთულ ოპერაციებში ეხმარება ქირურგებს. „და ვინჩის“ ხელი არასოდეს უკანკალებს (ხელი ერთის ნაცვლად, სამი აქვს), რასაც 60 წარმატებით ჩატარებული ქირურგიული ოპერაციაც ადასტურებს. ფილმში რობოტი მტრის მხარეზე გადის და ჯეიმს ბონდის საიდენტიფიკაციოდ ამუშავებენ. „ქირურგსა და მზვერავს — ორივეს სიზუსტე და ცივი გონება სჭირდება, — მიაჩნია არას, — ბონდიანა კი გამომგონებლებისთვის შთაგონების წყარო იყო მუდამ“.

„და ვინჩი“ შემდეგი დებიუტისთვის ემზადება — იგი გულის პირველ ღია ოპერაციას ჩაატარებს.

ჟურნალ „კარუსელის“ საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის“

შევსების წესი: **უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის უჯრებში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში ფედერიკო გარსია ლორკას სიტყვებს ამოიკითხავთ.**

კ	ვ	ი	რ	ი	ს	ჰ	ა	ლ	ი	ტ	რ	ა	შ	ე	ნ	ი	გ	ა	ვ	ე	თ	ი	ა
ა	ო	უ	ი	ა	დ	ა	ო	ვ	უ			ს	ო	ი	ე	ნ	გ	უ	ე	ნ		დ	ო

კ. გოგიტას როლის შემსრულებლის გვარი ფილმში „საბუდარელი ჭაბუკი“; **ვ.** ჯარის უფროსი ძველ რუსეთში; **ი.** კავკასიონის უმაღლესი მწვერვალი; **რ.** რა მდინარე ჩამოედინება ქუთაისში; **ი.** ბავშვის ძილისპირული სიმღერა; **ს.** სათათბირო ორგანო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან; **ჰ.** პერიოდულ გამოცემეთა ერთობლიობა; **ა.** ეკლესიაში საკურთხევლის წინ ამაღლებული ადგილი; **ლ.** მდინარე აღმოსავლეთ საქართველოში; **ი.** უნგრული საავტომობილო ფირმა, რომელიც ავტობუსებით ამარაგებდა მთელ საბჭოთა კავშირს; **ტ.** ძველი რომის მოქალაქეთა ზედა ტანსაცმელი; **რ.** მუხის ნაყოფი; **ა.** რა ერქვა მხატვრული ფილმის „უძინართა მზის“ მთავარი პერსონაჟის, დათო ბენდელიანის დას; **შ.** უილიამ შექსპირის „ვენეციელი ვაჭრის“ ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი; **ე.** რისამე განვითარების, ან რაიმე პროცესის ცალკეული მომენტი, სტადია; **ნ.** გიორგი სააკაძის მშობლიური სოფელი; **ი.** ორი ქულა ნარდში; **გ.** ქალაქი შოტლანდიაში; **ა.** პრივილეგირებული წოდება ფეოდალურ საზოგადოებაში; **ზ.** მტაცებელი თევზი; **ე.** რუსეთის ყოფილი პრეზიდენტი; **თ.** ერთ-ერთი ღვინის ქურდის სახელი (ქართული მხატვრული ფილმი); **ი.** ნაწარმოები, სადაც აღწერილია ტროას ომის ბოლო 54 დღე; **ა.** თავისთავად ცხადი ჭეშმარიტება.

ფინა ლოგიკით გამოვლენილი კროსვორდის პასუხები:

დ. დიურერი; **ა.** არღანი; **ი.** ირისი; **ს.** სირია; **ვ.** ვასილი; **ე.** ერთაოზი; **ნ.** ნიაგარა; **ე.** ერშოვი; **თ.** თაობა; **ჰ.** პირანია; **ა.** ასინეთა; **ლ.** ლასო; **ი.** ილაჯი; **ტ.** ტარანი; **რ.** რუმბი; **ა.** არსენა; **ს.** საუნა; **თ.** თორა; **ა.** აქსიომა; **ნ.** ნადი; **ე.** ემისია; **რ.** როდენი; **თ.** თხემი; **ა.** ალბიონი; **დ.** დიალოგი.

გამუქებულ უჯრებში იკითხება: ულირსთა შორის არ მსურს დიდება.

მონასტრიდან პიპობამდე

მეუღლესთან, მსახიობ ტომ რობინსთან ერთად.

სიუზან აბიგაილ ტომალინი კათოლიკეთა ოჯახში დაიბადა. მამა, უელსელი ემიგრანტი, ბიგ-ბენდის სოლისტი იყო. მოგვიანებით ჯაზიდან ტელევიზიაში გადაინაცვლა და სარეკლამო განყოფილებაში დაიწყო მუშაობა. დედა წმინდა სისხლის იტალიელი ჰყავდა — მკაცრად იცავდა მორალის კათოლიკურ ნორმებს, აბორტების მოწინააღმდეგე იყო და ამიტომაც ცხრა შვილი გააჩინა (5 გოგონა და 4 ვაჟი).

სიუზანი ყველაზე უფროსი იყო. მშობლებმა ამერიკის მომავალი სექსსიმბოლო კათოლიკურ მონასტერში გაამწესეს. პედაგოგებად მონაზვნები ჰყავდა (რომ სცოდნოდათ, ვის ზრდიდნენ?!). სიუზანი კარგი მოსწავლე იყო. კითხვა უყვარდა. ინტერნატის დასრულების შემდეგ ვაშინგტონს მიაშურა. ეს ქალაქი სიუზანს კათოლიკური უნივერსიტეტით ხიბლავდა. სწავლის ფული რომ გადაეხადა, ხან მდივნად, ხან დამლაგებლად ან ჭურჭლის მრეცხავად მუშაობდა. იმ დროს ერთ-ერთ მოდურ ჟურნალშიც იბეჭდებოდა მისი ფოტოები. თავისუფალი დროის მოსაკლავად უნივერსიტეტის დრამატულ სტუდიაში დადიოდა. მალე სიყვარულიც ეწვია — დრამის განყოფილების ასპირანტმა, კრის სარანდონმა დაადგა თვალი: „კრისი დამოუკიდებელი, ზრდასრული პიროვნება იყო. დღემდე არავინ შემხვედრია ისეთი, მასავით რომ ერკვეოდეს მსოფლიო ლიტერატურაში, ფერწერასა და თეატრში. მან ამიხილა სამყაროს შესაცნობად თვალები“. არავინ იცის, რას გულისხმობდა სიუზანი „სამყაროს შეცნობაში“, ის კი ცნობილია, რომ კრისს დიდი ძალისხმევა არ დასჭირვებია გულუბრყვილო გოგონას შინ მისაპატიჟებლად, საიდანაც სიუზანი უკვე ქალი გამოვიდა. გამოვიდა იმისთვის, რომ კრისთან გადასულიყო საცხოვრებლად. კათოლიკურ უნივერსიტეტში სამოქალაქო ქორწინებას ეჭვის თვალით უყურებდნენ, ამიტომ სასწრაფოდ დაქორწინდნენ...

1976 წელი იდგა. ვიეტნამის ომი მძვინვარებდა. მოდას ჰიპები კარნახობდნენ. სიუზანიც არ ჩამორჩა დროის დინებას — არც ერთი სტუდენტური მიტინგი არ გამოუტოვებია. ახალგამომცხვარი ქმარი მისთვის ეტალონი და მისაბაძი იყო და რადგან კრისს თეატრი უყვარდა, სიუზანმაც გაიზიარა მისი გატაცება. უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ უგროშ-კაპიკოდ დარჩნენ. კრისი ტყავიდან ძვრებოდა, მაგრამ ვერც ერთ თეატრში ვერ მოეწყო. ერთ მშვენიერ დღეს თან ცოლიც წაიყვანა. ამ დღემ სიუზანის ცხოვრება შეცვალა. მოსმენაზე კრისს თავად აწვდიდა რეპლიკებს.

— ეი, უვარგისო, — უხეშად შეაწყვეტინა აუდიტორმა კრისს დიალოგი, — აქედან შეაყოლე, შენ კი, კუდრაჭა, დარჩი. უნდა მოვილაპარაკოთ, — მიუბრუნდა სიუზანს...

ხუთი დღის შემდეგ სიუზანი გადასაღებ მოედანზე იდგა — რეჟისორ ჯონ ავილდსენის ფილმში „ჯო“ ითამაშა უარყოფითი გმირის როლი.

იმ დღიდან დაებედა ასეთი როლები. „გავიდა ხანი და ერთ მშვენიერ დღეს შევნიშნე, რომ მაღაზიებში დიასახლისები და მოხუცები სიძულვილით შემომცქეროდნენ. როგორ არ გრცხვენიათ, სხვას ოჯახს რომ უნგრევთ, პირდაპირ აღშფოთებული ვარ თქვენი საქციელითო, მომახალა ერთმა“, — იხსენებს სიუზანი. მაგრამ სწორედ იმ პერიოდში გაიარა აქტიორული პრაქტიკა, ჩამოყალიბდა როგორც მსახიობი. შემოსავალიც კარგი ჰქონდა, მაგრამ იგი მაქსიმალისტი იყო, ბოლომდე სურდა საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენა. 1975 წელს მცირებიუჯეტიან და ექსპერიმენტულ მიუზიკლში ითამაშა, მაგრამ მის პოპულარობას არაფერი შემატებია.

სიუზან სარანდონი მცირერიცხოვან ვარსკვლავთაგან ერთ-ერთი იყო, რომელიც ხელის ერთი დაკვრით სუპერვარსკვლავი არ გამხდარა — თავისი მიზნისკენ დიდხანს და ჯიუტად მიისწრაფოდა.

1978 წელს, როგორც იქნა, ბედმა გაუღიმა — წარმატება რეჟისორმა ლუი მალიმ მოუტანა. მის ფილმში „მომხიბლავი გოგონა“ მეძავის დედის როლი ითამაშა. ერთი წლის შემდეგ „ატლანტიკ სიტიში“ პირველად ნახა მაყურებელმა სიუზანის ჩამოსხმული ტანი, ლამაზი მკერდი. ფილმს დიდი წარმატება, სარანდონს კი სუპერვარსკვლავის ტიტული ერგო. ამ როლით წარადგინეს „ოსკარის“ ნომინაციაზე. სხვათა შორის, ლუი მალი ნამდვილი ფრანგი გამოდგა: დიდი დრო კი დაახარჯა სიუზანს, მაგრამ მაინც აცდუნა კეთილზნიანი კათოლიკე. ქმარმა არ აპატია ბოსთან კურკური და გაეყარა. თითქოს ამას ელოდაო, სიუზანმა, რომ იტყვიან, თავი აიშვა — ხელიდან ხელში გადადიოდა. ერთდროულად ორი მამაკაციც ჰყოლია, მათ შორის ახალგაზრდა შონ პენიც იყო. მალე რომანი გააჩაღა იტალიელ რეჟისორთან ფრანკო ამურისთან. ამ კათოლიკური რომანის ნაყოფი იყო სიუზანის პირველი ქალიშვილი ევა მარია.

1983 წელს სკანდალურ ფილმ „შიმშილში“ ითამაშა. მისი პარტნიორები კატრინ დენევი და დევიდ ბოუი იყვნენ. დევიდი საყვარლის როლს თამაშობდა, კატრინი კი სიუზანთან ლესბოსურად ანცობდა. „დიდხანს ვამუშავებდით ამ ფრაგმენტებს. ძნელი იყო... ძალზე თამამი სცენაა, მაგრამ ეს კინოა: გინდა უყურე, არა და — წადი“.

ამ ფილმმა აღაშფოთა ამერიკა. ზოგიერთ შტატში მისი ჩვენებაც აკრძალეს. ფილმმა კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ სიუზან სარანდონი პროფესიონალი მსახიობია. მომხიბვლელობითაც არ ჩამორჩებოდა საფრანგეთის სექსსიმბოლოს. მას შემდეგ შერჩა სიუზანს ეპითეტები: „სექს-მანქანა“, „სექსუალური პოლიგონი“ და ა.შ. ამ დახასიათებით მიბრძანდა „ისტვიქელი კუდიანების“ გადაღებაზე. როცა აუზის სცენას იღებდნენ, სარანდონი სიკვდილს გადაურჩა — სცენარის მიხედვით, მას აუზის თავზე უნდა ეფრინა. წელზე გამობმული ბაგირი ელექტროსადენს გამოედო და მსახიობი კინაღამ დაიღუპა.

1988 წელს სიუზანს ინტელიგენტი ქალბატონის როლი შესთავაზეს „ბულ დარჰამში“. ერთ-ერთ მთავარ როლს ტიმ რობინსონი თამაშობდა. ტიმი 30 წლის იყო, სიუზანზე 12 წლით უმცროსი. პირველივე რეპეტიციის შემდეგ სარანდონმა მიამიტი ტიმი აცდუნა. პატარა დაბრკოლება მაინც გადაეღობა წყვილს — რობინსონი პროტესტანტი აღმოჩნდა. ჯვრისწერა გადადეს და სახელმწიფო დეპარტამენტში მოაწერეს ხელი. ახლა მათ ორი შვილი ჰყავთ.

ოჯახზე ზრუნვას ხელი არ შეუშლია მისთვის, ბრწყინვალედ ეთამაშა „ტელმასა და ლუიზაში“. ისევ წარადგინეს „ოსკარზე“, მაგრამ ამჯერადაც აუარა გვერდი ფორტუნამ. „ოსკარი“ 1995 წელს მიიღო ფილმით „მიცვალებული მოდის“. რეჟისორი ტიმ რობინსონი იყო. ამ ფილმში სიუზანის ქალიშვილიც თამაშობს.

ახლა სიუზანი 56 წლისაა. თამაშობს კინოსა და თეატრში. როგორც თავისი დროის შვილი, არც პოლიტიკური და სოციალური ცხოვრებისაგან დგას განზე: მონაწილეობს საპროტესტო დემონსტრაციებში და განვითარებადი ქვეყნების დახმარების აქციებში.

ბრენდან ფრეიზერი — ოჯახგაფრენილი რომანტიკოსი



ბრენდან ჯეიმს ფრეიზერი 35 წლისაა. მამამისი კანადელი იყო, ტურისტულ ბიზნესს ეწეოდა და ოჯახი ხშირად საცხოვრებელ ადგილს იცვლიდა. ბრენდანის დაბადების შემდეგ ოჯახი ჰოლანდიაში გადავიდა. ბიჭი დეტროიტის საბავშვო ბაღში შეიყვანეს, პირველ კლასში ლონდონში წავიდა, რომში მეორე კლასი გაასრულა და ა.შ. ასეთ ბავშვობაზე ყოველი ბიჭუნა ოცნებობს. ათი წლიდან ბრენდანმა მსახიობობაზე ფიქრი დაიწყო. თოთხმეტი წლისამ ასაკი დამალა და სიეტლის კონსერვატორიის სამსახიობო განყოფილებაზე შეიტანა განცხადება. მიიღეს. ის ყველაზე პატარა და ნიჭიერი იყო ფაკულტეტზე. კონსერვატორიის წარმატებით დამთავრების შემდეგ დედამ ავტომობილი აჩუქა და ის ლოს-ანჯელესისკენ გაემართა ჰოლივუდის დასაპყრობად, მაგრამ ეს არც ისე ადვილი გამოდგა: 1991 წლიდან დაიწყო ფილმებში თამაში, მაგრამ წარმატების მიღწევას ექვსი წელი დასჭირდა.

პირველი ფილმი „ძაღლების ბრძოლა“ იყო. მას მოჰყვა „სკოლის ჰალსტუხები“, 1994 წელს „ცხელ თავებში“ გადაიღეს, მერე „კალიფორნიელში“. 1997 წელს ეკრანებზე გამოვიდა „ტარზანის“ თანამედროვე ვერსია „ჯორჯი ჯუნგლებიდან“. პრემიერის მეორე დილას ბრენდანმა უკვე ვარსკვლავად გაიღვიძა.

ერთი წლის შემდეგ ბრენდანმა „გონიერი“ კინოსკენ გადაინაცვლა. სერ იენ მაკელენთან ერთად ითამაშა სურათში „ღმერთები და მონსტრები“. ფილმი მიეძღვნა ლეგენდარული „ფრანკენშტაინის“ შემქმნელს, რომელშიც ფრეიზერი მებაღეს ისე ოსტატურად ასახიერებს, რომ აშკარაა, სერიოზული როლების თამაში შეუძლია. მაგრამ აღბათ ბედის ირონიაა — მას ჯიუტად იღებენ მხოლოდ კომედიურ ფილმებში.

ფილმში, „აფეთქება წარსულიდან“, ბრენდანი მიამიტ ყმაწვილს თამაშობს, რომლის ბავშვობამ და ყრმობამ ომსა და თავშესაფარში გაიარა. ბრენდანმა ისე დამაჯერებლად განასახიერა რომანტიკული, გულუბრყვილო ყმაწვილი, რომ იფიქრებდით, ცხოვრებაშიც ასეთიაო. ისე, ნაწილობრივ ასეცაა...

1994 წელს, ბევრად ადრე, ვიდრე ცნობილი გახდებოდა, გაიცნო მშვენიერი გოგონა, ეფტონ სმიტი. ძალიან მოეწონა. როცა გაიგო, ორივენი ერთსა და იმავე დღეს ყოფილიყვნენ დაბადებულნი, დაასკვნა — ნამდვილად ჩემი ბედიაო. ოთხი წელი ამოწმებდა თავის გრძნობას. ხელის სათხოვნელად პარიზში დაპატიჟა. სანამ გეგმავდა, როგორ გაემხილა გულისნადები, არდადეგებიც მიიწურა. რაღა ექნა. მერე რომანტიკული სცენარი მოიფიქრა: ის და ეფტონი ღია კაფეში ისხდნენ ეიფელის კოშკთან. ბრენდანს განზრახული ჰქონდა, „პოლაროიდზე“ გადაეღო თავისი პიჯაკი, რომლის ლაცკანზე მიწებებული იყო ფურცელი წარწერით: „ეფტონ, გამომყევი ცოლად“...

მაგრამ ყველაფერი თავდაყირა დადგა: უცებ ქარი ამოვარდა, წამოვიდა თავსხმა წვიმა, „პოლაროიდი“ წუმპეში ჩავარდა, ფოტოები ტალახში ამოიგანგლა და სასოწარკვეთილი სასიძო აქვითინდა.

ეფტონმა მაინც გაარჩია, რა ეწერა პიჯაკზე. თვითონაც გული ამოუჯდა და ცოლობაზე დასთანხმდა. მას შემდეგ განუყრელნი არიან.

ამ ამბავს ახლა ჰოლივუდში ხშირად ჰყვებიან, როგორც ყველაზე

რომანტიკულ თავგადასავალს.

მას შემდეგ ბრენდანი ანტიკვარულ „პოლაროიდებს“ აგროვებს. სექტემბერში კი ბედნიერ ცოლქმარს პირმშო შეეძინათ — გრიფინ არტურ ფრეიზერი.

ფრეიზერს კვლავ იღებენ გულღია და მიამიტი, სასაცილო ბიჭების როლებში. განსაკუთრებული წარმატება „მუმიას“ და „მუმიას დაბრუნებას“ ხვდა წილად. ამ უკანასკნელმა 70 მილიონი დოლარი მოუტანა ავტორებს, მეტი, ვიდრე „ვარსკვლავურმა ომებმა“.

ყველა როლში სულს და გულს ვდებო, — ამბობს მსახიობი. ყოველ ასეთ „ჩადებაში“ ფრეიზერი 12 მილიონ დოლარს იღებს. მაგრამ როდესაც ეკითხებიან ვარსკვლავური სტატუსის შესახებ, მსახიობი პასუხობს: — რა არის დიდება და ფული იმასთან შედარებით, რაც მე გამაჩნია — მყუდრო, ბედნიერი ოჯახი, დანარჩენი მხოლოდ მისი თანმხლებია...

ყველამ იცის, რომ ფრეიზერს სამთო თხილამურები იტაცებს, ბეისბოლის სურათებს აგროვებს, თამაშობს ლონდონის სამეფო თეატრში, არასოდეს იძლევა ინტერვიუს პირად საკითხებზე და მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს ერთ-ერთ ლამაზ მამაკაცადაა აღიარებული, თვითონ ასე არ მიაჩნია: მთავარია, როლიო, — ამბობს...

თემურ წიკლაური და ქართველი ერი წერილს სწერენ საქართველოს პრეზიდენტს, 50 წლის შემდეგ. წერილი ასე იწყება:

„ბატონო ედუარდ!..“

გვანცა, მარტვილი

მ.ს. — კაკო! ისედაც „შატალისტთა“ სიაში ხარ და კიდევ გამოიპარე სესიიდან?!

ა.ა. — აბა, თქვენ, ყურებას რაგბის ყურება არ ჯობია, ბიჭო?!

ალიკო ნადირაშვილი, თბილისი

ვ.რ. — შენი ჭკუისებს ყოველდღე ვხედავ პარლამენტში!

ძაღლი: — (ბურტყუნებს) ერთხელ მომიგო ჭადრაკში და...

ლევან ბეჭვაია, თბილისი

გ.თ. — გია, ორი მარწყვივით „კროშკა“ გველოდება მანქანაში!

გ.ბ. — ბიუჯეტის განხილვა?!

გ.თ. — ბიუჯეტს ნუ მიხსენებ, თორემ მერე „ვიაგრაც“ აღარ მშველის!

სვანი, თბილისი

ლ.გ. — არ აგარტყა, ბიჭო?! შე ლაწირაკო, ყურებს აგახევ! ლავაშივით გაგაბრტყელებ!

(ფიქრობს) — ვა, რა კარგია ეს რეზინის დავითაშვილი, აგინე რამდენიც გინდა!

ვანო, დრანდა

ე.შ. — თემურ, ერთი ანეკდოტი გამახსენდა. ბაბუა შვილიშვილს ბიგმაკს აძალებს — ჭამე, ბაბუა, ჭამე და კუტუ გაგეზრდებაო. ამ დროს რძალმა თავში წამოარტყა ხელი, თუ ასე იცოდი, შენ შვილს რაზე არ აჭმევდიო.

ზაზა გობეჯიშვილი, თბილისი

დ.თ. — ამ ჭიქიდან მიირთვით, ბატონო ედუარდ, მაგ ჭიქაში სააკაშვილმა რაღაც ჩაყარა.

ე.შ. — ნუ გეშინია, ის ჭიქა ჟვანიას შევუცვალე, შეხედე, როგორ იკრუნჩხება.

ნინიკო და სოსიკო, დედოფლისწყარო

ჯ.ლ. — ესე იგი, გაწევ ერთ სათითეს, მიაყოლებ მეორეს, მერე ჰოპ! აბა, რომელშია?

ხ.ბ. — აი, ამაში!

ჯ.ლ. — იმაში კი არა, აგერ მაქვს, მარჯვენა ხელში (წინასაარჩევნო ვარჯიშები)...

პაატა ჩიქოვანი, სენაკი

ბ.კ. — ოსეთი და აფხაზეთი მესმის, მარა, აჭარას რაღად უნდა ავტონომია, აჭარლები ხომ ქართველები არიან?

ა.ა. — აჭარლების არ ვიცი, მაგრამ მე მჭირდება.

გ. ინწკირველი, თბილისი

ი.ი. — გრუზია ეტო მოია ვტორაია როდინა, ოჩენ ლუბლიუ, პაეტომუ ვას ბუდემ ბამბიტ ტოლკო პერიოდიჩესკი.

თამაზ მჭედელი, თბილისი

ზ.ნ. — ღმერთო, რა დაგიშავე, ჩემს სახლს ამხელა ნაპრალი რომ გაუჩინე მიწისძვრის დროს?

ხმა ზეციდან: — შენ რა დაგიშავა ბიუჯეტმა, მაგხელაზე რომ გაარღვიე?!

ნანა ტვილდიანი, ცაგერი

დ.ბ. — დენის გამომუშავების ახალი პროექტი მოგიტანე.

მ.ს. — რა არის ასეთი?

დ.ბ. — შენ და ნათელაშვილს ენაზე გენერატორები უნდა დაგიყენოთ და ორივე პარტიას ავტონომიური განათება გექნებათ.

პაატა ნაზღაიძე, რუსთავი

ვ.ლ. — რა მოხდა, რას ჩამოგტირით ცხვირ-პირი? მე სანამ დეპუტატად ამირჩევდნენ, ძალიან პატარა მქონდა, ახლა კი... აი, ამხელა მაქვს... რეიტინგი, კაცო, რეიტინგი.

ავთანდილ წერეთელი, თბილისი

ნ.შ. — ეგ რას მალავთ მუჭში?

ა.ბ. — გაწვრთნილი ბუზები ჩამოიყვანა აკაკიმ ბათუმიდან, ბიძაშენის დავალებით. პარლამენტში უნდა გავუშვათ, რომ პარლამენტარებმა სხდომების დროს თავი შევიქციოთ.

ზურაბ ყოლბაია, წყნეთი

ლ.ბ. — შენ დაუკარ!

ე.შ. — (ფიქრობს) ვაი, შენს პატრონს, ზურიკოც მასე მეცეკვებოდა და ქე მივაყუჩე.

ზ. ხარებაშვილი, თბილისი

ჯ.ბ. — ვოვა, რაც მე იმ თეთრთმიან მოხუცს, უკან რომ მოგვდევს, დოლარები ვაძლიე, მაინც თავიდან ვერ მოვიშორე. იქნებ შენ მირჩიო რამე.

ვ.ბ. — მაგას ისეთი სანათესავო ჰყავს, შენი ქვეყნის ბიუჯეტი არ ეყოფათ და როგორ მოიშორებ, ჯორჯ.

ნ. მესტვირიშვილი, თბილისი

თ.შ. — ზოდელავების გვარი საიდან მოდის? შენს წინაპრებსაც შენსავით უყვარდათ ოქროს ზოდები?

ვ.ზ. — შაშიაშვილო, გირჩევნია ოქროს საკუთარ მარაგს და ყომარბაზ წინაპრებს მიხედო.

პ. ნაზღაიძე, რუსთავი

ნ.ლ. — ზურიკო, ჭადრაკს რატომ აღარ თამაშობ?

ზ.ჟ. — მიტომ, ჩემო ნიკო, რომ მეფეს რო ვკიდებ ხელს, შევარდნაძე მგონია და ტანში მაჟრიალებს.

ავთანდილ წერეთელი, თბილისი

კ.დ. — მიშა, არ მორჩი ლაყბობას?

მ.ს. — კობა, რა მოგივიდა, ჯერ ნახევარი საკითხები განსახილველი დამრჩა!

კ.დ. — მე მივდივარ, გასაღებს დაგიტოვებ, ჰოდა, ყველა საკითხს ბოლომდე რომ განიხილავ, კარები ჩაკეტე, დარბაზში მარტო მე დავრჩი.

ზაზა გობეჯიშვილი, სოხუმი

მკითხველის პრემია * მკითხველის პრემია * მკითხველის პრემია

ეს თქვენი გაზეთია და რადგან ასეა, „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტებს უკვე თქვენ ანიჭებთ ყოველკვირეულ პრემიას. შეაფასეთ ამ ნომრის მასალები, აღნიშნეთ რეიტინგის ქვითარში თქვენი აზრით, ნომრის საუკეთესო (თქვენთვის ყველაზე საინტერესო) სტატია. იმ მასალის ავტორს, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს თქვენგან, მკითხველის სახელით, რედაქცია პრემიას — 50 ლარს გადასცემს. გამარჯვებული ჟურნალისტის ვინაობას მომდევნო ნომერში შეიტყობთ.

№50 (324) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

რეიტინგს 675 მკითხველი გამოეხმაურა. 8 ბარათი არასწორად იყო შევსებული. პირველ რიგში, მადლობა უნდა გადავუხადოთ გამოკითხვაში მონაწილე 256 ქალსა და 411 მამაკაცს გულწრფელობისათვის, იმისათვის, რომ კეკლუცობა და დიდსულოვნების თამაში არ დაუწყიათ და მათი წყალობით ერთი შეხედვით სახალისო კითხვამ — **„რა დანაშაულს მიუტევებენ უფრო იოლად ძალები საყვარელ ადამიანებს?“** — მეტად საგულისხმო შედეგები მოგვცა.

ისეთ კრიმინალურ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, ყველაზე ადვილი საპატიებელი კორუფცია ყოფილა, ამიტომ არცაა გასაკვირი, რომ ეს ყბადაღებული კორუფცია ასე ყვავის ჩვენს სამშობლოში. მკითხველების აზრით, ეს არის ყველაზე უწყინარი დანაშაული. **7,21** საშუალო ქულით, „კორუფცია“ პირველ ადგილზეა. რესპონდენტთა 75-მა შეაფასა იგი მაქსიმალური — 8 ქულით. მინიმალური ქულა 4-მა დაუწერა.

შემდეგ ადგილზეა „ხულიგნობა“, საშუალო ქულაა 5,77. სულ მცირე სხვაობით ჩამორჩება მას „თაღლითობა“ (საშუალო ქულა 5,65). რესპონდენტთა აზრით, ქალებს ასევე იოლად შეუძლიათ საყვარელი ადამიანებისათვის ამ დანაშაულების შენდობა.

მცირე განსხვავებები დაფიქსირდა „ქურდობასა“ (საშუალო ქულა 4,46) და „შანტაჟს“ (საშუალო ქულა 4,32) შორისაც.

ნარკომანია, ყაჩაღობა და ღალატი, ჩვენი მკითხველების აზრით, ის დანაშაულობებია, რომელთაც ქალებისაგან „შენდობა არ უხერხდება“.

და ყველაზე მთავარი! აქ ჩამოთვლილი ყველა დანაშაულისაგან განსხვავებით, ღალატი „ყველაზე“ ზნეობრივი დანაშაულია. მიუხედავად დანაშაულის სიმძიმისა, ყველა დამნაშავე ზიანს აყენებს საზოგადოებას, ამაზე სანქციებს სახელმწიფო ადგენს.. მოღალატე კი მხოლოდ თავის მეორე ნახევართანაა პასუხისმგებელი და სხვა სანქციებს არ ექვემდებარება...

რესპონდენტთა 65-მა დაუწერა „ღალატს“ მინიმალური — 1 ქულა, რაც იმას ნიშნავს, რომ მათი უმრავლესობის აზრით, ყველაზე ძნელი საპატიებელი ორგულობაა.

აღსანიშნავია, რომ ქალებისა და მამაკაცების, ასევე, ყველა ასაკის მკითხველის აზრი ამ საკითხში ერთმანეთს ემთხვევა.



საპრიზოს ზუსტად ორი ბარათი-რეიტინგი დაემთხვა. ჩვენი გამარჯვებულები არიან თბილისელები — 60 წლის **ნუნუ ჯანელიძე** და ჩვენი მრავალგზის პრიზიორი, 65 წლის **რეზო სვანიძე.**

საპრიზო ფონდი 200 ლარი მათ შორის თანაბრად განაწილდება.

გამარჯვებულებს ვულოცავთ და პრიზის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 25 დეკემბერს, 17 საათზე.

№51 (325) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

„კვირის პალიტრა“ თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

100 ლარი

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება **„კვირის პალიტრის“** მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

* საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, მუნაწილეობა მიიღოთ **მკითხველის რეიტინგში.**

№51 (325) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში ჩააგდეთ ოთხშაბათს, 25 დეკემბრის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათს, 26 დეკემბრის 13 საათამდე.

© თბილისი

თემა №51 (325) — სარეკლამო სახე

თქვენი აზრით, რომელია ყველაზე ეფექტური ქართული სარეკლამო სახე (ჩამოთვლილთაგან)**?** დაუწერეთ მას **8** ქულა, მომდევნოს — 7 და ა.შ. 1-მდე.

№51(325) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

№	სარეკლამო სახე	ქულა
1	გივი გაჩეჩილაძე („ჯეოსელი“)	
2	ნინა კალანდაძე (მაგთი GSM)	
3	დუბა სხირტლაძე („ბორჯომი“)	
4	გოგოლა კალანდაძე („პინგო“)	
5	ზურა დოიჯაშვილი („ლომისი“)	
6	მალხაზ ქვრივიშვილი („პარამბო“)	
7	ალეკო თეთრაშვილი („ტრიუმფი“)	
8	ზვიო („პუმაკი“)	

მკითხველის რეიტინგი

დაასახელეთ 2002 წლის ადამიანი მსოფლიოში

✓ _____

მკითხველის პრემია

დაასახელეთ ნომრის საუკეთესო სტატიის სათაური

✓ _____

_____

_____

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)

ასაკი ტელეფონი

მკითხველის რეიტინგის შედეგები

ქართული ესტრადის ყველაზე პოპულარული ვარსკვლავები

		ქულა
1.	მერაბ სეფაშვილი	828
2.	ლელა წურწუმია	688
3.	ნანი ბრეგვაძე	386
4.	დათო ხუჯაძე	319
5.	თემურ წიკლაური	192
6.	ვახტანგ კიკაბიძე	160
7.	„უცნობი“	144
8.	თემურ თათარაშვილი	107
9.	თამრიკო ჭოხონელიძე	66
10.	მაია ჯაბუა	49

„მკითხველის რეიტინგში“ 596 რესპონდენტი მონაწილეობდა.

.S. წინა რეიტინგში საყვარელ ხალხურ სიმღერათა ათეულში დასახელებული იყო რევაზ ლაღიძის „ტყე შეუნახე შვილებსა“ და „ტიალო დარიალაო“. ეს ჩვენი მკითხველების მიერ შედგენილი რეიტინგია („მკითხველის რეიტინგი“), მკითხველებისა, რომელთაც ყველასათვის საყვარელი კომპოზიტორის ეს სიმღერები ისე შეიყვარეს და გაითავისეს, რომ როგორც ვხედავთ, გაახალხურეს კიდეც.

მკითხველის პრემიის შედეგები ასეთია:

1-2. ზვიად ჩაკვეტაძე — „დემოგრაფები კატასტროფას წინასწარმეტყველებენ...“ — 80 ხმა

1-2. ვაჟა გაგაშელი — „იმნაირ სამშობლოს რა ვუთხარი, ამას რომ მოგთხოვს...“ — 80

3. ლელა ჯიყაშვილი — „ქვები დაგვიკაწრეს... ისინი ვეღარ იღაღადებენ...“ — 78

4. ზურაბ ქართველიშვილი — „საქართველო უკანასკნელი ნეტარი კუნძული იქნება“ — 51

5. ინგა ჯაყელი — „ბათურა-ბიმის... ადამიანური სევდა!..“ — 33

როგორც ვხედავთ, თითქმის ერთნაირი ქულებით დაწინაურდა ჟურნალისტთა პირველი სამეული. ამიტომ, თქვენი პრემია — 50 ლარი თანაბრად გაუნაწილდება სამივე მათგანს.

აღსანიშნავია, რომ სხვა სტატიებმაც მკითხველთა საკმაო მოწონება დაიმსახურა, რადგანაც, წინა კონკურსებთან შედარებით, პრიზის გარეშე დარჩენილმა ჟურნალისტებმაც მაღალი შეფასებები მიიღეს.

„მკითხველის პრემიის“ მფლობელები 499-მა რესპონდენტმა გამოავლინა.

• ფოტოპალიტრა • ფოტოანტიკვარი ©

გთავაზობთ თქვენთვის ნაცნობი პიროვნებების ფოტოებს. გთხოვთ, პასუხები გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყველაზე ორიგინალური პასუხები გამოქვეყნდება გაზეთის შემდეგ ნომერში.

რას ღაარქმევდით?

_____

_____

_____

_____

_____

თქვენი სახელი, გვარი _____

ქალაქი (რაიონი) _____

გიგი წერეთელი, ედუარდ შევარდნაძე

„ფოტოანტიკვარის“ მონაწილეთა უმრავლესობამ — 63%-მა სწორად ამოიცნო ცნობილი ფსიქოლოგისა და პოლიტოლოგის ბავშვობის ფოტო. დიახ, ეს პატარა ბიჭუნა რამაზ საყვარელიძეა.

მკითხველთა 13%-მა ფოტოში რამაზ კლიმიაშვილი, ხოლო 5%-მა კი სოსო ცინცაძე „ამოიცნო“. ეს გასაგებია, ფოტოზე ხომ გარკვევით იყო მინიშნებული — „ამ გამოხედვიდანაც მეტყობოდა, პოლიტოლოგი რომ გავხდებოდიო“... ალბათ, მკითხველთა იმ 13%-ს, რომელთაც კობა ნარჩემაშვილი, ხოლო 2%-ს, რომელთაც გიო „ძილის წინიდან“ დაასახელეს, მინიშნებისათვის ყურადღება არ მიუქცევია...

ზურა ნიკოლაიშვილის მეგობრული შარჟი

რამაზ საყვარელიძე, 6 წლის

ფოტო განწყობისთვის

უკომენტაროდ

წინა ნომრის სკანვორდის პასუხები



19/XII — უკანასკნელი მეოთხედი

ბილეთები!

მთელი კვირა — მაგნატური დღეების გარეშე!

ამერიკულმა ჟურნალმა „People"-მა წლის ყველაზე სექსუალური მამაკაცის წოდება კინოვარსკვლავ ბენ აფლეკს მიანიჭა.

1984 წელს, 7 წლის ბენი გადაიღეს ფილმში „მიმის მოგზაურობა". დღეს იგი უპოპულარესი ვარსკვლავია. „არმაგედონმა", „შეყვარებულმა შექსპირმა", „ბუნების ძალებმა", „პერლ ჰარბორმა"... მსოფლიოს ეკრანები მოიარა.

ბენის საცოლე — მომღერალი და მსახიობი ჯენიფერ ლოპესი ირწმუნება — რაში მჭირდებოდა ჟურნალის აღიარება, ისედაც ვიცოდი, რომ ჩემი შეყვარებული მსოფლიოში ყველაზე სექსუალური მამაკაცია. იგი ჩემთვის 100 წლისაც სექსუალური იქნებაო.

შარშან ყველაზე სექსუალურ მამაკაცთა სიის სათავეში აგენტი 007 — პირს ბროსნანი იდგა.

ფირმა „ბერმუხა"

ბრძყელი და თუნუქის სახურავების, საძირკვლების და აუზების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები ადგილობრივი და უცხოური მასალებით, რესპუბლიკის ტერიტორიაზე. გარანტია 10 წელი.

წერეთლის გამზ. №55, ბინა №53

☎ 96-06-00; 35-15-05; 899-50-06-50

* * *

— აი, რომ დაგიჩემებია, ჩვენი არაფერი ვარგაო, აგე, ჩვენმა „სტოლბა[illegible]" დღე აყარა იაპონურ „ტ[illegible]ოტას"...



ჰორიზონტალურად: 1. ქალის ძვირფასი თაესამკაული; 3. ზნეშენელობით მეორე, ხოლო სიძლიერით პირველი ფიგურა ჭადრაკში; 5. ბოსტნეული, რომელიც არ აკლდა მიზანი ბრეგაძეს; 7. ნესტიანი ჰავა; 8. საბუთი; 9. საჩრდილობელი ნათურაზე; 12. საქონლის შემოტანა უცხოეთიდან; 15. ქართველი მსახიობი — ... ელიავა; 17. ნედლეული სასმლისა, რომელიც იაპონელთა თქმით, მათთან ერთად გაჩნდა; 18. ჰოლივუდის მსახიობებს შორის ყველაზე მაღალი ინტელექტუალური კოეფიციენტის მქონე; 19. ტბა კანადასა და აშშ-ში; 21. ვულკანური წარმოშობის ცხელი წყალი, რომელიც ჩვენც არ გვაწყენდა; 23. სტალინის მიერ ომის დროს დაწინაურებული დაბლომატი, რომელიც საბჭოთა კავშირს 1985 წლამდე შემორჩა; 25. ცეკვა ბრაზილიურ კარნავალზე; 26. ბალახოვანი მცენარე, საქონლის [illegible] 27. იკლებია დამიანეს მოხატულობით; 28. ფრინველი სპასალწლი სუფრაზე; 29. ქალის საცხენოსნო [illegible]

ვერტიკალურად: 1. მოქმედების ადგილის გადაერთმება სცენაზე; 2. შეამსვლელი; 3. სისხლის თეთრი ბურთულა; 4. მეცნიერი, რომელმაც ყველაფერი იცის თევზის შესახებ; 6. ბოსტნეული, რომელიც საქართველოში, ჯერ[illegible] ნათანადოდ აღიარებული არ არის; 10. კაშალოტის პარფიუმერული ნედლეული; 11. ოდისეევსის სახელის ლა[illegible] ფორმა; 13. იტალიელი მწერალი, რომან „ნათლიას" ავტორი; 14. გზა, რომელსაც გადის გემი ბათუმიდან ოდესამდე; 15. 4კმ-ის აღმოჩენილი ძველი ფრანგული სიგრძის ერთეული; 16. ბანქოს კიკი უცხოურად; 20. თამბაქოს ნაწარმი; [illegible] საერთაშორისო კორპორაცია. 21. ილია ჭავჭავაძის პოემა; 22. უმაღლესი სასწავლებელი; 23. ენათმეცნიერების ნაწილი; 24. „ეიფელის წყალზე" წოდებული პარფიუმერული ნაწარმი.

შეადგინა რამაზ ალანია

www.voanews.com

Voice of America

მოისმინეთ

VOA **ამერიკის ხმის**

გადაცემები ქართულ ენაზე

ყოველდღიურად 19:30-დან 20:00 საათამდე „მთავარი რადიოს" და „რადიო 2-ის" ტალღებზე

ყურადღება: „კვირის პალიტრის" (გაზეთის) საფოსტო (საპრეზიდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©

51 **უფასო განცხადების ქვითარი**

სიტყვა და საქმე

განცხადების ტექსტი _____

_____

_____

_____

_____

_____

_____

გთხოვთ ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (ინიციალების და ტელეფონის ნომრის ჩათვლით)

გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება

№51 თბილისში ქვითარი „კვირის პალიტრის" ყუთებში ჩააგდეთ 26 დეკემბრის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

„კვირის პალიტრის" და „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთები იცლება თბილისში — სამშაბათს, ხუთშაბათს, კვირას 13 საათიდან; რაიონებში — ოთხშაბათობით, 10 საათიდან.

გაზეთი დამოუკიდებელია და ზელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებას.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რედაქციის უფლებით.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

მთავარი რედაქტორი ლალი ბუნთაიშვილი

მთ. რედაქტორის მოადგილეები: ნუცა დუმბაძე, მერაბ თევზაძე

სარედაქციო კოლეგია

მის.: აკურის ქ. №8 სამოქალაქო სასახლის ეზოში

ტელ.: რედაქცია: 33-39-54; რეკლამა, ფაქსი: 33-50-32; 98-74-44

pallitra@access.sanet.ge

www.opentext.ge/kvirispalitra

სარეგისტრაციო №9220 ⓐ518

„კვირის პალიტრა"

გამოდის ორშაბათიდან

გაზეთი დაიბეჭდა

გამომცემლობა „ეკოლორში".